"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3 | დედაქალაქი C | საბავშვო D

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 7 სექტემბერი, 2002 წელი. №97

ფასი 50 თეთრი

## ევროპა და ამერიკა: რამდენად ერთიანია დასავლეთი?

დავით აფრასიძე

გერმანიიდან

„დასავლეთი" – ეს სიტყვა დღეს მხოლოდ გეოგრაფიასთან აღარ ასოცირდება. იგი განვითარებული სამყაროს სინონიმად იქცა. დასავლეთი გაიგივებულია პიროვნულ თავისუფლებასა და კეთილდღეობასთან. დასავლეთთან ინტეგრაცია საქართველოს სტრატეგიული ამოცანაა. დასავლეთის აღქმა ჩვენში ხშირად მეტისმეტად გამარტივებულია. იგი ჩრდილოეთი ამერიკისა და დასავლეთი ევროპის მონოლითურ კავშირადაა აღქმული.

მის ძირითად სიმბოლოებს (ნატოსა და ევროკავშირს) შორის არსებული თვისებრივი განსხვავებები ხშირად უგულებელყოფილია. ნატო-ში გაწევრიანების სურვილი ნიშნავს ევროკავშირში წევრობის სურვილს და -- პირიქით, ხოლო ამერიკელებთან თანამშრომლობა სრულიად თავსებადია ევროპელებთან თანამშრომლობასთან. ამგვარი აღქმა რეალობას ხშირად არ შეესაბამება, რადგან ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთი და დასავლეთი სანაპიროები ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულია. ამერიკასა და ევროპას შორის ბევრია საერთო და მათ სამომავლო მეტოქეობაზე საუბარი არასერიოზულია. თუმცა, ახალ და ძველ სამყაროს შორის არსებული თუნდაც მცირედი განსხვავებების ცოდნაც კი სასარგებლო უნდა იყოს.

გაგრძელება A8 გვერდზე

## რუსეთი პროვოკაციას მიმართავს

### გუშინ გავრცელებული ინფორმაცია, შესაძლოა, ჩეჩნების გაღიზიანებას ისახავდეს მიზნად

შოთა უტიაშვილი

გუშინ, საღამოს საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ საქართველო, ბოლოსდაბოლოს, დათანხმდა პანკისში რუსეთთან ერთობლივ ოპერაციას. **"საქართველომ რუსეთი ხეობაში შეუშვა,"** – გადმოსცა "ბი-ბი-სიმ". **"რუსეთი და საქართველო ჩეჩნების წინააღმდეგ ერთობლივი ნაბიჯების გადადგმაზე შეთანხმდნენ,"** – იუწყებოდა "როიტერი."

ამ ფაქტს სწრაფად გამოეხმაურა რუსული ელექტრონული მედიაც. ყველა საინფორმაციო საშუალება იმოწმებდა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბორის გრიზლოვის მიერ ბაქოში, დსთ-ს შს მინისტრების შეხვედრაზე გაკეთებულ განცხადებას, რომლის მიხედვითაც მინისტრები შეთანხმდნენ, რომ **"რუსეთის შსს წარმომადგენლები ჩავლენ საქართველოში და ერთობლივად გამოავლენენ საერთაშორისო ტერორისტებსა და ბანდფორმირებების წევრებს, რომლებიც პანკისის ხეობაში იმყოფებიან".** გრიზლოვის ცნობით, დაპატიმრებებს უშუალოდ ქართველი სამართალდამცავები განახორციელებენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## საქართველოს ნაკრები შვეიცარიელებთან მატჩისთვის ემზადება

B6



*შოთა არველაძე, კახა კალაძე, მურთაზ ხურცილავა და გიორგი ქინქლაძე რუიტის (გერმანია) საწვრთნელ ბაზაზე.*

აკა ტონიას ფოტო

"გმირი მწყემსი" A2

დღესასწაული შარაძის ქუჩაზე A3

"თი-ბი-სი" ბანკი მსოფლიოს საუკეთესო ბანკებს შორისაა A4

"თბილგაზი" ასპროცენტიანი ამოღების შემთხვევაშიც კი წამგებიანია A4

რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობა გამოცდის წინაშე A5

12 სექტემბერს "ალ ქაიდას" ტერორისტები ტელევიზიით გამოვლენ A5

უმუშევრებმა ხელები დაიკაპიწეს A6

ბათუმში ჟურნალისტს თავს ესხმიან, თავისუფალ პრესას კი კანონპროექტს უმალავენ A6

გენადი ზიუგანოვი: ამერიკაში ნუ ეძებთ გამოსავალს! A8

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | მზიანი |
| ქუთაისი | 29 | ნახევრად მოღრუბლული |
| ბათუმი | 26 | მოღრუბლული |
| სოხუმი | 25 | მოღრუბლული |
| ფოთი | 26 | მოღრუბლული |
| თელავი | 29 | მზიანი |
| ზუგდიდი | 28 | ნახევრად მოღრუბლული |
| გორი | 27 | მზიანი |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1800 |
| ევრო | 2.1604 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4137 |
| რუბლი | 0.0689 |

## პრეზიდენტის ვეტოს პარლამენტი მშვიდად იღებს

გიორგი კალანდაძე

*პრეზიდენტის ვეტოს, რომელიც მან დაადო კანონპროექტს "მარეგულირებელი ორგანოების შესახებ", პარლამენტში სერიოზული წინააღმდეგობა, სავარაუდოდ, მხოლოდ ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" მხრიდან შეხვდება. პრეზიდენტმა ძირეულად შეცვალა "ახლების" მიერ შეტანილი დებულება, რომლის თანახმადაც პარლამენტს უფლება ჰქონდა, ტენდერის წესით მოეწვია საერთაშორისო აღიარებული აუდიტორული კომპანია მარეგულირებელი ორგანოების საფინანსო აუდიტის ჩასატარებლად. შესწორებული ვარიანტით, აუდიტორს, პარლამენტის ნაცვლად, პრეზიდენტი მოიწვევს. ვეტოს საკითხს პარლამენტი უახლოეს პლენარულ სხდომაზე განიხილავს.*

**"პრეზიდენტი მარეგულირებელი კომისიების წევრებს ნიშნავს. პარლამენტის მიერ მომზადებული კანონპროექტით კი მისი კონტროლის ხარისხი კომისიების საქმიანობაზე უმნიშვნელო იყო",** - აცხადებენ ვეტოს მომხრეები. მათ შორის არიან პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი მარიამ ცაცანაშვილი და კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი. **"მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლი ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშის მოთხოვნაც კი უდიდესი დავის საგანია. ბუნდოვანი სამართლებრივი ნორმების თავისებური ინტერპრეტაციით მარეგულირებელ ორგანოთა ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ მათი კონტროლი დაუშვებელია",** – განაცხადეს კონტროლის პალატაში. ამ პოზიციას მხარი დაუჭირა პრეზიდენტმაც, რომელმაც 10 ივლისს პარლამენტის მიერ მოწონებულ კანონპროექტს ვეტო დაადო.

გაგრძელება A4 გვერდზე

## პავლიაშვილი და უგულავა შეთანხმებას აღწევენ

გვანცა კვინიკაძე

*ქონების მართვის სამინისტრო იანვრიდან აღარ იარსებებს. ანტიკორუფციული ბიუროს ამ რეკომენდაციის შესრულებაზე შეთანხმებას ბიურომ და მინისტრმა პავლიაშვილმა გუშინ მიაღწიეს. საწარმოებში სახელმწიფოს კუთვნილი წილებისა და აქციების მართვას კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით ჩამოყალიბებული ჰოლდინგი, სახელმწიფო ქონების მართვას -- ფინანსთა სამინისტრო, ხოლო დარგის პოლიტიკის წარმართვას – ეკონომიკის სამინისტრო განახორციელებს. შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც თითქმის მთლიანად ანტიკორუფციული ბიუროს პრინციპებზე იქნება დაფუძნებული, ქონების მართვის სამინისტრომ სულ რამდენიმე დღეში უნდა მოამზადოს, რათა მომავალ სამშაბათს იგი განსახილველად საქართველოს პრეზიდენტს წარედგინოს. ანტიკორუფციული ბიურო ამ კანონის ამოქმედებას აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციის ერთიანი გეგმის ნაწილად მიიჩნევს, რომელიც სამინისტროებისა და დეპარტამენტების რაოდენობის შემდგომ კლებას ითვალისწინებს.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## რუსეთს საქართველოში ტანკიც უნდა და ბანკიც

### ინტერვიუ უშიშროების საბჭოს მდივანთან თედო ჯაფარიძესთან

ეკა კვესიტაძე
შოთა უტიაშვილი

**- ხელისუფლება ამტკიცებს, რომ პანკისში მიმდინარე ოპერაცია კარგად არის დაგეგმილი და, შესაბამისად, რეალური შედეგით დამთავრდება. რა გარანტიები არსებობს, რომ ეს ასე იქნება და პანკისის პრობლემა დღის წესრიგიდან მოიხსნება?**

- თითქმის ყველა შეხვედრა, რომელიც პანკისის პრობლემებს ეხებოდა, ჩემს კაბინეტში იმართებოდა. პრეზიდენტის დავალებით შეიქმნა უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელშიც ძალოვანი სტრუქტურები შედიოდნენ, ბოლო ეტაპზე კი მათ ფინანსთა და სახელმწიფო მინისტრებიც შეუერთდნენ. თავიდან ეს შეხვედრები საკმაოდ ხმაურიანად დაიწყო. მაგრამ, საბოლოო ჯამში, სხვადასხვა მოსაზრებების შეჯერება მაინც მოხერხდა. შევთანხმდით ერთ კომპლექსურ გეგმაზე, რომელიც შემდეგ პრეზიდენტს წარვუდგინეთ. ამ გეგმის მთავარი მიზანი იყო, რომ ვაკუუმი, რომელიც მას შემდეგ შეიქმნა, რაც ჩეჩენმა მებრძოლებმა პანკისის ტერიტორია დატოვეს, ქართული საჯარისო ფორმირებებით შევსებულიყო.

კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ ეს ფუნქცია თავის თავზე შინაგან ჯარს უნდა აეღო. ხოლო თავდაცვის სამინისტროს ნაწილები წვრთნებს ახლომახლო ჩაატარებდნენ, ანუ შეიქმნებოდა ის მყარი ზურგი, რომელიც, აუცილებლობის შემთხვევაში, შინაგან ჯარს დაეხმარებოდა.

**- პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა: ორი-სამი თვეა საჭირო, პანკისი კრიმინალური ელემენტებისაგან საბოლოოდ რომ გაიწმინდოსო. შეგიძლიათ თუ არა შეაფასოთ, რა ეტაპზეა ახლა ეს ოპერაცია და რამდენი ხანი დასჭირდება მის დასრულებას?**

- პანკისის ოპერაციის დაწყების შემდეგ, უშიშროების საბჭოს წევრები დღეში რამდენჯერმე ვიკრიბებით და ოპერატიულ ინფორმაციას

გაგრძელება A3 გვერდზე



*"კგბ"-ს ხალხი "იტერაშიც" იქნება და სხვა რუსულ კომპანიებშიც".*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

## შევარდნაძიზმისგან შობილი ნათელაშვილის ცოდვები

თამარ მჭედლიშვილი

*ვანო ზოდელავას წინააღმდეგ აგორებული კამპანიის ავტორს, ქართველ ლეიბორისტთა ლიდერს ბრალდებების ადრესატი ჯერ არ გამოხმაურებია. თუმცა, გუშინ შალვა ნათელაშვილს "ხურდა" მაინც დაუბრუნეს. საპასუხო ბრალდებების კორიანტელი დააყენა ყოფილმა ლეიბორისტმა, ამჟამად მოქკავშირის აქტიურმა მხარდამჭერმა მანანა ნიკოლაიშვილმა. მან შალვა ნათელაშვილს ბრალი დასდო კორუმპირებულობაში და მას "უზნეო პოლიტიკოსი" უწოდა.*

ნათელაშვილის ყოფილი თანაპარტიელი ქალბატონი წინა მოწვევის საკრებულოს წევრია. შესაბამისად, საკმაოდ ახლოს იცნობს როგორც თავის ყოფილ პარტიულ ბოსს, ასევე - ვანო ზოდელავას. თანაც, მანანა ნიკოლაიშვილის პოლიტიკური სიმპათიები კარგა ხანია, რაც პრეზიდენტისა და მოქკავშირისაკენ გადაიხარა. ასე რომ, მანანა ნიკოლაიშვილის მიერ გამოთქმული ყოველი ბრალდება, "მისდა უნებურად", სწორედ ვანო ზოდელავას წისქვილზე ასხამს წყალს.

**"შალვა ნათელაშვილი თავად არის კორუმპირებული. იკითხეთ, ვინ უფინანსებს პარტიას, რატომ დადის პერსონალური მანქანით და**

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა

B2 კულტურა | B3 ანკეტა | B4-B5 კვირის TV-პროგრამა | B6-B7 სპორტი | B8 სხვადასხვა

**ცხინვალი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობა ცხინვალის რაიონში პანკისის მსგავსად ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარებას მოითხოვს. ამის მიზეზი სოფელ დვანში მომხდარი მორიგი ყაჩაღობა გახდა, როცა სამი დაუდგენელი ნიღბიანი შეიარაღებული პირი თავს დაესხა დვანში მცხოვრებ ზაქარია მაზმიშვილს და გაიტაცეს მისი კუთვნილი "გაზელის" მარკის ავტომანქანა. ავტომანქანა სოფელ წუნართან გაფუჭდა. გამტაცებლებმა იგი მიატოვეს და ცხინვალის მიმართულებით მიიმალნენ.

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებაში, ყველაფერი მზადდება კონფლიქტის ზონაში ანტიკრიმინალური ოპერაციის დასაწყებად, რაც მათი განცხადებით, ქართულ მხარეს სურს. თუმცა, ქართული მხარე აღნიშნავს, რომ ეს ოსების პროვოცირებულია, ამ გზით ისინი რუსეთის ჯარების დამატებითი ნაწილების შემოყვანას შეეცდებიან. მათივე მტკიცებით, ამ მიზნით ოსებმა, შეიძლება, ქართველი ჟურნალისტის გატაცების ინსცენირებაც მოაწყონ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტრო პანკისის ხეობაში იარაღის ჩამბარებლებს მატერიალურ ჯილდოს შესთავაზებს. ხეობაში განლაგებული ანტიკრიმინალური ოპერაციის შტაბი, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი ხელმძღვანელობს, მოცემული თვალსაზრისით შესაბამის წინადადებებზე მუშაობს, რაც საზოგადოებას ახლო მომავალში წარედგინება. ამასთან, შემუშავდება სხვა წინადადებებიც, რაც რეგიონში არსებულ კრიმინოგენულ სიტუაციას გააუმჯობესებს. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**მოსკოვი.** საქართველოს პრეზიდენტის პრეს-მდივანმა კახა იმნაძის განცხადებით შევარდნაძეს არ მიაჩნია, რომ მან საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის პერიოდში სსრკ-აშშ-ს შორის შეთანხმების ხელმოწერისას თავის უფლებამოსილებებს გადააჭარბა. აღნიშნული შეთანხმება ეხებოდა ორ სახელმწიფოს შორის საზღვაო საზღვრების გამიჯვნას.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს ჩრდილოეთისა და მცირერიცხოვანი ხალხების კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრ ნაზაროვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ედუარდ შევარდნაძის პასუხი რუსეთის გენერალური პროკურატურის კითხვაზე, "კიდევ ერთხელ ადასტურებს შევარდნაძის ტოტალიტარულ წარსულს - ეს ჩანს მისი სტილიდან, რომლითაც ის საქართველოში საერთაშორისო პოლიტიკას აწარმოებს," - განაცხადა ეროვნებით ჩუქჩა სენატორმა, საქართველოს პრეზიდენტის პრეს-მდივნის გამონათქვამის კომენტირებისას. "შევარდნაძემ ხელი მოაწერა შეთანხმებას ზღვების გაყოფის შესახებ, რადგანაც პოლიტბიურომ ასე გადაწყვიტა, დღეს კი პასუხს პრეს-მდივანი სცემს," - განაცხადა ნაზაროვმა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ლიდერი, პარლამენტარი ჯუმბერ პატიაშვილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და ხელისუფლება, მოსახლეობის "ზომბირებას" ახდენს, როდესაც "მოქალაქეთა კავშირის" ნაცვლად, ხელისუფლებაში ფაშისტური ძალების მოსვლის საფრთხეზე საუბრობს.

"მოქკავშირზე" დამანგრეველი ძალა ქვეყანაში არ არსებობს, - განაცხადა ჯუმბერ პატიაშვილმა. მისი აზრით, ხელისუფლების მხრიდან აღნიშნული განცხადებები საზოგადოების დაშინებისა და შეურაცხყოფის მცდელობას წარმოადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ოზურგეთი.** ოზურგეთის რაიონს ძლიერი ქარიშხალი დაატყდა თავს, რასაც თან კოკისპირული წვიმა ახლდა.

როგორც გურიის გუბერნატორის აპარატიდან იტყობინებიან, სტიქიამ საცხოვრებელი სახლები დააზიანა, ძირიანად ამოგლიჯა მრავალწლოვანი ხეები, ჩამოწყვიტა ელექტროსადენები. სტიქიის მიერ მიყენებული ზარალის დასადგენად და მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის აუცილებელი სამუშაოების ჩასატარებლად შექმნილია სპეციალური კომისია. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ერევანი.** მიმდინარე წელს, სომხეთისათვის ამერიკულმა სამხედრო დახმარებამ 4,3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა ასიგნირების კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მთიანი ყარაბაღის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პირდაპირი დახმარების გაგრძელებისა და 2003 წელს 3,75 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 2003 წლიდან კუთვნილ თანხებს მიიღებენ ის მოტყუებული მეანაბრეები, რომლებიც აკმაყოფილებენ „უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალური დახმარების პროგრამის" პირობებს.

ყოფილი სსრკ-ს შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები, რომლებიც საშინაო ვალის კატეგორიას განეკუთვნება, დაახლოებით 500 მილიონ ლარს შეადგენს. ვინაიდან ამ თანხის მოცულობის გამო მისი უახლოეს მომავალში სრულად დაფარვა შეუძლებელი იქნება, ფინანსთა სამინისტრო სთავაზობს მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განისაზღვროს მეანაბრეთა ის კატეგორიები, რომელთა მიმართ დავალიანების დაფარვა პრიორიტეტული იქნება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თელავი.** რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით, სოფელ წინანდლის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაო ჭავჭავაძეების საგვარეულო პანთეონად გამოცხადდა. კომუნისტური რეჟიმის აღზევების ხანაში, 1921 წელს ჭავჭავაძეების სასაფლაოდან გატანილი ქვებით წინანდლის მუსიკალური სკოლა ააშენეს.

თელავის სასაფლაოდან - თავად გულბაათ ჭავჭავაძის და ეთნოგრაფიული მუზეუმიდან ლიზი დავითის ასული ჭავჭავაძის საფლავების ქვების პანთეონში დასაბრუნებლად საქმეს თელავის რაიონული სასამართლო განიხილავს **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მთიანი-ყარაბაღისა და დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის ადგილი და დრო ამ დღეებში გადაწყდება. ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს და სავარაუდოა, რომ შეხვედრა ცხინვალში ან სოხუმში გაიმართოს. ადრე, სოხუმი და ცხინვალი, მიმდინარე წლის ბოლომდე, ანტიტერორისტული სწავლებების ჩატარებაზე შეთანხმდნენ, რასაც დასავლეთის პარტნიორების დახმარებით ქართული არმიის სამხედრო გაძლიერებას უკავშირებდნენ. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სპეციალური კომისიის თბილისში ვიზიტი, რომელსაც რუსული ავიაციის მიერ პანკისის ხეობის დაბომბვის ფაქტი უნდა გამოეძიებინა, გაურკვეველი მიზეზებით გადაიდო. ვიზიტის გადადების მიზეზების თაობაზე ქართული მხარისთვის არაფერი უცნობებიათ. კომისიის ხელმძღვანელი რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის მოადგილე ალექსანდრ ზელინია.

რუსეთის დელეგაციას ის აუცილებელ დოკუმენტები უნდა წარმოედგინა, რომელიც დაადასტურებდა, რომ რუსეთს ამ დაბომბვებთან არავითარი კავშირი არ აქვს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ „საქსტანდარტის" წერილით მიმართა, სადაც რეალიზაციაში არსებული „ბორჯომის" ხარისხის შემოწმებას ითხოვს. საუბარია არა ფალსიფიცირებულ „ბორჯომზე", არამედ „ბორჯომის"უკანონო ჩამოსხმაზე. ამას არალეგალურად სხვადასხვა მცირე ფირმები და კერძო პირები ახორციელებენ. ასეთ შემთხვევაში კი ირღვევა მიღებული სტანდარტები, არ არის დაცული სანიტარული ნორმებიც, არ ტარდება ტარის დეზინფექცია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მიმდინარე წლის ბოლოდან საქართველოს ხელისუფლება "პარიზის კლუბის" წევრ ქვეყნებთან საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის თაობაზე ახალ მოლაპარაკებებს იწყებს. საქართველოს 2003 წლიდან ამ ვალების მომსახურების საშუალება არა აქვს. მარტო ძირითადი ვალების მოცულობა, რომლის გადახდაც საქართველოს 2003 წელს მოუწევს, 140 მილიონამდე აშშ დოლარია. ფინანსთა სამინისტროში უკვე მომზადდა წერილები 13 კრედიტორი ქვეყნისადმი 2003 წლიდან ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ ახალი მოლაპარაკებების დაწყების წინადადებით.

2001 წლის 6 მარტს "პარიზის კლუბის" წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებით ძირითადი საგარეო ვალების ნაწილის - 242 მილიონი აშშ დოლარის გადახდა საქართველოს "2+1" პრინციპით 2003 წლამდე გადაუვადა, რაც იმას გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში თუ საქართველოს ამ პერიოდისათვის არ ექნება საშუალება ძირითადი ვალების გასტუმრებისათვის, გაიმართებოდა ახალი მოლაპარაკებები აღნიშნული ვალების 2004 წლიდან გასტუმრების შესახებ. ამასთან, საქართველოს მთლიანი საგარეო ვალების - დაახლოებით მილიარდ 600 მილიონი, მათ შორის დსთ-ს ქვეყნების მიმართ 631 მილიონი აშშ დოლარის გადახდა 2022 წლამდე გადაუვადდა არაუმეტეს 4-პროცენტიანი წლიური განაკვეთით. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სამეგრელოს რეგიონის ენერგეტიკოსებმა, კერძოდ კი მხარის "ელექტროგადაცემისა" და "დისპეტჩერიზაციის" თანამშრომლებმა, რომელთაც 10 თვეა ხელფასები არ მიუღიათ, პროტესტის უცნაური ფორმა აირჩიეს. 100-მდე გაფიცულმა თანამშრომელმა ელექტროენერგიის გამორთვის ნაცვლად ყველა ობიექტი ჩართო. გაჩახჩახებულმა ქუჩებმა და სახლებმა ხალხს შორეული სოციალიზმი გაახსენა.

ამჟამად მთელი დატვირთვით მუშაობს "ენგურჰესის" და საბერიოს აგრეგატები, მაშინ, როცა თბილისი სამეგრელოში ელექტროენერგიის შეზღუდვას ითხოვს, რადგან ელექტროენერგიის საფასურის ამოღება ნულის ტოლია. **კავკას-პრესი.**

# „გმირი მწყემსი"

ქართველი მწყემსი, რომელმაც რუსი მესაზღვრეები გააფრთხილა ჩეჩნების მოახლოების შესახებ და, სამაგიეროდ, რუსეთის ორდენი და რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, "ფაქტობრივად, არ არსებობს," – იუწყება რუსული გაზეთი "ნოვაია იზვესტია".

როგორც თელიძის თანასოფლელებმა რუს ჟურნალისტებს განუცხადეს, თელიძე იმდენად ხელიდან წასული ლოთი იყო, რომ მას საქონელს არავინ ანდობდა. ხოლო ის ყველაფერი, რაც მან მოჰყვა ჩეჩენ ბოევიკებთან დაკავშირებით, პირწმინდა ტყუილია, – ამტკიცებენ სოფელ გირევის მკვიდრნი.

ჩეჩნები გირევის ახლომახლო არავის უნახავს და, მით უმეტეს, მათთვის სურსათი არ მიუყიდია. რაც შეეხება იმ მოზარდს, რომელმაც, თითქოსდა, ჩეჩნების არსენალში "იგლა" და "მუხა" ამოიცნო, მან ეს ტერმინები პირველად "ნოვაია იზვესტიას" კორესპონდენტისგან გაიგონა.

ტყუილია რუსეთის ხელისუფლების განცხადებაც იმასთან დაკავშირებით, რომ გამოჩენილი "გმირობისათვის" თელიძემ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. იგი კარგა ხანია, რუსეთის მოქალაქეა და, თანასოფლელების ცნობით, ყოველთვის, როდესაც დათვრებოდა, რუსეთში წასვლაზე ოცნებობდა. ყველაზე საინტერესოა, რომ რუსული მედიის მიერ გავრცელებულ "გმირის" სურათში ვერც ერთმა თანასოფლელმა თელიძე ვერ ამოიცნო.

რუსი ჟურნალისტები - სერგეი აგაფონოვი, ბესიკ ურიგაშვილი და სერგეი იაკოვი, რომლებმაც ეს ინფორმაცია გაავრცელს, რამდენიმე დღის წინ "24 საათის" რედაქციაში იმყოფებოდნენ, საიდანაც "გმირის" მშობლიურ სოფელში გაემგზავრნენ.

## რუსეთი პროვოკაციას მიმართავს

პირველი გვერდიდან

ცნობების გადასამოწმებლად "24 საათი" დაუკავშირდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს, ბატონ თედო ჯაფარიძეს, რომელმაც ეს ინფორმაცია გადაჭრით უარყო. მოგვიანებით შსს-ს წარმომადგენელმა პაატა გომელაურმა განაცხადა, რომ საუბარია მხოლოდ ერთი-ორი რუსი მილიციელის თბილისში ჩამოსვლაზე, რომლებიც ინფორმაციის გაცვლაზე იმუშავებენ.

და კიდევ ერთი: რას იტყვიან რუსები, საქართველო მართლაც რომ დათანხმდეს ერთობლივ ოპერაციას? ალბათ, რაიმე ამის მსგავსს, რაც "ლენტა რუმ" გამოაქვეყნა: **"ეგრეთ წოდებული ანტიკრიმინალური ოპერაციის დასრულების შემდეგ, რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ ეჭვი გამოთქვა ოპერაციის ეფექტურობასთან დაკავშირებით. რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს შესთავაზა, შეეცვალა ტერორიზმთან ბრძოლის ტაქტიკა. რუსეთის პოლიტიკის ამ ხაზის გაგრძელებად იქცა შეთანხმება რუსეთის შშს-ს პანკისის ოპერაციაში მონაწილეობის შესახებ".**

## კომუნისტები იგორ გიორგაძის მხარდამჭერ მიტინგზე

ვასილ გულეური
გორიდან

6 სექტემბერს გორში, სტალინის სახლ-მუზეუმის წინ ასამდე კომუნისტმა და მათმა მომხრემ მოიყარა თავი.

მომიტინგეთა ძირითადი მოთხოვნა საქართველოში იგორ გიორგაძის დაბრუნება და დსთ-ს ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება იყო. კომუნისტური პარტიის გორის განყოფილების ლიდერმა ალეკო ლურსმანაშვილმა განაცხადა, რომ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქართველოში მდგომარეობა გამოსწორდება.

მომიტინგეები, აგრეთვე, მოითხოვდნენ პრეზიდენტ შევარდნაძის ნებით გადადგომას და საქართველოში პარლამენტის გაუქმებას. **"იგორ გიორგაძე არის პატიოსანი კაცი და არაა გარეული იმ მაქინაციებში, რაშიც ჩვენი ხელისუფლება,"** - განაცხადა ალეკო ლურსმანაშვილმა.

თუ უახლოეს ხანში მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, კომუნისტები საპროტესტო აქციებით და უვადო შიმშილობით იმუქრებიან.




გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. **ფოტო:** ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# რუსეთს საქართველოში ტანკიც უნდა და ბანკიც



„ჩემი წამოსვლა ამ თანამდებობაზე ნამდვილად იყო დაკავშირებული გარკვეულ ილუზიებთან". ლევან ხერხეულიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

ვაანალიზებთ. ამ ოპერაციის დროში გაწელვა, რა თქმა უნდა, სწორი არ იქნება. ოპერაცია საკმაოდ რთულია, მაგრამ რაც გასაკეთებელია, უნდა გაკეთდეს ოპერატიულად და რეალური შედეგიც უნდა მივიღოთ. ეს შედეგები, პირველ რიგში, მოსახლეობამ უნდა იგრძნოს.

**- საბოლოოდ, მაინც რა კონკრეტულ შედეგს უნდა ველოდოთ ამ ოპერაციიდან? პანკისის ხეობა დიდი ხნის განმავლობაში დახურული და უკონტროლო ზონა იყო, სადაც უამრავი ბინძური საქმე კეთდებოდა, რომელშიც, სავარაუდოდ, სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას. მათი დიდი ნაწილი ისევ ძველ თანამდებობებზეა. ეს ყველაფერი კი ბადებს სკეპტიციზმს, რომ ოპერაცია, შეიძლება, გარკვეულწილად, იმიტაციაც იყოს და მნიშვნელოვანი შედეგები არ მოიტანოს.**

- მე არ ვიცი, რა ხდებოდა პანკისის ხეობაში ადრე. მაგრამ შემიძლია დანამდვილებით გითხრათ, რომ ჩემი ამერიკაში ყოფნის დროს, არამარტო ჩემმა კოლეგებმა და ამერიკის ხელისუფლების ოფიციალურმა პირებმა, არამედ თვითონ ამერიკის პრეზიდენტმაც კი ისწავლა "პანკისის" გამოთქმა.

მე მახსოვს ერთი ძალიან ემოციური ეპიზოდი თეთრ სახლში. 11 სექტემბრის ექვსი თვის თავზე, თეთრი სახლის უკანა მდელოზე, პრეზიდენტის მონაწილეობით, დიდი შეკრება გაიმართა, სადაც დიპლომატიური კორპუსიც იყო წარმოდგენილი. ბუში მომხდარ ტრაგედიაზე და ამერიკის მიზნებზე ლაპარაკობდა, რომ ამერიკა ტერორიზმს გლობალური მასშტაბით უნდა ებრძოლოს. მაშინ პირველად გაისმა მისი ცნობილი მოწოდება, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოში "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" დაწყება. ბუშმა თქვა: **"ჩვენ უნდა დავეხმაროთ პრეზიდენტ შევარდნაძეს ტერორიზმთან ბრძოლაში და უნდა ამოვძირკვოთ ტერორიზმი პანკისში".** როცა მან ეს სიტყვა წარმოთქვა, თითქოს ფიზიკურად ვიგრძენი, რომ გავიზარდე. ჩემს აზერბაიჯანელ კოლეგას რომ გადავხედე, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა, ძალიან პატარა მომეჩვენა.

ასე რომ, ის, რაც პანკისში ხდება, ძალიან სერიოზულად არის დაგეგმილი და არანაირ იმიტაციასთან არ გვაქვს საქმე. ჩვენ უნდა მოვაგვაროთ იქ არსებული პრობლემები. ეს ვალდებულება უკვე აღებული გვაქვს, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, რომელიც წლების განმავლობაში იტანჯებოდა განუკითხაობით, ასევე მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე.

პრობლემები, ამ ოპერაციის განხორციელების დროს, შეიძლება, შეიქმნას. მაგრამ ოპერაცია რომ შედეგიანი იქნება, ამაში ეჭვი არ მეპარება.

**- რამდენ ხანს დარჩება პანკისში შინაგანი ჯარი?**

- შინაგანი ჯარის შენაერთი იქ იმდენ ხანს დარჩება, რამდენიც საჭირო იქნება ოპერაციის ყველა ეტაპის საბოლოო დასრულებამდე.

**- პრეზიდენტმა უკვე რამდენჯერმე განაცხადა, რომ ჩეჩნურმა შენაერთებმა პანკისის ტერიტორია დატოვეს, მაგრამ არ იცის და არც აინტერესებს მათი ახალი ადგილსამყოფელი. ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ მათ საქართველოს სხვა ნაწილში გადაინაცვლეს?**

- მინდა, გითხრათ, რომ პანკისში ჩეჩენი მებრძოლები ნამდვილად აღარ იმყოფებიან. სად არიან ახლა ისინი, მე ზუსტად ვერ გეტყვით. ალბათ, სადღაც მაღლა, მთებში. ოპერაციის ნაწილი, მათ შორის, შინაგანი ჯარის გადაადგილება, გულისხმობს იმას, რომ არ დაუშვან მათი უკან დაბრუნება ან საქართველოს სხვა ტერიტორიაზე ახალი პანკისის შექმნა.

**- ზამთარში სად წავლენ ეს შენაერთები?**

- არსებობს რეალური გარანტიები, რომ საქართველოში აღარ ჩამოვლენ.

**- რა კომენტარს გაუკეთებდით "სი-ბი-ესის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ თითქოს 11 სექტემბრის ტერაქტის დროს ტერორისტები საქართველოში რეკავდნენ?**

- ამ საკითხზე ვესაუბრე აშშ-ს თავდაცვის მინისტრის თანაშემწეს. მან მითხრა, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა.

**- პანკისის პრობლემის ბოლომდე მოგვარება, ცხადია, მხოლოდ სპეცოპერაციას არ შეუძლია. ამისათვის რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაცაა საჭირო. თუმცა, ჯერჯერობით, რუსეთის ოფიციალურ წრეებში ამისი სურვილი ნამდვილად არ იგრძნობა, პირიქით, სიტუაციის გასამწვავებლად ახალ-ახალ ბრალდებებს იგონებენ შევარდნაძისა და საქართველოს წინააღმდეგ. უახლოეს მომავალში არსებობს თუ არა იმის პერსპექტივა, რომ ეს დაძაბულობა განიმუხტოს?**

- ბოლო დღეებში, ყველა, ვინც მხვდება, განსაკუთრებით - ჟურნალისტები, პირველ რიგში იმას მეკითხება, დარეკა თუ არა რუშაილომ. მე ვეუბნები, რომ არ დაურეკავს.

რუშაილოს დარეკვას ჩემთვის, შესაძლოა, გარკვეული აზრი მართლაც ჰქონდეს, მაგრამ ეს სატელეფონო ზარი ნამდვილად არ თამაშობს გადამწყვეტ როლს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში. ისევე, როგორც, სხვათა შორის - არც პანკისის თემა.

რა თქმა უნდა, ჩვენს შორის ძალიან მწვავე პრობლემები დგას. მაგრამ უნდა შევძლოთ, ეს ძალიან რთული და დელიკატური საკითხები უკანა პლანზე გადავწიოთ და განვსაზღვროთ ის სტრატეგიული ინტერესები, რომელიც რუსეთს ჩვენ მიმართ აქვს. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი ინტერესების განსაზღვრაც მათ მიმართ. თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, ჩვენს რუს კოლეგებს ამ თემაზეც უჭირთ საუბარი.

თავის მხრივ, ამერიკის ადმინისტრაციაც ცდილობს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები გამოსწორდეს.

არ ყოფილა არც ერთი დონის შეხვედრა, რომ ამ დიალოგის დროს საქართველო საკამათო თემა არ გამხდარიყო. მაგრამ ეს დისკუსია მუდმივად ნეგატიური ხასიათის იყო. ამიტომ მე და ჩემი მეგობრები ინტენსიურად ვმუშაობთ იმგვარ პროექტზე, რომელიც ნეგატიურ მუხტს პოზიტიურით შეცვლის.

**- ასეთი დადებითი მუხტი, შესაძლოა, საქართველოში რუსული კაპიტალის შემოსვლა და საერთო ეკონომიკური ინტერესებიც აღმოჩნდეს. ამ კონტექსტში, ქართულ ბაზარზე "იტერას" შემოსვლას, შესაძლებელია, გარკვეული დადებითი მომენტი ახლდეს, რომ არა ამ კომპანიის მიმართ გაჩენილი უამრავი ეჭვი. მათ შორის ისიც, რომ "იტერაში," ძირითადად, "კგბ"-ს აგენტები მუშაობენ.**

- არსებობს კი ისეთი რუსული კომპანია, სადაც ამ ორგანიზაციის თანამშრომლები არ მუშაობენ?

ჩვენთვის "იტერაც" იქნება მისაღები, "შევრონიც" და ნებისმიერი სხვა კომპანიაც, თუ ის ქვეყნის უსაფრთხოებასა და მოსახლეობის ინტერესებს არ შეუქმნის პრობლემას.

ხშირად ხელისუფლება საუბრობს, რომ, "იტერას" გარდა, სხვა ალტერნატივა არ არის. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხელშეკრულებაში, რომელსაც ამ კომპანიასთან გავაფორმებთ, მაქსიმალურად იყოს დაცული ჩვენი ინტერესები.

რამდენიმე წლის წინ "ნეზავისიმაია გაზეტაში" ჩემი ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ინტერესებზე იყო საუბარი. ინტერვიუს ქვესათაური ასეთი იყო: "რა შედის რუსეთის ინტერესებში - ბანკი თუ ტანკი?" მე, რა თქმა უნდა, მთელი ინტერვიუს განმავლობაში ვამტკიცებდი, რომ ბანკი, რადგან ამით რუსეთიც მოგებული დარჩება.

მეორე დღეს ჩემმა უახლოესმა რუსმა მეგობარმა დამირეკა, ძალიან გაბრაზებული ჩანდა. როცა ვკითხე, რა იყო მისი გაბრაზების მიზეზი, მან მითხრა, ჩვენ ორივე გვინდაო. ეს არის ტიპიური რუსული ფსიქოლოგია.

მიუხედავად ამისა, მაინც მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, რომ რუსეთთან ურთიერთობები გამოვასწოროთ. თუ ამ სირთულეების გადაჭრაში რუსული კომპანიების შემოსვლაც დაგვეხმარება და საერთო კომერციული ინტერესები გაჩნდება, ეს მისასალმებელი ფაქტია.

"კგბ"-ს ხალხი "იტერაშიც" იქნება და სხვა რუსულ კომპანიებშიც, მაგრამ მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩვენი ინტერესები უნდა ჩავდოთ.

მით უმეტეს, რომ არსებობს ასეთი ხელშეკრულებები, ანუ პრეცედენტი უკვე შექმნილია. მოლაპარაკებები, რომელსაც "ბრითიშ პეტროლიუმთან" აწარმოებდა საქართველოს ხელისუფლება, არანაკლებ დაძაბული იყო და ირაკლი მენაღარიშვილსა თუ სხვებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ იმისათვის, რომ ხელშეკრულებაში საქართველოს ინტერესები ყოფილიყო დაცული.

**- მაგრამ თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, მაშინ აბსოლუტურად გაუგებარია, იმ დროს, როცა "იტერასთან" მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, რატომ დაბომბა რუსეთმა პანკისი?**

- რუსეთის სახით ჩვენ საკმაოდ რთულ მატერიასთან გვაქვს საქმე და არ შეიძლება, შევხედოთ მას, როგორც მოწესრიგებულ სახელმწიფოს. ძალაუფლების შესანარჩუნებლად ქვეყნის შიგნით ძალიან რთული პროცესები მიდის.

**- იმისათვის, რომ ნებისმიერ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ქვეყნის ინტერესები იქნას დაცული, ძლიერი სახელმწიფოა საჭირო. საქართველო კი ძალიან სუსტია და ხელისუფლებაც ხშირად ანტისახელმწიფოებრივად აზროვნებს.**

- თუ ვინმე შემეკითხება, რაში მდგომარეობს ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემა, მე, პირველ რიგში, ქვეყნის შიდა პრობლემებს დავასახელებდი. როგორი დამოკიდებულება ექნება სხვა ქვეყნებს საქართველოს მიმართ, მათ შორის, რუსეთს, ამას, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის შიდა სიძლიერე განსაზღვრავს. ასე რომ, შიდა პრობლემების გადაწყვეტა რუსეთთან პრობლემების მოგვარებაშიც დაგვეხმარება.

**- შიდა პრობლემების მოგვარებაში სამართალდამცავ სტრუქტურებს უზარმაზარი ფუნქციის შესრულება შეუძლიათ. უშიშროების საბჭო თავის დროზე აკონტროლებდა სამართალდამცავებს, რადგან მათ შორის ბევრი იყო ნუგზარ საჯაიას გუნდის წევრი. რამდენად დიდია დღეს უშიშროების საბჭოს გავლენა ამ სტრუქტურებზე?**

- ბუნებრივია, უშიშროების საბჭო გააგრძელებს ძალოვან სტრუქტურებთან თანამშრომლობას. თუმცა, მათი სახით, ჩვენ სპეციფიურ ინსტიტუტებთან გვაქვს საქმე და ამ სტრუქტურებთან ურთიერთობაში მე აქცენტს ვაკეთებ არა მათ კონტროლზე და უწყების შიგნით საკადრო გადაადგილებებზე, საკუთარი ხალხის თანამდებობებზე დანიშვნაზე და ასე შემდეგ, არამედ თანამშრომლობასა და კოორდინირებულ მუშაობაზე. რა თქმა უნდა, შენარჩუნებული იქნება დისციპლინის რეჟიმი, მაგრამ შეიცვლება სტილი. მე ვარ თედო ჯაფარიძე და, შესაძლოა, სამწუხაროდ, მაგრამ არ გახლავართ ნუგზარ საჯაია. შესაბამისად, მე ჩემი მართვის სტილი მაქვს.

**- ბატონო თედო, დღეს ხელისუფლებაში ყველა ცდილობს, თავისი გუნდი ჰყავდეს და ამით უფრო ადვილად შეძლოს საკუთარი ინტერესების დაცვა. მთავრობაში, სადაც გავლენის სფეროები თითქმის გადანაწილებულია, რამდენად დიდი სივრცე დაგრჩათ თქვენი პოლიტიკის გასატარებლად? ამ თანამდებობაზე დანიშვნისას უფრო მეტს ხომ არ მოელოდით, ვიდრე რეალურად დაგხვდათ?**

- როგორც ახლა აღმოჩნდა, ჩემი წამოსვლა ამ თანამდებობაზე ნამდვილად იყო დაკავშირებული გარკვეულ ილუზიებთან. მე მეგონა, კოორდინაციის ელემენტი ხელისუფლებაში სართულების დონეზე არ დამთავრდებოდა და ეს სისტემა უფრო ერთიანი იქნებოდა. როცა ქვეყანაში რამე ხდება, არ შეიძლება, მთავრობის წევრები ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებდნენ. მათი მოსაზრებები ერთ პოზიციად უნდა იყოს შეჯერებული. მაგრამ, როგორც ჩანს, ამის მისაღწევად ბრძოლაა საჭირო.

რაც შეეხება გუნდის შექმნას, თუ ეს მეშვიდე სართულზე, უშიშროების საბჭოს ოფისში მაინც მოვახერხე, მაშინ საბჭოში დაწყებულ რეფორმას წარმატებულად ჩავთვლი. ეს იქნება ერთიანი გუნდი, რომელსაც ექნება ზომიერი ამბიცია, ექნება კონკრეტული მიზანი და თავისი ინტერესების გატარებით არ იქნება დაკავებული. მე მიმაჩნია, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ ვემსახურებით სახელმწიფოს და არა რომელიმე კონკრეტულ პარტიას თუ კონკრეტული პიროვნების ინტერესებს. ეს ასე იქნება, ყოველ შემთხვევაში, სანამ მე ვიქნები ამ თანამდებობაზე.

ჩვენ გვეყოლება ექსპერტთა სერიოზული ჯგუფი, რომელიც ყველა ინფორმაციას გაუკეთებს ანალიზს. გარდა ამისა, ყველა პრობლემას, სხვადასხვა უწყებებთან ერთად, კომპლექსურად, სხვადასხვა დონეებზე განვიხილავთ. საბოლოოდ კი ამ ინფორმაციას პრეზიდენტს მივაწვდით.

უშიშროების საბჭო იმუშავებს ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც საქართველოს უსაფრთხოებას შეეხება. მაგრამ ჩვენ არ ჩავერევით რომელიმე უწყების შიდა საკითხებში. ჩვენი მოვალეობაა, მათ იმ საფრთხეთა ჩამონათვალი მივაწოდოთ, რომელიც ქვეყნის ინტერესებს რეალურად ემუქრება.

**- თქვენი დანიშვნა ამ თანამდებობაზე ამერიკის პოლიტიკურ წრეებში ძალიან დადებით სიგნალად მიიღეს. საქართველოში კი ეს ფაქტი პრეზიდენტის მოულოდნელ ნაბიჯად აღიქვეს. თქვენ, ძირითადად, კორუმპირებულ ჩინოვნიკთა გარემოცვაში გიწევთ მუშაობა. ამგვარ გარემოში რამდენად დიდი გავლენა გაქვთ პრეზიდენტზე და შიდა პოლიტიკაზე?**

- მე კარგად ვიცი ჩემი შესაძლებლობები და ის, თუ რისი მიღწევა შემიძლია. რაც შეეხება გავლენას, ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანზე, რომელმაც თავის დროზე დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

ზბიგნევ ბჟეზინსკის, ადამიანს, რომელმაც ჩემს ცხოვრებაზე უზარმაზარი გავლენა იქონია, ჩვენი ბოლო შეხვედრის დროს ვკითხე, ჩემს ახალ თანამდებობაზე რაზე გამეკეთებინა აქცენტი. მან მითხრა: მე შემიძლია ბევრი გელაპარაკო, მაგრამ რასაც მე ვახერხებდი (აშშ-ს უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზე) იყო ის, რომ ვცდილობდი, ჩემი თავის წინაშე ყოველთვის მართალი ვყოფილიყავიო. ჩემი დევიზიც ეს არის.

ვცდილობ, მაქსიმალურად ღია ვიყო პრეზიდენტთან და მას ადეკვატური ინფორმაცია მივაწოდო. პრეზიდენტი, ყოველ შემთხვევაში, მზად არის, ამა თუ იმ საკითხზე ჩემი პოზიცია მოისმინოს. საბოლოო გადაწყვეტილებას კი, ბუნებრივია, ის იღებს.

ქვეყნის შიგნით ბევრი პრობლემაა. ჩემი ამერიკელი მეგობრებისაგან განსაკუთრებით ხშირად მიწევს იმის მოსმენა, რომ აუცილებლად უნდა დავიწყოთ რეფორმები, პირველ რიგში კი, სამართალდამცავ სტრუქტურებში. შემოდგომაზე ამ რეფორმების კომპლექსური გეგმა უკვე მზად იქნება და იმედია, მისი განხორციელებაც დაიწყება.

**- რაც შეეხება ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციას, რომელიც დღემდე არ არსებობს...**

- ჩემთვისაც ცოტა ირეალური სიტუაციაა, და არა მარტო ჩემთვის, რომ ამდენი წლის განმავლობაში არსებობს უშიშროების საბჭო და არ არსებობს ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია. ამ საკითხზე ჩვენ უკვე ინტენსიურად ვმუშაობთ და უახლოეს მომავალში ამ კონცეფციის პირველი სამუშაო ვარიანტი მზად იქნება.

**- "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის დაწყება დიდ მოვლენად იქცა და მას მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრი მიესალმა. თუმცა, ნელ-ნელა ჩნდება მოსაზრება, რომ თუ თავდაცვის სამინისტროში რეფორმა არ დაიწყო და ის უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობასაც არ შეეხო, ეს კარგად გაწვრთნილი, ელიტარული ბატალიონები, შესაძლოა, საკუთარი ქვეყნის საფრთხედ იქცნენ.**

- "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა მართლაც უნიკალურია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპაში.

თუმცა, ამ ეიფორიის ფონზე მიიჩქმალა, რომ არსებობს კიდევ ერთი პროგრამა, რომელსაც ცნობილი ინგლისელი გენერალი სერ გარი ჯონსონი ხელმძღვანელობს. ეს არის ცნობილი თეთრი წიგნი, რომლის საფუძველზეც ჩვენი შეიარაღებული ძალების რეფორმა უნდა განხორციელდეს. მე სრულიად გეთანხმებით, რომ თუ ეს გაწვრთნილი ბატალიონები არარეფორმირებულ გარემოში დარჩებიან, ამას, შეიძლება, უკურეაქციაც მოჰყვეს. რეფორმა, რომელსაც თეთრი წიგნი ითვალისწინებს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ რეფორმის პროექტს თავდაცვის მინისტრიც კარგად იცნობს და მისი არგატარება ძალიან ცუდ შედეგს მოიტანს.

**- ბოლო დროს რუსეთ-ამერიკის დამთბარ ურთიერთობებში კრიზისი დაიწყო და თუ ერაყთან დაკავშირებით შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, ეს კრიზისი, შესაძლოა, უფრო გამწვავდეს. რა გავლენას იქონიებს ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობის გამწვავება საქართველოზე?**

- აშშ-რუსეთის ურთიერთობებში დათბობის ფაზას, შესაძლოა, ტრადიციული ურთიერთობების აღდგენა მოჰყვეს. მაგრამ, არა მგონია, ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს, რომ რაც უფრო თბილი ურთიერთობა იქნება რუსეთ-ამერიკას შორის, საქართველო რუსეთთან პრობლემებს მით უფრო ადვილად მოაგვარებს. ჩვენი ქვეყანა მუდმივად იყო რუსეთ-ამერიკის დიალოგის ნაწილი და რაც უფრო პოზიტიური გახლდათ ეს დიალოგი, მით უკეთესი იყო ჩვენთვის.

რაც შეეხება აშშ-რუსეთის ურთიერთობების გავლენას საქართველოზე, მთავარია, ქვეყანა გამაგრდეს შიგნიდან. ერთადერთი, რაც შეიძლება, გავაკეთოთ, შინაგანი გაძლიერებაა. ამით უფრო მიმზიდველი ვიქნებით ჩვენი მოკავშირეებისათვის და მტერიც მეტი პატივისცემით მოგვეპყრობა.

აუცილებელია, რეფორმები დაჩქარდეს, მათ შორის - სამართალდამცავი ორგანოების. ასეთ შემთხვევაში ჩვენი მეგობრებიც უფრო აქტიურად დაგვეხმარებიან. საქართველო აშშ-ს ინტერესების სფეროშია. თუმცა, ინტერესების დეფინიცია ამერიკელებთან არ ნიშნავს გავლენის სფეროს. ვაშინგტონის ინტერესებში სტაბილური საქართველო და სტაბილური კავკასია შედის. ამიტომ გვეუბნებიან ამერიკელები: "დაგვეხმარეთ, რომ დაგეხმაროთ".

# შევარდნაძიზმისგან შობილი ნათელაშვილის ცოდვები



„ნათელაშვილი თავად არის შევარდნაძიზმისგან შობილი".

პირველი გვერდიდან

**დაცვით. თვითონ ამბობს, რომ უმუშევარია. გამოიძიეთ, საიდან აქვს ღარიბი პარტიის უმუშევარ თავმჯდომარეს ამდენი ფული. გამარჯობას არ იტყვის, თუ რაიმე არ მიეცი... თუკი ქალაქის ბიუჯეტიდან ზოდელავა "ტეხს წილებს", მაშინ 20-30 პროცენტი ქალაქის ვიცე-მერის, ლეიბორისტ მუხრან მდივანის ჯიბეში მიდის. რატომ არაფერს ამბობს თავისი თანაპარტიელის კორუმპირებულობაზე? მას ავიწყდება, რომ თვითონ იღებს, მუხრან მდივნის ხელშეწყობით, ქალაქის ბიუჯეტიდან წილს",** - აცხადებს ვანო ზოდელავას ქომაგი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ნათელაშვილის მიერ აგორებულ კამპანიას დამკვეთები ჰყავს. მართალია, იგი მათ ვინაობას ცალსახად ვერ ასახელებს, მაგრამ დიდი ეჭვი აქვს, რომ ეს "ახლები" არიან.

თუმცა, მანანა ნიკოლაიშვილის ვერსიით, არც ის არის გამორიცხული, რომ გადამხდელი სხვა პოლიტიკური ძალა იყოს, რადგან შალვა ნათელაშვილი **"უზნეო პოლიტიკოსია, ამასთან - პოპულისტი"**, რომელიც კეთილშობილურ იდეებსა და საქმეებს საკუთარი იმიჯისთვის იყენებს. მისივე განცხადებით, სწორედ **"ამის გამო გარბიან პარტიიდან ღირსეული წევრები"**.

მართალია, გუშინ მანანა ნიკოლაიშვილი საკუთარ თავს შეეწინააღმდეგა, როცა განაცხადა, რომ ვანო ზოდელავა და მთლიანად ქალაქის მთავრობა არაკორუმპირებულია და იქვე მუხრან მდივანი საჯაროდ ამხილა კორუფციაში, მაგრამ შეცდომა მალევე გამოასწორა. მისი თქმით, **"დედაქალაქში მმართველი პოლიტძალა სწორედ არჩევნებში გამარჯვებული ლეიბორისტული პარტიაა"**, რომელიც ვიცე-მერის სახით ფლობს საკმაოდ სერიოზულ მმართველობით ბერკეტს.

ნიკოლაიშვილი ნათელაშვილის ოპოზიციონერობასაც საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს, რადგან ქართველ მშრომელთა ლიდერი **"თავად არის შევარდნაძიზმისგან შობილი"**.

ასე რომ, **"კორუმპირებული, უზნეო და პოპულისტი ნათელაშვილისთვის ერთადერთი გზა პოლიტიკიდან წასვლაა",** – გამოაქვს საბოლოო ვერდიქტი ნიკოლაიშვილს.

# დღესასწაული შარაძის ქუჩაზე

გიორგი ასანიშვილი

გურამ შარაძე გამარჯვებას ზეიმობს.

**- არ ვარ, ბატონებო, მე ისეთი კაცი, რასაც ზოგიერთები მაბრალებდნენ, -** დაახლოებით ასეთი პათოსი გამოსჭვივის ლევან რამიშვილის მიერ "კაგებეს" აგენტობაში ბრალდადებული და "ოსაძის კომისიის" მიერ გამართლებული პარლამენტარის განცხადებებში.

მარტოობაში ზეიმს ფასი არა აქვს. მას აზრი მაშინ ეძლევა, თუ სიხარულს სხვებიც იზიარებენ. ჰოდა, შარაძემაც გადაწყვიტა, გამარჯვება ხალხმრავალ გარემოში აღენიშნა და თავისი ტრიუმფის თვალისსადევნებლად, პარლამენტში, ჟურნალისტებთან ერთად, უამრავი თანამოაზრეც მიიპატიჟა.

პრესკონფერენციის დაწყებისთანავე დარბაზში ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, როგორიც შარაძეს სურდა: მოწვეული პუბლიკა მრისხანებას აფრქვევდა, როდესაც დეპუტატი "თავისუფლების ინსტიტუტის" ბოროტ საქმეებზე ჩამოაგდებდა სიტყვას, იცინოდა და გულით ხარობდა - თუ ორატორი გაიხუმრებდა და გაიღიმებდა.

ასეთ აურას შარაძემდეც ბევრი შეუცდენია და ვერც ბატონმა გურამმა გაუძლო ცდუნებას: თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული პარლამენტარი ისე იქცეოდა, როგორც ჭეშმარიტ ქარიზმატულ ლიდერს შეშვენის - ხან ხაზგასმით თავმდაბლობდა, ხანაც მაღალ პერსონებს სწორისწორ ეპაექრებოდა.

**"ოსაძის კომისიის წინაშე არა მარტო ჩემნაირი მოკვდავნი, არამედ ჩემზე უფრო მაღალი თანამდებობის პირებიც კი თრთიან. მან, თავის დროზე, უშიშროების მინისტრი და გენერალური პროკურორი გადააყენა თანამდებობიდან. ვინ ვარ მე, რომ სიმართლის დაფარვით, ჩემი გულისთვის, თავისი თანამდებობა და ავტორიტეტი საფრთხეში ჩაეგდოთ?",** - ეს გახლავთ გურამ შარაძის გუშინდელი "თავმდაბლობის" ერთ-ერთი ნიმუში.

**"როდესაც მე ვაკრიტიკებ საქართველოში ამერიკის ელჩს, ეს ნიშნავს, რომ ვაკეთებ ანტიმაილსურ და არა ანტიამერიკულ განცხადებებს"**, - ამ შემთხვევაში კი, თავადაც ხედავთ, შარაძის ნაქები "თავმდაბლობიდან" აღარაფერია დარჩენილი - დეპუტატი დიპლომატიურ სივრცეებს ეთამაშება.

როგორც ქარიზმატულ ლიდერს ეკადრება, შარაძე ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე იბრძვის.

**ებრძვის** - იელოველებს, რომელთა "ბუდის" შუაგულში (აეროდრომის დასახლებაში) პარლამენტარმა გუშინ საპროტესტო აქცია მოაწყო, ცხადია - "ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით". შარაძის თქმით, "იელოველთა ლიდერები დიპლომატებისნომრიანი ავტომანქანებით დაჰქრიან, "სამეფო სახლს" იშენებენ და მოსახლეობას აიძულებენ, დატოვონ აეროდრომის დასახლების ტერიტორია".

**ებრძვის** - "ვაი-მოსამართლეებს", კერძოდ, ვაკე-საბურთალოს რაიონის მოსამართლეს თემურ ტაბატაძეს, რომელსაც დეპუტატი ყალბი ოქმის შედგენაში ადანაშაულებს.

**ებრძვის** - "ვაი-ელჩს" რიჩარდ მაილსს, რომელიც "არცხვენს თავის დიდ ქვეყანას".

**ებრძვის** - "სოროსის ფონდს", რომელმაც "მაგთის" საკომუნიკაციო ქსელში მისი "სიკვდილით დასჯის მოწოდება გაავრცელა".

**ებრძოდა, ებრძვის და შეებრძოლება** - "თავისუფლების ინსტიტუტს", რომლის წევრებსაც შარაძე ურჩევს, "ღობე-ყორეს ნუ ედებიან და თავი დაანებონ მიხეილ ოსაძეს, რომელსაც "უშიშროების გენერლის" იარლიყი მიაწებეს". ახლო მომავალში შარაძე ლევან რამიშვილთან და მთლიანად, "თავისუფლების ინსტიტუტთან" კიდევ ერთ შერკინებას აპირებს, - ამჯერად თბილისის საოლქო სასამართლოში.

**"აგონიაში მყოფ "თავისუფლების ინსტიტუტს" ყავლი გაუვიდა",** - მომავალი გამარჯვებით ახლავე ხარობს შარაძე.

წუთიერი ჩამუხლვა გაუთავებელ ომებში ჩაბმულ მეომარს აუცილებლად სჭირდება. ასეთი პაუზა განსაკუთრებით სასიამოვნოა მოგებული ბრძოლის შემდეგ. შარაძეს კი მიაჩნია, რომ ოსაძის კომისიის ვერდიქტი მისი ტრიუმფის დამადასტურებელი დოკუმენტია.

**"გაუგონარი შემთხვევა მოხდა საქართველოს პარლამენტში. სხვადასხვა პლატფორმაზე მყოფმა 15-მა დეპუტატმა ერთხმად აღიარა ჩემი სიმართლე"**, - სიამოვნებით ამცნობს დეპუტატი თავის თაყვანისმცემლებს.

შარაძის ქუჩაზე დღესასწაულია.

ბიზნესის ამბები

## „სიტიგრუპი„ 200 მილიონი დოლარით ჯარიმდება

მსხვილ ამერიკულ კორპორაციას, "სიტიგრუპს," 200 მილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა ემუქრება, რომელიც მას ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის ფედერალურმა კომისიამ დააკისრა.

"უოლ-სტრიტ ჯორნალი", რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა აშშ-ს საფინანსო წრეებიდან მიღებულ ინფორმაციას, იუწყება, რომ ჯარიმის გადახდის შემთხვევაში კორპორაცია თავს დააღწევს უკანონო დაკრედიტების შესახებ ბრალდებას.

ფედერალური კომისია უკანონო დაკრედიტებაში გულისხმობს იმ შემთხვევებს, როდესაც "სიტიგრუპი" "ცუდი" საკრედიტო ისტორიის მქონე კლიენტების მიმართ ახორციელებდა ზეწოლას. კომისიაში მიიჩნიეს, რომ "სიტიგრუპმა" ისინი აიძულა, გაზრდილი პროცენტები გადაეხადათ, რითაც კომპანიამ შემოსავალი უკანონოდ მიიღო.

## „საფინანსო დაზვერვას" უფლებამოსილებას უზრდიან

რუსეთის საფინანსო მონიტორინგის კომიტეტი უფლებამოსილების გაფართოებას გეგმავს. კერძოდ, კომიტეტს საეჭვო საბანკო ოპერაციების შეჩერების უფლება მიეცემა. კომიტეტის თავმჯდომარის ვიქტორ ზუბკოვის განცხადებით, სახელმწიფო სათათბირო ამ ცვლილებებს სექტემბერ-ოქტომბერში განიხილავს. მისი თქმით, საბანკო ოპერაციების შეჩერება მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, თუ დადგინდება, რომ ადგილი ჰქონდა ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების მცდელობას.

სხვათა შორის, ცვლილებების პროექტი მოიწონა არალეგალური შემოსავლების "გარეცხვის" წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ჯგუფმა. შესაბამისად, ახალი წესების მიღება დაეხმარება რუსეთს, რომ იგი აღარ მოიხსენიონ ამ საერთაშორისო ჯგუფის ე.წ. "შავ სიაში", ანუ იმ ქვეყნებთა შორის, სადაც არ მიმდინარეობს წარმატებული ბრძოლა არალეგალური შემოსავლების წინააღმდეგ.

## რუსი პარლამენტარი მოითხოვს რვა მილიარდი დოლარის ვალის ჩამოწერას

რუსეთის სათათბირო მორიგი ინიციატივით გამოდის. სათათბიროს საგარეო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, დმიტრი რაგოზინმა, რომელიც, ამავე დროს, რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელია კალინინგრადის ოლქის პრობლემის მოგვარების საკითხში, განაცხადა: დასავლეთს შეუძლია, რომ რეალური წვლილი შეიტანოს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, თუკი იგი რუსეთს საგარეო ვალს რვა მილიარდი დოლარით შეუმცირებს.

"სწორედ ამდენი გვიჯდება რუსეთის სამხრეთის საზღვრების გამაგრება. ამით შევძლებთ სერიოზული ბარიერების აღმართვას იმ არალეგალური ემიგრანტების წინააღმდეგ, რომლებიც რუსეთის სამხრეთ საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ გზას დასავლეთისკენ აგრძელებენ," - აღნიშნა რაგოზინმა. ცნობისათვის, 2003 წელს რუსეთმა თავის კრედიტორებს 17 მილიარდი დოლარი უნდა გადაუხადოს.

## "ნაპსტერი" დასაღუპად განირეს

თორნიკე შარაშენიძე

აშშ-ს სასამართლომ ყადაღა დაადო გერმანული მედია-გიგანტის, "ბერტელსმანის" მიერ "ნაპსტერის" შესყიდვის მცდელობას. ეს გადაწყვეტილება შერისხული და ვალებში ჩავარდნილი საინტერნეტო კომპანიისათვის, პრაქტიკულად, სასიკვდილო განაჩენს ნიშნავს.

"ბერტელსმანი" მზად იყო, ცხრა მილიონი დოლარის საფასურად გამოესყიდა "ნაპსტერი" ამ უკანასკნელის მევალეებისაგან. ცხადია, ცხრა მილიონი დოლარი სასაცილო თანხაა დიდ ბიზნესში, მაგრამ მას შემდეგ, რაც "ნაპსტერი" საავტორო უფლებათა დარღვევაში დამნაშავედ სცნეს და უზარმაზარი ჯარიმა დააკისრეს, კომპანია, ალბათ, ამდენიც აღარ ღირს.

შეგახსენებთ, "ნაპსტერი" პირველი კომპანია იყო, რომელმაც საფუძველი დაუდო ინტერნეტის მეშვეობით მომხმარებლებს შორის სიმღერების უფასო გაცვლა-გამოცვლას. კომპანიის სერვისი არნახულად პოპულარული გახდა, რადგან იგი, პრაქტიკულად, ნებისმიერი მუსიკალური ნაწარმოების უფასოდ ხელში ჩაგდების საშუალებას იძლეოდა. მაგრამ ამან სერიოზულად შეაშფოთა ხმის ჩამწერი გიგანტები, რომელთა ბიზნესსაც "ნაპსტერმა" გვარიანი ზარალი მიაყენა. თავად განსაჯეთ, რატომ გადაიხდის მელომანი ფულს, დავუშვათ, "იუ2"-ის ახალ ალბომში, თუკი შეუძლია, ინტერნეტის მეშვეობით იშოვოს ამ ალბომიდან ყველა სიმღერა?

ამიტომ "ნაპსტერის" ხანამ დიდხანს არ გასტანა. ხმის ჩამწერ ბიზნესში ჩართულმა მედია-გიგანტებმა - მათ შორის, სწორედ "ბერტელსმანმა" და, აგრეთვე, "სონი მიუზიქმა", "ამერიკა ონლაინ თაიმ უორნერმა," "ი-ემ-აიმ" და "იუნივერსალ მიუზიქმა" - საინტერნეტო კომპანიის წინააღმდეგ საქმე აღძრეს, რომელიც უკანასკნელის მარცხით დასრულდა. ამით, პრაქტიკულად, ბოლო მოეღო ერთ-ერთ ყველაზე უფრო უჩვეულო და ორიგინალურ კომპანიას მსოფლიო ბიზნესის ისტორიაში, რომელიც 19 წლის სტუდენტმა, შონ ფენინგმა დააარსა და რომლის მომხმარებელთა რიცხვმა 70 მილიონს მიაღწია.

როგორც მართლმსაჯულებას სჩვევია, საქმე რამდენიმე წელიწადს განიხილებოდა. იგი 1999 წელს აღიძრა, მაგრამ საბოლოო განაჩენი მხოლოდ შარშან იქნა გამოტანილი. "ნაპსტერს" თავიდან "ფილტრის" დაყენება ებრძანა, რომელიც საავტორო უფლებათა ლიცენზიით აღჭურვილი სიმღერების გადაწერის საშუალებას მოსპობდა. მაგრამ მომხმარებელმა მალე აუღო ალღო ამ სიახლეს და სიმღერების გაცვლა-გამოცვლა სათაურების შეცვლის მეშვეობით გაჩაღდა. ამის გამო სასამართლომ უფრო მკაცრი შეზღუდვები დაუწესა კომპანიას - დაყენებულ იქნა ციფრული ფილტრი, რომელიც უკვე მელოდიებს სცნობდა და ასე ბლოკავდა სიმღერებს. კომპანიას დაევალა ზარალის ანაზღაურება ზემოთ ჩამოთვლილი ბობოლა ხმის ჩამწერებისათვის.

აქამდე "ნაპსტერი" ე.წ. მე-11 მუხლის მეშვეობით სულდგმულობდა, რომელიც გაკოტრებულ კომპანიას მევალეებისგან იცავს და მუშაობის საშუალებას აძლევს. მაგრამ ეს მუხლი ბანკროტებს სამუდამო დაცვის გარანტიას არ აძლევს და ახლა, როცა "ბერტელსმანს" უარი ეთქვა, "ნაპსტერს" გაუქმებისგან ველარაფერი იხსნის. ცხადია, "ბერტელსმანს" არ სურდა საავტორო უფლებების დარღვევა, რაშიც "ნაპსტერი" დამნაშავედ იქნა ცნობილი - გერმანული გიგანტიც აპირებდა სიმღერების გაყიდვისათვის გამოეყენებინა ეს პოპულარული მარკა, რომელსაც ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა.

თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს, ეს "ნაპსტერი" ძველი "ნაპსტერი" აღარ არის. სანამ მისი საქმე სასამართლოში ირჩეოდა, კომპანიამ დაკარგა ბაზრის წილი და იგი გვარიანად ჩამოიტოვეს უკან კონკურენტებმა. კერძოდ, ახლა ძალიან პოპულარულია "კაზა," რომელსაც 8,2 მილიონზე მეტი მომხმარებელი ჰყავს. ასევე ფართო გამოყენებაშია "აუდიოგალაქსი" და "მორფეუსი." ხმის ჩამწერი გიგანტები ამ უკანასკნელთ, რატომღაც, არაფერს ერჩიან, "ნაპსტერი" კი განტევების ვაცის როლში გამოვიდა.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 1 - 7 სექტემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6376 | 0.6323 | 0.0054 |
| US$ | 1.5684 | | 0.9916 | 0.0084 |
| €uro | 1.5816 | 1.0084 | | 0.0085 |
| ¥en | 185.73 | 118.4 | 117.42 | |

# პრეზიდენტის ვეტოს პარლამენტი მშვიდად იღებს

პირველი გვერდიდან

**"ჩვენი ფრაქცია არ დაუშვებს, რომ დაირღვეს ფუნქციების გადანაწილების კონსტიტუციური პრინციპი",** - აღნიშნავს ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე დავით გამყრელიძე. მისი თქმით, "ახლები" შეეცდებიან, პარლამენტში საჭირო რაოდენობის მომხრეები (სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედი) მოიძიონ, რათა პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა მოხერხდეს.

მისი კოლეგა ზურაბ ცქიტიშვილი კი პრეზიდენტის ვეტოს "კონსტრუქციულს" უწოდებს. თუმცა, იგი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მარეგულირებელი კომისიების აუდიტი კონტროლის პალატამ არ უნდა განახორციელოს. **"პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნისაგან ჩვენ ცალსახა პასუხი მივიღეთ, რომ აუდიტს პალატა კი არა, აუდიტორული კომპანია განახორციელებს, რომელსაც პრეზიდენტი მოიწვევს",** - აღნიშნა პარლამენტარმა.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრი დავით პატარაია აცხადებს, რომ **"კონტროლის პალატას პრობლემა არ შეექმნება, რათა "კონტროლის პალატის შესახებ" კანონით განსაზღვრული ფუნქციები შეასრულოს. ამაზე დავა შეუძლებელია. წარმოუდგენელია, პალატას არ მისცე უფლება, შეამოწმოს, როგორ გამოიყენა კომისიამ ბიუჯეტის ფინანსები ან სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი კრედიტი თუ გრანტი. თუმცა, ამის იქით კონტროლის პალატა ვერ წავა".**

სულხან მოლაშვილის უწყების პოზიციით, მარეგულირებელმა ორგანოებმა, მართალია, დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები, მაგრამ შემდეგ პალატის მიერ აუცილებლად უნდა მოხდეს მიღებული გადაწყვეტილებების მართლზომიერების შემოწმება.

დავით პატარაია ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და ყურადღებას "კონტროლის პალატის შესახებ" კანონზე ამახვილებს. კანონის მეშვიდე მუხლის თანახმად, "პალატა უფლებამოსილია, შეამოწმოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის საქმიანობა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია საბიუჯეტო ან სახელმწიფო სპეციალური ფონდების კუთვნილი თანხების მიღებასთან".


დავით პატარაია


მარიამ ცაცანაშვილი


ზურაბ ცქიტიშვილი

**"თუ რომელიმე სახელმწიფო ორგანო დაიწყებს მსჯელობას კომისიების გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის თაობაზე, ავტომატურად დგება მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის შეზღუდვის საკითხი",** - მიიჩნევს კომუნიკაციების კომისიის წევრი. მისი თქმით, კომისიის ბიუჯეტი ფორმირდება სალიცენზიო გადასახდელებიდან, რომელიც საბიუჯეტო სახსრებს არ განეკუთვნება.

ერთ-ერთი შესწორების თანახმად, რომლის შეტანასაც მარეგულირებლების კანონში პრეზიდენტი შევარდნაძე მოითხოვს, **"კონტროლის პალატა უფლებამოსილია, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობაში ჩაურევლად განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი "კონტროლის პალატის შესახებ" კანონით მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში".**

**"არასწორად გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს კონტროლის პალატა მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყოს. რაც შეეხება სხვა საკითხებს, ჩვენ გვქონდა შენიშვნები, მაგრამ კანონპროექტის განხილვის არც ერთ ეტაპზე ჩვენი თხოვნა გათვალისწინებული არ იქნა. კონტროლის პალატის ინტერესი ერთია – არ იყოს შელახული არც ერთი უწყების კონსტიტუციური უფლებამოსილება",** - აცხადებენ კონტროლის პალატაში.

**"თუ კანონმდებლობით კონტროლის პალატის ფუნქციები არ შეიცვლება, მაშინ პრეზიდენტის შესწორებაში მოცემული ფორმულირების მომხრენი ვიქნებით. ასეთ შემთხვევაში, მარეგულირებელი კომისიების დამოუკიდებლობას საფრთხე არ ემუქრება,** - აცხადებს დავით პატარაია, - **თუმცა, ჩემი ინფორმაციით, მთავრობაში იხილება კანონპროექტი "საფინანსო კონტროლის შესახებ", რომელშიც საუბარია საჯარო სახსრებსა და მისი გამოყენების მიზანშეწონილობაზე. ყოველივე ამას მივყავართ კონტროლის პალატის ფუნქციების ფართო ინტერპრეტაციამდე. ამდენად, თუ კანონმდებლობა სერიოზულად შეიცვალა, იგი წინააღმდეგობაში მოვა არა მარტო საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან, არამედ ევროსაბჭოს რეკომენდაციებთან სამაუწყებლო სფეროში მარეგულირებელი ორგანოების შესახებ".**

თავის დროზე, სახელმწიფომ დამოუკიდებელმა რეგულირებლების მოდელი რამდენიმე მოსაზრების გამო აირჩია. ჯერ ერთი, ასეთი იყო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციათა და გავლენიან დონორ სახელმწიფოთა რეკომენდაცია, რასაც საქართველოს ხელისუფლება, ტრადიციულად, არ ეწინააღმდეგება.

გარდა ამისა, როგორც ენერგეტიკაში, ასევე კომუნიკაციების სექტორში კორუფციისა და სახელისუფლებო ინტერესების გავლენა ძალიან მაღალი იყო. დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების შექმნით ეს ინტერესები მეტნაკლებად დაბალანსდა. ეს თუნდაც იმით გამოიხატება, რომ კომისიები გადაწყვეტილებებს ლიცენზიების გაცემის თაობაზე აუქციონების წესით იღებენ.

მესამე და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი კომისიის შექმნისა ისაა, რომ მათ სამომხმარებლო ტარიფის დადგენა ევალებათ. ამ შემთხვევაში მათ მედიატორის როლის შესრულება უწევთ - კომპანიათა და მომხმარებელთა ინტერესებს შორის. ამდენად, ექსპერტთა აზრით, ნებისმიერი შეზღუდვის დაწესება მარეგულირებელი კომისიების დამოუკიდებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

# პავლიაშვილი და უგულავა შეთანხმებას აღწევენ

პირველი გვერდიდან

ანტიკორუფციული ბიუროს ზემოხსენებულ ცნობილ რეკომენდაციას მინისტრმა პავლიაშვილმა გუშინ "რევოლუციური" უწოდა. თუმცა, მიუხედავად მიღწეული შეთანხმებისა, განსხვავებები მინისტრისა და ანტიკორუფციული ბიუროს მდივნის კახა უგულავას განცხადებებში მაინც გაისმა. კერძოდ, სოლომონ პავლიაშვილი, ლიკვიდაციის ნაცვლად, მისი სამინისტროს სრულ ტრანსფორმაციაზე საუბრობს. ამასთან, მისივე განცხადებით, სახელმწიფო ქონებისა და წილების გამიჯვნის შესახებ ანტიკორუფციულ ბიუროსთან შეთანხმება არ მომხდარა და, შესაბამისად, ქონების მართვის ფუნქციასაც ჰოლდინგი შეასრულებს და არა ფინანსთა სამინისტრო, როგორც ეს ანტიკორუფციული ბიუროს რეკომენდაციით არის გათვალისწინებული.

მინისტრის ეს განცხადებები ანტიკორუფციული ბიუროს დირექტორმა კახა უგულავამ პავლიაშვილის ტერმინოლოგიურ დაბნეულობას მიაწერა. მისი თქმით, ჰოლდინგის შექმნისას საწარმოებში სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საკუთრება გაიმიჯნება. სახელმწიფოს წილები ჰოლდინგის გამგებლობაში გადავა, ხოლო ქონების განმკარგავი კი ფინანსთა სამინისტრო გახდება. უგულავას განცხადებით, **"ასეთი მოდელით შექმნილი ჰოლდინგის მუშაობის მთავარი მიზანი სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოების მაქსიმალურად ეფექტური მართვა და მოგების გაზრდა იქნება. წილების მართვითა და რეალიზაციით მიღებული შემოსავლები და დივიდენდები, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაცვლად (როგორც ეს ამჟამად ხდება), ამ საწარმოების რეინვესტირებას მოხმარდება".**

უგულავას მიერ გუშინ ჰოლდინგის დირექტორის შესარჩევი კიდევ რამდენიმე კრიტერიუმი (ბიზნესის სფეროში უცხოეთში მიღებული განათლება, კომპანიის მართვის სოლიდური გამოცდილება და სხვ.) დასახელდა. პავლიაშვილის განცხადებით, ჰოლდინგში დარჩენა-არდარჩენა მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

ჰოლდინგის შექმნის პროცესის ბოლო ვადად გუშინ, დაახლოებით, ოთხიხუთი თვე დასახელდა. თუმცა, კახა უგულავას აზრით, ამ სერიოზული ცვლილების განხორციელებას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, თუ მას აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციის სხვა მიმართულებებიც გაუმაგრებენ მხარს. ანტიკორუფციული ბიუროს მიერ შემუშავებული სახელმწიფოებრივი პროექტის თანახმად, საქართველოში ამჟამად არსებული 18 სამინისტროსა და 19 დეპარტამენტის რიცხვი 10 სამინისტროსა და ექვს დეპარტამენტამდე უნდა შემცირდეს. ამ პროექტის ფარგლებში გადადგმულ პირველ ნაბიჯს ფინანსთა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროების გაერთიანება წარმოადგენდა. მეორე ნაბიჯი ქონების მართვის სამინისტროს გაუქმება იქნება. ანტიკორუფციული ბიუროს პროექტი მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებს ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების გარდაქმნის მხრივ. აღმასრულებელი ხელისუფლების ოპტიმიზაციის საკითხებზე სპეციალური კომისიაც მუშაობს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას ხელმძღვანელობით. ანტიკორუფციული საბჭო და კომისია თავიანთი შეხედულებების შეჯერების პროცესის დასრულებას ოქტომბერში ელიან. ანტიკორუფციული ბიუროს მდივანი იმედოვნებს, რომ საქართველო ახალ წელს ახალი სახელისუფლებო მოდელით შეხვდება.

## „თი-ბი-სი ბანკი" მსოფლიოს საუკეთესო ბანკებს შორისაა

სოფო კვინტრაძე

წლის საუკეთესო ბანკის ტიტული "თი-ბი-სი ბანკმა" ლონდონში, "ფაინენშელ თაიმს გრუპის" მიერ ჩატარებულ საბანკო კონკურსზე მოიპოვა. ქართული ბანკი მსოფლიოს 124 წამყვან ბანკთა რიგებში მოხვდა. "თი-ბი-სი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ ეს მთლიანად ქართული საბანკო სისტემის წარმატებაა. საუკეთესო ბანკების მსოფლიო რეიტინგებში "თი-ბი-სი" ისეთ ცნობილ და მსხვილ ბანკებთან ერთადაა წარმოდგენილი, როგორებიცაა: "დოიჩე ბანკი", "ჯი პი მორგანი", "მერილ ლინჩი", "ეიჩ-ეს-ბი-სი", "ბი-ენ-პი პარიბა" და სხვები.

აღნიშნული კონკურსი, რომელსაც ყოველწლიურად ექსკლუზიურად ატარებს "ფაინენშელ თაიმსი" და ჟურნალი "ბენკერი", მსოფლიოს საბანკო სამყაროს უმნიშვნელოვანეს მოვლენად ითვლება. წლევანდელ კონკურსში 140 ქვეყნის 750 ბანკი მონაწილეობდა. ამათგან წლის საუკეთესო ბანკის ტიტული 124-მა მოიპოვა.

კონკურსანტ ბანკებს "ფაინენშელ თაიმს გრუპის" წარმომადგენლები თავად არჩევენ. რეიტინგებში კი ბანკები მათი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების მიღწევებისა და სტაბილურობის მიხედვით ხვდებიან.

საქართველოში "თი-ბი-სის" ოთხი კონკურენტი ჰყავდა. თუმცა, საბოლოოდ, ინგლისელთა არჩევანი "თი-ბი-სიზე" შეჩერდა. ბანკის კაპიტალი ათ მილიონ დოლარს შეადგენს, ხოლო აქტივები - 175 მილიონ ლარს.

## „თბილგაზი" ასპროცენტიანი ამოღების შემთხვევაშიც კი წამგებიანია„

სოფო კვინტრაძე

გუშინ ქონების მართვის მინისტრის მოადგილე გოგი ფრუიძე "თბილგაზის" რეაბილიტაციის საკითხების განსახილველად შეხვდა არასამთავრობო ორგანიზაციებს, "იტერას" ქართულ წარმომადგენლობას და "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს. შეხვედრაზე "თბილგაზის" რეაბილიტაციის ალტერნატიული გეგმა უნდა განხილულიყო; თუმცა, ეს გეგმა არც "იტერას" და არც "თბილგაზის" მხარეს არ წარმოუდგენიათ. არასამთავრობო ორგანიზაცია "ვაკის გონივრული განვითარების" წარმომადგენელმა ნანული ქაჩიბაიამ კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა მოთხოვნები, რასაც ის ხელისუფლებას უყენებს. ამჯერად, ქაჩიბაია "თბილგაზის" "იტერასთვის" მიყიდვის კატეგორიული წინააღმდეგი არ გამოდის; თუმცა, პრივატიზაციის პროცესის გადადებას ითხოვს.

**"ისეთ დროს, როცა რუსეთი ჩვენს პრეზიდენტს ექსტრადიციას უპირებს და პანკისს გვიბომბავს, როგორ შეიძლება სტრატეგიული ობიექტი რუსულ კომპანიას მივყიდოთ?"** – აცხადებს ნანული ქაჩიბაია. თუმცა, მის არაერთგზის მცდელობას, რომ პასუხი მიეღო "იტერას" წარმომადგენელთაგან, შედეგი არ მოჰყოლია. მთავარი, რაზეც "ვაკის გონივრული განვითარების" წარმომადგენლები "იტერასგან" პასუხს ითხოვდნენ, "თბილგაზის" სასწრაფო რეაბილიტაციის გეგმა იყო. ქაჩიბაიას განცხადებით, თუ "იტერა" "თბილგაზში" შემოვა, მან ქსელის სარემონტო სამუშაოები მეორე დღესვე უნდა დაიწყოს და ოთხი მილიონი ლარი პირველადი სამუშაოებისთვის დაუყოვნებლივ უნდა გამოყოს. თუმცა, არასამთავრობოები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ "თბილგაზის" რეაბილიტაციისათვის სახელმწიფომ უნდა გამონახოს სახსრები, რათა სადისტრიბუციო ქსელი გაყიდვას გადაურჩეს.


ნანული ქაჩიბაია გოგი ფრუიძეს „იტერასთან" ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გადავადებას ურჩევს

"იტერას" ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე დავით ელიაშვილი აცხადებს, რომ "თბილგაზში" არსებული პრობლემების მოგვარება უშუალოდ უკავშირდება "იტერასა" და ქართულ მხარეს შორის ერთობლივი საწარმოს შექმნის პროცესის დაჩქარებას. არასამთავრობო ორგანიზაციები კი ამის წინააღმდეგ გამოდიან. "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ ბურკიაშვილი აცხადებს, რომ "თბილგაზის" გადასარჩენად სასწრაფოდ საჭიროა ინვესტიციები.

**"იტერა" კი არ გვეხვეწება "თბილგაზში" შემოსვლას, ეს საკითხი ჩვენს ინტერესებში უფროა. ჩვენ რომ ვაყენებთ მოთხოვნებს, არ გაინტერესებთ, "იტერას" რა უნდა? რას ვახვედრებთ ამ კომპანიას? ავარიული ქსელს და მომხმარებელს, რომელიც გაზის საფასურს არ იხდის. თუმცა, ასპროცენტიანიც რომ გახდეს ამოღება, "თბილგაზი" მაინც წამგებიან საწარმოდ რჩება,"** – აცხადებს ჯემალ ბურკიაშვილი.

შეხვედრაზე "თბილგაზის" საკითხი მაინც ღიად დარჩა. შესაბამისად, კვლავ უცნობია, სახელმწიფო სახსრებით მოხდება ქსელის რეაბილიტაცია და გაზმომარაგება, თუ აღსრულდება პრეზიდენტის ნება და დაუყოვნებლივ შეიქმნება "იტერა-ჯორჯია."

# რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობა გამოცდის წინაშე

რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებს ორივე მხარე “სტრატეგიულ პარტნიორობას” უწოდებს. თუმცა, ამ ქვეყნებს ჯერ არ ჰქონიათ შანსი, ამ პარტნიორობის სიმტკიცე გამოეცადათ. ორი გიგანტის კავშირი ჯერჯერობით მხოლოდ ერთობლივ ანტიამერიკულ განცხადებებსა და რუსეთის მიერ ჩინეთისათვის ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდი დოლარის შეიარაღებისა და ბირთვული ტექნოლოგიების მიყიდვაში ვლინდებოდა.

ჩინეთი და რუსეთი სისტემატურად გმობენ ამერიკულ ჰეგემონიზმს და, მის ნაცვლად, მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის შექმნის მომხრეები არიან. ისინი ტანდემში გამოდიოდნენ განცხადებებით ამერიკის მიერ იუგოსლავიის დაბომბვის, ვაშინგტონის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან გამოსვლისა და ახლა უკვე ერაყზე აშშ-ს თავდასხმის წინააღმდეგ. თუმცა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ორივე იძულებული იყო, დათმობაზე წასულიყო. რაც შეეხება მსოფლიო წესრიგს, მის შეცვლაზე მოსკოვისა და პეკინის ერთობლივ განცხადებებს არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ.

რაც შეეხება იარაღით ვაჭრობას, ეს თანამშრომლობის უფრო სერიოზული სფეროა. მხოლოდ გასულ წელს რუსეთმა ჩინეთს 40 “სუხოის” ტიპის გამანადგურებელი მიჰყიდა. წელს პეკინი მისგან 1,6 მილიარდ დოლარად 8 “კილოს” კლასის წყალქვეშა ნავის შეძენას აპირებს. გარდა ამისა, იგეგმება ჩინეთში შვეულმფრენების ერთობლივი აგება. ამასთანავე, რუსეთი ჩინეთში აშენებს ორ ბირთვულ რეაქტორს და ამ ბიზნესის გაფართოებას გეგმავს. ჩინეთი რუსეთისათვის შეიარაღების ყველაზე დიდი კლიენტია, თან, ბევრისაგან განსხვავებით, გადახდისუნარიანიც.

თუმცა, რუსეთის მიერ ჩინეთში იარაღის ექსპორტით ფულის კეთებას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს. დაუზუსტებელი ინფორმაციის თანახმად, რუსეთის გენშტაბმა ახლახან ჩაატარა სამხედრო თამაშები, რომელიც მიზნად რუსეთ-ჩინეთის შესაძლო ომის მოდელირებას ისახავდა. შედეგებმა აჩვენა, რომ ჩინეთს ამგვარი ომის მოგების მეტი შანსი გააჩნია, ვიდრე რუსეთს (თუ გამოყენებული არ იქნება ბირთვული იარაღი, რადგან ამ შემთხვევაში წაგებულსა და მოგებულს ერთმანეთისაგან ვერავინ გაარჩევს). თუმცა, როგორც პეკინში აშშ-ს ყოფილი სამხედრო ატაშე ვორტცელი ამბობს, ჩინეთს “ერთჯერადი” არმია ჰყავს, რომელიც ძალზე საშიშია ომის საწყის ფაზაში, მაგრამ, გრძელვადიანი დაპირისპირების შემთხვევაში, რესურსები არასაკმარისი აქვს.

ჩინეთის მართლაც არნახული ეკონომიკური ზრდა, რუსეთის ასევე არნახული დასუსტების ფონზე, ბადებს უბრალო კითხვას: თუ რუსეთი და ჩინეთი მოკავშირეები იქნებიან, ვინ შეასრულებს “უფროსი ძმის” როლს?



ჩინეთისა და რუსეთის ლიდერების შეხვედრა. REUTERS

ეს თავისთავად ძალზე მწვავე პრობლემაა, მაგრამ არსებობს მასზე გაცილებით უფრო სერიოზულიც. რუსი დემოგრაფების მონაცემებით, 10 წელიწადში ჩინელები რუსეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობა იქნებიან. თანაც, ისინი კონცენტრირდებიან ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, იქ, სადაც თავად რუსი მოსახლეობის სიმჭიდროვე ძალზე დაბალია. პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ის გარემოება, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის მიღების წინაპირობად პეკინი რუსეთში ჩინელი მუშახელის თავისუფალ დაშვებას ითხოვს, ჩინური საქონლის შეუზღუდავ ექსპორტთან ერთად.

თუ რუსეთის არმიასა და ადმინისტრაციაში კორუფციის დონეს, აგრეთვე ორ ქვეყანას შორის საზღვრის სიგრძეს გავითვალისწინებთ, რუსეთს არალეგალური ჩინური ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის შეზღუდული საშუალებები გააჩნია. თანაც, მოსკოვმა ეს ბრძოლა ისე უნდა წარმართოს, რომ პეკინი არ გააღიზიანოს და შეიარაღების დიდი ბაზარი არ დაკარგოს.

ამ მიზეზების გამო, რუსეთ-ჩინეთის გრძელვადიან ალიანსს ბევრი ეჭვის თვალით უყურებს. მართალია, “მიმდინარე საკითხებში” მოსკოვი და პეკინი საკმაოდ მჭიდროდ თანამშრომლობენ, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, ახლო მომავალში მათ თანამშრომლობას მნიშვნელოვანი გამოცდა ელის.

საქმე ეხება დასავლეთ ციმბირი–წყნარი ოკეანის დამაკავშირებელი გიგანტური ნავთობსადენის მშენებლობას. რუსეთი დიდი ხანია, გეგმავს იმ მილსადენის აშენებას, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ ციმბირის მსხვილ საბადოებს წყნარი ოკეანის რეგიონის ბაზრებთან დააკავშირებს. ამჟამად განიხილება მშენებლობის ორი ვარიანტი: ერთი მათგანის თანახმად, მილსადენი ანგარსკიდან წყნარი ოკეანის პორტ ნახოდკამდე უნდა მივიდეს. მისი სიგრძე 3000 კილომეტრი იქნება, გამტარუნარიანობა – 5 მილიონი ტონა (დაახლოებით იმდენივე, რამდენიც ბაქო-ჯეიჰანი), სავარაუდო ფასი – 4,5 მილიარდი დოლარი. პროექტს აქტიურად ლობირებს კომპანია “ტრანსნეფტი”.

მეორე “იუკოსის პროექტია”. მისი სიგრძე და, შესაბამისად, ფასი გაცილებით ნაკლებია – 1,7 მილიარდი დოლარი. მაგრამ იგი არა წყნარი ოკეანისკენ, არამედ ჩინეთში მიდის.

“ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩინური ვარიანტი უფრო მიმზიდველია. იგი უფრო პატარაა, იაფი და შესავსებად იოლი. მისი აშენება სწრაფად შეიძლება და მოგებასაც უფრო მალე მოიტანს. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, “ტრასნეფტის” პროექტი უფრო ხელსაყრელია, რადგან იგი უფრო დიდ ბაზარზე გასვლის საშუალებას იძლევა. მაგრამ ის ძვირია და მისი დატვირთვაც უფრო გაძნელდება. ჩინეთთან ვაჭრობა საკმაოდ სარისკოა. ჩვენ არა გვაქვს მათთან მილსადენების საქმეში თანამშრომლობის გამოცდილება. თანაც, კაცმა არ იცის, როგორი იქნება ჩინეთი ათი წლის შემდეგ,” – ამბობს ვალერი ნემცოვი, “ტროიკა-დიალოგის” წარმომადგენელი.

“იუკოსმა” ერთი თვის წინ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას ჩინეთის ნავთობის ეროვნულ კორპორაციასთან, რომლითაც ჩინურმა მხარემ გარანტია აიღო, რომ ყოველწლიურად ჯერ - 20, შემდეგ კი 30 მილიონ ტონა ნავთობს შეიძენს. ერთი კვირის წინ რუსეთისა და ჩინეთის პრემიერებმა - კასიანოვმა და ზუ რონჯიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას პროექტის რეალიზების დაჩქარების შესახებ. ამიტომ რუსეთისაგან მასზე უარის თქმა პეკინის სერიოზულ გაღიზიანებასა და უნდობლობის ზრდას გამოიწვევს.

მეორეს მხრივ, ნახოდკის მილსადნესაც დიდი უპირატესობები აქვს. ჯერ ერთი, იგი საშუალებას აძლევს “იუკოსს,” “ტიუმენნეფტსა” და “ლუკოილს” წყნარი ოკეანის აუზში გაიტანონ დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში მოპოვებული ნავთობის დიდი ოდენობა, საიდანაც მათ შეუძლიათ, ნავთობი აუზის ნებისმიერ ქვეყანაში გაყიდონ.

ერთი სიტყვით, რუსეთი დილემის წინაშეა. მან ან უნდა აღიაროს, რომ ჩინეთთან გრძელვადიანი თანამშრომლობა ბლეფია, ან უფრო ძლიერი მეზობლის წინაშე კომპრომისზე წასვლის პირველი პრეცედენტი შექმნას.

# 12 სექტემბერს „ალ ქაიდას“ ტერორისტები ტელევიზიით გამოვლენ

კატარის ტელეკომპანია “ალ ჯაზირამ” “ალ ქაიდას” ორი მებრძოლის აღიარების ჩაწერის შესახებ გაავრცელა განცხადება. ინფორმაციაში ნათქვამია, რომ “ალ ქაიდას” მებრძოლებმა ტელეკომპანიის ჟურნალისტებს მოუთხრეს, თუ როგორ განახორციელეს 11 სექტემბრის ტერაქტი. ამ ტერორისტების სახელებია: რამზი ბენ-შაიბა და ხალედ შეიხ მოჰამადი. “ალ ჯაზირა” მათ, შესაბამისად, როგორც ტერაქტის კოორდინატორსა და “ალ ქაიდას” სამხედრო ფრთის ხელმძღვანელს, წარადგენს. ტელეკომპანიის განცხადებით, “ალ ქაიდას” აღნიშნულ ტერორისტებთან ინტერვიუ ეთერში 12 სექტემბერს გადაიცემა. იგი ნაჩვენები იქნება 11 სექტემბრისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის მეორე სერიაში. **“დოკუმენტური ფილმის მეორე ნაწილში ხალხს შესაძლებლობა ექნება, ნახოს პირველი პირდაპირი აღიარება იმის შესახებ, თუ როგორ დაიგეგმა და განხორციელდა ტერორისტული აქტები,”** - განაცხადა ფილმის ავტორმა იუსრი ფუდამ.

აღსანიშნავია, რომ ხალედ შეიხ მოჰამადი ნიუ-იორკსა და პენტაგონზე განხორციელებული დარტყმის გეგმის ავტორია. აშშ-ს ხელისუფლებამ მისი დაპატიმრებისათვის ფულადი პრემია – 25 მილიონი დოლარი დააწესა. აშშ-ს სპეცსამსახურები მას ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ტერორისტად მიიჩნევენ. მასვე მიაწერენ 1993 წელს მსოფლიოს სავაჭრო ცენტრში მომხდარ ტერაქტს და 2000 წელს იემენის პორტში მდგარი ამერიკული ნალმოსნის აფეთქებას, რის შედეგადაც 17 ამერიკელი მეზღვაური დაიღუპა.

ამერიკის სპეცსამსახურების მონაცემებით, 37 წლის პაკისტანელმა ხალედ შეიხ მოჰამადმა ინჟინრის განათლება დასავლეთში მიიღო - 1986 წელს ამერიკაში, ჩრდილოეთ კაროლინის შტატში დაამთავრა კოლეჯი. აშშ-დან პაკისტანში დაბრუნების შემდეგ მოჰამადი “ალ ქაიდასთან” თავისმა ძმამ დააკავშირა, რომელიც უკვე ამ ორგანიზაციის წევრი იყო. მოჰამადი ჯიჰადში აქტიურად ჩაერთო. ერთი პერიოდი ის ავღანეთში ერთ-ერთი გავლენიანი საველე მეთაურის პირად მდივნად მუშაობდა. ცოტა მოგვიანებით კი მან “ალ ქაიდასთვის” ტერორისტული აქტების სქემების დამუშავება დაიწყო. ჟურნალ “ნიუსვიკის” ინფორმაციით, 2002 წლის აპრილამდე აშშ-ს სპეცსამსახურები ხალედ შეიხ მოჰამადის პიროვნებას სერიოზულად არ განიხილავდნენ და მისი როლის შეფასებაში ცდებოდნენ. ვითარება მკვეთრად შეცვალა ”ალ ქაიდას” ოპერატიული სამსახურის ხელმძღვანელის აბუ ზუბეიდას დაპატიმრებამ. მას თან ჰქონდა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებმაც ბევრ დეტალს მოჰფინა ნათელი. ზუბეიდამ დაკითხვებზე დაადასტურა, რომ ოთხი “ბოინგის” გატაცებისა და ტერაქტებში მათი გამოყენების გეგმის მთავარი იდეოლოგი და დამმუშავებელი სწორედ ხალედ შეიხ მოჰამადი იყო. ეს უკანასკნელი დღეს დასავლეთის სპეცსამსახურებისათვის კვლავ მიუწვდომელია და 12 სექტემბერს ტერაქტის შესახებ დეტალური ინფორმაციითა და შთაბეჭდილებებით ტელემაყურებლის წინაშე წარსდგება.

# „დიდი ბრიტანეთი მზად არის, სისხლით ზღოს აშშ-სთან მჭიდრო ურთიერთობა“

ეს განცხადება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა გააკეთა. მისი თქმით, აშშ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დიდი ბრიტანეთი მის მხარდაჭერას მხოლოდ სიტყვიერი თანაგრძნობით არ გამოხატავს. **“მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ მზად ვართ, ვიყოთ იქ, სადაც დაიწყება სროლა,”** - განაცხადა ბლერმა. ამასთანავე მან დასძინა, რომ ბრიტანეთი ამერიკის მარიონეტი არ არის. მისი თქმით, გადაწყვეტილება ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ ჯერ მიღებული არ არის. ეს განცხადება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა აშშ-ს პრეზიდენტთან შეხვედრის წინ გააკეთა. მათი შეხვედრა კემპ-დევიდში შაბათს არის დაგეგმილი.

როგორც ვარაუდობენ, ორი სახელმწიფოს ლიდერები ერაყში სადამ ჰუსეინის შემცვლელის კანდიდატურას განიხილავენ. თუმცა, მათი მრჩევლების განცხადებით, ამ შეხვედრას “სამხედრო თათბირის” ხასიათი არ ექნება. ოპონენტების საპასუხოდ ტონი ბლერმა თქვა: **“მე არასდროს დავუჭერდი მხარს აშშ-ს, თუ ჩავთვლიდი, რომ ეს ქვეყანა არასწორად მოქმედებს.”**

თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის სპიკერმა რობინ კუკმა განაცხადა, რომ ერაყში ოპერაციის დასაწყებად აუცილებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსგან მანდატის მიღება. **“თუ ჩვენ გვსურს წარმატების მიღწევა და სადამ ჰუსეინის სამხედრო ამბიციების დათრგუნვა, მსოფლიოს თანამეგობრობის მხარდაჭერის მოპოვების შემთხვევაში უფრო მეტი შანსი გვექნება,”** – თქვა მან. მისი აზრით, საერთაშორისო კოალიციის შექმნა გაერო-ს ფორმატით უნდა განხორციელდეს, რადგან საუბარი ჰუსეინის მიერ გაერო-ს რეზოლუციების დარღვევას ეხება.

# სერგეი ივანოვი ქაბულში ჩავიდა

პარასკევს რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი ერთდღიანი ვიზიტით ავღანეთის დედაქალაქს ეწვია. მან თავის ავღანელ კოლეგასთან, მარშალ მოჰამად ფახიმთან და ავღანეთის პრეზიდენტთან ჰამიდ ყარზაისთან მოლაპარაკებები გამართა. ეს უკანასკნელი მასზე თავდასხმის განხორციელების შემდეგ პარასკევს ქაბულში დაბრუნდა.

სერგეი ივანოვის განცხადებით, რუსეთი ავღანეთს შეიარაღებული ძალების შექმნაში დაეხმარება. მისი თქმით, ეროვნული არმიის შექმნა ავღანეთის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს და რუსეთი, თავისი “მოკრძალებული შესაძლებლობების” ფარგლებში, ქაბულს აღნიშნულ საკითხში დახმარებას გაუწევს.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე მოლაპარაკება ორ ქვეყანას შორის ჯერ კიდევ ავღანეთის თავდაცვის მინისტრის მოსკოვში ვიზიტის დროს დაიწყო. მთავარ თემებს ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის მსვლელობა, თავდაცვის საკითხებში ორი ქვეყნის თანამშრომლობა და ქაბულის ცენტრში გამნაღმველი ცენტრის მშენებლობა წარმოადგენდა.

ცხადია, რუსეთის ხელისუფლება სათანადოდ აფასებს ავღანეთის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას. ამდენად, მოსკოვი ყოველნაირად ეცდება, ავღანეთში მიმდინარე პროცესებში აქტიური მონაწილეობა მიიღოს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ავღანეთის სამხედრო ტექნიკის უდიდესი ნაწილი რუსული წარმოებისაა. ეს იარაღი ჯერ კიდევ ავღანეთ-საბჭოთა კავშირის ომის დროინდელია. სერგეი ივანოვის განცხადებით, რუსეთი არ აპირებს, ავღანეთს ულტრათანამედროვე შეიარაღება მიაწოდოს, თუმცა მოსკოვი, ალბათ, აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ ავღანეთი რუსული იარაღის გასაღების პოტენციურ ბაზარს წარმოადგენს. შეიარაღების საკითხების გარდა, დამკვირვებელთა ვარაუდით, ივანოვი ავღანელ კოლეგებს უმცროსი ოფიცრების რუსეთში გაწვრთნასაც შესთავაზებდა. თუმცა, დასავლელი ექსპერტები, რუსეთის არმიაში დღეს შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ეჭვობენ, რომ ამ ღონისძიებას ეფექტური შედეგი ექნება.

# ვატიკანსა და რუსეთს შორის უთანხმოება გრძელდება

ვატიკანსა და რუსეთს შორის უთანხმოება ექვსი თვეა, გრძელდება. ინციდენტი მას შემდეგ დაიწყო, რაც რუსეთმა გააძევა ერთ-ერთი კათოლიკე ეპისკოპოსი. ირკუტსკის ეპისკოპოსს, პოლონეთის მოქალაქე ირჟი მაზურს რუსეთის ხელისუფლებამ შერემეტიევოს აეროპორტში შესვლისთანავე გაუუქმა ვიზა და აიძულა, ქვეყანა დაეტოვებინა. მის გარდა, ქვეყნიდან კიდევ ორი კათოლიკე მოძღვარი, იტალიელი მამა კაპრიო და სლოვაკი მამა კრაინაკი გააძევეს.

პაპმა პირადად მიმართა წერილით რუსეთის პრეზიდენტს და ეპისკოპოსისა და მღვდლებისათვის რუსეთში დაბრუნების ნებართვა სთხოვა, რათა მათ, “რუსეთის კონსტიტუციის შესაბამისად,” გაეგრძელებინათ თავიანთი მოვალეობის შესრულება. ვატიკანის წარმომადგენლის განცხადებით, ეპისკოპოსისათვის სამწყსოსთან ყოფნის უფლების ჩამორთმევა ძალზე სერიოზული საკითხია. “პაპს არ უთხოვია რაიმე სპეციალური პრივილეგიები კათოლიკეთათვის. იგი მხოლოდ და მხოლოდ მღვდლებისათვის რუსეთში დაბრუნების ნებართვას ითხოვდა”.

პუტინმა პაპის ამ თხოვნას უარით უპასუხა. იტალიური კათოლიკური გაზეთის “ავენირეს” ცნობით, პუტინის წერილში ნათქვამია, რომ მას პირადად კათოლიკური ეკლესიის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. “ეპისკოპოსისა და მღვდლების გაძევებაც იყო არა ანტიკათოლიკური კამპანიის ნაწილი, არამედ ერთ-ერთი იმგვარი ღონისძიება, რომელსაც ქვეყნები ჩვეულებრივ ატარებენ ხოლმე უცხოელი მოქალაქეების წინააღმდეგ”. ამიტომ მას მაზურის დასაბრუნებლად არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

მიზეზად რუსებმა ძალიან საინტერესო რამ მოიტანეს. თურმე, ეპისკოპოსის ტიტულატურაში სამხრეთ სახალინის სამწყსო მოხსენიებული იყო ძველი იაპონური სახელწოდებით - “კარაფუტო”. როგორც ცნობილია, ეს ტერიტორიები რუსეთ-იაპონიის ომის დროიდან მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე იაპონიის შემადგენლობაში იმყოფებოდა და დღესაც ორ ქვეყანას შორის დავის საგანს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, კუნძულის სამხრეთ ნაწილის ამგვარად მოხსენიების გამო, პროტესტი განაცხადა, ვატიკანმა ეპისკოპოსის ტიტულატურაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანა.

რასაკვირველია, რუსეთსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის არსებულ უთანხმოებაში ტოპონიმიკა არ არის უმთავრესი პრობლემა. რუსეთში მოქმედი ოთხი კათოლიკური დიოცეზიდან, ხელისუფლებას რეგისტრაციაში მხოლოდ ორი ჰყავს გატარებული. მიუხედავად იმისა, რომ პაპმა არაერთხელ გამოთქვა სურვილი, რუსეთს სწვეოდა, მისი ვიზიტი არ შემდგარა, რუსეთის საპატრიარქოს წინააღმდეგობის გამო. საპატრიარქომ, იმის გარდა, რომ პაპს რუსეთში ჩასვლაზე უთხრა უარი, მის უკრაინაში ვიზიტსაც სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია.

# პარასკევს მსოფლიოს ლიდერები ერთმანეთს ტელეფონით ესაუბრნენ

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინსა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს შორის, ამ უკანასკნელის ინიციატივით, პარასკევს სატელეფონო საუბარი შედგა. მათ ერაყის საკითხის გარშემო შექმნილი საერთაშორისო ვითარება განიხილეს. ორივე ქვეყნის მეთაურებმა მხარი დაუჭირეს ერაყში გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მისიის დაბრუნებას. პუტინმა ერაყის პრობლემის პოლიტიკური მეთოდებით გადაჭრის აუცილებლობაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ ერაყში სამხედრო ძალის გამოყენების რეალური საფუძველი არ არსებობს.

იმავე დღეს, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საფრანგეთის, რუსეთისა და ჩინეთის ლიდერებთან სატელეფონო საუბრები გამართა. სამივე ქვეყანას აშშ-ს მიერ ერაყში სამხედრო ოპერაციის დაწყების თაობაზე თავიანთი განსაზღვრული პოზიციები გააჩნიათ. გარდა ამისა, ისინი გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრები არიან და, ამდენად, ბუში ჰუსეინის რეჟიმის დამხობისათვის სამხედრო ძალის გამოყენების აუცილებლობაში მათ დარწმუნებას ცდილობდა. ვლადიმირ პუტინმა ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ჩატარების აუცილებლობა ბუშთან საუბარშიც ეჭვქვეშ დააყენა.

რაც შეეხება საფრანგეთის ლიდერის პოზიციას, პრეზიდენტმა შირაკმა თავის ამერიკელ კოლეგასთან საუბარში განაცხადა, რომ ერაყში საბრძოლო მოქმედებების დაწყება მხოლოდდამხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადასაწყვეტია.

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისერჩი
... 1997 ...
ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94

სვეტი

# დედამიწავ, ხალხს ხელფასს აძლევ?

## ღია გაკვეთილი უფროსებისათვის



ზაზა ფარუაშვილი

*გაკვეთილს, რომელსაც მეექვსე გიმნაზიის მასწავლებელი ირმა არჩუაშვილი და მისი პატარა მოწაფეები გთავაზობენ, შეიძლება ბავშვობაში დაბრუნება ვუწოდოთ, სახელმძღვანელოს კი " ღია გაკვეთილი" ჰქვია. ირმა მასწავლებელს თავისი ბავშვების გულწრფელი თემები რომ ვერ გაუმეტებია, ერთ ჯადოსნურ წიგნად შეუკრავს, გამოუცია, აქ დაკარგულ ბავშვობას იპოვნით. ამჯერად კი პატარა ავტორების თითოოროლა ფრაზას შემოგთავაზებთ.*

**ნიკო ბერიაშვილი**: " დედამიწავ როგორ ხარ? ძალიან მომენატრე... ხეების საქმე როგორაა, ბევრს ხომ არ ჭრიან?... მათხოვრები მრავლდებიან თუ გაკლდება?... გამონაბოლქვი ხომ არ გაწუხებს?...თვითმფრინავები კიდევ ხშირად ვარდება?... ხალხს ხელფასს აძლევენ?... ბევრ ნაგავს ხომ არ გაყრიან თავზე?..."

**ნიკა გაგუა**: " ჩემი მეგობარია კატა. მას სესი ჰქვია. სესი იმიტომ ავირჩიე, რომ ის ძალიან მეცოდება – დედას პატარაობიდანვე მოვაშორეთ... ის არავის ერჩის, პირიქით, ერთი ჩვენი მეზობლის კატა უმიზეზოდ დასდევს. შეიძლება უმიზეზოდაც არა, მე ხომ მისი არ მესმის."

**თამარ გელაშვილი**: " ვარ რვა წლის. მე მაცვია წითელი სვიტრი, ჭრელი კაბა, ჭრელი რეიტუზი... დედიკო როცა კარგ ხასიათზე მოდის სამსახურიდან, მე ძალიან მიხარია... მე და ჩემი ძმები დედას გაკვეთილებს რომ ვაბარებთ, დედა და ბებო ძალიან ბედნიერები არიან... მე ვიქნებოდი ბედნიერი, დედიკო რომ მომიყვანდეს კურდღელს ან ძაღლს."

**ნუცა გიორგობიანი**: " კაი ყმა ჰქვია კაცს, რომელიც წავა ომში და იომებს, არაფრის შეეშინდება და თავგანწირულად იბრძოლებს. ჩემი ძმა ამბობს, რომ გავიზრდები ომში უნდა წავიდეო! ბაბუაჩემი ეუბნება, შენ გიჟი ხომ არ ხარო!"

**ნინო ებრალიძე**: " მე დავიბადე 1993 წელს, ოღონდ თბილისში... მე ასე ვაფასებ ჩემს თავს: ვარ ცოტათი კეთილი, ცოტა ჭკვიანი და ცოტა უტვინო."

**სალომე ენუქიძე**: "... მე არა ვარ ღორი, ყველას ყველაფერს ვათხოვებ. მე ჩემს მოხუც მეზობლებს ვეხმარები... როცა მძიმე რამე აქვთ კიბეებზე, მივალ, გამოვართმევ და ავატანინებ ხოლმე... მე ჩემი მშობლები ბიჭს მეძახიან, იმიტომ, რომ ბიჭივით ვიქცევი. დავძრომიალობ ყველგან, დავდივარ ყველგან."

**ერეკლე ზუკაკიშვილი**: " მე მინდა, რომ სულ სწორი გზით ვიარო, - ანუ ღმერთის გზით... გავაძევებ ეშმაკს ჩემგან და ღმერთის მოსავი ბეჯითი ვიქნები... მე მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანმა უნდა მიატოვოს ეშმაკი, შეწყდეს მათხოვრობა და საქართველო ამით აშენდება!"

**ლაშა კანდელაკი**: " ჩემი მეგობარი კატა მარტო ჩემი მეგობარია, არც დედაჩემს მოსწონს, არც – მამაჩემს... მას ჰყავდა სხვა მეგობარი კატაც. ისინი ერთად თამაშობდნენ. მერე კი მეგობარი ავად გახდა და სამწუხაროდ, სახლიდან გავაგდეთ."

**ქეთი კვალიაშვილი**: "მე მწვანე თვალები მაქვს... ვსწავლობ ხუთებზე... მე ძალიან ბევრი ნაკლი მაქვს. ვარ ძალიან ნელი. ჩემი სურვილი იქნებოდა, სწრაფად მეწერა და კარგად მესწავლა."

**დიმიტრი კუპრაშვილი**: "ჩვენ გაგვიჩნდა ახალი მტერი – ბრაზილია. ბრაზილიის ვერტმფრენებმა ჩემს თვითმფრინავს ესროლეს ბენზინის ავზში. მე გადმოხტომა მოვასწარი. ჩემი თვითმფრინავი კი ჩამოვარდა, დაეცა ატომური ბომბების ქარხანას და ააფეთქა მთელი ბრაზილია."

**ვიქტორ მექვაბიშვილი**: " ომი რისთვის არის? სხვამ რა დააშავა?... ომი იმიტომ არსებობს, რომ ვიღაცეები ბრაზდებიან... უფროსებმა რატომ მოიფიქრეს ომი, ომი ცუდია."

**დავით მრელაშვილი**: "ახლა შვიდი წლის ვარ. 5 წლის რომ ვიყავი, მაშინ ჩემი დამტვრეული სათამაშოების კეთება დავიწყე. მე ვთამაშობ ჯერჯერობით... არ დაგავიწყდეს, მასწავლებელო, ახლაც მოვიტან ჩემს გათლილ ხის სათამაშოებს.

...მზე რატომ აცხუნებს? – იმიტომ, რომ ბუხარი უნთია.

გაზაფხული როცა დგება, რა ხდება? – ღრუბლებიდან ისვრის ყვავილებს. ამიტომ მიყვარს გაზაფხული."

**თინათინ ნანეიშვილი**: "მე დედამიწას ვერ დავივიწყებ; ის ყველა ენაზე ლაპარაკობს, მის გულში უამრავი ადამიანი ცხოვრობს და მის ზურგზე უამრავი ქვეყანაა გაშენებული."

**მარიამ ოძელაშვილი**: "მე წავალ მთელი ჩემი ცხოვრება სიკეთის და დახმარების გზით. მე ამ გზაზე იმიტომ ვოცნებობ, რომ ღმერთმაც ეს გზა აირჩია... ჩემი აზრით, ყველა ამ გზაზე ოცნებობს, მაგრამ ეს არ გამოსდით."

**გიორგი ოძელაშვილი**: " ამერიკელებმა რაკეტებით დაბომბეს ავღანეთი... ბევრი სკოლა დაინგრა, ბევრი საბავშვო ბაღი.

ბინ ლადენმაც ბევრი ცუდი რამე გააკეთა. ბევრი თვითმფრინავი ააფეთქა, ბევრი დიდი შენობა დაანგრია. ახლაც არის ამერიკაში ომი. შეჩერდით, პრეზიდენტებო!"

**სალომე სურმავა**: " მე ჩარგალი ძალიან მომეწონა. ძალიან სამწუხაროა, რომ ვაჟა-ფშაველა აღარ არის ცოცხალი."

**გიორგი ფრანგიშვილი**: " ...ადამიანმა, შეიძლება, მუცლის ტკივილის გზაც აირჩიოს; ადამიანი ხან ლამაზ გზას აირჩევს, ხან - ულამაზოს. ასე ხდება გზის არჩევა!"

**ტატო ფრანგიშვილი**: " ერთხელ სოფელში ვიღაცამ ლამაზ ღაბუა ჩიტს ქვა ესროლა და ჩამოაგდო. მე წავიყვანე ჩიტი სახლში, ის ნასროლი მოვურჩინე და მერე გავუშვი."

**გივი შელია**: " შენ ღმერთმა იმიტომ დაგარქვა დედამიწა, რომ შენ ჩვენი დედა ხარ და წმინდა მიწა გაქვს."

**გიორგი ჩხარტიშვილი**: " თუ ბავშვს გაკვეთილი არ ეცოდინებოდა, სამიანს დავუწერდი..."

**ლიკა ჯანელიძე**: " მე თავიდან სულ ნაჭრები მიყვარდა და ნაჭრებით მეძინა."

**გვანცა ჯაფარიძე**: " მე ლამაზი და კეთილი ვარ... მე გული მტკივა, ხოლმე და დედაჩემმა ექიმთან უნდა წამიყვანოს...

დედამიწავ, ჩემს მშობლებს გაუფრთხილდი, მეგობრებს და ყველა ჩემს ნათესავს."

**ლაშა ჯაფარიძე**: " დავიბადე ვერაზე. ახლა ის სახლი დაინგრა და ცხრა ძმაზე გადავედით... არ მიყვარს ცემა და წიხლების რტყმა.

მე მინდა, გამოვიდე პრეზიდენტი."







# საქრისტიანოს სიწმინდე ბათუმში წააბრძანეს

ეთერ მამულაშვილი

დღეს, დილით, 9 საათზე, საქართველოში ოთხდღიანი ოფიციალური ვიზიტით მყოფი საბერძნეთისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი ქრისტოდულოსი და უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ბათუმში გაემგზავრებიან. ისინი იქ ანდრია პირველწოდებულის წმინდა ნაწილებს ჩაიტანენ. დღესვე გაიმართება შეხვედრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურთან ასლან აბაშიძესთან.

გუშინ საბერძნეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურები ედუარდ შევარდნაძემ მიიღო. ქრისტოდულოსმა აღნიშნა შევარდნაძის განსაკუთრებული როლი მსოფლიოში ტირანული მმართველობის დამარცხებასა და ქვეყნების თავისუფალი განვითარებაში. თავის მხრივ, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მისი უწმინდესობის საქართველოში სტუმრობა ორ ქვეყანას შორის არსებული გულთბილი ურთიერთობის განმტკიცების კიდევ ერთი საფუძველია.

შემდეგ ორივე პატრიარქი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. რექტორმა როინ მეტრეველმა ძვირფას სტუმარს უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო - ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადასცა. მისმა უნეტარესობამ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, ქრისტეშობის 2000 წლისთავთან დაკავშირებით, საბერძნეთში გამოცემული ილუსტრირებული ალბომი გადასცა, რექტორს კი აჩუქა ვერცხლის ფიალა ორთავიანი არწივის (ბიზანტიური ეკლესიის სიმბოლო) გამოსახულებით.

"მართალია, საბერძნეთი მდიდარი ქვეყნების რიცხვს არ ეკუთვნის, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ გვაქვს უდიდესი სულიერი სიმდიდრე და ყოველთვის მზად ვართ, გვერდში ამოვუდგეთ საქართველოს", - განაცხადა მისმა უნეტარესობამ.

ხვალ, დილით, 10 საათზე, უნეტარესი ქრისტოდულოსი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან ერთად, სვეტიცხოვლის ტაძარში აღასრულებს სადღესასწაულო წირვა-ლოცვას. საღამოს მისი უნეტარესობა ბერძნული სათვისტომოს წარმომადგენლებს შეხვდება.

საბერძნეთის სასულიერო დელეგაცია ორშაბათს სამშობლოში გაემგზავრება. მანამდე, რამდენიმე საათით ადრე, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში დაგეგმილია პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებთან შეხვედრა.



*სტუმარმა ქათინაურები არ დაიშურა*

ბესო გულაშვილის ფოტო

# უმუშევრებმა ხელები დაიკაპიწეს

მაკა ჭაიანი

დასაქმების ახალი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უკვე მომზადებული 145 რეგისტრირებული უმუშევრიდან 91 დღეს საკუთარ ბიზნეს-გეგმაზე მუშაობს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც საინტერესო ბიზნეს-იდეები ჰქონდათ და წარმატებით გაიარეს საკონსულტაციო ცენტრებში მიმდინარე ცხრადღიანი სწავლება. მათ თვეზე ცოტა მეტი აქვთ იმისთვის, რომ ეს იდეები დახვეწონ და "საქართველოს ბანკს" დასაფინანსებლად წარუდგინონ. საკონსულტაციო ცენტრები ამაში აქტიურად ეხმარებიან, ოღონდ არა მხოლოდ იმის გამო, რომ ქართველ უმუშევრებს პირველად უწევთ ამგვარ საქმიანობაში ჩართვა. ბიზნესის ანაბანაში ადამიანების განაფვა საკონსულტაციო ცენტრების პრესტიჟზეც იმოქმედებს და მომავალ პროგრამაში ჩართვის გარანტიასაც მისცემს. გარდა ამისა, ცენტრები გამარჯვებული ბიზნეს-გეგმის განხორციელების პროცესშიც მიიღებენ მონაწილეობას, რა თქმა უნდა, დამატებითი ანაზღაურებით.

საკონსულტაციო ცენტრების ნაწილმა გადაწყვიტა, ენერგია მაქსიმალურად დახარჯოს და სუსტი ბიზნეს-გეგმებიც "გააკეთილშობილოს", ნაწილმა კი ტესტირების შემდეგვე გაცხრილა დაფინანსების პრეტენდენტები. განსაკუთრებული სიმკაცრე გამოიჩინეს სამტრედიაში, სადაც 14 უმუშევრიდან მეორე ეტაპი მხოლოდ ოთხმა გაიარა. არც თბილისელი უმუშევრებისთვის გადაუსვამთ თავზე ხელი. "სმედაში" მომზადებული 16 ადამიანიდან ბიზნეს-გეგმას 8 ამუშავებს, "ამაგდარზე" მიმაგრებული 14 უმუშევრიდან კი, რომელიც ცალკე, მრავალშვილიანებისა და ქალებისგან შეირჩა - 9. ამას გარკვეული პრეტენზიები უკვე მოყვა, მაგრამ პროექტის ორგანიზატორები უსაფუძვლოდ არავის დაიმედებას არ აპირებენ.

საკონსულტაციო ცენტრებში დაგეგმილი ეტაპობრივი სწავლების მიხედვით, გამარჯვებული ბიზნეს-გეგმებიც ეტაპობრივად დაფინანსდება. ვინც უკვე გაიარა ტესტირება, თუ "საქართველოს ბანკს" მოეწონება, ფულს 1 ოქტომბრისთვის მიიღებს, ვინც ახლა გადის სწავლებას - 5 ნოემბრისთვის, მესამე ეტაპის ნაკადი - 10 დეკემბრისთვის. წლის ბოლომდე პროცესი დასრულდება და ახალი წლიდან რეგისტრირებული უმუშევრების ერთი ნაწილი საკუთარ საქმეს დაიწყებს. შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტში დაწმუნებულნი არიან, რომ პროგრამის განხორციელებას ბიუჯეტი პრობლემას არ შეუქმნის.

დეპარტამენტში იმასაც აცხადებენ, რომ სხვა უმუშევრები პროგრამის მეორე ნაწილის წყალობით დასაქმდებიან. იგი ერთწლიანი გამოცდილების მქონე მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ხორციელდება. ამ შემთხვევაში წვრილ მეწარმეებს, ფაქტობრივად, უპროცენტო სესხი მიეცემათ იმ პირობით, თუ უმუშევრების გარკვეულ რაოდენობას დაასაქმებენ.

ისეც მომხდარა, რომ ბევრს პირდაპირ მოუნდომებია ფულის მიღება და ბანკს იდეების გარეშე მისდგომია, მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც მართლაც უნდა საქმის კეთება და ჯერ პირობებს სწავლობს. შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტში ვარაუდობენ, რომ მათ ბიზნეს-გეგმებს "საქართველოს ბანკი" სექტემბრის ბოლოსთვის მიიღებს.

# ბათუმში ჟურნალისტს თავს ესხმიან, თავისუფალ პრესას კი კანონპროექტს უმალავენ

დუდა ციბაძე

4 სექტემბერს ბათუმში თავს დაესხნენ გაზეთ "ბათუმელების" რედაქტორს ეთერ თურაძეს, რის შედეგადაც მან ტრავმა და ტვინის შერყევა მიიღო. ის დღესაც ცუდად გრძნობს თავს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ გაზეთმა გამოაქვეყნა მასალა ბავშვებით მოვაჭრე მაია ბეჟიტაშვილზე, რომელიც, ოფიციალურად, "თეთრი ბილეთის" მფლობელი იყო. მასალას პოლიციიდან რეაგირება არ მოჰყოლია (კანონის თანახმად, ის ვალდებული იყო, 20 დღის განმავლობაში მოკვლევა ეწარმოებინა და, სამხილის აღმოჩენის შემთხვევაში, საქმე აღეძრა), გაზეთის თანამშრომლების დაშინება კი სცადეს. მუქარის მიუხედავად, გაზეთმა მასალაზე მუშაობა გააგრძელა. როგორც გაზეთის თანამშრომლებმა განაცხადეს, ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს იყო წინასწარ განზრახული თავდასხმა, რადგან მუქარა უშუალოდ თავდასხმის დროსაც გაისმა.

აჭარაში პრესის კანონის მიღებას აპირებენ. ჟურნალისტის შეკითხვაზე, ხომ არ შეიზღუდება თავისუფალი მედია, აჭარის პარლამენტის საგარეო, საინფორმაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ბაკურიამ ასე უპასუხა: "თავისუფალი პრესა ვერ შეიზღუდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავისუფალი მედია საქართველოში არ არსებობს".

თუ რატომ გაჩნდა ეჭვი კანონით თავისუფალი პრესის შეზღუდვაზე, ამას ადგილობრივი ჟურნალისტები ერთნაირად პასუხობენ: პრესის კანონპროექტი თავისუფალი პრესისთვის გასაიდუმლოებულია. კანონპროექტი უკვე დაეგზავნათ განსახილველად აჭარის სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებებს. კანონპროექტის მიღება დაადასტურა აჭარის პარლამენტის რესპუბლიკის საბჭოს იურიდიულ, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემაც. ამ კომიტეტის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, პროექტი ჯერ საკომიტეტო მოსმენაზე გავა, შემდეგ კი აჭარის პარლამენტი კანონს, როგორც მოსალოდნელია, მცირე ცვლილებებით ერთსულოვნად მიიღებს.

ცნობილია, რომ პროექტს საფუძვლად უდევს გერმანული კანონი, მაგრამ რა ურთიერთობაში აღმოჩნდება ის საქართველოს კანონმდებლობასთან, უცნობია.

ბაკურია შეწუხებულია იმით, რომ მსოფლიოს ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ გამოქვეყნებულ 154 საუკეთესო ჟურნალ-გაზეთების ნუსხაში ვერც ერთი ქართული პერიოდული გამოცემა ვერ მოხვდა. და საერთოდ, საქართველოში ვერ ნახავ ჟურნალისტს, რომელსაც ჟურნალისტური განათლება ჰქონდეს, ისევე, როგორც ვერ წაიკითხავ კარგ ანალიტიკურ წერილს და ყველა გაზეთი გარკვეულ პოლიტიკურ ძალას ემსახურება.

მართალია, იგივე ბაკურიას არ მოსწონს პრესაში გავრცელებული გამოთქმა "სარწმუნო წყაროს ცნობით", მაგრამ მაინც...

სარწმუნო წყაროს ცნობით, პრესის კანონპროექტში აკრძალულია, მაგალითად, "დამაინტრიგებელი და პროვოკაციული სათაურების გამოყენება მკითხველთა მიზიდვის მიზნით". მომავალი კანონი დაარეგულირებს აჭარის გარეთ გამოცემული პროდუქციის აჭარაში გავრცელებასაც.

# ზოგიერთი ნამდვილი სახელმძღვანელოები ახლა იბეჭდება

ეთერ მამულაშვილი

ახალი სასწავლო წლის დაწყების მიუხედავად, ცამეტამდე სასკოლო სახელმძღვანელო სპეციალურ ბაზრობებზე ჯერ არ არის შემოტანილი. ზოგიერთი წიგნი ახლა იბეჭდება, რამდენიმე მათგანის კი ჯერ მხოლოდ მაკეტი არსებობს. მათი ბეჭდვა ამ დღეებში დამთავრდება და, როგორც გამომცემლობები გვპირდებიან, 10 სექტემბრიდან გაიყიდება.

გამომცემელთა ასოციაციის ბაზრობის ორგანიზატორმა შადიმან ხელაძემ წიგნების დაგვიანებით ბეჭდვა განათლების სამინისტროს დაგვიანებით გამოქვეყნებულ ნუსხას დააბრალა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ ივლისში გამომცემლობებმა სპეციალური შეხვედრაც კი მიუძღვნეს ამ ფაქტს. ისინი აღშფოთებას ვერ მალავდნენ, როგორ უნდა მოვასწროთ ორ თვეში ამდენი წიგნის დაბეჭდვაო. ზოგიერთი იმასაც ამბობდა, სახელმძღვანელოების ბეჭდვის პროცესს შეგნებულად აჭიანურებენ ფალსიფიცირებული წიგნების სასარგებლოდო.

ასეა თუ ისე, ერთ კვირაში მოსწავლეებს დაგვიანებული სახელმძღვანელოების ყიდვის საშუალებაც ექნებათ. თუმცა, არ არის გამორიცხული, ზოგიერთ ჯერ დაუბეჭდავ წიგნს ვაგზლის ბაზრობაზე მიაგნოთ. "საქწიგნის" გენერალური დირექტორი უჩა ჩილაჩავა აცხადებს, რომ ყველა ეს წიგნი ფალსიფიცირებულია.

გთავაზობთ ჯერ დაუბეჭდავი სახელმძღვანელოების ჩამონათვალს:

1-ლი კლასის ხატვა. ავტორი ალავიძე

მე-2 კლასის დედაენა. ავტორი როდონაია

მე-3 კლასის ქართული ენა. ავტორი როდონაია

მე-4 კლასის ქართული ენა. ავტორი როდონაია

მე-5 კლასის ფრანგული ენა. ავტორი ლეჟავა

მე-5 კლასის უსაფრთხოება. ავტორი მდივანიშვილი

მე-8 კლასის მშობლიური ლიტერატურა. ავტორი გულდამაშვილი

მე-10 კლასის ფრანგული ენა. ავტორი მეგრელიძე

მე-10 კლასის სამხედრო მომზადება. ავტორი რამიშვილი

მე-10 კლასის ეკონომიკა. ავტორი სილაგაძე

მე-11 კლასის ცივილიზაციის ისტორია. ავტორი ბოლოთაშვილი

მე-11 კლასის ფრანგული ენა. ავტორი ქადეიშვილი

მე-11 კლასის სამხედრო მომზადება. ავტორი რამიშვილი

განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველოს უფროსის ლია შალვაშვილისგან ერთი სასიამოვნო ამბავიც შევიტყვეთ. ახალ სასწავლო წელს ათასამდე მრავალშვილიანი ოჯახის სკოლის ასაკის ბავშვებს 15 სექტემბრამდე უფასოდ დაურიგდებათ ყველა საჭირო სახელმძღვანელო. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამისთვის 40.000 ლარია გამოყოფილი.

# სასამართლო აღმასრულებლები ფეხბურთის ფედერაციას უტევენ

ინგა ალავიძე



გიგლა აგულაშვილი მერაბ ჟორდანიას ჩამოსვლას ელოდება.
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

**"სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება სიკვდილივით გარდაუვალია, სხვა შემთხვევაში, სიტუაცია გადაიქცევა შოუდ, რომელიც მთელ საზოგადოებას დააზარალებს,"** – საქართველოს მთავარი აღმასრულებელი გიგლა აგულაშვილი საზოგადოებას კანონიერების დაცვას ამერიკელთა დევიზის - "ორი რამაა გარდაუვალი: გადასახადების გადახდა და სიკვდილი," - პერიფრაზით ახსენებს.

გუშინ იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა მისი სამსახურის საქმიანობის შესახებ ჟურნალისტებს ანგარიში ჩააბარა.

აღმოჩნდა, რომ სასამართლო აღმასრულებლების საქმიანობა სახელმწიფოს 21 ლარად და 50 თეთრად აქვს შეფასებული, თავად თავმჯდომარის ხელფასი კი სულ რაღაც 85 ლარია. თუმცა, ანაზღაურების თვალსაზრისით, აღმასრულებლებს საწუწუნო ნამდვილად არაფერი აქვთ. სოლიდური პრემიები, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში 2 ათას ლარს აღწევს, მათ მუშაობაზე – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზეა დამოკიდებული. რაც უფრო მეტი და მსხვილი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მოხდება, პრემიის თანხაც შესაბამისად გაიზრდება.

გიგლა აგულაშვილის სტატისტიკური მონაცემებით, ამ წელიწადს სააღსრულებლო ბიუროებში 26 ათასი საქმე შევიდა, მათგან 13 ათასი უკვე აღსრულებულია. დეპარტამენტის 340-მილიონიანი რეზერვიდან ათვისებულია, ანუ ბიუჯეტში შევიდა 2 მილიონ 700 ათასი ლარი, ხოლო იუსტიციის სამინისტროს სპეცსახსრები 700 ათასი ლარით შეივსო. რეზერვების აუთვისებლობას დეპარტამენტის თავმჯდომარე შემდეგნაირად ხსნის. 37 მილიონის ამოღება თავად სასამართლომ შეაჩერა; 30 მილიონი სახელმწიფო ბიუჯეტიდანაა ამოსაღები; ხოლო ორმა საკანონმდებლო ცვლილებამ 234- მილიონიანი საქმეების აღსრულება შეაფერხა.

**"ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხარისხზე თავს ვერ დავდებ, ხანდახან კურიოზულ სიტუაციაში ვვარდებით ხოლმე. მოხდა ასეთი შემთხვევაც, ერთმა აღმასრულებელმა მოსამართლის ფუნქცია შეითავსა, თავად გამოიტანა გადაწყვეტილება და აღასრულა კიდეც. თუმცა, სააღსრულებლო დეპარტამენტის მუშაობის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა, ამაზე მეტყველებს ბოლო პერიოდში ჩვენთან შემოსულ საქმეთა სიმრავლე,"** – ამბობს აღმასრულებელთა უფროსი და კანონის სისრულეში მომყვანთა ხარვეზიან მუშაობას კადრების სიმცირით და, ზოგიერთ შემთხვევაში, არაპროფესიონალიზმითაც ხსნის.

გიგლა აგულაშვილმა დეპუტატ გურამ შარაძის პრეტენზიასაც გასცა პასუხი. საუბარია, ისანი-სამგორის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც "იეღოვას მოწმეთა კავშირს", "პენსილვანიის საგუშაგო კოშკსა" და იეღოველთა სხვა ორგანიზაციებს რეგისტრაცია გაუუქმდათ. **"ამ ორგანიზაციებს სასამართლომ გაუუქმა რეგისტრაცია და გადაწყვეტილებაშიც ასე ჩაწერა, სააღსრულებლო ბიუროს, ამ შემთხვევაში, აღსასრულებელი არაფერი აქვს. შარაძეს ჩემი გვარი არ ავიწყდება, რატომ არ ამოიღეს ორგანიზაციის ბეჭედიო, - ამბობს. გურამ შარაძემ ვერ გაიგო, რომ ეს ჩემი ფუნქცია არ არის, ბეჭდის ამოღება მე არ მევალება,"** – ასე პასუხობს იეღოველთა წინააღმდეგ მებრძოლი დეპუტატის იურიდიულად გაუმაგრებელ პრეტენზიებს უფროსი სასამართლო აღმასრულებელი.

სხვათა შორის, სააღსრულებლო დეპარტამენტის უფროსს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილების შეუსრულებლობაც შეახსენეს. გიგლა აგულაშვილის განცხადებით, აღმასრულებლები, რომელთა ფუნქციაც ყრილობის მსვლელობის თაობაზე ოქმის შედგენა იყო, ყრილობაზე ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაქირავებულმა დაცვამ არ შეუშვა. მისივე თქმით, ყრილობის სხდომის ოქმი აუცილებლად შედგება და თუ მასში დარღვევები აღმოჩნდება, საქმე ჯერ იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურს გადაეცემა მოსაკვლევად, აუცილებლობის შემთხვევაში კი, გენერალურ პროკურატურას - საქმის აღსაძრავად. **"პირადად მიმიღია მონაწილეობა იმ საქმეთა გამოძიებაში, რომლებსაც უპერსპექტივოდ მიიჩნევდნენ და ამ საქმეებზე სასამართლოს განაჩენები გამოუტანია. ამ შემთხვევაშიც აუცილებლად აღვასრულებთ სასამართლო გადაწყვეტილებას. ამჟამად მერაბ ჟორდანია თბილისში არ იმყოფება და ჩვენს მოთხოვნას მისი თანამშრომლები არ ასრულებენ. მისი ჩამოსვლისთანავე ოქმი შედგება და თუ მასში დარღვევები აღმოჩნდა, ხელმძღვანელი პირი, ვისაც სასამართლო დადგენილების შესრულება ევალებოდა, პასუხს აგებს კანონის წინაშე, რადგან სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა კანონით ისჯება,"** – ასეთ პირობას დებს ფეხბურთის ფედერაციის სადაოდ ქცეულ ყრილობაზე არჩეული პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას მოლოდინში მყოფი სასამართლო აღმასრულებელი. ერთი სიტყვით, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სავარძლისთვის დაწყებული სასამართლო დავა ჯერ არ დასრულებულა და გადამწყვეტ ფაზაში მას შემდეგ შევა, რაც სააღსრულებლო ბიურო, ფედერაციის ყრილობის ოქმის რევიზიის მერე, სამართლებრივ დასკვნას გააკეთებს.

# ბათუმში სასამართლოს ეურჩებიან

სოფიკო ჩხაიძე



ლანჩხუთელი მეჩაიეები რკინიგზის გადაკეტვით იმუქრებიან.
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ბათუმში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულებას რომ არად დაგიდევენ, ამაში ახალი არაფერია. ეს პრაქტიკა იქ უკვე ჩვეულებრივ ხასიათს იღებს, მით უმეტეს, თუ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ოდნავ მაინც ლახავს აბაშიძეების ოჯახის ინტერესებს.

გუშინ სახალხო დამცველის ოფისში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ფირმა "თეკა+გ"-ს მესვეურები და მათი ადვოკატი ჟურნალისტებს არწმუნებდნენ, აჭარის ლიდერმა, ალბათ, არაფერი იცის, მისი მეუღლის მიერ დაფუძნებული ფირმის წარმომადგენლები ხალხსაც რომ ატყუებენ და სასამართლოსაც ეურჩებიანო. ნეტარ არიან მორწმუნენი, მაგრამ ფაქტია, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ გამართლებული, ლანჩხუთში რეგისტრირებული ფირმის "თეკა+გ"-ს ხელმძღვანელობამ პრეტენზიის წერილებით, სხვა მრავალ თანამდებობის პირთან ერთად, ასლან აბაშიძესაც მიმართა, თუმცა, მისგან არც პასუხი მიუღიათ, არც რეაგირება მოჰყოლია მათ წერილობით საჩივარს. ჯერ ლანჩხუთის, მერე კი უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ფირმა "სანთრიმ", რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც მაგული გოგიტიძე გახლავთ, "თეკა+გ"-ს მისგან შეძენილი ჩაის საფასური – 277 ათასი ლარი უნდა გადაუხადოს. თანხა თითქოს უმნიშვნელოა ისეთი კომპანიისთვის, როგორიც "სანთრია", "თეკა+გ"-სთვის კი სასიცოცხლო მნიშვნელობისად ქცეულა. მათ ამ თანხით ლანჩხუთელ მეჩაიეებს – 4 ათას კაცს – ორი წლის მანძილზე მოწეული ჩაის მოსავლის საფასური უნდა გადაუხადონ, იმ ჩაისა, რომელიც, "თეკა+გ"-ს დირექტორის თქმით, მან "სანთრის" მიჰყიდა. "სანთრის" ხელმძღვანელობა კი ირწმუნება, სასამართლოსთვის წარდგენილი ხელშეკრულება ჩაის შეძენის თაობაზე ყალბია და ჩვენ მათგან არაფერი გვიყიდიაო. დაზარალებული ფირმის ხელმძღვანელობას მოწინააღმდეგის სიცრუის დასადასტურებლად ბევრი საბუთი მოჰყავს, რომელთა შორის გახლავთ "თეკა+გ"-ს დირექტორის სახელზე გაგზავნილი ფაქსი, რომელშიც "სანთრის" დირექტორი მას თანხის რამდენიმე დღეში გადახდას ჰპირდება. მათ ხელთაა, აგრეთვე, იმ მძღოლების ჩვენებები, რომლებმაც "თეკა+გ"-ს ჩაის ფაბრიკიდან "სანთრის" საწყობში 42 ტონა ჩაი გადაზიდეს.

ან კი მხარეების არგუმენტებს ახლა უკვე რა მნიშვნელობა აქვს, როცა სახეზეა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის დამორჩილებაც საქართველოს ყველა მოქალაქეს ევალება, განურჩევლად თანამდებობისა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად სპეციალური ინსტიტუტიც არსებობს, აღმასრულებლებს ჯერაც ვერ უზრუნველუყვიათ "თეკა+გ"-სთვის ვალის დაბრუნება. დაზარალებულთა ადვოკატის თქმით, ეს პროცესი უსასრულოდ ჭიანურდება. აღმასრულებლები ირწმუნებიან, რომ "სანთრის" ანგარიშზე თანხების ბრუნვა ნულოვანია, თავად ფირმის მისამართი კი – გაურკვეველი. საჯარო რეესტრიდან ინფორმაციის მოთხოვნას კი მეტად საეჭვო პასუხი მოჰყოლია – "სანთრის" დოკუმენტები დაიკარგაო.

არადა, 10 დღის მანძილზე თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ულტიმატუმით უკვე ლანჩხუთელი მეჩაიეები გამოდიან, რომელთაც აღარავისი სჯერათ. პრესკონფერენციაზე მოსული მათი ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, 4 ათასი კაცი რკინიგზის გადაკეტვასაც ეყოფა, საავტომობილო მაგისტრალისაც და ასლან აბაშიძის საცხოვრებელთან აქციის მოწყობასა და შიმშილობის გამოცხადებასაც.

# კახნიაშვილის მკვლელობა ათი წლის შემდეგ გაიხსნა

თამარ კაციტაძე

1992 წლის 12 სექტემბერს, დაახლოებით ღამის 11 საათზე, მეტრო "დელისის" მიმდებარე ტერიტორიაზე სოფელ ლისის საშუალო სკოლის მასწავლებელს - კახაბერ კახნიაშვილს ორმა პიროვნებამ ავტომობილით ნუცუბიძის პლატოზე აყვანა სთხოვა. პლატოზე ასულმა მგზავრებმა მძღოლის დაყაჩაღება მოინდომეს. კახნიაშვილმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ... საბოლოოდ, გამვლელებმა იგი გულ-მკერდის არეში დანით დაჭრილი იპოვეს. მძღოლი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

აღნიშნული მკვლელობა ათი წლის განმავლობაში ბურუსით იყო მოცული და საქმეც ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურაში გაუხსნელი საქმეების თაროზე ინახებოდა.

მიმდინარე წლის 5 სექტემბერს კი, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში ირწმუნებიან, საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ძმები ზაზა და გია ბოლოთაშვილები დააკავეს. გამოძიებამ დღეისათვის უკვე დაადგინა, რომ კახაბერ კახნიაშვილი სწორედ ზაზა ბოლოთაშვილმა მოკლა. დამნაშავემ აღიარა დანაშაული და განზრახ მკვლელობის მუხლით წაყენებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედაც ცნო.

ერთი სიტყვით, ათი წლის წინ მომხდარი მკვლელობა შინაგან საქმეთა სამინისტრომ გახსნილად გამოაცხადა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ზაზა ბოლოთაშვილმა მკვლელობა აღიარა, გამოძიებას ჯერ კიდევ მოუწევს მუშაობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კახნიაშვილს ორი პიროვნება დაესხა თავს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთი მათგანი გია ბოლოთაშვილი იყო, რომელიც ძმასთან ერთად დააკავეს. მაგრამ ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორის მოადგილე ლაერტ დულაშვილი გია ბოლოთაშვილის დაპატიმრების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს. თუ შს სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება, მაშინ სამართალდამცველებს მეორე თავდამსხმელის ძებნა კიდევ დიდხანს მოუწევთ.

# ანტიკრიმინალური ოპერაციის გაუთვალისწინებელი რაუნდი

ხათუნა ჯანგირაშვილი

პანკისური ანტიკრიმინალური ოპერაციის გუშინწინდელმა რაუნდმა დაკავებულთა სათვალავი ცხრამდე გაზარდა. მძიმე ბრალდებებით ძებნილ ძმებს - ზურაბ და ნუგზარ მებალიშვილებს ანტიკრიმინალური ოპერაციის მონაწილეებმა გვიან ღამით, ახმეტის ცენტრში, საკუთარ სახლში მიაგნეს. ისინი ამჟამად ახმეტის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში, წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების მოლოდინში არიან.

ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით, ზურაბ მებალიშვილის ძებნა სამართალდამცველებმა ერთი წლის წინ დაიწყეს. მის ძმას კი ერთი თვის წინ ჩადენილი დანაშაულისთვის – მკვლელობის მცდელობისთვის ეძებდნენ. როგორც გაირკვა, ძმები სახლიდან მოშორებით, ხან პანკისის ხეობაში იმალებოდნენ, ხან კი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მიმოდიოდნენ. **"ოპერატიული ინფორმაცია მივიღეთ, რომ მებალიშვილები სახლში დაბრუნდნენ. მაშინვე დავადექით თავზე. არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევით",** - გვითხრა ახმეტის პოლიციის უფროსმა ავთანდილ თურქიაშვილმა. მისივე ინფორმაციით, ძმები მებალიშვილები რომელიმე კრიმინალურ დაჯგუფებასთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილები არ არიან.

თუმცა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სპეცოპერაციები პანკისის ხეობაში თავმოყრილი სამართალდამცველებისთვის ყოველთვის შედეგიანად არ სრულდება. სამი დღის წინ, გვიან ღამით, როცა შინაგანი ჯარისა და სამართალდამცველთა დიდი არმიის მეთაურები პანკისელი ნარკობარონების, კრიმინალებისა და ტერორისტების დაკავების სპეცოპერაციის გეგმას განიხილავდნენ, ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციის შემსრულებელთა ნაწილი პანკისის ხეობის მაცხოვრებელთა საქონელს – დაკარგულ ძროხებს ეძებდა. სოფელ ყვარელწყლის მოსახლეობამ ხეობის ბლოკპოსტებზე გამაგრებულ შინაგანი ჯარის ნაწილებს საქონლის გატაცების შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მიაწოდა და დახმარება სთხოვა.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ 12 სულ ძროხას კანონდამცველები მთელი ღამის განმავლობაში ეძებდნენ და დარწმუნებული იყვნენ, რომ გაუთვალისწინებელი და დაუგეგმავი სპეცოპერაცია შედეგიანად დასრულდებოდა – გატაცებულ საქონელსაც დააბრუნებდნენ და გამტაცებლებსაც დააკავებდნენ. გამთენიისას, სამართალდამცველებმა დანაშაული გახსნეს – ჯგუფებად გაფანტული საქონლის კვალს სოფლის ტყეში მიაგნეს.

ძროხების დევნაში ღამენათევმა სამართალდამცველებმა ნაპოვნი საქონელი პატრონებს დილით ჩააბარეს.

ერთი სიტყვით, გაუთვალისწინებელი სპეცოპერაციისას საქონლის გატაცების ვერსია გამოირიცხა. როგორც აღმოჩნდა, დამნაშავე მწყემსს პასუხსაგები პოსტი თვითნებურად მიუტოვებია და დასასვენებლად სახლში დაბრუნებულა. უპატრონოდ დარჩენილ საქონელს კი პანკისის ტყეში გზა არევია და გაფანტულა.

**"არანაირი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ საქონელი გაიტაცეს და ყაჩაღობა მოხდა, არ არსებობს. ახლა პანკისის ხეობაში ყაჩაღობას ვერავინ გაბედავს",** - გვითხრა ახმეტის რაიონის პოლიციის უფროსმა ავთანდილ თურქიაშვილმა.

## კურიოზი

# სასამართლო გარჩევა მეგობრებს შორის

ხათუნა ჯანგირაშვილი

"მიესაჯოს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა", - ასეთი განაჩენი გამოუტანა მართლმსაჯულებამ მეგობრის სახლის მძარცველს ვაჟა ღუნაშვილს. მეგობრებს შორის მომხდარი კურიოზული ამბავი მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ ლმობიერი ვერდიქტით დაასრულა.

ეს ამბავი კი ასე დაიწყო: ერთ მშვენიერ დილას, კარგ ხასიათზე გაღვიძებულ ვაჟა ღუნაშვილს ალკოჰოლური სასმელის დალევა მოუნდა და თანამესუფრეც განწყობის მიხედვით ამოარჩია. გაიხსენა დიდი ხნის უნახავი და მონატრებული ძველი მეგობარი ქრისტეფორე მურადოვი და თავისი საჭმელ-სასმელით სახლში მიაკითხა. მეგობრის ნახვით გახარებულმა მურადოვმა სტუმარი სახლის სარდაფში მიიპატიჟა საქეიფოდ. ხანგრძლივი საუბრისა და სმის შემდეგ მასპინძელს ძილი მოერია და იქვე, სარდაფში წამოწვა. ვაჟა ღუნაშვილს მობეზრდა მეგობრის სარდაფში თანამოსუფრის გარეშე ყოფნა. მძინარე მასპინძელს შარვლის ჯიბიდან სახლის გასაღები ამოაცალა და იქ გადაინაცვლა. გამოღვიძებულ ქრისტეფორე მურადოვს სარდაფში აღარავინ დახვდა, სახლში ასულს კი – აღარაფერი.

სტუმრად სიამტკბილობით მისულმა მეგობარმა რამდენიმე საათის განმავლობაში "იმუშავა" მურადოვის ბინაში და მისი თითქმის მთლიანად "დაცლაც" მოახერხა. თუმცა, მოპარული მტვერსასრუტი, ორი სავარძელი, ერთი სკამი, აუდიომაგნიტოფონი "კომეტა", სხვადასხვა ზომის ჭიქები, სამი საყვავილე "მადონა" (ეს იმ ნივთების არასრული ჩამონათვალია, რისი გატანაც ღუნაშვილმა მურადოვის ბინიდან მოახერხა) პატრონს ცოტა ხანში დაუბრუნდა. ცხელ კვალზე დაკავებულმა ვაჟა ღუნაშვილმა დანაშაული აღიარა. სასამართლო პროცესზე კი დანაშაულის ჩადენის მიზეზად საკუთარი არასახარბიელო მდგომარეობა – ეკონომიკური სიდუხჭირე და უმუშევრობა დაასახელა. მეგობრის გამძარცველს, მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

# ორი პიროვნება დაჭრეს

თამარ კაციტაძე

სამი დღის წინ, დაახლოებით ექვსის ნახევარზე, ჭიათურაში, ნინოშვილის ქუჩაზე არსებულ სკვერში ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა უცნობმა პიროვნებამ ჯონდო ზეინკლიშვილი და გოჩა ტაბატაძე დაცხრილა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

როგორც ჭიათურის პროკურორმა ალეკო ცუცქირიძემ გვითხრა, ზეინკლიშვილი და ტაბატაძე სკვერში ისხდნენ და საუბრობდნენ. ამ დროს სკვერს თეთრი ფერის "ნივა" მიუახლოვდა, საიდანაც ჯერჯერობით გამოძიებისთვის დაუდგენელი პიროვნება გადმოვიდა, მიუახლოვდა მეგობრებს, რამდენიმე წუთით გაესაუბრა მათ და შემდეგ ცეცხლი გაუხსნა.

მიღებული ინფორმაციისთანავე ჭიათურაში შესასვლელი და გამოსასვლელი გზები გადაიკეტა. იქაურ სამართალდამცველებს დამნაშავის შესახებ, სავარაუდოდ, ინფორმაცია გააჩნიათ, მაგრამ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით მის ვინაობას არ ასახელებენ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით კი, დაჭრილებიც და დამჭრელიც ე.წ. შავი სამყაროს წარმომადგენლები არიან და მათ შორის გარკვეულ საკითხებზე დავა დიდი ხანია, გრძელდებოდა. ზეინკლიშვილი და ტაბატაძე ქალაქის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მათ ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ექიმებმა ზეინკლიშვილის გადარჩენა ვეღარ მოახერხეს.

დამნაშავეს პოლიცია დღესაც ეძებს. არადა, მისი დაპატიმრება სამართალდამცველებს არ უნდა გაჭირვებოდათ, რადგან დანაშაულის ჩადენის დროს მას სახეზე ნიღაბი არ ეკეთა და მისი ამოცნობა იმჟამად სკვერში მყოფ საკმაოდ ბევრ პიროვნებას შეეძლო.

# ევროპა და ამერიკა: რამდენად ერთიანია დასავლეთი?

პირველი გვერდიდან

## ძველი და ახალი სამყარო: აზრთა სხვაობა

11 სექტემბრის მოვლენების ფონზე გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა მიმართ ამერიკელებსა და ევროპელებს შორის აზრთა სხვაობა არსებობს.

დავიწყოთ შიდა პოლიტიკით. 11 სექტემბრის შემდეგ ევროპის მოსახლეობამ ამერიკას თანადგომა გამოუცხადა და ანტიტერორისტულ ღონისძიებებსაც მიესალმა. თუმცა, ევროპელებში ტერორიზმთან ბრძოლის ჟინი არც ისე ძლიერი ყოფილა, როგორც ეს ამერიკაში იყო. ევროპის მთავრობებმა საკუთარ პარლამენტებში "კბილებით გაიტანეს" ავღანეთში აშშ-ის ოპერაციის მხარდაჭერის გადაწყვეტილება. დრო გავიდა და ევროპელების „საომარი შემართება" კიდევ უფრო დაცხრა. აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუში - უმცროსის საჯარო გამოსვლებს, როცა იგი ბოროტსა და კეთილს შორის გადამწყვეტ ბრძოლაზე საუბრობს, ევროპაში ირონიით აღიქვამენ. „ტეხასელი კოვბოი", "ამერიკელი რემბო" - ასე მოიხსენიებს მას ევროპული პრესა. აქაური დემოკრატიული სისტემებისათვის უცხოა ის მარტივი სტილი, რომლითაც ამერიკელი პოლიტიკოსები საკუთარ მოსახლეობას ესაუბრებიან. ამერიკული დემოკრატია პოპულისტურია. ამერიკელი პოლიტიკოსები საკუთარ მოსახლეობას აწვდიან პრობლემების გადაწყვეტის მარტივ ფორმულებს: ის ცუდია და ეს – კარგი. ევროპისთვის კი ამგვარი ზედაპირულობა უცხოა. ამერიკული დემოკრატია ბევრად უფრო პერსონიფიცირებულია, ვიდრე ევროპული. ამერიკაში პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების დეტალები საჯარო განხილვის თემაა. ევროპაში კი პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, პოლიტიკოსი, ძირითადად, საკუთარი პროფესიული მოღვაწეობის მიხედვით ფასდება. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მისი პირადი ცხოვრება არავის აინტერესებს, ან პიროვნული მორალი ნაკლებად მნიშვნელოვანია. უბრალოდ, გერმანიის კანცლერს არავინ დააყვედრის, რომ იგი მეოთხე ცოლთან ცხოვრობს; საფრანგეთში არავის გაუკვირდება, რომ პრეზიდენტს საყვარელი ჰყავს, ხოლო ბერლინის მერი არც ცდილობს, რომ საკუთარი ჰომოსექსუალისტობა დამალოს.

ამერიკელები საკუთარი ქვეყნის ძლიერებით ამაყობენ. მათ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიც სწორედ ამ კუთხით აინტერესებთ, თორემ ბევრმა წესიერად ისიც კი არ იცის, რამდენი კონტინენტია დედამიწაზე. ამერიკაში თავდაცვაზე ასეული მილიარდობით დოლარი იხარჯება. სამაგიეროდ, სოციალური, ჯანდაცვის და განათლების სისტემები თითქმის "ველური კაპიტალიზმის" პირობებშია. ევროპაში კი სოციალური თანასწორობა უმთავრეს პრიორიტეტადაა მიჩნეული. აქაურ საბაზრო ეკონომიკას "სოციალურად ორიენტირებულს" უწოდებენ. თავდაცვის ბიუჯეტის ნებისმიერი ზრდა ევროპაში მშვიდობისმოყვარეთა საპროტესტო გამოსვლებს იწვევს. ევროპაში ჯერ კიდევ მწარედ ახსოვთ მსოფლიო ომების მძიმე შედეგები და საკუთარი ჯარისკაცების ახალ ომებში გაშვება აღარ სურთ.

11 სექტემბრის შემდეგ ევროპელებსა და ამერიკელებს შორის ყველაზე დიდი აზრთა სხვაობა გამოიწვია ერაყის თემამ. ვაშინგტონი სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობას ემხრობა და, ამ მიზნით, სამხედრო ინტერვენციასაც არ გამორიცხავს. ევროპაში ამ საკითხს სხვაგვარად უყურებენ. ამერიკელთა ერთგული მოკავშირე ბრიტანეთიც კი თავშეკავებას ამჯობინებს. დანიის ქალაქ ჰელსინგიორში ახლახან გამართულ, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების არაოფიციალურ შეხვედრაზე ცალსახად ითქვა, რომ ევროპელები სამხედრო ინტერვენციას დიპლომატიურ ღონისძიებებს ამჯობინებენ და ერაყის საკითხში გადამწყვეტ მნიშვნელობას გაერო-ს ანიჭებენ. ევროპელები ბაღდადში გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა დაბრუნებას მოითხოვენ, რომლებიც ერაყის დიქტატორულმა რეჟიმმა შპიონაჟის ბრალდებით 1998 წელს გააძევა ქვეყნიდან. ვაშინგტონისთვის კი ეს საკმარისი არ არის. ამერიკელებს ჰუსეინის ერთხელ და სამუდამოდ მოშორება სურთ. ევროპელები მოკავშირეს ინტერვენციის შესაძლო სახიფათო შედეგებზე მიუთითებენ, როგორიცაა არაბული სამყაროს დესტაბილიზაცია. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ევროპელების (განსაკუთრებით, გერმანელების) თავშეკავებულობას თავად ერაყის დიქტატორი მიესალმა. ამით შეშფოთებულმა გერმანელებმა - ვაშინგტონს ჩვენ პარტნიორობაში ეჭვი არ შეეპაროსო - მოსკოვში მყოფი ერაყის დელეგაციის ბერლინში მიღებაზე ცივი უარი განაცხადეს.

ევროპელები ერაყის თემას ახლო აღმოსავლეთის პრობლემატიკას უკავშირებენ. ისრაელ-არაბული სამყაროს კონფლიქტი ევროპელებისათვის რამდენიმე ფაქტორის გამოა მნიშვნელოვანი: პირველი - ახლო აღმოსავლეთი ევროპასთან გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობს; მეორე - ევროპულ ქვეყნებში მრავალრიცხოვანია მუსლიმანური (მათ შორის, არაბული) დიასპორა; მესამე - ისრაელთან ურთიერთობაში კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი ისტორიული მომენტი, როგორიცაა ევროპის უახლოეს წარსულში ებრაელთა გენოციდისა და ანტისემიტიზმის პრეცედენტები. ამრიგად, ახლო აღმოსავლეთს, ბალკანეთთან ერთად, უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში. ევროკავშირი კი, ამერიკელებისგან განსხვავებით, იძულებულია, უფრო მოქნილი პოლიტიკა გაატაროს და კონფლიქტის მხარეები საკუთარ ნეიტრალურობაში დაარწმუნოს. სწორედ ამ კუთხით აშფოთებს ევროპას ინტერვენციის საფრთხე ერაყში. მას არაბულ


ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი.

სამყაროსთან ურთიერთობების გართულებისა და ტერორისტული ორგანიზაციების გააქტიურების ეშინია.

ევროპელთა შეშფოთებას იწვევს ამერიკის სულ უფრო მზარდი უნილატერალიზმი, ანუ დამოუკიდებელი, პარტნიორებთან შეუთანხმებელი მოქმედება. მათთვის მიუღებელია ვაშინგტონის უარყოფითი დამოკიდებულება საერთაშორისო სისხლის სასამართლოს მიმართ. ევროპელთა ხედვით, ეს სასამართლო საერთაშორისო მშვიდობისა და სამართლიანობის ქვაკუთხედად უნდა იქცეს და ამერიკელთა პოზიცია, არ ცნოს მისი იურისდიქცია, მას, ფაქტობრივად, ძირს უთხრის. ახლა ევროპელი ექსპერტები, ამერიკელებთან ერთად, კომპრომისის დეტალებს ამუშავებენ და იმედოვნებენ, რომ სასამართლო მასზე დაკისრებულ ამოცანას - ებრძოლოს კაცობრიობის წინაშე დანაშაულს - თავს გაართმევს.

ასევე უარყოფითია ევროპელების პოზიცია აშშ-ის კიოტოს შეთანხმებიდან გამოსვლის მიმართ. ეს შეთანხმება ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გავრცელებას ზღუდავს. არადა, ამ აირის გამოყოფაში აშშ-ის ინდუსტრიაზე ლომის წილი მოდის და ვაშინგტონის მხრიდან შეთანხმების უგულებელყოფა კიოტოს პროტოკოლს აზრს უკარგავს. იოჰანესბურგის სამიტმა ამერიკელთა და ევროპელთა შორის აზრთა სხვაობა კიდევ ერთხელ დაადასტურა. როცა ევროპული სახელმწიფოების ლიდერებმა მსოფლიოს ქვეყნებს კიოტოს შეთანხმების დაუყოვნებელი რატიფიკაციისა და ამოქმედებისაკენ მოუწოდეს, აშშ-ის პრეზიდენტი იოჰანესბურგში საერთოდ არ ჩასულა.

### ამერიკა და ევროპა: იმპერია და პროვინცია

შეიძლება, ზოგს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ ევროპა უფრო ჰუმანურია, ხოლო ამერიკა უფრო იმპერიული. ევროპა საერთაშორისო სამართლიანობასა და საერთო კეთილდღეობაზე ზრუნავს, ხოლო ამერიკა სხვების დაუკითხავად და ძალის პოლიტიკით ახორციელებს საკუთარ ინტერესებს. ევროპა იდეალისტია, ხოლო ამერიკა - რეალისტი. არადა, მეორე მსოფლიო ომამდე ძველ და ახალ სამყაროს შორის როლები სხვაგვარად იყო განაწილებული. მეცხრამეტე საუკუნეში სწორედ ამერიკელები უცქერდნენ ეჭვის თვალით ევროპის ქვეყნების ძალთა ბალანსის პოლიტიკას და მსოფლიოში მშვიდობის იდეალისტურ კონცეფციებს ქადაგებდნენ. პირველ მსოფლიო ომში აშშ იმ მიზნით ჩაერთო, რომ (როგორც ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ვუდრო ვილსონმა თქვა) ამ ომით კაცობრიობის ყველა ომი დაესრულებინა. დღეს კი როლები აშკარად შეიცვალა: ახლა ახალი სამყარო ლიდერობს, ხოლო ძველი --ქადაგებს. როგორც ჩანს, მართებულია შენიშვნა, რომ იდეალიზმი უფრო სუსტების თვისებაა. ბრიტანულმა ჟურნალმა "ეკონომისტმა" ევროკავშირის პოლიტიკოსებს სარკაზმული ეპითეტი - "EU-ნუხები""(EU–ევროკავშირის ლათინური აბრევიატურაა) მოუძებნა, რითიც ევროპელთა უუნარობაზე მიგვანიშნა.

ევროპა, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების მონაწილე, ჯერაც სუსტია. იგი დღესაც ამერიკის ჰეგემონური მფარველობის ქვეშ იმყოფება. ევროპის ამერიკისაგან დამოუკიდებლობა მომავლის თემაა. ევროპის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (მათ შორის, ევროპის ერთიანი თავდაცვის პოლიტიკა) ჯერაც შენების პროცესშია. ამ კომპონენტების რეალური ჩამოყალიბების გარეშე ევროპელების სიტყვას ძალა არ ექნება. ევროპამ უნდა გაითავისოს, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკური აქტიურობის პირობებში მას ბევრ ისეთ საკითხზე მოუწევს პასუხისმგებლობის აღება, რისი სურვილიც დღემდე ნაკლებად ჰქონდა. თუ ევროპა ერთ დღეს მსოფლიოს ახალი ლიდერი გახდება, იგი ველარ დახუჭავს თვალს ცენტრალურ აზიაში, კავკასიაში, აფრიკასა თუ მსოფლიოს სხვა წერტილებში მიმდინარე პროცესებზე და მაშინ საკითხავია, რამდენად განსხვავებული იქნება თავისი ფორმით ევროპელთა პოლიტიკა ამერიკელების დღევანდელი ქმედებებისაგან?

### ევროპის დამოუკიდებლობა და დასავლეთის მომავალი

გამოიწვევს თუ არა ევროპელთა დამოუკიდებლობის გაზრდა დასავლეთის ერთიანობის რღვევას მომავალში? ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს, ალბათ, ვერავინ გასცემს. თუმცა, ამერიკაში უკვე შიშობენ, რომ საერთოევროპული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის წარმატებამ, შეიძლება, ნატო-ს ფუნქციების დუბლირება და ჩრდილოატლანტიკური თანამეგობრობის რღვევა გამოიწვიოს. საინტერესოა, რომ თავის დროზე საბჭოთა კავშირი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ევროგაერთიანების ფორმირებას და მასში ნატო-ს კონკურენტს ეძებდა.

დასავლეთის მონოლითური სურათი ცივი ომის პროდუქტია. დასავლეთ-აღმოსავლეთის მკვეთრი დიქოტომიაც იმ დროიდან მომდინარეობს. მაშინ დასავლეთის ბლოკს აშშ ედგა სათავეში, ხოლო აღმოსავლეთს - სსრკ. პირველი თავისუფალ სამყაროსთან ასოცირდებოდა, ხოლო მეორე - ბოროტების იმპერიასთან. ცივი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოს ახალი მოწყობის შესახებ სხვადასხვა აზრი გამოითქვა და სხვადასხვაგვარი მოდელი შემუშავდა. როცა ზოგი ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფზე საუბრობდა, სხვები ცივილიზაციათა შეჯახებას წინასწარმეტყველებდნენ. ზოგიერთი სახელგანთქმული ექსპერტის აზრით კი, ცივ ომს მე-19 საუკუნის მსგავს მრავალპოლუსურ მსოფლიოში დაბრუნება და ძალთა ბალანსის აღორძინება უნდა მოჰყოლოდა. აღმოსავლეთის ბლოკის დაშლა, მათი აზრით, დასავლეთის ალიანსის გაქრობას გამოიწვევდა. საბჭოთა კავშირის განეიტრალების მიზნით შექმნილი ნატო დაასრულებდა თავის არსებობას, ხოლო ევროგაერთიანება ვერ შეძლებდა პოლიტიკური ინტეგრაციის ეტაპზე გადასვლას და ეკონომიკური თანამშრომლობის სუსტ რეჟიმად დარჩებოდა.

ცივი ომის დასრულებიდან ათ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ დასავლური სამყაროს დაშლაზე საუბარი ნაადრევია. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ამერიკა-ევროპის თანამშრომლობის ხერხემლად და ევროატლანტიკური უსაფრთხოების ცენტრალურ ელემენტად რჩება. იგი, ევროკავშირთან ერთად, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ჩატეხილი ხიდის გამთელებას ცდილობს. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ნატოსა და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების პროცესია. ამერიკისა და ევროპის ერთიანობის მთავარი საფუძველი ფასეულობათა ერთიანი სამყაროა. ესაა პიროვნულ თავისუფლებაზე აგებული კონცეფცია, რომელიც მნიშვნელოვანწილად ქრისტიანული ტრადიციიდან იღებს სათავეს. მარტივად რომ ვთქვათ, ესაა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა და ლიბერალური ეკონომიკური სისტემა, რაც ამერიკასა და ევროპაში, ცალკეული თავისებურებების მიუხედავად, მყარადაა ფესვგადგმული. ფასეულობათა ეს მყარი საფუძველი იძლევა გარანტიას, რომ ევროპის ამერიკული მეურვეობისაგან გათავისუფლება ავტომატურად არ გამოიწვევს მათ შორის მეტოქეობას.

■ ■ ■

ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპას შორის თანამშრომლობა ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ საძირკველზეა აგებული. ეს საძირკველი ქმნის დასავლეთის ერთიანობის გარანტიას. ჩრდილოატლანტიკური ერთიანობა არ ნიშნავს მონოლითურობას და იმას, რომ დასავლეთს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ერთიანი ინტერესები აქვს და ერთიან პოლიტიკას ახორციელებს. შესაბამისად, არაა აუცილებელი, რომ იმავე კავკასიის რეგიონში ამერიკელებსა და ევროპელებს საერთო ინტერესები ამოძრავებდეთ. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო, ალბათ, დასავლეთის ურთიერთობაა ირანთან. როცა ვაშინგტონი თეირანს ბოროტების ალიანსის რიგებში ასახელებს, ევროპა ირანთან ეკონომიკურ თანამშრომლობას ავითარებს. თავად ევროკავშირის შიგნით წარმოდგენილია 15 სხვადასხვა ქვეყნის ინტერესი, რაც აყოვნებს ევროპის ერთიან პოლიტიკურ მოქმედ პირად ჩამოყალიბების პროცესს. ამგვარად, დასავლეთის მონოლითურ სხეულად დანახვა ისევე გადაჭარბებულია, როგორც ამერიკელებსა და ევროპელებს შორის სამომავლო მეტოქეობის პროგნოზირება. დასავლეთის შიგნით არსებული სხვაობების დანახვა აუცილებელია რეალური პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებისათვის, მით უფრო ისეთი ქვეყნის შემთხვევაში, რომელიც დასავლეთის დახმარებაზეა დამოკიდებული და დასავლეთთან ინტეგრაციას საკუთარ სტრატეგიულ მიზნად ასახელებს.

# გენადი ზიუგანოვი: ამერიკაში ნუ ეძებთ გამოსავალს!

რუსუდან ნიკურაძე

საქ. კორ. მოსკოვში

**"რუსეთი ოლიგარქებისა და კრიმინალების ხელში მოექცა, ხოლო კრემლი - წყვდიადში, მოსკოვის გარეუბანი იწვის და პუტინის ხელისუფლებას ცეცხლის ჩაქრობის თავიც არ აქვს,"** - ამ სიტყვებით დაიწყო თავისი პირველი საშემოდგომო პრეს-კონფერენცია რუსეთის მთავარმა კომუნისტმა გენადი ზიუგანოვმა. იგი რამდენიმე დღეა, კრასნოიარსკიდან დაბრუნდა, სადაც დაღუპული გუბერნატორის - ალექსანდრ ლებედის შემცვლელის არჩევნებში რუსეთის პატრიოტული ძალების კანდიდატურის - სერგეი გლაზევის მხარდასაჭერად იმყოფებოდა. ზიუგანოვი ციმბირში მოგზაურობის შთაბეჭდილებას შემდეგი ფრაზით გადმოსცემს: **"რუსეთ-ამერიკის ინტერესები დღეს კრასნოიარსკშიც გადაიკვეთა, სადაც ამერიკის კოსმოპოლიტური კაპიტალით ნაყიდი ხლაპონინის კანდიდატურას კრემლი მხარს უჭერს".**

**"აშშ-ს აგენტი, ოლიგარქი ხლაპონინი, რომელმაც ტაიმირის გუბერნატორობისას ნახევარი ციმბირი გაყიდა, ახლა კრასნოიარსკს უმიზნებს და მას კრემლიც მხარს უჭერს,"** - განაცხადა გენადი ზიუგანოვმა და ამ განუკითხაობაში პირადად რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ვლადიმერ რუშაილო დაადანაშაულა. ზიუგანოვს ხელთ აქვს რუშაილოს ციმბირში მოგზაურობის ნამდვილი მიზნების შემცველი უტყუარი მასალა, რაც იმის თქმის უფლებასაც აძლევს, რომ ვლადიმირ პუტინს ციმბირის სიმდიდრეთა განაწილებაში უკვე კრემლის „ოჯახი" აღარ ენდობა, აღარ ენდობიან ოლიგარქები, აღარ ემორჩილება ციმბირიც, სადაც ოლიგარქია და კრიმინალი ერთმანეთს შეეზარდა, ამიტომ ამ უმდიდრესი რეგიონის გასაძარცვად ახლა რუშაილო და მისი კრიმინალური ბანდა მიავლინეს, - ამტკიცებს ზიუგანოვი. მისივე მონაცემებით, ბორის ბერეზოვსკიმ მილიონობით დოლარი გადიხადა ხლაპონინის საარჩევნო კამპანიაში. ამავე სურათთან გვაქვს საქმე რუსეთ-ბელორუსის კავშირის რღვევის დაწყებულ პროცესში, რაშიც, ზიუგანოვის თქმით, **"აშშ აქტიურად იყენებს მემარჯვენეთა ერთ-ერთ ლიდერს - ბორის ნემცოვს",** რომლის სატელეფონო საუბრის ჩანაწერები უკვე გამოაქვეყნა „ზავტრამ" და „სოვეტსკაია გაზეტამ". რუსეთის კომუნისტთა ლიდერი დარწმუნებულია, რომ ბელორუსთან კავშირის მოშლით რუსეთის ნაციონალურ ინტერესებს დიდი ზარალი მიადგება. ზიუგანოვი ამტკიცებს, რომ ამაში, პირველ რიგში, სწორედ ამერიკაა დაინტერესებული.

რაც შეეხება მოსკოვის მიდამოებში დაწყებულ ნამდვილ ეკოლოგიურ კატასტროფას, ზიუგანოვი ამაშიც კრემლს ადანაშაულებს, სპეციალური ტექნიკის არქონის გამო. **"ნორმალური ვერტმფრენები რომ გვქონდეს, დღეს ჩეჩნეთში მწყობრიდან გამოსულ ტექნიკას არ გავაგზავნიდით, - ამბობს ზიუგანოვი, - მოსკოვის 17-მილიონიანი მოსახლეობა ყლაპავს ამ შხამიან კვამლს და კრემლს შეჰყურებს, რომელიც წყვდიადშია. ნამდვილი წყვდიადი კი ჩვენს ტვინებშია."** ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რას აპირებენ კომუნისტები, ზიუგანოვმა არ დამალა, რომ ისინი ბიუჯეტს ხმას არ მისცემენ და ოქტომბრიდან საპროტესტო აქციებს გამართავენ.

„ნიუ-იორკ თაიმსის" კორესპონდენტმა ზიუგანოვს ჰკითხა, თუ რატომ აქვს ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება ამერიკისადმი. **"ბუშს სურს, მსოფლიოს პატრონი გახდეს, მისი ადმინისტრაცია კი ეგოიზმის პოლიტიკას ატარებს, კიოტოს ხელშეკრულებაზე ხელმოუწერლობის შედეგებსაც მალე მოვიმკით,"** - უპასუხა ზიუგანოვმა. იგი დარწმუნებულია, რომ არავითარ ბინ ლადენთან არ გვაქვს საქმე, უბრალოდ, 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი ამერიკაში ორი კლანის - ახალი და ძველი იმპერიალიზმის შეტაკების შედეგია. ჟურნალისტებმა ზიუგანოვს სთხოვეს, შევარდნაძე-ბეიკერის ხელშეკრულებაზეც გამოეთქვა აზრი. მისი თქმით, შევარდნაძეს რუსეთის ეროვნული ინტერესების დარღვევის არავითარი უფლება არ ჰქონდა, ამიტომ ეს დოკუმენტი არალეგიტიმურია. **"ჩვენ ეს ტერიტორია საერთაშორისო სამართლის დონეზე უნდა დავიბრუნოთ,"** - ამბობს ზიუგანოვი.

პრესკონფერენციის ბოლოს ზიუგანოვმა ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა „24 საათს"

**- გაზეთი „იზვესტია" 5 სექტემბრის ნომერში აქვეყნებს მორიგ ვრცელ ინტერვიუს იგორ გიორგაძესთან. რა აზრის ხართ იმაზე, რასაც გიორგაძე ამბობს და როგორ ფიქრობთ, ვინმე დაუჭერს დღეს მას**


გენადი ზიუგანოვი

**მხარს რუსეთში ან საქართველოში?**

- მე ყურადღებით წავიკითხე ეს მასალა და მინდა, გითხრათ, რომ იგორ გიორგაძე პროფესიონალურად მაღალ დონეზე მომზადებული, დიდად გონიერი ადამიანია, უმდიდრესი გამოცდილება გააჩნია და თანაც საქართველოს გულშემატკივარია. მე, საერთოდ, მიმაჩნია, რომ იგი თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტია. ამიტომ ასეთ ადამიანს მხარს მხოლოდ პატრიოტები უჭერენ.

**- საქართველოს ხელისუფლების მთავარი პრეტენზია ისაა, რომ რუსეთი დღეს ხელს აფარებს გიორგაძეს.**

- რას ნიშნავს, რუსეთი ხელს აფარებს?! ისეთი რა დანაშაული ჩაიდინა გიორგაძემ? დღეს რუსეთის ტერიტორიას საქართველოს მოსახლეობის ნახევარი აფარებს თავს. სომხეთიდან რამდენია, დათვალეთ.

**- გიორგაძეს საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმაში ედება ბრალი.**

- თუ აქვს საქართველოს ხელისუფლებას ამის დამამტკიცებელი საბუთი, რატომ დღემდე არ წარმოგვიდგინა? მთელი უბედურება ისაა, რომ შევარდნაძეს არ გააჩნია გიორგაძის მამხილებელი არანაირი საბუთი. წარმოადგინოს და დავუჯერებთ!

**- პანკისის ხეობის მოვლენების ირგვლივ როგორი მოსაზრება გაქვთ?**

- პანკისში, ბანდიტების წინააღმდეგ, რუსეთთან ერთად ბრძოლაა საჭირო. როგორმე უნდა მოილაპარაკონ ამაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, აქედან არაფერი გამოვა, რადგან მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება დღეს ასრულებს აშშ-ს მითითებებს და შეკვეთას, როგორმე გაამწვავოს ურთიერთობა რუსეთთან. გარწმუნებთ, ვაშინგტონამდე თითქმის 8 ათასი კილომეტრია, ჩრდილო კავკასია კი უფრო ახლოა. საქართველო ვალდებულია, მეზობლებთან მშვიდობიანად იცხოვროს. როგორც საქართველო-რუსეთის თანამეზობლობის ათასწლოვანი ისტორია გვიჩვენებს, რუსეთის გავლენის გარეშე, იქ მშვიდობა არასოდეს დამყარდება. ამერიკაში ნუ ეძებთ გამოსავალს! არ არის იქ თქვენი ისტორია!

# ეკონომიკური სკანდალი პოლიტიკური ქვეტექსტით

## შევარდნაძე-ბეიკერის შეთანხმება გადარჩა: სენატორებს და მეთევზეებს კომპენსაციით დააწყნარებენ

რუსუდან ნიკურაძე

საქ.კორ.მოსკოვში

რუსეთის პარლამენტის ზედა პალატამ ბერინგისა და ჩუკოტკის საზღვაო სივრცის გამიჯვნაზე შევარდნაძე–ბეიკერის შეთანხმების საკითხის განხილვა 20 სექტემბრის დილის სხდომის პირველ პუნქტად შეიტანა. სენატის საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ფედერაციათა საბჭოს ჩრდილოეთისა და მცირე ხალხების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრ ნაზაროვმა ჟურნალისტებს განუცხადა: **"მე არ ვეთანხმები ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსისი გამონათქვამს, რითიც 12 წლის წინანადელი შეთანხმების გახსენებაში დაგვადანაშაულეს. ამ თემას რეგულარულად განიხილავდნენ ისინი, ვისთვისაც რუსეთის ნაციონალური ინტერესები სულერთი არ არის".**

როგორც ირკვევა, ბატონი ნაზაროვი წლების მანძილზე ჩუკოტკის ოლქის გუბერნატორი იყო და თავად დარწმუნდა, თუ რა დანაკარგებთან ჰქონდათ საქმე რუს მეთევზეებს შევარდნაძე-ბეიკერის შეთანხმების ამოქმედებით.

შევარდნაძე-ბეიკერის შეთანხმების მიზეზით, ნაზაროვის თქმით, რუსეთის თევზის მეურნეობამ რამდენიმე მილიონიანი ზარალი ნახა. ნაზაროვმა რუსეთის გენერალურ პროკურატურაში უკვე გაგზავნა საპარლამენტო მოთხოვნა, რათა დადგინდეს, ჩაითვლება თუ არა რუსეთის ნაციონალური ინტერესების შემლახველი შევარდნაძე-ბეიკერის შეთანხმება მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი მოვალეობის გადაჭარბებად.

რუსეთის ფედერაციათა საბჭოში დაგეგმილ 20 სექტემბრის სხდომაზე მოწვეულნი არიან რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მოსკოვში აშშ საელჩოსა და სახელმწიფო დუმის წარმომადგენლები, ოფიციალური მოწვევა გაიგზავნა ამერიკის სენატშიც.

რუსმა სენატორებმა 6 სექტემბრის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, საგანგებო წერილით მიმართონ რუსეთის პრეზიდენტსაც იმ შემთხვევაში, თუკი საგარეო საქმეთა სამინისტრო და შესაბამისი სამინისტროები, პროკურატურის ჩათვლით, ამ სადაო საკითხს სინათლეს ვერ მოჰფენენ. რუსმა სენატორებმა სპეციალური წერილი უკვე გაუგზავნეს ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ უწყებას, საიდანაც 6 სექტემბერს რუსეთის სენატში მოვიდა რუსეთ-აშშ შეთანხმების ტექსტის პროექტი, რომლის მიხედვითაც შევარდნაძე-ბეიკერის შეთანხმებით რუსეთის კუთვნილ საზღვაო აკვატორიაში რუსეთის თევზის მრეწველობისათვის მიყენებული ეკონომიკური და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად, ამერიკის მხარე მზადაა, რუს მეთევზეებს შთამბეჭდავი კომპენსაცია გადაუხადოს.

ალექსანდრ იაკოვენკოს განცხადების თანახმად, **"1997 წელს რუსეთის ხელისუფლების საექსპერტო საბჭომ შეთანხმების ექსპერტიზა ჩაატარა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი მთლიანად პასუხობს რუსეთის ინტერესებს. ამიტომ მიზანშეწონილად ჩაითვალა მისი დროებითი გამოყენება სპეციალურ რაიონებში სადავო საკითხებზე მოლაპარაკებების დასრულებამდე."** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მიანიშნებს, რომ მოლაპარაკებები ეხება, პირველ რიგში, რუსი მეთევზეებისათვის კომპენსაციის გადაცემას. ამერიკის მხარეს უკვე გადაეცა სპეციალური შეთანხმების რუსული პროექტი, რომლის განხილვასაც სექტემბერში, თევზის მეურნეობის სამთავრობათაშორისი კონსტულტაციების 23-ე სესიაზე აპირებენ.

ძნელი სათქმელია, რამდენად დააკმაყოფილებს რუს პარლამენტარებს საგარეო საქმეთა სამინისტროს ასეთი პოზიცია. არის ინფორმაცია, რომ გენერალურ პროკურატურასაც გაუჭირდება მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის დამნაშავეობრივ მოღვაწეობაზე სანქციის გაცემა. ექსპერტები აცხადებენ, რომ, სოლიდური კომპენსაციის გაცემით, აშშ მოდავეებს დააშოშმინებს, თუმცა, პირადად შევარდნაძის ფაქტორმა, შეიძლება, ამ წმინდა ეკონომიკური ხასიათის სკანდალს პოლიტიკური დატვირთვაც მისცეს.

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# უნდა მოიძებნოს საერთო ენა, საქმის კეთების ენა...

მაია ჭალაგანიძე

*მამამ ჩაი არჩია, შვილმა - ყავა.*

*მამა ამ ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას აგვარებს - საქართველოს ელჩია დასავლეთში, შვილი - ოპოზიციური პარტიიდან ცდილობს შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორებას.*

*თბილისში ერთად ისინი უკვე წელიწადნახევარია, არ ყოფილან. ეს დრო საგარეო პოლიტიკისთვის არა, მაგრამ შინაური ამბებისთვის ძალზე დინამიური და მრავალფეროვანი გამოდგა. მამის არყოფნისას შვილი ოპოზიციური პარტიის წევრი გახდა, თუმცა, რადგანაც ორივე მყარი ევროპული ორიენტაციისა არიან, ოჯახში სკანდალი ნამდვილად არ მომხდარა.*

*საქართველოს ელჩი გერმანიასა და პოლონეთში კოტე გაბაშვილი და მისი ვაჟი, გაერთიანებული დემოკრატების აღმასრულებელი მდივანი, გოკა გაბაშვილი - სექტემბრის დასაწყისში გვესტუმრნენ. ყოფილ პედაგოგთან, რა თქმა უნდა, განათლების პრობლემებით დავიწყეთ საუბარი.*

**კოტე გაბაშვილი:** პედაგოგი, ერთდროულად, მსახიობი, ფსიქოლოგი, კომუნიკაციის სპეციალისტია, დიპლომატია კი ამ ყველაფერს პლუს პოლიტიკაა. პედაგოგობა ჩემი ყველაზე საყვარელი საქმეა. არა მგონია, ამქვეყნად იყოს უფრო სასიამოვნო და კეთილშობილური რამ, ვიდრე ახალგაზრდებთან პირადი ურთიერთობაა.

ვმოღვაწეობდი იმ სკოლაში, რომელსაც გერმანული ერქვა, მაგრამ, სინამდვილეში, ის ძალზე ქართული იყო. უბრალოდ, გერმანულს კარგად ასწავლიდნენ. სკოლის პრინციპებში ენათა და კულტურათა ურთიერთობების კონცეფცია იყო ჩადებული. მაშინ ეს განსაკუთრებულ სიახლედ აღიქმებოდა. ჩვენ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით და რუსულ ენას დიდი გავლენა ჰქონდა. ჩვენი ამოცანა იყო, ქართველი ბავშვები ორენოვნებისგან, იმპერიული ლინგვისტური ზეწოლისგან გაგვეთავისუფლებინა და თან ისე, რომ მათი ფსიქიკა არ დაზიანებულიყო. ეს არ იყო ადვილი.

***- საბჭოთა სკოლის სტერეოტიპს ანგრევდით. ალბათ, კურიოზებამდე მისული წინააღმდეგობებიც შეგხვდათ.***

- სკოლა 1982 წელს გავხსენით. ტეკაში (კომპარტიის ქალაქკომი) დამიბარეს, მეუბნებიან - სოციალიზმისთვის საჭირო ბავშვებს არ ზრდითო. მახსოვს, ჩხუბამდე მივიდა საქმე. 1985 წელს "კაგებე" მოვიდა სკოლაში - თქვენ აქ თეოლოგიას (მითოლოგიაში აერიათ) ასწავლითო... სხვა სკოლას ვიყავით შეკედლებული და როგორც აღმოჩნდა, იქაურმა პარტკომმა გვიჩივლა - ბავშვებს რყვნიანო... შევიდა "კაგებე" საკლასო ოთახში. დაფაზე დაწერილი იყო მითოლოგიის გაკვეთილი - ზევსი-ზეღმერთი... და ა.შ. მაგრამ, ყველაფერი წაშლილი იყო სიტყვა "ღმერთის" გარდა. აი, ღმერთი გიწერიათ დაფაზეო - ერთი ამბავი ატყდა. მახსოვს, ყველამ რაღაც მოვიძიეთ - ზოგმა რუსული ლიტერატურიდან - იმის დასტურად, რომ საბჭოთა რუსეთშიც კი ასწავლიდნენ მითოლოგიას, მარქსის ციტატებიც ვიპოვეთ... და ა.შ. ყელსახვევებს ჩვენი ფულით ვყიდულობდით და კომისიის მოსვლის დღეს ბავშვებს ვურიგებდით...

დღეს იმ სისტემის 11 სკოლაა საქართველოში. მათ შორის, ახალციხეში, თელავში, 9 სკოლა თბილისშია. საკავშირო განათლების მინისტრი ჩამოვიდა თბილისში და ჩვენს სკოლაში მოიყვანეს. შევიდა რუსულის გაკვეთილებზე - ერთ კლასში პასტერნაკს სწავლობდნენ, მეორეში - მანდელშტამს. ისტორიის გაკვეთილზე შევიდა და პედაგოგი მაინცდამაინც იმ დღეს აცნობდა ბავშვებს კლუჩევსკის აზრებს. გადარეული წავიდა, თვითონ ორიოდე წლის წინ ჰქონდა წაკითხული კლუჩევსკი... შესადარებლად ვიტყვი - ბავშვები ქართულ ენაში ამ დროს იოანე მიჩხის პოეზიას სწავლობდნენ, შესაქმესა და ახალ აღქმას ეზიარებოდნენ...

***- შეძლებთ, ასეთივე გატაცებით ისაუბროთ საქართველოს განათლების დღევანდელ სისტემაზე?***

- მეჩვენება, რომ პიროვნულმა დაპირისპირებებმა, სამწუხაროდ, გადააჭარბა დასაშვებ ზღვარს. ვერ წარმომიდგენია, რატომ ედავება მალღაფერიძე კარტოზიას. ჩვენ ერთად, ერთი სულისკვეთებით ვმუშაობდით. ისინი ჩემი მეგობრები არიან. ვისურვებდი, რომ მათ, ვინც წინ დგას ამ დაპირისპირებაში, გადადონ ყველაფერი და იფიქრონ იმაზე, რომ ქართულ განათლებას ძალზე ბევრი მუშაობა და ზრუნვა სჭირდება. არ მაინტერესებს, ვინ ვის უპირისპირდება. მაინტერესებს ის, რომ კარგი პედაგოგი შევიდეს გაკვეთილზე და ხარისხიანი გაკვეთილი ჩაატაროს.

სკოლა სავალალო დღეში, უპირველესად, ეკონომიკურადაა. ის საბიუჯეტო სახსრები, რაც განათლებაზეა გამოყოფილი, ყოველგვარი კრიტიკის მიღმაა. ღატაკ ქვეყნებშიც კი განათლებაზე უფრო მეტს ხარჯავს სახელმწიფო, ვიდრე ჩვენთან.

როგორც ჩანს ადგილობრივი მმართველობა ძალზე დაბალი ინტელექტუალური დონით გამოირჩევა. გამგებლებს, საკრებულოს არ ადარდებთ ის, რომ მასწავლებელი, რომელიც "გადამწყვეტი ინტელიგენტია" ქვეყანაში - დაკნინებულია. განათლება ისეთი სისტემაა, სადაც ყველაზე მეტი ხალხია ჩართული, მასთან შეხება ყოველ ოჯახს აქვს. მასწავლებლის სტატუსი დაფასებული უნდა იყოს. მასწავლებლის გარკვეული დონის ქვევით ჩამოყვანა არ შეიძლება. წიგნიერი და კულტურული ადამიანის მოდელი არ შეიძლება, დაიკარგოს.

ჩვენი 200 წლის ოცნება შესრულდა - ჩვენი თავი თითქმის ჩვენადვე გვეყუდნის... მივხედოთ თავს. უნდა მოიძებნოს საერთო ენა, საქმის კეთების ენა.

***- თქვენთან როგორ არის? შვილი - ოპოზიციაში, მამა - ხელისუფლების წარმომადგენელი...***

- ჩვენ ეს ენა არ დაგვიკარგავს და არც მოძებნა გვჭირდება. შვილის შენიშვნებს ვითვალისწინებ და ვცდილობ, მეც მივცე რაღაც რჩევები. ვცდილობ, ავუხსნა მიზეზები, მოვლენები, რაც ხშირად ოპოზიციამაც არ იცის.

***- გოკა, რატომ გაერთიანდით პარტიაში. თქვენ ხომ არასდროს გქონიათ დამოუკიდებლად საკუთარი აზრის გამოთქმისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის დეფიციტი...***

- დაახლოებით, თვენახევრის წინ მეც ვფიქრობდი, ღირდა თუ არა ამ ნაბიჯის გადადგმა და შეიძლებოდა თუ არა, მე გადამედგა ეს ნაბიჯი. საზოგადოების ორ ნაწილად გაყოფის მომხრე არ ვარ, მაგრამ ვხედავ, რომ დღეს ორი ბანაკია. ერთი ფიქრობს, რომ ქვეყანა ევროპული, ცივილიზებული დემოკრატიის გზით უნდა წავიდეს; მეორეს კი საქართველო ერთი დიდი ფირმა ჰგონია, რომელიც ერთმა დირექტორატმა უნდა მართოს. რასაკვირველია, პარტიული ხაზით ასე გაყოფილი არ არის, რომ აქეთ ყველა კარგია და იქით - ყველა ცუდი. მაგრამ ამ ორ ბანაკს დღეს ვხედავ. ვერ დავრჩებოდი გულგრილი და ამიტომ შევედი პარტიაში.

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია დასავლეთის მხარდაჭერა, გარანტირებული უსაფრთხოება, მაგრამ ამ უსაფრთხოებაში შეიძლება არადემოკრატიული ქვეყანა იგულისხმებოდეს. არ მინდა, გვქონდეს მხარდაჭერა, ვიყოთ ცივილიზებულ ქვეყანათა ინტერესების სფეროში, მაგრამ პროვინციული მოდელის სახელმწიფოდ დავრჩეთ. ამის თავიდან აცილებას კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯები სჭირდება. ყველაზე მეტად კი ამის სურვილი იმ პოლიტიკურ გაერთიანებას აქვს, სადაც ვარ. ამიტომაც ჩავთვალე, რომ უნდა მივსულიყავი და აქტიურად ჩავრთულიყავი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

***- რას წარმოადგენენ სტრუქტურულად გაერთიანებული დემოკრატები?***

- პარტიის გენერალური ხაზი არ გვაქვს. სულ თვენახევრია, რაც შევიკრიბეთ და ვცდილობთ, დასავლური ტიპის ღია პარტია ვიყოთ. ეს არის სხვადასხვა ინტერესთა, მაგრამ ერთი მიმართულებით მოძრავი ჯგუფების გაერთიანება.

***- თქვენი პოლიტიკური ბრძოლის ხერხები...***

- არსებობს მხოლოდ ერთი ხერხი - არჩევნები. არჩევნებისთვის სერიოზული მზადებით უნდა მოხდეს ის, რომ ქვეყანაში გაიმარჯვოს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებამ და ეს გახდეს მმართველობის სტილი.

***- იგივე არჩევნებში თქვენმა ახალმა პარტნიორმა (იგულისხმება ირინა სარიშვილი) საშინელი მარცხი განიცადა.***

- რაც შეეხება პარტნიორებს... ეს არ არის პოლიტიკური პარტიების გაერთიანება, ან საარჩევნო ბლოკი და ა.შ. ზეპარტიულ საკითხზე (მაგალითად - განათლება, დეკრიმინალიზაცაია) - მნიშვნელობა არ აქვს ძალიან პრინციპულ განსხვავებებს ჩვენსა და ედპ-ს, ტრადიციონალისტებს შორის. ასევე არ აქვს მნიშვნელობა, პოლიტიკური ტერორისტი ვის დაემუქრება ლიკვიდაციით - მე თუ ჩემს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს.

კონსულტაციებისას დაისვა შეკითხვა - არის კიდევ რაიმე, რაც ზეპარტიულად შეიძლება მივიჩნიოთ? და აღმოჩნდა, რომ ედპ-სთვის, ტრადიციონალისტებისთვის ასეთი საკითხი არის კონსტიტუციური მოწყობა, საგარეო პოლიტიკა... 19 აგვისტოს სამი ორგანიზაცია გაერთიანდა. შეიძლება დადგეს საკითხი, სადაც 4 ან 2 გაერთიანდება; შეიძლება რაღაც საკითხზე მარტოც დავრჩეთ და ეს ბუნებრივი პროცესია.

ოპოზიციონერობა თვითმიზანი არ არის - ვთქვათ, როცა საუბარია წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაზე. ოპოზიციის ფუნქციაა, ხელისუფლება მიმართოს იქითკენ, საითაც თვითონ მიაჩნია სწორად. ოპოზიციას უნდა ეყოს ნება და იმ საკითხებზე მოახდინოს კონცენტრაცია, რომელმაც მართლა უნდა განსაზღვროს, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის, თუ არა...

***- ახალ საარჩევნო კანონზე, სისტემაზე თუ ფიქრობს თქვენი პარტია?***

- ჩემთვის ერთნაირად ეროვნული საკითხია წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაც და დემოკრატიული არჩევნებიც. თუ გინდა, იყო დემოკრატიული ქვეყანა, არჩევნები აუცილებელია. მოდელი ისეთი უნდა გამოიძებნოს, რომ ყოველი არჩევნების მერე არ იყოს საუბარი გაყალბებაზე; ხოლო ვინც დამარცხდა, მივიდეს, მიულოცოს გამარჯვებულს და ოთხი წელი დაელოდოს...

**ბატონი კოტე:** რადგან მე ხელისუფლებას წარმოვადგენ, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ აღფრთოვანებული ვარ ყველაფრით, რასაც ხელისუფლება აკეთებს. პირიქით, მე რომ ხელისუფლების ნაკლზე დავიწყო საუბარი, შეიძლება ასჯერ უფრო კრიტიკული და მწვავე ვიყო. ძალიან არ მინდა, გავცდე ჩემს კომპეტენციას - ვარ ელჩი და ჩემი იდეალი დამოუკიდებელი საქართველოა. დამოუკიდებელი სახელმწიფო მხოლოდ დემოკრატიული, ევროპული ცხოვრების წესით შეიძლება, ჩამოყალიბდეს. ჩვენი ქვეყანა ოდესღაც ევროპის დარწეულ აკვანთან იდგა და 200 წლით რუსეთის იმპერიის სარდაფში გადაგვაგდეს. საკუთარი ნებით გადავდექი ქალაქის მერობიდან. მაშინ პრეზიდენტმა დამიბარა და გერმანიაში ელჩად გამიშვა - მაინც გიყვარს ევროპა და წადი, იმუშავეო... ჩვენი, საქართველოს ადგილი ევროპაშია.

***- ვრცელდება ინფორმაციები, თითქოს დასავლეთის თვალში საქართველოს იმიჯი უკან-უკან წავიდა, რომ ვერ გავამართლეთ მათი იმედები...***

- იმიჯზე ამდენი საუბარი არასწორია. ნავთობსადენის, გაზსადენის, ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გამო საქართველოს მიმართ ინტერესი საოცრად გაიზარდა. 1995 წელს ქუჩაში ვერ გამოხვიდოდი. დღეს მთელი ღამე გრიალებს თბილისი... იმასაც ვხედავ, რაც არ ვარგა - გადახედეთ სახლებს, კაზინოებს - ქვეყანამ ბიუჯეტს მიღმა ცხოვრება აიწყო...

არ ეწყინოს ჩემს შვილს და ოპოზიციონერობა ადვილია...

**გოკა**: ოპოზიციონერობა, პასუხისმგებლობის გრძნობით - არ არის ადვილი.

**ბატონი კოტე:** მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ მიხარია, როცა გოკა ამას ამბობს. გაუმარჯოს პასუხისმგებლობიან ოპოზიციას!

***- რა არის ოპოზიციისთვის პასუხისმგებლობა?***

**გოკა:** ეს არის ოპოზიცია, რომელიც ცდილობს, მართლაც გააუმჯობესოს კონკრეტული ცხოვრება. თევზის დასაჭერად წყალი არ უნდა აამღვრიო. არამარტო უნდა ისაუბრო უკეთესობისკენ შეცვლაზე, არამედ, უნდა თქვა კიდეც, კონკრეტულად როგორ უნდა შეიცვალოს უკეთესობისაკენ. უნდა მიაღწიო საზოგადოებრივ თანხმობასა და კონსენსუსს იმ საკითხებზე, რომელიც შენთვის მნიშვნელოვანია. გააჩინო არა დაპირისპირებები, ეძებო არა გამყოფი ხაზები, არამედ გააერთიანო საზოგადოება იმ პრინციპების გარშემო, რომელიც შენთვისაა ღირებული, - აი, ეს არის პასუხისმგებლობა.

**ბატონი კოტე:** რაც გინდა, ვქნათ, ოღონდ, კრასნოდარის მხარე ნუ გავხდებით.



"რაც გინდა ვქნათ, ოლონდ, კრასნოდარის მხარე ნუ გავხდებით."

იური ლობოდინის ფოტო









იური ლობოდინის ფოტოები

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაერის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.




მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

# "ჩემი კამერტონი ქართველი მაყურებელია"

## ქართველი რეჟისორი ზურაბ ინაშვილი ახალ ფილმზე მუშაობას იაპონიაში განაგრძობს



*ზურაბ ინაშვილი, მუსიკათმცოდნე ლუდმილა კავნაცკაია, მსტისლავ როსტროპოვიჩი გადამღებ ჯგუფთან ერთად*

გიორგი გორგოძე

***სანკტ-პეტერბურგში, ნიკოლოზ მეორის საყვარლის, პრიმა-ბალერინა მატილდა კშეშინსკაიას ყოფილ სასახლეში (სადაც ამჟამად რუსეთის პოლიტიკური ისტორიის მუზეუმია განთავსებული) შედგა პრემიერა რეჟისორ ზურაბ ინაშვილის ფილმისა "ქართველი ვარსკვლავები მარინის თეატრში". პრემიერას პეტერბურგის ინტელიგენციის, დიპლომატიური კორპუსის და ქართული დიასპორის თვალსაჩინო წარმომადგენლები დაესწრნენ.***

მარინის დიდი თეატრის საბალეტო და საოპერო სცენაზე ქართული კულტურის მოღვაწეებმა დიდი და ნათელი კვალი დატოვეს. პრემიერაზე ნაჩვენები ტელეფილმი პირველი ნაწილია იმ კულტურული პროექტისა, რომლის იდეის ავტორი და პროდიუსერი გახლავთ ქალბატონი მანანა კვაჭაძე, პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პედაგოგი, არტ-მენეჯერი და პროდიუსერი.

ქ-ნი მანანა და კინორეჟისორი ზურაბ ინაშვილი ერთად მალე ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღებას იწყებენ, რომელიც მთლიანად ჯორჯ ბალანჩინის ცხოვრებას და შემოქმედებას მიეძღვნება, 2004 წელს ხომ ასი წელი სრულდება გენიალური ქართველი ქორეოგრაფის დაბადებიდან. ტრილოგიის მესამე ფილმი კი მიეძღვნება სანკტ-პეტერბურგში ამჟამად მოღვაწე ქართველ ხელოვანებს: მარინის აკადემიური თეატრის მთავარ მხატვარს თეიმურაზ მურვანიძეს, პეტერბურგის საბალეტო აკადემიის ქორეოგრაფ გოგი ალექსიძეს და პეტერბურგის საბალეტო სცენის ამჟამინდელ ვარსკვლავებს, ვახტანგ ჭაბუკიანის მოწაფეებს: პრიმა–ბალერინა ირმა ნიორაძეს და პრიმა-სოლისტ იგორ ზელენსკის.

შემოდგომაზე ფილმის ჩვენება შედგება რუსეთის ტელეარხ "კულტურა"-ზე, შემდგომ კი "РТР"-ზე. მას შემდეგ, რაც დასრულდება ფილმის ქართულ ენაზე თარგმნა, მას ქართველი ტელემაყურებელი იხილავს ერთ-ერთ ქართულ ტელეარხზე. ფილმის შეძენით დაინტერესებულია ფრანგული ტელეკომპანია "არტე" (ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება). ფილმი ნაჩვენები იქნება 2004 წლის ჯორჯ ბალანჩინის 100–წლისთავისადმი მიძღვნილ ფესტივალზე პარიზში, ნიუ-იორკსა და სანკტ-პეტერბურგში.

რეჟისორი ზურაბ ინაშვილი 6 სექტემბერს იაპონიაში გაემგზავრა ფილმის გადასაღებად, ამიტომ მასთან მხოლოდ მცირე სატელეფონო საუბარი მოვახერხეთ.

**- ფილმისათვის მასალების მოპოვება, ალბათ, საკმაოდ გაგიძნელდათ.**

*- ჯორჯ ბალანჩინთან დაკავშირებით ჯერ გამოუყენებელი, ფაქტობრივად დაკარგული კინომასალა მოვიძიეთ არქივებში. მარინის თეატრის ძველ საცავებში ინახებოდა სოლიკო ვირსალაძის უნიკალური კოსტიუმები, რომელიც ამოვიღეთ და გადაღებისას მოცეკვავეებს ჩავაცვით. ვირსალაძის ესკიზების ნაწილი მოვიძიეთ ბატონ სოლიკოს დისშვილის, ქალბატონ მანანა ხიდაშელის არქივში. ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედებაზე მასალები შედარებით ხელმისაწვდომი იყო. ძალიან დაგვეხმარა ბატონი ბორის ბრეგვაძე, მარინის თეატრის ყოფილი სოლისტი, რომელიც თეატრიდან ჭაბუკიანის წასვლის შემდეგ, ფაქტობრივად, მისი მემკვიდრე იყო და ცეკვავდა ჭაბუკიანის პარტიებს "ლაურენსია"-ში, "ოტელო"-სა და "ბაიადერა"-ში. ბატონი ბორისი წარმოშობით ტყიბულიდანაა, ამჟამად პეტერბურგის საბალეტო აკადემიაში ასწავლის. ძალიან დაგვეხმარა ქალბატონი ნატალია დუდინსკაია, ვახტანგ ჭაბუკიანის პარტნიორი მის ყველა სპექტაკლში და ბატონი სოლიკო ვირსალაძის ახლო მეგობარი, ასევე ჭაბუკიანის თაობის ბალერინა ინა ზუბკოვსკაია. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.*

**- თქვენი მომავალი ფილმი მსტისლავ როსტოპოვიჩთანაა დაკავშირებული, როგორ მოხდა თქვენი შეხვედრა, რამ განაპირობა თქვენი მონაწილეობა ასეთ პროექტში?**

*- მსტისლავ როსტოპოვიჩმა მისი მუსიკალური კონსულტანტების რჩევით, პარიზში ნახა ჩვენი ფილმი "-ქართველი ვარსკვლავები მარინის თეატრში" და ერთი კვირის შემდეგ თავისთან დაგვიბარა, სადაც იაპონური ტელეკომპანია* **"NHK"***-ის პროდიუსერიც ჩამოვიდა. 12-13 სექტემბერს, იაპონიაში, მაციმოტოს მუსიკალურ–კულტურულ ცენტრში როსტოპოვიჩი რიხარდ შტრაუსის სიმფონიურ პოემა "დონ-კიხოტში" დაუკრავს, დირიჟორია სახელგანთქმული დირიჟორი სეიჯი ოძავა, კონცერტს დაესწრება იაპონიის იმპერატორი ოჯახით. მსტისლავ როსტროპოვიჩი მეტად აღარ დაუკრავს შტრაუსის "დონ-კიხოტში", იგი იაპონური გამოსვლით ემშვიდობება ამ ნაწარმოებს. სწორედ ამაზე კეთდება ორსაათიანი ფილმი, რომელიც ორ ნაწილად იყოფა.*

*უკვე ვიყავი გადაღებებზე გერმანიაში, გარმიშ-პარტენკირხენში, სადაც რიხარდ შტრაუსი ცხოვრობდა, იქ მისი მუზეუმია, სადაც დაცულია მისი ნაწარმოებები, გადავიღეთ სახლი, გარემო. ესპანეთში ჩატარებულ გადაღებებზე კინოენით გავაცოცხლეთ ვარიაციები სერვანტესის უკვდავი ნაწარმოების ეპიზოდებისა, ასევე გადავიღეთ შვეიცარიაში შტრაუსის კიდევ ერთი მუზეუმი. ამჟამად დარჩა უშუალოდ კონცერტის გადაღება იაპონიაში.*

*გვინდა, ვიზუალურად გავაცოცხლოთ მუსიკალური ნაწარმოები, ეს იქნება ვიზუალური პოეზია, სერვანტესის გენიის და შტრაუსის სიმფონიური პოემის შერწყმა გენიალური შემსრულებლების მიერ. შტრაუსის ეს ნაწარმოები ზუსტი მუსიკალური მინიშნებებით გამოირჩევა, ქარის წისქვილის ფრთის ტრიალსაც კი შესაბამისი მუსიკალური ხმოვანება აქვს. ზუსტადაა მუსიკალურად მინიშნებული გარემო. ვნახოთ, როგორ გამოგვივა.*

**- ქართველ მაყურებელს თუ ექნება თქვენი ბოლო ნამუშევრების ნახვის საშუალება?**

*- ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ქართველი მაყურებლის აზრია, თუ ჩვენმა მაყურებელმა ფილმი მიიღო, ეს უეჭველად იმის მანიშნებელია, რომ ფილმი შედგა. ამიტომ ქართველი მაყურებლის აზრი ჩემთვის ერთგვარი კამერტონია.*

*რაც შეეხება ფილმების ჩვენებას საქართველოში: სანამ "ქართველი ვარსკვლავების მარინის თეატრში" ერთ-ერთ ქართულ ტელეარხზე გავა, მანამდე - სავარაუდოდ ოქტომბრის ბოლოს - მოხდება მისი თბილისური პრემიერა. უპრიანია, რომ ეს ჩვენება ქართულ საბალეტო და საოპერო ხელოვნების ტაძარში, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოხდეს.*

*რაც შეეხება მეორე ფილმს, მისი საავტორო უფლებები ეკუთვნის იაპონურ კომპანია* **"NHK"***-ს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ისინი დაგვრთავენ ამ ფილმის არაკომერციული ჩვენების უფლებას ქართველი მაყურებლისათვის.*

# "ჯაზი თბილისში" ახალი ვარსკვლავებით

## სექტემბერში დედაქალაქში ჯაზური მუსიკის მორიგი ფესტივალი გაიმართება

მადი სერებრიაკოვა

**ელ ჯეროსა და ბობ მინცერის შემდეგ რაღამ უნდა გაგვაკვირვოს?! თუმცა, ჯაზ-ფესტივალებით განებივრებულ თბილისს სექტემბრიდან ახალი სანახაობა ელოდება. ამჯერად, უკვე ტრადიციადქცეული "ჯაზი თბილისში" აიღებს სტარტს. პროფესიონალთა ლიგის ინიციატივით ფესტივალის წლევანდელი პროგრამა კიდევ ერთხელ დააკავშირებს ქართველ მუსიკოსთა შემოქმედებას სახელოვან უცხოელ კოლეგებთან. წლევანდელი "ჯაზი თბილისში" კორტნი პაინის, ანტუან ჰერვეს, ევან სვენსონისა და დევიდ გილმორის ტრიოების ვიზიტით აღინიშნება. ჩვენი მხრიდან კი მათ "მწვანე ოთახი", დინი ვირსალაძე, ნუკრი აბაშიძე, ოძელა და ოთარ მაღრაძის კვარტეტი გაუწევს მასპინძლობას.**

პროფესიონალთა ლიგა თბილისში, უკვე 7 წელია, არსებობს და მისი ხმამაღალი სახელის მიღმა გამორჩენილ ხელოვანთა და შემოქმედებით კოლექტივთა მთელი არმია იმალება: საქართველოს წამყვანი ორკესტრების, ანსამბლების და თეატრალური დასების გვერდით აქ გია ბულაძის, გია გუგუშვილის, რობერტ სტურუას და სხვადასხვა თაობისა და მიმართულების ხელოვანთა სახელების ჩამოთვლა შეიძლება. ხელოვნების "გატანა-შემოტანის" საქმით დაკავებულ ლიგას, ქართული ხელოვნების რამდენიმე წარმატებული აქცია აქვს განხორციელებული დასავლეთში (უახლოეს მომავალში ანსამბლ "რუსთავის" გასტროლებია დაგეგმილი აშშ-ში). საქართველოში კი, უკვე მეხუთე წელია, ორი საერთაშორისო ღონისძიება იმართება: გიტარის ფესტივალი და "ჯაზი თბილისში".

წლევანდელი "ჯაზი თბილისში" რიგით მესამეა. 1999-ში და 2001-ში თბილისს მარკუს შტოკჰაუზენი, იგორ ბუტმანი, იური ჰონინგის ტრიო, ჰარვი შვარცი, ფილიპ კატერინი, ჯორჯი ფეიმი და ბევრი სხვა საკმაოდ ცნობილი სახელისა და მუსიკალური ბიოგრაფიის მქონე შემსრულებელი ეწვია. ამის მიუხედავად, პროფესიონალთა ლიგის პრეზიდენტი მიხეილ ციციშვილი ამბობს რომ, ფესტივალის ორგანიზატორები პოპულარულ სახელებს არასოდეს გამოკიდებიან. ფესტივალმა იმთავითვე შემოქმედებით ხარისხზე აიღო ორიენტაცია და ისეთი მუსიკის "იმპორტირებას" ცდილობს, რომელიც დღეს დასავლეთში აქტუალურია. შესაბამისად, როგორც ეს, საერთოდ, მთელს მსოფლიოში ხდება, "ჯაზი თბილისშიც" ვერ დაიკვეხნის განსაკუთრებული ფინანსური წარმატებით და ამიტომ, ძირითადად, სპონსორების ხარჯზე არსებობს. ელ ჯეროსა და ტანია მარიასაგან განსხვავებით, ფესტივალის კონცერტებზე ბილეთების ფასი ასეულებს არ აღწევს; სამაგიეროდ, პროფესიონალებისა და იმპროვიზაციული მუსიკის ნამდვილი დამფასებლებისთვის წარმოადგენს ღირებულებას. მნიშვნელოვანია, რომ არც გიტარის ფესტივალი და არც "ჯაზი თბილისში" პუბლიკის ნაკლებობას არ უჩივის. ამას კი ბილეთის ფასიც უწყობს ხელს – იგი 12 ლარს არ აღემატება, ქართველი მუსიკოსების დიდი ნაწილი კი, საერთოდაც, მოსაწვევებით სარგებლობს. ფესტივალზე ქართველ მუსიკოსთა სასარგებლოდ კიდევ ერთი ტრადიციაა დამკვიდრებული – მათ რეგულარულად უწევთ უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობა და გამოცდილებისა და პრომოუშენის გარდა – ჰონორარსაც უსათუოდ იღებენ.

როგორც ჩანს, ქართული ჯაზ-ფესტივალით არც უცხოელები არიან უკმაყოფილონი: ფესტივალის დასახასიათებლად ტკბილი სიტყვები არ დაიშურეს მარკუს შტოკჰაუზენმა, ფილიპ კატერინმა, იგორ ბუტმანმა, პიტერ ფინგერმა და ანტუან ჰერვემ.

წელს "ჯაზი თბილისში" კიდევ რამოდენიმე ცნობილ მუსიკოსს უმასპინძლებს. ბრიტანული ჯაზის შავკანიანი ვარსკვლავი კორტნი პაინი ჯაზის, ჰიპ-ჰოპისა და დრამ&ბეისის ჟანრში თამამი ექსპერიმენტებით გამოირჩევა. პოპ-მუსიკის სამყარომ იგი მიკ ჯაგერთან (მონაწილეობდა ჯაგერის Wandering Spirit-ში), ელტონ ჯონთან და რეი კუპერთან თანამშრომლობით გაიცნო. მხოლოდ ა.შ.შ-ში მისი ერთ-ერთი ალბომი 40 ათასიანი ტირაჟით გაიყიდა. 27 სექტემბერს კორტნი პაინი თბილისში კონცერტს ქართველ კოლეგებთან - დინი ვირსალაძესა და ნუკრი აბაშიძესთან ერთად გამართავს.

ცნობილი ქართული ჯაზ-როკ ჯგუფი "მწვანე ოთახი" კი პარტნიორობას ფრანგ პიანისტს, კომპოზიტორსა და დირიჟორს, ანტუან ჰერვეს გაუწევს. მისი ძველი პარტნიორებიდან კი ქვინსი ჯონსი, ბილ ევანსი და ჩეტ ბეიკერი შეძლება გამოვყოთ. მის რეპერტუარში, საკუთარი ნაწარმოებების გარდა, მოცარტსა და დებიუსისაც შეხვდებით. ჰერვე ხშირად მართავს კონცერტებს მარკუს შტოკჰაუზენის კვარტეტთან ერთად (რომელიც "ჯაზი თბილისში"-ს სტუმარიც იყო) და თბილისს გასულ ფესტივალზეც ეწვია.

კიდევ ერთი სახელგანთქმული სტუმარი ევან სვენსონია. ცნობილი შვედი ჯაზ-გიტარისტი თბილისს საკუთარი ტრიოთი ეწვევა (სვენსონის გარდა ტრიოში კონტრაბასისტი და დრამერი არიან გაერთიანებულები). ავანგარდისტი პაინისა და "კლასიკოსი" ჰერვესგან განსხვავებით, იგი მელოდიური ჯაზის სფეროში მუშაობს და ტრიოსთან ერთად, როგორც წესი, საკუთარ საავტორო ან გადამუშავებულ კომპოზიციებს ასრულებს.

მათ გარდა თბილისში new cool collective და დევიდ გილმორის ტრიო ჩამოდის. გილმორი შედარებით ახალგაზრდა მუსიკოსია, მაგრამ მის შარშან გამოსულ სადებიუტო ალბომს მსოფლიოს ჯაზურ ჟურნალისტთა ასოციაციისგან საუკეთესო დებიუტისათვის უკვე პრიზი მიენიჭა. ქართული მხრიდან კი, მათთან ერთად, ცნობილი ფლეიტისტი ოძელა (დავით ოძელაშვილი) და ოთარ მაღრაძის კვარტეტი გამოვა.

"ჯაზი თბილისში" 27 სექტემბერს დაიწყება და ათ დღეს გასტანს. ჩვეულებრივის გარდა, დაგეგმილია უფასო საქველმოქმედო კონცერტებიც. ფესტივალს კონსერვატორიის დიდი დარბაზი უმასპინძლებს.



*დევიდ გილმორის ტრიო*



*new cool colective*

# ხელოვნება "კომუფლიაჟებში"

## პანკისის ჩვენებით წათამამებული ქართველი არტ-ისტები სოხუმში ჩადიან

ვერა ნეფარიძე

**გუშინ "მაკა ასათიანმა" საზოგადოებას კომპანიის საშემოდგომო - "ორდინარი" და მსხვილმასშტაბიანი გეგმები გააცნო. იმღერებს თუ არა "უცნობი" ემინემთან ერთად და ჩამოვა თუ არა თბილისში ჟან-პოლ გოტიე? – მართალია, შეკითხვებს ვერც ამჯერად გაეცა დამაჯერებელი პასუხი, სამაგიეროდ, პრეს-კონფერენციის დასასრულს ორგანიზატორებმა ყველაზე სენსაციური ამბავი, მაკა ასათიანისა და ნიკა მემანიშვილის მონაწილეობით დაგეგმილი თეატრალური წარმოდგენის სოხუმური პრემიერის შესახებ გაგვიმხილეს.**



*ვანიკო თარხნიშვილი, ნიკა მემანიშვილი, მაკა ასათიანი* ლევან ხერხეულიძის ფოტო

კომპანიის საშემოდგომო გეგმებიდან პირველია რეკლამის საერთაშორისო ფესტივალი Cifa, სადაც "მაკა ასათიანი", გამონაკლისის სახით, მონაწილეობს. საქმე ისაა, რომ კომპანია, მუშაობის სტილიდან გამომდინარე, ერიდება ღონისძიებათა თანაორგანიზატორობით გამართვას ("მაკა ასათიანი" კი, როგორც იტყვიან, მარტო მუშაობს). "მაგრამ, რადგანაც თბილისში მსოფლიოს წამყვანი, სერიოზული კომპანიები ჩამოდიან, ჩვენთვის დიდი პატივია, ასეთი ფესტივალის თანაორგანიზატორები ვიყოთ. მითუმეტეს, რომ კავკასიაში მუსიკალური რგოლების პირველ კონკურსს ვაკეთებთ, " – თქვა "მაკა ასათიანის" მენეჯერმა, ვანიკო თარხნიშვილმა.

07.00 კლიპ-მიქსი 07.30 "ცხოვრება სიტყვაში" 09.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით 10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 12.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით 15.30 მხ. ფილმი 17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "მამილო და სხვები" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 ქართული ათეული 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "27 დაკარგული კოცნა" მთ. როლებში ევგენი სიდიხინი, ამალია მორდვინოვა 01.50 "ღამურა" მხ.ფ. "დრუიდები". მთ. როლებში კრისტოფერ ლამბერტი, კლაუს მარია ბრანდაუერი 03.20 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "იღბლიანი" 15.00 მხ. ფილმი "ჯადოსნური სიყვარული" 16.00 მუსიკა 17.00 მხ. ფილმი "ჩემი ძვირფასი ამერიკელები" 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 მულტფილმი 21.00 მულტფილმი "პინოქიო" 22.30 მხ.ფ. "დრო არ იცდის" 00.20 მხ.ფ. "ხმელთაშუა ზღვა"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები" 09.20 ლიმონი და ლიმონათი 09.35 მულტფილმი "შეჰრაზადი" 49-ე სერია 10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა" 11.20 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 49-ე სერია 11.45 მხ. სერიალი "მოჯადოება" მე-5 სერია 12.45 მხ. ფილმი "დრაკონთა ბრძოლა" 14.15, 14.45, 16.20, 17.15, 21.40, 23.50, 00.20 მუსიკა 16.30 მხ. სერიალი "დაშნის დედოფალი" მე-5 სერია 17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" 50-ე სერია 18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 50-ე სერია 19.00 "საუბრები სტუდიაში" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.10 გადაცემა "რ. გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" 21.50 მხ. ფილმი "ადამიანი ფარვანა". მთ. როლებში რიჩარდ გირი, ლორა ლინი 00.40 მხ.ფ. "ორდენის საიდუმლო" მთ. როლში ჟან-კლოდ ვანდამი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ქართული მხატვრული ფილმი 11.00 დოკუმენტური ფილმი 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 კომედია "ჩემი საყვარელი მარსიანელი" 13.45 თრილერი "აღსარება" 16.15 მულტფილმი "ანასტასია" 17.40 კომედია "სერიოზული ფული" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 ქართული მხატვრული ფილმი 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50 Слово 23.30 დოკუმენტური ფილმი 00.50 მელოდრამა "წითელი და შავი" 1 სერია 03.30 თრილერი "კომა"

### VII არხი

15.30 ანონსი 15.35,21.50 ამინდის პროგნოზი 15.45 მელოდია 16.00 სპორტული პროგრამა -ევროპული ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. "ლიდსი"- "მანჩესტერ იუნაიტედი" 17.55 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 19.15 "აჩიკუდა" (შესვენებისას) 19.30 "ბედნიერი ერი" (შესვენებისას) ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით. 20.30 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.00 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "დაკები" რუმინეთი. 1980 წელი. ისტორიული. რეჟისორი - ამზა პელია. მთ. როლში: ალექსანდრუ პოლესკუ. 22.30 "ღამის კაპრიზი" 23.30 პრესის მიმოხილვა 23.45 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო -ვიდეო -ტელე 00.15 მელოდია 00.35 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "კობრა" ა.შ.შ. 1985 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - ჯორჯ კოსმატოსი. მთ. როლში: სილვესტერ სტალონე. 02.00 პრესის მიმოხილვა.

### ОРТ

07.25 "ЖИЛ-БЫЛ ДОКТОР" 09.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости. 09.10 Играй, гармонь любимая! 09.50 Слово пастыря. 10.05 "Ералаш" 10.10 Здоровье 11.10 Смак. 11.30 Смехопанорама. 12.10 Путешествие натуралиста 12.40 Фильм "РАЗРЕШИТЕ ВЗЛЕТ!". 14.30 Дисней-клуб. 15.15 Кубок мира по синхронному плаванию. 15.45 "Кумиры". И. Кириллов. 16.15 Сериал "БЕГЛЕЦ". 17.05 "Знатоки " возвращаются. "ИЗ ЖИЗНИ ФРУКТОВ" 1-я с. 18.30 "Сами с усами". 19.15 "Кто хочеть стать миллионером?" Спец. выпуск. 22.00 Время. 22.30 Х.Ф."ПОМЕНЯТЬСЯ МЕСТАМИ" (США) 00.40 Х.Ф. "ФАРГО". 02.35 Реальная музыка.

### РТР

07.20 "ПОДКИДЫШ" 08.40 "Здоровье и жизнь". 09.10 Сериал "ДРАКОША И КОМПАНИЯ" 09.35 "Золотой ключ". 10.00 "Военная программа". 10.20 "Наука и техника". 11.20 "Сам себе режиссер". 12.20 "Сто к одному". 13.15 "Форт боярд". 14.10 Док/ф."Смертельная игра Маяковского" 15.00, 21.00 ВЕСТИ. 15.20 "ВАС ОЖИДАЕТ ГРАЖДАНКА НИКАНОРОВА". 17.00 Памяти Юрия Визбора. Концерт "Синий перекресток" 19.00 "Моя семья". 19.55 "Аншлаг". 21.25 "Зеркало". 21.55 "Стань звездой" 22.50 "ЗВЕЗДНЫЕ ВОЙНЫ. НОВАЯ НАДЕЖДА". 01.20 "ОЧЕНЬ СТРАШНОЕ КИНО" 02.55 Чемпионат мира по автогонкам "Формула-1". гран-при Италии.

### НТВ

07.40 "ПРИНЦ И НИЩИЙ" 09.00, 11.00, 12.00, 13.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00 Сегодня. 09.05 "БОГАТАЯ НЕВЕСТА" 10.30 Путешествие натуралиста. 10.55 Погода на завтра. 11.05 Кулинарьный поединок "Фарш-мажор" 12.05 "Квартирный вопрос" 12.05 Фильм А.Зиненко "Однажды в России" 1-я с. 13.40 Служба спасения 14.05 "ШЕЛ ЧЕТВЕРТЫЙ ГОД ВОЙНЫ" 15.40 Вкусные истории. 16.05 Своя игра. 18.25 "ЖЕНСКИЙ ВЗГЛЯД" Оксаны Пушкиной. М. Боярский. 17.30 Сериал "Неизвестная планета". 19.05 "Шоу Елены Степаненко" 20.00 Сегодня вечером 20.30 Экстрем. шоу "Фактор страха" 21.25 "ПЛОХИЕ ПАРНИ" 23.50 Професилнальный бокс. 00.15 "ПОЖИРАТЕЛЬНИЦА МУЖЧИН" 01.50 Сериал "ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА" 1-я с. 03.35 До встречи!

## კვირა 15.09

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი "ნიკიტა" 11.50 ველური ბუნება 12.50 მხ.ფილმი 14.35 სიმფსონები 15.05 მხ. ფილმი 17.10 იქს მუტანტები 18.00, 21.00, 23.40კურიერი 18.20 ქართული ფილმი 20.00 მონტელგანო 21.25 ჩვენი ეზო 21.45 "ჯეოსელის კინოკლუბი". "ატილა" 8 (77) 45-79-25 პაუერს ბუტი, ჟერარ ბატლსი, "ფარვანა" 8 (77) 45-79-26 სტივ მაკუინი, დასტინ ჰოფმანი, "ბეჟდების მბრძანებელი" 8 (77) 45-79-27 ილაია ვუდი, იან მაკელენი 23.50 მხ.ფ. "სეიფების გამტანი" მთ. როლებში რობერტ დე ნირო, ედვარდ ნორტონი

### პირველი არხი

08.00 "მოამბე" 08.15 მხ. ფილმი "ვაჟიშვილის ოთახი" 10.00 დილის პაემანი 11.05 "ცირკი" 11.35 "მოგზაურობა სასიტყვეთში" 12.05 "სპა" 12.35 ჯაზის საღამო 13.05 მოსკოვი-თბილისი 13.35 დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" 14.25 "არათბილისური ამბები" 15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 15.15 სატ. სპექტაკლი "ასი წლის წინათ" 16.40 "საკვირაო გამოფენა" - სალვადორ დალი 16.55 "ციდან დანახული საფრანგეთი" 17.15 მულტფილმი "პრინცესა ნერი" 17.40 "მოდი, ვიცეკვოთ" 18.00 "ტაიმ-აუტი" 18.20 "სახსოვარი" 18.55 "ეკოდაიჯესტი" 19.25 "ჩვენი მისამართია" 20.00 "ტაიმ-აუტი" 20.55 "ამბობენ" 21.25 "მუსიკალური ოქტაგონი" 22.10 ტელესერიალი "ფორსაიტების საგა" 22.50 "ჩემი მშვენიერი ლედი" 23.10 სატელევიზიო კინოდარბაზი დოკ. ფილმი - "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" 01.15 "ტაიმ-აუტი" 00.25 მხ. ფილმი "შეიძლება"

### მეორე არხი

19.00 მულტფილმი 19.30 დოკ. ფილმი 19.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები 20.30 ვიცი 21.00 მშვიდობით მეოცე საუკუნევ! 21.45 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 შვიდეული 23.00 მხ. ფილმი "ორი ღამე კლეოპატრასთან"

### ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები 11.05 მუსიკალური კოლაჟი 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.25 თბილისური ოჯახები 14.10, 22.00 მუსიკა 15.00, 21.00 ვესტი 15.30 საოცარი პირამიდა 17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება 17.20 საეკლესიო კალენდარი 17.35 საუბრები ბიბლიაზე 19.00 მხ. ფილმი "უგრიუმ-მდინარე" მე-4 სერია 22.30 "ევროპა და ევროპელები" 23.30 მსოფლიო სპორტი 00.30 მხ. ფილმი "იღბლიანი ჯენტლმენები"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.10, 21.55, 00.45 მუსიკა 08.25 მხ.ფ. "ეს ბედია" 10.20 მხ.ფ. "ხელოვნური გონება". 20.00 მხ.ფ. "შეინარჩუნო რწმენა" 22.30 მხ.ფ. "სიკვდილი წყალში" 00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი 07.30 "მადლიანი ცნობა" 09.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით 10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით 14.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "არგენტინელი ნიუ-იორკში" 16.00 "უცნობი" 17.00 მუსიკა 19.00 ქართული მუსიკა 19.30 "ვიდეო-რადიო" 21.00 რომანტიკული მუსიკა 22.00 ინფორმატორი 23.00 "ცენტრი" 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ჰანიბალი". მთ. როლებში ენტონი ჰოპკინსი, ჯულიანა მური 01.40 ღამურა "ნაღდი". მთ. როლებში ოლივერ კორიტკე, მარკუს კნუფკენი 03.10 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 ინდ. მხ.ფილმი "ერთი ნახვით" 14.30 მხ.ფ. "დრო არ იცდის" 16.15 მხ.ფ. "სისხლიანი ქორწინება" 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 21.00 მხ.ფ. "ჩექმები" 22.30 მხ.ფ. "ლონდონელი ძაღლები" 00.20 მხ.ფ. "ვამპირის ჩრდილი"

### მეცხრე არხი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20, 12.20, 13.20, 18.10, 20.50, 21.40, 23.15 მუსიკა 09.30 მულტფილმი "შეჰრაზადი" 50-ე სერია 10.00, 15.00 "დილა" 11.20 "ევროპის სტადიონებზე" 11.50 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 50-ე სერია 12.30 საუბრები სტუდიაში 13.30 მხ. ფილმი "ორდენის საიდუმლო" 16.30, 18.15 შ. რუსთაველი სახ. დრამატული თეატრის სპექტაკლი "კავკასიური ცარცის წრე" 1, 2 და 3 19.15 მაცაცერა 19.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 სად? რა? როდის? 21.00 მხ. ფილმი "ყველაფერი უკეთესობისკენაა" 21.50 მხ.ფ. "კომანდო". მთ. როლებში ჯინ ჰენესი, ბილ ბიორკი 23.35 მხ.ფ. "სერლინი - პირველი სასწაული". მთ. როლებში ჯეისონ კონერი, დებორა მური

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 Слово 10.00 ქართული მხატვრული ფილმი 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 კომედია "პოლიციელი ბიჭუნა" 13.45 მხატვრული ფილმი "პრელუდია ამბორის წინ" 15.25 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტსერიალი "ტომი და ჯერი" 17.35 მხატვრული ფილმი "შურისძიების მახვილი" 19.20 კომედია "ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან" 20.40 ქართული მხატვრული ფილმი 22.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.30 Новости в воскресенье 22.50 "სათქმელი" 23.30 დოკუმენტური ფილმი 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 00.30 მელოდრამა "წითელი და შავი" 2 სერია 03.30 დეტექტივი "სიკვდილის მიზეზი" 05.00 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

17.00,22.30,01,55 ანონსი 17.15,21.50 ამინდის პროგნოზი 17.20 "ლა-ლა-ლა" 18.00 სპორტული პროგრამა -ევროპული ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 18.45 "აჩიკუდა" (შესვენებისას) 20.00 სპორტული პროგრამა -ევროპული ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. 21.55 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 22.30 "ავტოტრეკინგი" 23.25 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო -ვიდეო -ტელე 23.50 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "ბრიყვთა მეჯლისი" საფრანგეთი. 1991 წელი. კომედია. რეჟ. ივ რობერი. მთავარ როლში: ჟან როშფორი. 01.30 მელოდია 01.50 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 02.20 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.20 х.ф. "АВАРИЯ". 09.00, 11.00, 15.00 Новости. 09.10 Служу России! 09.40, 14.35 Дисней-клуб. 10.05 "Ералаш" 10.10 "Дог-шоу" 11.10 Непутевые заметки с Дм.Крыловым. 11.30 Пока все дома. 12.10 Спасатели. Экстренный вызов. 12.40 "ЗОЛОТАЯ РЕЧКА" 15.10 Живая природа. "Десять смертельных акул". 16.10 "ИЗ ЖИЗНИ ФРУКТОВ" 2-я с. 17.40 Комедия "МУРАВЕЙ АНТЦ" 19.00 Времена 19.55 Международный фестиваль команд КВН в Юрмале. 22.35 Х.ф. "УБРАТЬ КАРТЕРА" 00.30 "На футболе" с Виктором Гусевым. 01.00 Кубок мира по синхронному плаванию. 01.25 Х.ф. "САТИРИКОН ФЕЛЛИНИ".

### РТР

07.35 Мультфильм. 08.45 Сериал "ДРАКОША И КОМПАНИЯ" 09.10 "Русское лото". 10.00 "ТВ Бинго шоу". 10.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ-МОСКВА. 11.15 "Америка: год спустя". 11.50 "Городок". 12.25 х.ф."ОГАРЕВА 6". 14.10 Парламентский час. 15.00 ВЕСТИ. 15.20 "Вокруг света". 16.15 "Диалоги о животных". 17.05 "Два рояля" 18.05 "Комната смеха". 19.00 "ОХОТНИКИ ЗА ПРИВИДЕНИЯМИ". 20.50 В "Городке" 21.00 ВЕСТИ НЕДЕЛИ. 22.10 "Специальный корреспондент". Авторская программа А.Хабарова. 22.40 Бенефис Бедроса Киркорова. 02.00 Чемпионат мира по автогонкам "Формула-1". гран-при Италии.

### НТВ

07.50 "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО" 08.30 "Star старт" 09.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00 Сегодня. 09.05 "ЛЕТЧИКИ" 10.20 Без рецепта 10.55 Погода на неделю. 11.05 "Шоу Елены Степаненко" 12.05 "Растительная жизнь". 12.40 "Вы будете смеяться!" Юрий Гальцев. 13.05 "Дисбат". "Професия-репортер" 13.25 Служба спасения. 14.05 "ТАЙНА ЗАПИСНОЙ КНИЖКИ" 15.45 Вкусные истории. 16.05 Своя игра. 17.20, 18.05 Ток-шоу. "Принцип "Домино". 19.05 фильм владимира Молчанова "Команданте Чегевара" 19.55 "СВАДЕБНЫЙ ПЕРЕПОЛОХ" 22.00 "Намедни" 23.30 "БОЛЬШОЙ КАЙФ" 01.50 Сериал "ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА" 2-я с. 02.30 Журнал лиги чемпионов. 02.55 "Пепси-чарт" 03.35 До встречи!

ფეხბურთი

## წამლებით გატარებული სეზონი

ნინო პირველი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მთავარ აღმოჩენად იქცა ლევერკუზენის "ბაიერი", რომელმაც, პატარა, პროვინციული კლუბის პირობაზე, საოცარ შედეგს მიაღწია – გავიდა ლიგისა და გერმანიის თასის ფინალებში და ბოლო ტურამდე ჰქონდა ბუნდესლიგის ჩემპიონის ტიტულის მოგების შანსი. მართალია, საბოლოოდ "ასპირინებმა" ვერც ერთი წოდება ვერ მოიპოვეს და "მარად მეორე" გუნდის ყოვლად არასაპატიო იარლიყს ვერ ასცდნენ, მაგრამ თავდადებული თამაშით მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება მიიქციეს. "ბაიერის" ფეხბურთელებზე სეზონის ბოლოს უდიდესი მოთხოვნილება იყო და, კლაუს ტოპმიოლერის მოკრძალებული პროტესტის მიუხედავად, კლუბის პრეზიდენტმა რაინერ კალმუნდმა გუნდის ორი ლიდერი – მიხაელ ბალაკი და ზე რობერტო სარფიანად მიჰყიდა მიუნხენის "ბაიერნს" და, გარიგებით კმაყოფილმა, "ტოპი" რამდენიმე ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელის შეძენით დაამშვიდა.

მიხაელ ბალაკმა, რომელიც აზიურ მუნდიალზე გერმანიის ნაკრების ლიდერად იქცა, ასე თუ ისე, გაამართლა "ბაიერნის" ხელმძღვანელობის იმედები და უცებ მოერგო მიუნხენურ კლუბს. აი, ზე რობერტოში გადახდილი მილიონები კი ჯერჯერობით მტკივნეულ საკითხად რჩება. ბრაზილიელი ნახევარმცველი საკუთარი თავის აჩრდილიღაა, ტრავმებს უჩივის და, ან საერთოდ არ გამოდის მოედანზე, ანდა, საოცრად უსახურია. სადღაა "ბაიერის" დაუოკებელი, ვერცხლისწყალივით მოძრავი და აქტიური ზე რობერტო? მის ნაცვლად მიუნხენელებს ტრავმებით გაწამებული და წამლებით გაჭყეპილი ავადმყოფი შერჩათ ხელში. რა ხდება, ბუნდესლიგაში სეზონი ხომ მხოლოდ 9 აგვისტოს დაიწყო? ნუთუ ზე რობერტო უკვე დაიღალა?

როგორც ირკვევა, ბრაზილიელი ფეხბურთელი ჯერ კიდევ გასულ სეზონში ყოფილა სასტიკად გადაღლილი. "ბაიერნის" თავკაცი ოტმარ ჰიტცფელდი ამტკიცებს, რომ ზე რობერტო "ბაიერში" წამლებით იბრუნებდა სულს, ტარვმები ჰქონდა და ყოველი მატჩის წინ გამაყუჩებელს სვამდა. ჰიტცფელდის ეს სიტყვები ლევერკუზენში უკომენტაროდ არ დარჩენილა. რაინერ კალმუნდმა და კლუბის ექიმმა კატეგორიულად უარყვეს ის ფაქტი, რომ მათ მიუნხენელებს ავადმყოფი ფეხბურთელი მიჰყიდეს. "ბაიერნს" შესანიშნავი ექიმები ჰყავს, რომელთაც ზე რობეტოს საფუძვლიანი გამოკვლევა ჩაუტარეს. თუ ტრავმირებული იყო, რატომ იყიდეს?" – იქით შეედავა კალმუნდი ბავარიელებს.

თავად ზე რობერტო ამბობს, რომ ტკივილგამაყუჩებელ აბებს მართლაც იღებდა, ოღონდ მხოლოდ მატჩის წინ. მას ხომ "ბაიერის" თითქმის ყველა მატჩში უხდებოდა მონაწილეობის მიღება. ამაში საოცარი არაფერია. "ბაიერი" პატარა კლუბია, მდიდარ რეზერვს არ ფლობს და, ბუნებრივია, ზე რობერტო ლევერკუზენში შეუცვლელი ფეხბურთელი იყო - სეზონში 50 მატჩი ითამაშა. ეს "ბაიერნის" ერთ-ერთ ბოსს, კარლ ჰაინც რუმენიგესაც კარგად ესმის - ის არც ზე რობერტოს ადანაშაულებს და არც "ბაიერს". "რა თქმა უნდა, არც ისე სასიამოვნოა, როცა კლუბს რომელიმე ფეხბურთელის შეცვლა არ შეუძლია და მას გამუდმებით ათამაშებს. ზე რობერტომ, ალბათ, რამდენიმე ზედმეტ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ამიტომაც ასე გადაიღალა. ეს ჩვენთვის გასაგებია. ლევერკუზენელებთან ჩხუბი ნამდვილად არ გვინდა", - დიდსულოვნად დასძინა რუმენიგემ.

ლევერკუზენული კლუბისგან განსხვავებით, "ბაიერნი" ერთ რომელიმე ფეხბურთელზე ფატალურად დამოკიდებული ნამდვილად არ არის, რაც ზე რობერტოს, ალბათ, სასიკეთოდ წაადგება. როგორც რუმენიგე ამბობს, მიუნხენელები ბრაზილიელ ნახევარმცველს აუცილებლად აცლიან გამოჯანმრთელებას და ფორმაში ჩადგომას, რის შემდეგაც ზე რობერტომ ბავარიელებს თავისი მაღალი კლასი უნდა უჩვენოს.

## "მანჩესტერი" მწერალთა კავშირი არ არის!"

კატეგორიულად აცხადებენ ინგლისური სუპერკლუბის ხელმძღვანელები და ცდილობენ, ფეხბურთელებს ვეტოს დადებით მაინც ჩაუკლან მწერლობის სურვილი. "მან იუს" ვერც გაამტყუნებთ – ჯერ იყო და, ჰოლანდიელმა იაპ სტამმა გააოგნა სრულიად ინგლისი მოულოდნელი გულახდილობით, შემდეგ კი კაპიტანმა როი კინმა არხეინად აღიარა, "მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელს ჰაალანდს შეგნებულად მივაყენე ტრავმაო. ირლანდიელის თავხედობამ ინგლისის ფეხბურთის ფედერაცია ისე განარისხა, რომ "მანჩესტერი" ლამის უკაპიტნოდ დარჩა - ფედერაციას სურდა, კინი, ჯარიმის გარდა, დისკვალიფიკაციითაც დაესაჯა.

სწორედ ამიტომ "მან იუს" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ფეხბურთელებს ავტობიოგრაფიის წერა აკრძალოთ. სანამ ესა თუ ის ფეხბურთელი "მანჩესტერთან" კონტრაქტითაა დაკავშირებული, ყოველგვარი სამწერლობო საქმიანობა დაუშვებელი იქნება. ერთადერთი გამონაკლისი "მან იუმ" ბექჰემის მიმართ დაუშვა – როგორც ცნობილია, "სპაის ბოიმ" უკვე გააფორმა კონტრაქტი გამომცემლობასთან და მისი ავტობიოგრაფია დღის სინათლეს თერთმეტ თვეში იხილავს.

## "ტრაპის" სკამი მყარია

როცა მუნდიალზე ფავორიტის ამპლუაში წასულმა იტალიის ნაკრებმა მერვედფინალში სამხრეთ კორეასთან წააგო და შინ გაოგნებული დაბრუნდა, ბევრი ფიქრობდა, რომ "სკუადრა აძურას" ეს ფიასკო ჯოვანი ტრაპატონის თანამდებობის დაკარგვის ფასად დაუჯდებოდა, მაგრამ "ტრაპმა" იმდენი შეძლო, რომ კორეასთან წაგება მთლიანად ეკვადორელ მსაჯ მორენოს გადააბრალა და თავად წყლიდან მშრალი ამოვიდა.

იტალიაში დღესაც ბევრი ტიფოზი ფიქრობს, რომ "სკუადრა აძურას" ახალი თავკაცი სჭირდება, მაგრამ ფეხბურთის ფედერაცია ტრაპატონის დიდი მხარდამჭერია. ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო მიიჩნევს, რომ, ტრაპატონისთან ერთად, იტალიის ნაკრები არაერთ წარმატებას მოიპოვებს და ტიფოზები აზიურ მუნდიალს უცებ დაივიწყებენ.

## „ინტერს" შნაიდერი მოსწონს

გასული სეზონის ბოლოს ევროპის ყველაზე სასურველი ფეხბურთელები იყვნენ ლევერკუზენის "ბაიერის" მოთამაშეები, რომლებიც ჩემპიონთა ლიგის ფინალმადე მივიდნენ. ბალაკის, ზე რობერტოსა და პალსენტეს გვერდით ხშირად სახელდებოდა ბერნდ შნაიდერიც, რომლის შეძენა "ბარსელონას" და "ინტერს" სურდათ.

"ბაიერმა" ზე რობერტო და ბალაკი მიუნხენის "ბაიერნს" მიჰყიდა და სატრანსფერო სეზონი დახურულად გამოაცხადა, მაგრამ ამით შნაიდერის შეძენის მსურველთა აქტიურობა არ დამცხრალა. მილანის "ინტერი", რომელმაც რონალდოს გაყიდვით რამდენიმე მილიონ "ზედმეტ" ევროს მოუყარა თავი, კვლავაც ცდილობს რაინერ კალმუნდის დაყოლიებას და "ბაიერის" პრეზიდენტს, შნაიდერის ნაცვლად, თერთმეტ მილიონ ევროს სთავაზობს.

## კანავაროს მსაჯების ეშინია

"სკუადრა აძურა" და უსამართლო მსაჯები – ეს თემა აზიური მუნდიალის მსვლელობისას უაღრესად აქტუალური იყო და, როგორც ჩანს, იტალიელი ფეხბურთელები ჯერაც ვერ გათავისუფლდნენ ამ კომპლექსისგან.

მალე დაიწყება ვეროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი. იტალიის ნაკრების პირველი მეტოქე აზარბაიჯანის ეროვნული გუნდი იქნება. რა თქმა უნდა, ამ მატჩში "სკუადრა აძურა" ყველასთვის, მათ შორის, აზარბაიჯანელებისთვისაც, უპირობო ფავორიტია. თავად ფეხბურთელებიც დარწმუნებულები არიან, რომ მეტოქეს იოლად დაძლევენ. ამის მიუხედავად, ფაბიო კანავარო მაინც თავს იზღვევს და აცხადებს, რომ არაობიექტური მსაჯების ეშინია და არაფერს გამორიცხავს.

## ალექსანდრე ჩივაძე: "ფრე ნამდვილად არ იქნება წარუმატებლობა"





საქართველოს ნაკრები შვეიცარიელებთან მატჩისთვის ემზადება

აკა ტონიას ფოტო

აკა ტონია
გერმანიიდან

მატჩამდე, რომელსაც ამდენი ხანი ველოდით, მხოლოდ და მხოლოდ, ერთი დღე დარჩა. ხვალ, 8 სექტემბერს, ბაზელში ადგილობრივი დროით 16 საათზე, საქართველოს ნაკრები 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩს გამართავს შვეიცარიის წინააღმდეგ.

დღეს კი, 17 საათზე, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ქალაქ გრენხენში ჩაატარებს მატჩს შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ.

გუშინწინ, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსუბუქი, მოთელვითი ხასიათის უკანასკნელი ვარჯიში ჩაატარა,. რუიტის ბაზაზე გატარებული ერთი კვირის მანძილზე საქართველოს ნაკრები იმდენად ინტენსიურად ვარჯიშობდა, რომ ჩივაძემ ფეხბურთელების დასვენება გადაწყვიტა.

სულ უფრო და უფრო იზრდება აჟიოტაჟი თავად შვეიცარიაში. ბოლო დღეებში რუიტში დაბინავებული საქართველოს ნაკრები შვეიცარიელი ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში მოექცა.

რუიტის ბაზას ესტუმრა ციურიხის გაზეთის, " Tages Anzeiger"-ის რეპორტიორიც, რომელიც საქართველოს ნაკრების ვარჯიშს დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს. მას თან ჰქონდა გაზეთის ერთ-ერთი ნომერი, რომელშიც შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, კობი კიუნი მომავალ მატჩზე საუბრობს. კიუნი ამბობს, რომ მას აქვს საქართველოს ნაკრების მიერ ჩატარებული მატჩების რამდენიმე ვიდეოჩანაწერი. "იმ მატჩებში, რომელთა ხილვის საშუალება მომეცა, საქართველოს ნაკრები საკმაოდ კარგად გამოიყურება. თურქეთის წინააღმდეგ მათ 0:3 წააგეს, მიუხედავად ამისა, ამ მატჩმა დამანახა, რომ ქართველთა მთავარი კოზირი შეტევაში თამაშია. მათი ნახევარდაცვის ხაზი, რომელიც ქინქლაძით, ნემსაძითა და ჯამარაულით არის დაკომპლექტებული, აშკარად შეტევისკენაა მიმართული, ხოლო თავდამსხმელები არველაძე და დემეტრაძე მეტისმეტად სახიფათონი არიან. დაცვა ნამდვილად არ არის უშეცდომო, ეს თურქეთთან მატჩშიც გამოჩნდა", - მიიჩნევს კიუნი.

კიუნის წარმომადგენელი, მისი თანაშემწე პიერ-ანდრე შურმანი ტრაპზონის მატჩსაც კი დასწრებია და მწვრთნელისთვის დაწვრილებითი ინფორმაცია მიუწოდებია.

ციურიხელმა ჟურნალისტმა ისიც გვითხრა, რომ შვეიცარიელ გულშემატკივარს საქართველოზე ძალიან მწირი ინფორმაცია აქვს, აქედან გამომდინარე მომავალი მატჩის მოგებას ისინი აუცილებლობად მიიჩნევენ. შვეიცარიაში თვლიან, რომ თუ მათ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის პრეტენზია აქვთ, საქართველოს ნაკრებს აუცილებლად უნდა მოუგონ.

დიდი ზეწოლის ქვეშ დგას თავად კიუნი. ის ნაკრების მთავარ მწვრთნელად გასული წლის 10 ივნისს დაინიშნა. მანამდე იგი ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს ხელმძღვანელობდა. ეროვნული გუნდის სათავეში მოსვლის დღიდან კიუნს მუდმივად აკრიტიკებენ. ბევრი მიიჩნევს, რომ მას არ აქვს უმაღლეს დონეზე მუშაობის გამოცდილება, რადგან აქამდე ის მხოლოდ ახალგაზრდულ გუნდებს ედგა სათავეში. საქართველოს ნაკრების დამარცხება კიუნისთვის გარკვეულწილად სკამისთვის ბრძოლასაც ნიშნავს, რადგან, წაგების შემთხვევაში, ის დაკავებული თანამდებობიდან მოხსნის საშიშროების წინაშე დგას.

შვეიცარელ ჟურნალისტს უამრავი ინფორმაცია მივაწოდეთ საქართველოს ნაკრების შესახებ. მას არ ჰქონდა ინფორმაცია კახი კალაძის ძმასთან დაკავშირებით. ქართველ ფეხბურთელთაგან იგი განსაკუთრებით კარგად იცნობდა მიშა ყაველაშვილს, გოჩა ჯამარაულს, შოთა არველაძეს და გიორგი ქინქლაძეს. ჩვენი ნაკრების ვარჯიშისას ჩემი კოლეგა აღფრთოვანებას არ მალავდა, როდესაც შოთა არველაძემ ლომაიას კარში რამდენიმეჯერ სახიფათოდ დაარტყა. "ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება", - თქვა მან.

ვარჯიშის შემდეგ შვეიცარიელმა ჟურნალისტმა ჩივაძესთან დალაპარაკება მოითხოვა და საქართველოს ნაკრების მწვრთნელთან, დაახლოებით, 15 წუთიანი ინტერვიუ ჩაიწერა. ჟურნალისტს აინტერესებდა, თუ როგორ დაახასიათებდა ჩივაძე საქართველოს, რისი ბრალია, რომ ჩვენმა ნაკრებმა აქამდე ვერ შეძლო ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა. ჩივაძის თქმით, ეს ძალიან შორს მიმავალი თემაა და ამდენი საუბრის დრო მას არ გააჩნია. კითხვაზე, თუ რომელი შედეგი ჩაითვლებოდა საქართველოში ნაკრების წარმატებად, ჩივაძემ უპასუხა, რომ ფრე ნამდვილად არ იქნებოდა წარუმატებლობა.

ფრეს გაგონებაც არ სურთ თავად შვეიცარიელებს. ჩვენი მეტოქის მომავალი მატჩისათვის მზადების ყოველი ნიუანსი შვეიცარულ პრესაში ქვეყნდება.

კობი კუნის თქმით, ნაკრების შემადგენლობაში ოდნავი ცვლილება მოხდება. საქართველოს წინააღმდეგ ის ფეხბურთელები ითამაშებენ, რომლებმაც ავსტრიის წინააღმდეგ მატჩში (3:2) მიიღეს მონაწილეობა.

შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების ფეხბურთელთათვის პრემიებიც დააწესა. თითოეული ქულისათვის ყოველი მოთამაშე, რომელიც კვირას გამოვა მოედანზე, 3000 შვეიცარულ ფრანკს მიიღებს, 6000-ს გამარჯვების შემთხვევაში და 3000-ს - თუ მატჩი ფრედ დამთავრდება.

## ქართველებისთვის იღბლიანი ბაზელი

### ჯანაშია სპორტულ ფორმას იბრუნებს

მიხეილ აბაიშვილი
ციურიხი - ბაზელი

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა გერმანიის დაბა რუიტის საწვრთნელი ბაზა 6 სექტემბერს დატოვა და შვეიცარიის ქალაქ ბაზელში, დაახლოებით ღამის 12 საათისთვის ჩამოვიდა. სხვათა შორის, ბაზელი საკმაოდ იღბლიანი ქალაქია ქართველთათვის. სულ რამდენიმე დღის წინათ, კერძოდ 1 სექტემბერს, ამ ქალაქში ჩატარებულ ძიუდოისტთა მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრებმა ბრწყინვალედ იასპარეზა და ძიუდოს მამამთავრების - იაპონელების კვალდაკვალ მეორე ადგილი დაიკავა. ასე რომ, ფეხბურთელთა ნაკრებისთვისაც წარმატების გარკვეული წინაპირობა არსებობს.

ჩვენი ეროვნული ნაკრები ბაზელის ერთ-ერთ წყნარ უბანში მდებარე ხუთვარსკვლავიან სასტუმრო "REDISON SAS"-ში დაბინავდება. გუნდი ორ ვარჯიშს ჩაატარებს, მათ შორის, ერთს იმ სტადიონის მინდორზე, რომელზეც შესარჩევი შეხვედრა ჩატარდება. ეს გახლავთ "სენტ ჯეკობს სტადიუმი", რომელიც მხოლოდ 35 ათას გულშემატკივარს იტევს. პრინციპში, ბაზელს მეტი არც სჭირდება. ქალაქში 300 ათასი მცხოვრებია და ციურიხისგან განსხვავებით, საკმაოდ მყუდრო და ტურისტებისათვის უფრო მიმზიდველია.

თამაშის დროს სტადიონზე საქართველოს ნაკრებსაც ეყოლება გულშემატკივარი, თუმცა, საკმაოდ მცირერიცხოვანი. ორი დღის წინ ციურიხში ფრანკფურტიდან ქართველ ტურისტთა 50-კაციანი ჯგუფი ჩამოვიდა. გულშემატკივრები ციურიხში, სასტუმრო "სტოლერში" დაბინავდნენ, რადგან ამ დღეებში ბაზელში ყველა სასტუმრო გადაჭედილია. მიზეზი მსოფლიო სავაჭრო გამოფენა- ფესტივალია, რომელიც ამ ქალაქში იმართება და 7 სექტემბერს სრულდება. ამიტომაც იმართება ჩვენი თამაში ერთი დღის დაგვიანებით, მთელს ევროპაში შესარჩევი თამაშების დღედ უეფა-ს მიერ გამოცხადებული 7 სექტემბრის ნაცვლად. ტურისტულ ჯგუფთან ერთად ჩამოვიდნენ ნუკრი კაკილაშვილი და ლევან ყიფიანი, რომლებსაც მომავალი თამაშის თაობაზე აზრის გამოთქმა ვთხოვე. ნუკრი კაკილაშვილი: "ძალიან რთული თამაში გველის. მართალია, შვეიცარიის ნაკრები ამჟამად არ მიეკუთვნება საფეხბურთო გრანდთა რიცხვს, მაგრამ ასეთად ვერც ჩვენს ნაკრებს მივიჩნევთ. სატურნირო თვალსაზრისითაც და ფსიქოლოგიურადაც ამ შეხვედრაში წარმატებას ორივე გუნდისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება. პირადად მე ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუ ბაზელიდან 1 ქულას მაინც წამოვიღებთ". გაცილებით ოპტიმისტურადაა განწყობილი ლევან ყიფიანი: "სიზმარი ვნახე, რომ თამაში ანგარიშით 1-0 დასრულდება, ოღონდ იმას ვერ ვიხსენებ, რომელი გუნდი გაიტანს ამ გოლს. ეს ხუმრობით. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ნაკრები გაიმარჯვებს".



ზაზა ჯანაშია

ნაკრებს შეუერთდა ზაზა ჯანაშია, რომელიც თანდათან იბრუნებს ოპტიმალურ სპორტულ ფორმას, რაც უეფა-ს თასზე "ლოკომოტივისა" და "კოპენჰაგენის" ორრაუნდიან დაპირისპირებაშიც დადასტურდა. "კოპენჰაგენის" მწვრთნელზე ჯანაშიას თამაშმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და როგორც თავად ფეხბურთელმა მითხრა, ამ გუნდმა უკვე დაიწყო ზრუნვა ზაზას გადაბირებაზე.

ლევან ყიფიანის მსგავსად არ ფიქრობს შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კობი კიუნი. შვეიცარიელთა დამრიგებელმა 3 დღის წინ შეკრიბა ნაკრები და მომავალი თამაშისათვის გამალებული ემზადება. კიუნმა შეკრების ადგილად საფეხბურთო კლუბი "ბაზელის" ბაზა შეარჩია და შაპიუზას და კომპანიას ორჯერადი ვარჯიშებით სიქას აცლის. ასეთ დატვირთვას უკვე "შეეწირა" "სერვეტის" ნახევარმცველი სებასტიან ფურნიე, რომელმაც ტრავმა მიიღო და თავის ნაკრებს ქართველების წინააღმდეგ ვერ დაეხმარება. ასევე ეჭვქვეშაა შვეიცარიის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, "ბაზელის" ნახევარმცველის, ჰაკან იეკინის თამაშიც. ჰაკანისგან განსხვავებით, მისმა ძმამ და თანაკლუბელმა, მურადმა მოირჩინა მცირე ტრავმა და როგორც კობი კიუნმა "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, მას 8 სექტემბერს აუცილებლად ვიხილავთ მოედანზე. "მე საკმაოდ კარგად ვიცნობ ქართულ ფეხბურთს და თქვენს ფეხბურთელებს. რამდენიმე მათგანი დღესაც შვეიცარიაში თამაშობს. აღარაფერს ვამბობ კალაძეზე და შოთა არველაძეზე, რომლებიც ევროპული დონის ვარსკვლავები არიან. თუმცა, არც ჩვენ გვყავს სუსტი გუნდი. შვეიცარიული ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა, რაც სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდების წარმატებებით დასტურდება. "ბაზელმაც" სელტიკის ბარიერი გადალახა და ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა. იოლი თამაში არ გველის, თუმცა, გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ", - გვითხრა შვეიცარიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა.

რაც შეეხება საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს, კოპალეიშვილმა თავისი შეგირდები რუიტიდან 5 სექტემბერს წამოიყვანა. მისი გუნდი შვეიცარიელ თანატოლებს დღეს დაუპირისპირდება ბაზელსა და ციურიხს შორის მდებარე პატარა ქალაქ გრეხენში.

ალპინიზმი

# ცისფერი მთები, ანუ ტიან-შანი

ბიგა ბურასაშვილი

**"თოვლის ჯიქს", ბიძინა გუჯაბიძეს, ვერტიკალურ სამყაროში კარგად იცნობენ. მას არაერთი სასიმაღლო ასვლა განუხორციელებია. სიდუხჭირე რომ არა, უფრო მეტს შეძლებდა. ის, რაც აქამდე გაუკეთებია, ბევრისთვის კვლავაც მიუწვდომელია. ჰიმალაებში წარმატებულ ექსპედიციებზე რომ არაფერი ვთქვათ, გუჯაბიძეს სხვაგანაც გამოუჩენია თავი. ამ მხრივ აღსანიშნავია შუა აზიაში, ტიან-შანის მთებში განხორციელებული ასვლები. ტიან-შანზე ბოლოს 1997 წელს იყო. ახლახან კი ძველი მარშრუტები გაიხსენა და ორი შვიდიათასიანი მწვერვალიდან ხან თენგრიდან და გამარჯვების პიკიდან გადმოიხედა. ამასთან, ხან თენგრიზე ორჯერ ავიდა. ბევრისთვის ამ მწვერვალზე ერთხელ ასვლაც კი საოცნებოა. თბილისელმა მთამსვლელმა კი რამდენიმე დღეში ორივე მათგანი სამჯერ დალაშქრა. და მაინც, რა რჯიდა, რა უნდოდა ტიან-შანზე მაშინ, როდესაც არაერთხელ გაუტკეპნია ხან თენგრისა თუ გამარჯვების პიკის ბილიკები. გუჯაბიძეს ამაზე საკუთარი მოსაზრება აქვს:** "დღეს ქართველ მთამსვლელებს საქმე ასარჩევად არ გვაქვს. რისი საშუალებაც მოგვეცემა, იმას ბოლომდე ვიყენებთ. ახლაც ასე იყო - აზერბაიჯანელმა მეგობრებმა გზამკვლევობა მთხოვეს. ჩვენი მეზობლებისთვის ეს პირველი სასიმაღლო ექსპედიცია იყო. ამიტომ საკუთარი ხარჯით მიმიწვიეს. მაგრამ, ვიდრე ტიან-შანზე წავიდოდით, ზაფხულში ისინი ჩვენთან იყვნენ და, მოსამზადებლად, მყინვარწვერზე ორი იერიში განახორციელეს. "ხევის პატარძალზეც" მათთან ერთად ვიყავი. რაც შეეხება ახლანდელ ექსპედიციას, აზერბაიჯანელებს ხან თენგრის დალაშქვრა სურდათ, თუმცა, მხოლოდ ერთმა მათგანმა მიაღწია მიზანს. აზერბაიჯანელთა ოთხკაციანი ექსპედიციიდან სამმა 6800 მეტრზე ზემოთ ასვლაზე ხელი აიღო.

***- მეორედ ვისთან ერთად ახვედით?***

*- როცა აზერბაიჯანელებთან ერთად ვეშვებოდი, გზად სხვა ექსპედიციებს გადავეყარე, მაგრამ ამჯერად მარტო ასვლა გადავწყვიტე. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ მწვერვალისკენ სულ მარტო მივდიოდი. ძალიანაც რომ მდომებოდა, სოლო ასვლა არც გამომივიდოდა - თოვლის საბრძანებელში რომელ ექსპედიციას აღარ ნახავ.*

***- გამარჯვების პიკზე როგორ მოხვდით?***

*- მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანელები უკან დაბრუნდნენ, გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი და გამარჯვების პიკზე ციმბირელ მთამსვლელებთან ერთად ტრავერსი გამეკეთებინა. მაგრამ განზრახვა ჩაგვეშალა. 5800 მეტრზე საშინელი ამინდი დაგვატყდა თავს, ამიტომაც გაცლა ვამჯობინეთ. შემდეგ ესპანელთა ექსპედიციას მივეკედლე, თუმცა, 5800 მეტრზე ასულები, იმავე მდგომარეობაში აღმოვჩნდით - ამინდი ისევ აირია. ესპანელებმა უკან გაბრუნება გადაწყვიტეს. მე, მათთან ერთად მყოფმა რუსმა და ერთმა თურქმა კი იქ დარჩენა ვამჯობინეთ და მეორე დღისთვის მოვემზადეთ. მაგრამ ისეთ პირობებში მოგვიწია იქ ყოფნა, რომ... საღამოს გამოქვაბულს შევაფარეთ თავი. რამდენჯერმე თოვლი ჩამოწვა და ლამის გაგვგუდა. მთელი ღამე თოვლს ვწმენდდით. დილით ისევ გავუდექით გზას, უფრო სწორად, გავუდექი, რადგან თურქს ფეხები მოეყინა და, იძულებული გახდა, თავისთვის ეშველა. რუსიც მას გაჰყვა. მე კი გზად ჩეხ მთამსვლელებს შევხვდი და მათთან ერთად მწვერვალზეც ავედი. ჩრდილოეთით გამარჯვების პიკზე მაღალი მწვერვალი არ არსებობს. მასზე ასვლას წელიწადში 200-მდე მთამსვლელი ცდილობს. თუმცა, გაცილებით ცოტა აღწევს მიზანს. წლეულს გამარჯვების პიკზე 10 კაცი ავიდა, რაც კარგ შედეგად ითვლება. კლასიკური მარშრუტები, წესისამებრ, მარტივად ითვლება, თუმცა, გამარჯვების პიკზე ამას ვერ ვიტყვით. იგი მე-5ბ კატეგორიის სირთულისაა. მასზე რთული მხოლოდ მე-6 კატეგორიაა.*

**აღსანიშნავია, რომ გუჯაბიძემ ხან თენგრი, ახლანდელი ორი ასვლის ჩათვლით, შვიდჯერ დაიპყრო, ხოლო გამარჯვების პიკი - მეორედ. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმართული ხუთივე შვიდიათასიანიდან ბიძინა გუჯაბიძეს 16-ჯერ გადმოუხედავს. ამის გამოა, რომ ქართველ მთამსვლელს "თოვლის ჯიქის" ტიტული მიეკუთვნა.**



*ბიძინა გუჯაბიძე "24 საათის" რედაქციაში* ოური ლობჟანიძის ფოტო

რაგბი

# მიზანი, რომელიც ამართლებს საშუალებას

პაატა თოთაძე

იმ დროს, როცა ქართველი მორაგბეები რუსებთან მატჩის წინ საფრანგეთში გადიან საწვრთნელ შეკრებას, რუსეთის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა თავისი გუნდის უცხოტომელებით გაძლიერებითაა დაკავებული.

სამი სამხრეთაფრიკელის შემდეგ, რომელთაც რუსეთის მოქალაქეობა მიაღებინეს, იგივეს ორ ინგლისელს უპირებენ. ერთი მათგანი ინგლისში თამაშობს, მეორე კი ირლანდიაში. რუსეთის რაგბის კავშირში ამტკიცებენ, რომ ორივე მათგანს რუსი წინაპრები ჰყავდა. ინგლისელების გარუსებაზე, დაახლოებით, ორი თვის წინათაც საუბრობდნენ, თუმცა, ვერაფერს გეტყვით, ეს ისევ ის ინგლისელები არიან, თუ რუსებმა სხვები გამოძებნეს.

ჯერჯერობით არაა გარკვეული, რუსები როდის მოახერხებენ მორაგბეებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მიცემას, ანუ მოახერხებენ თუ არა ისინი საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაშს. რუსული საინფორმაციო საშუალებები ლამის ყოველ კვირას იმეორებენ, რომ საქართველოსთან დაპირისპირებას მათთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საკითხი არა მხოლოდ მსოფლიო თასის დასკვნით ეტაპზე გასვლას, რუსეთში რაგბის არსებობა-არარსებობასაც ეხება. ბოლო წლებში სპორტის ამ სახეობის განვითარებაში რუსებმა დიდი თანხა ჩადეს და ბუნებრივია, შედეგებსაც ელიან. მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დარჩენა კი მათთვის დიდი იმედგაცრუება იქნება, რომელმაც, შესაძლოა, ბიზნესმენებს და იმ ხალხს, რომლებიც დღეს რაგბის სწყალობენ, მისი განვითარებისთვის ზრუნვაზე ხელი აალებინოს. სწორედ ამიტომაა, რუსეთის რაგბის კავშირი ყველა მეთოდს და გზას რომ იყენებს სასურველი შედეგის მისაღწევად.

დღეს რუსეთის ჩემპიონატში მორიგი ტურის მატჩებია, შემდეგ კი ნაკრები ირლანდიელებთან მატჩისთვის მოემზადება. ალექსანდრ პერვუხინის თქმით, ნაკრების ყველა მოთამაშე ჯანმრთელადაა. ჯერჯერობით, შეკრებას მხოლოდ რუსეთის ჩემპიონატში მოთამაშეები გაივლიან, ლეგიონერები კი სამშობლოში ირლანდიელებთან მატჩამდე ხუთი დღით ადრე ჩავლენ.

რუსებისგან განსხვავებით, ჩვენმა ნაკრებმა მზადება გუშინ დაიწყო, თუმცა, კლოდ სორელის განკარგულებაში ჯერჯერობით მხოლოდ ის მორაგბეები არიან, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატში თამაშობენ ან საფრანგეთში უქმად არიან. ძირითადი ბირთვი კი 22 სექტემბერს შეუერთდება გუნდს. რამდენადაც ცნობილია, ნაკრები არც ერთ საკონტროლო შეხვედრას არ გამართავს ფრანგულ კლუბებთან, სამაგიეროდ, ორად გაიყოფიან და ერთმანეთში ითამაშებენ. ნაკრების ხელმძღვანელობის განცხადებით, ამ ეტაპზე საკონტროლო შეხვედრების გამართვა აუცილებლობას არ წარმოადგენს და მხოლოდ შესრულების დონეა ასამაღლებელი.

# დოპინგში ჩამალული სიმართლე

## მაგრაქველიძე, შესაძლოა, ყოფილ კლუბს დაუბრუნდეს

"ის, რაც "ბრივის" ხელმძღვანელობამ გააკეთა, აღმაშფოთებელია. მე შოკირებული ვარ ამ უსამართლო და ანტიჰუმანური გადაწყვეტილებით", - ასე შეაფასა საფრანგეთის პროფესიონალ მორაგბეთა პროფკავშირის თავმჯდომარემ სერჟ სიმონმა "ბრივის" ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება, კონტრაქტი გაეწყვიტათ მამუკა მაგრაქველიძესთან. შეგახსენებთ, რომ ქართველი მორაგბე ფრანგმა სამართალდამცავებმა ცოტა ხნის წინათ დააკავეს დოპინგის მოხმარებისა და გასაღების ბრალდებით. მას შემდეგ კვირაზე მეტი გავიდა და მაგრაქველიძეს არც აკრძალული პრეპარატების მოხმარება დაუმტკიცდა და არც მისი გასაღება. სამწუხაროდ, ამან ხელი არ შეუშალა კლუბის ხელმძღვანელობას, ქართველი ლეგიონერისთვის ნაადრევად შეეწყვიტა კონტრაქტი. ფრანგული კანონმდებლობის მიხედვით, მაგრაქველიძეს გუშინწინ წერილობით აცნობეს კლუბის გადაწყვეტილების შესახებ. მიზეზად დაასახელეს ის, რომ მან "ბრივის" რეპუტაცია შელახა და კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტი დაარღვია. ის პუნქტი კი, აკრძალულ პრეპარატებთან მორაგბეთა ყოველგვარი ურთიერთობის აკრძალვას ეხებოდა.

სიმონის თქმით, კლუბს უფლება არ ჰქონდა, ასე მოქცეოდა თავის მოთამაშეს. "ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დარღვეულია უდანაშაულობის პრეზუმფცია. მას დაუმტკიცდა, რომ არ იყო დოპინგის მომხმარებელი, უბრალოდ, გაუგებრობის მსხვერპლი გახდა. კლუბს კი, იმის ნაცვლად, რომ გუნდიდან გაეგდო, უნდა ერჩია, ვითარებაში გარკვეულიყო", - აღნიშნულია მის განცხადებაში. მანვე დახმარება აღუთქვა ქართველ მორაგბეს ფინანსურ და იურიდიულ საკითხებში.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, გუშინ მაგრაქველიძემ თავის ყოფილ კლუბს "ოშს" მიმართა იქ დაბრუნების წინადადადებით. "ოშის" მწვრთნელს ანრი ბრონკანს დღემდე თბილი ურთიერთობა აქვს ქართველ მორაგბესთან. მისი თქმით, ის დარწმუნებულია მაგრაქველიძის უდანაშაულობაში და დიდი სიამოვნებით მიიღებს კლუბში. ეს კი იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ ქართველ მორაგბეს საფრანგეთის რაგბის კავშირი ლიცენზიას არ ჩამოართმევს, თუმცა, ეს ნაკლებადაა მოსალოდნელი.

და თუ მაინც ასე მოხდა... "მე დავეხმარები მას უფრო ღრმა ანალიზების ჩატარებაში. და როდესაც დამტკიცდება, რომ ის არასდროს იღებდა აკრძალულ პრეპარატებს, კლუბს პასუხს აგებინებს". ესეც სიმონის სიტყვებია. მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს მაგრაქველიძე სიმონის მადლიერი უნდა იყოს სიცოცხლის ბოლომდე. აშკარაა, რომ ეს კაცი ბევრ თანამემამულეზე მეტად ეხმარება ქართველ მორაგბეს.

ჭორი უსაფუძვლოდ არ ჩნდებაო ნათქვამია. გუშინაც ხმა გავრცელდა, თითქოს ქართველი მორაგბე სხვის ნაცვლად მისულა ფოსტაში. უფრო ზუსტად კი იმ ვიღაცას, რომელიც სავარაუდოდ სახელიანი მოთამაშეა, ჩვენებურისთვის უთხოვია, საშიში არაფერია და ამანათს შენს სახელზე გამოვაგზავნინებო.

თითქოს ამას ელოდნენო და ფრანგულმა გაზეთებმა ჟურნალისტური გამოძიება დაიწყეს ფრანგულ რაგბში არსებულ დოპინგის პრობლემებზე. "ეკიპის" ინფორმაციით, არსებობს ვერსია, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ დოპინგთან ფრანგებს არც თუ ცუდი ურთიერთობა ჰქონიათ. იმავე წყაროს ინფორმაციით, დაახლოებით ანალოგიური შარშანაც მომხდარა, მაგრამ საფრანგეთის რაგბის კავშირს საქმე მაშინ რატომღაც მიუჩუმათებია. არსებობს ეჭვი, რომ საქმეში ვიღაც სახელიანი ფრანგი მოთამაშე იყო გარეული და კავშირსაც ამიტომ დასჭირდა მისი მიჩქმალვა.

კალათბურთი

# "ოცნების გუნდიდან" შეურაცხყოფამდე

## აშშ მსოფლიო ჩემპიონატს გამოეთიშა

**ინდიანაპოლისი.
მსოფლიო ჩემპიონატის
მეოთხედფინალი**

| | |
|---|---|
| არგენტინა –ბრაზილია | 78:67 |
| ესპანეთი – გერმანია | 62:70 |
| პუერტო-რიკო – ახ. ზელანდია | 63:65 |
| იუგოსლავია – აშშ | 81:78 |

**ნახევარფინალში
გუნდები ასე დაწყვილდნენ:**

არგენტინა – გერმანია
იუგოსლავია – ახალი ზელანდია

კალათბურთის თამაში ყველამ ისწავლა – ეს არის ყველაზე აქტუალური ლოზუნგი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ლოზუნგით აშშ-ის ნაკრების ერთგვარი რეაბილიტაცია ხდება, ამერიკელთათვის შეურაცხმყოფელი წაგების გამო, რომელიც NBA-ის ვარსკვლავებმა (ასე ერქვა ამ ფორმაციის ნაკრებს და არა "ოცნების გუნდი") მსოფლიო ჩემპიონატზე განიცადეს.

ზედიზედ ორი მარცხი, მათ შორის, პლეი-ოფში. ამგვარი რამ ისტორიას არ ახსოვს. ამერიკის ნაკრებს ასე ადრე მსოფლიო ჩემპიონატი არასოდეს დაუტოვებია. ეს იქნება ჯორჯ კარლის გუნდის სამუდამო სირცხვილი. მარცხიანი სერიის დაწყებამდე ამერიკელ მწვრთნელს ჰკითხეს – არ გეშინიათ, გახდეთ ამერიკის ისტორიაში პირველი მწვრთნელი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატი ვერ მოიგო?

პასუხი მეტად ფრთხილი აღმოჩნდა – კალათბურთმა განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია, ამიტომ სიურპრიზები მოსალოდნელია. მით უფრო, რომ კალათბურთის თამაში ყველამ ისწავლაო, – თქვა კარლმა და ამით თითქოს წინასწარ დაიზღვია თავი. მოკლედ, რაც NBA-ის ვარსკვლავებმა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, ჯორჯ კარლს თავისი გუნდის შესაძლებლობებში ეჭვის საფუძველი გაუჩნდა.



*ჯორჯ კარლი*



*ვლადე დივაცი*



*დირკ ნოვიცკი* REUTERS

არგენტინასთან მარცხი ამ საფუძვლის პირველი გამოვლინება იყო, მაგრამ მასპინძლებმა საგანგაშო სიგნალი შეუთამაშებლობას დააბრალეს. იუგებთან დამარცხებამ კი ცხადყო, რომ მსოფლიო ჩემპიონატებზე ამერიკელებს იოლი გასეირნება აღარ მოუწევთ და იქნებ ამ ფაქტმა ეროვნულ გუნდში, ეროვნული ღირსების დასაცავად, ნამდვილი ვარსკვლავები მოიზიდოს და მსოფლიო პირველობისადმი ამერიკელ გულშემატკივართა ინტერესი გააღვივოს.

ტურნირის ორგანიზატორები უაღრესად შეშფოთებული არიან მაყურებელთა დაბალი აქტივობით. თამაშს, საშუალოდ, მხოლოდ 133-528 მაყურებელი ესწრება. ამერიკის ნაკრების გამოთიშვამ კი შეიძლება დასწრება ნულამდე დაიყვანოს. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დირექტორის ფლორიან ვანინგერის თქმით, უცხოელი გულშემატკივარი რომ არა, თამაშებზე დასწრების მაჩვენებელი უარესი იქნებოდაო.

მოკლედ, იუგებმა მაყურებელთა დასწრებას ცუდი სამსახური გაუწიეს, მაგრამ კალათბურთი, მართლაც რომ, საჩემპიონო ითამაშეს. მეოთხე მეოთხედის წინ ამერიკის ნაკრები ექვს ქულას იგებდა. იუგების ცენტრს ვლადე დივაცს კი თავის აქტივში მხოლოდ ოთხი ქულა ჰქონდა. მატჩის დამთავრების შემდეგ დივაცის ანგარიშზე 16 ქულა ირიცხებოდა. ბოლო მეოთხედი კი იუგოსლაველებმა 29:20 მოიგეს. არგენტინის ნაკრებმა ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება იზეიმა და ნახევარფინალში გერმანელებთან გაარკვევს ურთიერთობას, რომლებმაც, დირკ ნოვიცკის სამაგალითო თამაშის წყალობით, ესპანელებს მოუგეს.



# სეზონი გაიხსნა - ნიუ-იორკი აღდგება

ხუთშაბათს, ღამით ტაიმს სკვერი და 42-ე ქუჩა უჩვეულოდ ცარიელი იყო. ნიუ იორკის ეს ყველაზე გადატვირთული უბანი ტრანსპორტისათვის მთლიანად გადაკეტეს, რათა გრანდიოზული კონცერტისთვის უკეთ მომზადებულიყვნენ. როგორც ცნობილია, ამ ღონისძიებამ, მოგვიანებით, ამერიკის ნაციონალური საფეხბურთო ლიგის ახალი სეზონი გახსნა. ქალაქის ხელმძღვანელობა ამ შოუზე დიდ იმედებს ამყარებდა. მათი რწმენით, ასი ათასიანმა კონცერტმა ქალაქს 11 სექტემბრის შემდეგ დაკარგული ტურისტები დაუბრუნა.

ტაიმს სკვერი სარეკლამო ბილბორდების ელექტრონული სიკაშკაშით ყოველთვის გამოირჩეოდა. თუმცა, კონცერტისთვის სკვერი და მიმდებარე ქუჩები კიდევ უფრო ბრჭყვიალა გახდა. "ვცდილობთ, დაკარგული ოპტიმიზმი დავიბრუნოთ. გვსურს, ვიზეიმოთ, რადგან ნიუ იორკელებს გასაოცარი შემართება აღმოაჩნდათ. ჩვენი მიზანია, მთელ მსოფლიოს დავანახოთ, რომ თანადგომისა და ლოცვისთვის მადლობელნი ვართ", - ეს იყო ჯონ ბონ ჯოვის შესავალი სიტყვა კონცერტის დაწყებამდე. ყველაზე დიდი აჟიოტაჟი სცენაზე მისი ჯგუფის გამოსვლას მოყვა. თუმცა, ნიუ იორკელებმა არანაკლები აღფრთოვანებით მიიღეს ივი, ალიშა ქიზი და ენრიკე იგლესიასი.



ნიუ-იორკელები ჯონ ბონჯოვის ესალმებიან
REUTERS

"ეს კონცერტი ადასტურებს, რომ ნიუ იორკში კვლავაც გაიხსენეს, რას ნიშნავს გართობა და მხიარულება", "ჩვენ ძლიერები ვართ, ნიუ იორკს რწმენა უბრუნდება", "რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ მათ დავამარცხებთ", - დაახლოებით ასეთი განწყობა სუფევდა ტაიმს სკვერზე შეკრებილ მსმენელებში.

გამოსვლის შემდეგ, "ბონ ჯოვი" ვერტმფრენით "ჯაიანთსის" სტადიონზე გადააფრინეს, სადაც, მისი სიმღერის შემდეგ, სეზონის პირველი მატჩიც შედგა – სან ფრანცისკოს გუნდთან.

# ჟურნალისტის ვერსია

თუპაკ შაკურის მკვლელობიდან ექვსი წლის თავზე გაზეთი "ლოს ანჯელეს ტაიმსი" რეპერის მკვლელობის მთავარ მონაწილედ მის მეტოქეს, Notorious B.I.G.-ს აცხადებს.

გაზეთის ცნობით, Notorious B.I.G.-მ (მისი ნამდვილი სახელია კრისტოფერ უოლესი) მკვლელს გადასცა იარაღი და ფულადი კომპენსაცია – 1 მილიონი დოლარის ოდენობით. შაკურსა და უოლესს შორის უთანხმოება, რეპერის მკვლელობამდე, თითქმის ერთ წელს გრძელდებოდა. სწორედ მათი დაპირისპირების შემდეგ დაიყო რეპ-საზოგადოება დასავლეთ (შაკურის) და აღმოსავლეთ (უოლესის) სანაპიროებად. ისინი ერთმანეთის შეურაცხყოფას არც სიმღერებში ერიდებოდნენ და არც სხვადასხვა ღონისძიებებზე.

უოლესმა შაკური ლოს ანჯელესის ბანდის Crips-ს წევრს, ორლანდო ანდერსონს მოაკვლევინა. მასვე გადასცა საკუთარი 40 კალიბრიანი "გლოკის" პისტოლეტი, მკვლელობიდან ერთი კვირის შემდეგ კი დაპირებული მილიონი დოლარის ნაწილიც – 50 ათასი დოლარი. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ხანში, გაურკვეველ შეხლა-შემოხლაში მოკლეს ანდერსონიც, ხოლო შემდეგ უოლესიც.

ეს ვერსია "ლოს ანჯელეს ტაიმსის" ჟურნალისტს, პულიცერის პრიზის მფლობელ ჩაკ ფილიპსს ეკუთვნის. წერილის გამოქვეყნებამდე ის თუპაკ შაკურის მკვლელობას მთელი ერთი წლის განმავლობაში იძიებდა.

# სამთა კავშირი ქორწინებით გამყარდა

ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი, იტალიის პრემიერი სილვიო ბერლუსკონი, ესპანეთის მეფე-დედოფალი, პორტუგალიის პრემიერი ხოსე მანეულ ბაროსო, სალვადორის პრეზიდენტი ფრანჩესკო ფლორესი, მედია-მაგნატი რუპერტ მერდოკი, ხულიო იგლესიასი, ესპანეთის მთელი მინისტრთა კაბინეტი და ბიზნესმენები – ეს შემადგენლობა ხუთშაბათს მადრიდთან ახლოს, ელ ესკორიალის მონასტერში (მე-16 საუკ.) შეიკრიბა და თვალი ადევნა ულამაზეს სანახაობას – ესპანეთის პრემიერმინისტრის ხოსე მარია აზნარის ქალიშვილის ჯვრისწერას (ცნობისთვის: ფილიპე მეორეს მიერ აშენებული ელ ესკორიალი ესპანეთის სამეფო ოჯახის განსასვენებელი ადგილიც გახლავთ). 20 წლის ანა აზნარისა და 31 წლის ალეხანდრო აგაგის საქორწინო ცერემონიალი ესპანურმა პრესამ დადებითად შეაფასა. აღსანიშნავია, რომ პრემიერის ქალიშვილი პოლიტიკისადმი აბსოლუტურად გულგრილია, თუმცა, სიძე პოლიტიკური წარსულით გამოირჩევა. უწინ ის მამის "პოპულარული პარტიის" ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა. ახლა ალეხანდრო პარტიული ცხოვრებისგან შორს დგას და პორტუგალიურ ბანკში მსახურობს, მაგრამ მაინც მიიჩნევენ, რომ მომავალში ის პოლიტიკას კვლავ დაუბრუნდება.



პრემიერის ქალიშვილი ანა აზნარი მეუღლესთან ალეხანდრო აგაგისთან და მშობლებთან ერთად
REUTERS

ბარიერებს მიღმა სანახაობას ასობით უბრალო ესპანელი ადევნებდა თვალს. ჯვრისწერის შემდეგ სტუმრებმა გადაინაცვლეს იქვე მდებარე ძველ ფერმაში, სადაც საზეიმო სადილი გაიმართა.

ქორწინების ცერემონიალზე ბერლუსკონისა და ბლერის ჩასვლამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სამ ევროპელ პრემიერს შორის დადებულ ალიანსს. მათ ევროკავშირში უკვე გავლენიან და მზარდ ძალად მიიჩნევენ. ხოლო, სილვიო ბერლუსკონი გახლავთ არა მხოლოდ ესპანეთის პრემიერის, არამედ მისი სიძის ახლო მეგობარიც.

## TV პროგრამა 7 სექტემბერი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
10.00 მულტსერიალი
11.30 სერიალი "ნიკიტა"
12.20 მხ.ფილმი
15.20 სიმფსონები
15.50 მხ. ფილმი
17.10 იქს მუტანტები
18.00, 00.00 კურიერი
18.20 რუსული ფილმი
20.00 მონტელზანო
21.00 კურიერი PS
22.00 ფსიქო. მხ.ფ. "ვა:იშვილის ოთახი"
00.15 მხ.ფ. "მრგოლელი". მთ. როლებში სილვესტერ სტალონე, ჯინა გერსონი
02.15 ღამის ჯაზი

### პირველი არხი

08.00, 15.00, 01.00 მოამბე
08.15 მხ. ფილმი "ქამელეონი"
09.35 "ცირკი"
10.00 "დილის პაემანი"
11.05 "მხიარული კარუსელი"
11.30 "ამბები ჩვენზე"
12.00 "ვიცი"
12.30 "მეტრო"
13.00 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა"
13.25 დოკ. სერიალი "საგნების ისტორია"
14.25 "საქართველო, დრო, მოვლენები"
15.15 მხ. ფილმი "ამერიკელები"
16.55 "საწინდარი"
17.15 მულტსერიალი "პრინცესა ნერი"
17.40 დოკ. სერიალი "გემრიელად მიირთვით გავშვებო"
18.00 "ვესტნიკი"
18.45 "თბილისის დროით"
19.05 "ენერგია"
19.30 პრეს-სტუდია
20.00 "რას ფიქრობს ხალხი"
21.15 "ფორტუნა"
21.50 სერიალი "ფორსაიტების საგა"
22.20 "მელომანია"
22.55 "ჰოლივუდის ვარსკვლავი" (ედი მერფი)
23.20 მხ. ფილმი "შემოდგომა ნიუ-იორკში"
01.10 ჯაზის საღამო

### მეორე არხი

19.00 მულტფილმი
19.30 ორატორი
19.40 სერიალი „მხოლოდ შენთვის"
20.30 ჯემი
21.00 დოკ. ფილმი „მოდარი ტელევიზიაში"
22.00 ჰიტ-პარადი
22.10 მხ. ფილმი „კაცი, რომელიც ტიროდა"

### ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "დათვი"
12.00 პროგრამა "სალონი"
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 მუსიკა
15.00, 21.00 "ვესტი"
15.30 მულტფილმი "პრინცესა მონოკოკე"
17.30 თქვენი ადვოკატი
18.30 მულტფილმი
19.30 ცეროდენა ვარსკვლავები
20.00 თინეიჯერი
21.25 ზერკალო
22.00 "გამარჯობა"
22.40 თეატრალური შეხვედრები
23.40 მსოფლიო სპორტი
00.40 მხ. ფილმი "მარტოხელა გმირი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.15, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "წითელი"
10.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ. ფილმი "დიდი იმედები"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
19.30 ჩანახატი
20.00 მხ.ფ. "სამნი უნდა მოვიშოროთ"
22.30 მხ. ფილმი "საწოლ ოთახში"
00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.30 "ცხოვრება სიტყვაში"
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
12.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
14.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
15.30 მხ. ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "თავისუფლად"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 ქართული ათეული
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "დროის მანქანა"
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "მშვიდობის მაძიებელი".
03.20 ნონ-სტოპი

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, "დღის ამბები"
09.20 ლიმონი და ლიმონათი
09.35 მულტფილმი "შეჰრაზადი" (44-ე სერია)
10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა"
11.20 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო"
11.45, 14.45, 16.20, 17.20, მუსიკა
12.00 მხ. ფილმი "საბედისწერო წერილები"
13.40 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"

14.00, 19.00 დოკ. ფილმი "ფრანგი მხატვრები - პალიტრა"
16.35 მხ. ფილმი "მატარებელი"
18.00 დოკ. ფილმი "მიამბე ციხის ნაშალო"
20.00 ევროპის სტადიონებზე
21.10 დოკ. ფილმი "საქართველოზე"
22.20 მხ. ფილმი "ვამპირის აჩრდილი".
00.40 მხ.ფ. "კიდევ ერთი კარგი რამ"

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "დიდოსტატის მარჯვენა"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "სამი ძმბილი"
13.50 სათავგადასავლო ფილმი "ნაპოლეონი"
15.10 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმების პროგრამა
17.00 კომედია "გმირი"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 "პრესდაიჯესტი"
19.40 ისტორიული ფილმი "რაინდული რომანი" (1-ლი სერია)
20.50 ქართული მხატვრული ფილმი "ნეილონის ნაძვის ხე"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50 Слово
23.30 მოკლემეტრაჟიანი ფილმი "წყნარი ქუჩა"
00.50 მხატვრული ფილმი "ცისფერი უფსკრული"
03.30 ბენი ჰილის შოუ
04.50 მხატვრული ფილმი "სხეული და სული"

### VII არხი

18.00, 21.45,23.00,01,55 ანონსი 18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
18.15 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
18.45 მელოდია
19.00 "აჩიკუდა"
19.25 "ბედნიერი ერი" - ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით.
19.30 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.05 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "შეჩერდი, თორემ დედაჩემი გესვრის"
21.30 "ღამის კაპრიზი"
22.30 სპორტული პროგრამა -ევროპული ფეხბურთი (ლიტვა-გერმანია)
00.20 პრესის მიმოხილვა
00.30 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
01.05 მელოდია
01.40 პრესის მიმოხილვა.

### ОРТ

07.25 "ОСТОРОЖНО, БАБУШКА"
09.00, 11.00, 15.00 Новости.
09.10 Играй, гармонь любимая!
09.50 Слово пастыря.
10.05 "МИСС МАРПЛ". "ТОЧНО ПО РАСПИСАНИЮ"
11.10 Смехопанорама Евгения Петросяна.
11.45 Смак.
12.05 Фильм "ДЛИННОЕ, ДЛИННОЕ ДЕЛО".
13.45 "Чтобы помнили"
14.30 Дисней-клуб: "Утиные истории".
15.10 "Инопланетянин".
16.10 Сериал "БЕГЛЕЦ".
17.00 "УШОЛ И НЕ ВЕРНУЛСЯ"
19.00 Вечерние новости.
19.20 "Шутка за шуткой".
19.50 Футбол. Отборочный матч. Россия - Ирландия
22.00 Время.
22.30 Х.Ф. "НАСТОЯЩАЯ МАККОЙ".
00.35 Х.Ф. "РОБ РОЙ".
03.10 Реальная музыка.

### РТР

07.20 "ПЕРВЫЙ ТРОЛЕЙБУС"
08.40 "Здоровье и жизнь".
09.10 Сериал "ДРАКОША И КОМПАНИЯ"
09.35 "Золотой ключ".
10.00 "Военная программа" Александра Сладкова.
10.20 "Наука и техника".
11.20 "Сам себе режиссер".
12.20 "Сто к одному".
13.15 "ФОРТ БОЯРД".
14.10 Док\ф "ДЕЛО КОЛЬЦОВА"
15.00, 21.00 ВЕСТИ.
15.20 "3+2".
17.00 Концерт А. Зацепина
19.00 "Моя семья".
19.55 "Аншлаг".
21.25 "Зеркало".
21.55 "Стань звездой"
22.50 "АНАКОНДА"
00.40 "АМЕРИКАНСКИЙ ПИРОГ"

### НТВ

07.50 "ВАСИЛИСА ПРЕКРАСНАЯ"
09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня.
09.15 "ПРОДЕЛКИ В СТАРИННОМ ДУХЕ"
10.25 "Без рецепта". Доктор Бранд.
11.20 "Квартирный вопрос"
13.25 "Все сразу!"
14.05 "СТРАХ ВЫСОТЫ"
15.50 Вкусные истории.
16.05 Своя игра.
17.30 "Неизвестная планета".
18.25 "ЖЕНСКИЙ ВЗГЛЯД" Оксаны Пушкиной.
19.00 "Шоу Елены Степаненко"
20.35 "Осень на улице разбитых фонарей" Гала-концерт
22.50 Профессиональный бокс.
00.00 "УЩЕРБ"
02.05 "ЗВЕРИ"

ყაზბეგი

გამომცემლობა «ლოგოს პრესი» წარმოგიდგენთ



შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში

OTO FOOX & GLOBAL VENTURES (USA)

ოტო ფუქსისა და გლობალ ვენჩერსის (აშშ)

საერთაშორისო განათლების პროგრამა გთავაზობთ

ინგლისური ენის

შესწავლას შემდგომი სტაჟირებით

ამერიკასა და ინგლისში

რუსთაველის 36
ტელ: 99-72-04

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



# ალა-მაჰმად-ხანის ორდენის წარდგენა



## აღწერილობა

ორდენზე გამოსახულია ირანის შაჰინ-შაჰის, ყაჯართა დინასტიის დამაარსებლის ალა-მაჰმად-ხანის სახე.
პორტრეტის ავტორია ალა-მაჰმად-ხანის თანამედროვე ფრანგი მისიონერი მხატვარი ფრანც დე სსემბრიაკი.
დედაქალაქზე ზრუნვის ხარისხის შესაბამისად არის რამდენიმე კატეგორიის ორდენი:

1. ალა-მაჰმად-ხანის პირველი ხარისხის ორდენი ბაფთით;
2. ალა-მაჰმად-ხანის პირველი ხარისხის ორდენი უბაფთოდ;
3. ალა-მაჰმად-ხანის მეორე ხარისხის ორდენი ბაფთით;
4. ალა-მაჰმად-ხანის მეორე ხარისხის ორდენი უბაფთოდ;
5. ალა-მაჰმად-ხანის მესამე ხარისხის ორდენი ბიგუდებით.

## ორდენის სტატუტი

კავშირი "ძველი თბილისი", საზოგადოება "კრწანისი" და გაზეთ "24 საათის" დამატება "დედაქალაქი" აარსებენ ალა-მაჰმად-ხანის საპატიო ორდენს ქალაქ თბილისის ცენტრის განვითარების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლის აღსანიშნავად.
ალა-მაჰმად-ხანის ორდენის კავალერი შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, განურჩევლად ასაკის და პროფესიისა: ხელმარდი არქიტექტორი, მგზნებარე ჩინოვნიკი, სამშობლოს ბედით შეწუხებული პოლიტიკოსი, ხელმადლიანი მონუმენტალისტი, შემართული მეხოტბე და ა.შ., ანუ ყველა ის, ვინც არ იშურებს ძალასა და ენერგიას და აგრძელებს 1795 წელს კრწანისის ველზე დაწყებულ საქმეს. აგრეთვე, ჟიურის გადაწყვეტილებით, ორდენი შეიძლება მიენიჭოს ორგანიზაციას, სამშენებლო კომპანიას, სახელმწიფო უწყებას.
ალა-მაჰმად-ხანის ორდენი მფლობელს აკისრებს დიდ უპასუხისმგებლობას შთამომავლობის წინაშე.
ორდენის გადაცემა უნდა დაემთხვეს "თბილისობის" დღესასწაულს, რომელიც, სასურველია, დაემთხვეს შვიდ ნოემბერს.

ჩვენთან, თბილისში

# თბილისის ცენტრი E-ინდუსტრიალიზაციის ხანაში

ვატო ლეჟავა

მაქვს სურვილი გამოვეხმაურო ქალბატონი მარინა თუმანიშვილის წერილს „რიყის განაშენიანება – პრობლემები და წინადადებები" („24 საათი", „დედაქალაქი", 27.07.02). ეს სურვილი ჩემში არა მარტო წარმოდგენილმა თემამ და პრობლემის გადაწყვეტის საინტერესო გზამ დაბადა, არამედ იმ განცდამ, რომ ჩვენ უნდა დავიწყოთ საჯარო დისკუსია ჩვენი ქალაქის განვითარების საკითხებზე. სტატიაში მინდა შევეხო თბილისის ურბანული განვითარების რამოდენიმე თემას. ასეთი ფორმატით წარმოდგენილ მოსაზრებებს არ ექნება ურბანული კვლევის პრეტენზია, მაგრამ მსურს, მკითხველთან ერთად, წერილობით ვიფიქრო თბილისის განვითარებაზე.

ის პირები, ვინც დღეს თბილისის განვითარების „მესაჭენი" არიან, ალბათ, სიამოვნებით დაუჭერენ მხარს ამ იდეას. მაგრამ, ალბათ არა იმ მოტივით, რომ მათ დედაქალაქის მომავალი გულწრფელად აინტერესებთ. მათი ინტერესები, ნათლად ირეკლება იმ პოლიტიკაში, რომელსაც ისინი ასე გეგმაზომიერად ახორციელებენ. „მესაჭეთა" კმაყოფილების საფუძველი შეიძლება გახდეს ვითარება, როდესაც ჩვენ მიმდინარე მოვლენებს მოვწყვეტთ თვალს და ფუტურისტული სავარჯიშოებით ვიქნებით დაკავებული, ისინი კი გააგრძელებენ ქალაქის კატასტროფული ტრანსფორმაციის მართვას.

არ მაქვს არავითარი სურვილი მათ ასეთი სიამოვნება მივანიჭო და „პოზიტივსა" და ზოგად „პრობლემატიკაზე" (მათი ტერმინოლოგია) გადავიტანო საზოგადოების ყურადღება. ჩემი განწყობა სულ სხვაგვარია. მიმაჩნია, რომ:

სწორედ ასეთი პრობლემების დასმითა და გამოსავლების ძიებით წარმოჩნდება, როგორი არაადეკვატური ურბანული პოლიტიკა ხორციელდება დღეს. ჩვენ გვაიძულებენ კონკრეტულ, ლოკალური კატასტროფებს ვებრძოლოთ და დავკარგოთ გლობალური ხედვა. ამით მოახდინონ ჩვენი ძალისხმევის ფრაგმენტაცია, და დაგვაჯერონ, რომ (სოციალურად, ეკონომიკურად და ესთეტიურად) მახინჯი გარემო, რომელიც ხელისუფლების ძალისხმევით ყალიბდება, უკიდურეს შემთხვევაში, შეცდომათა ერთობლიობის შედეგია და არა გეგმაზომიერი პოლიტიკისა. ზოგადი პრობლემების განხილვით ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ერთ „სტილში" დაშვებული შეცდომების ერთობლიობა, სწორედ რომ მიზანმიმართული პროლიტიკაა;

რაც არ უნდა იყოს, „ჰომო-სოვიეტიკუსების" მმართველობა დასრულდება. ეს ისტორიული განვითარების ლოგიკაა. უბრალოდ, ეს უფრო მალე მოხდება საზოგადოების ძალისხმევით. გადაშენების შემდეგ „ჰომო-სოვიეტიკუსები" არაფერს დაგვიტოვებენ პრობლემების გარდა. მათთვის წარსულიც, დღევანდელობაც და მომავალიც დღეს არის. ამდენად, ფიქრი იმაზე თუ რა უნდა იყოს ხვალ, რა უნდა მოვიმოქმედოთ „პოსტ-ჰომო-სოვიეტიკუსურ ეპოქაში" სასიცოცხლოდ აუცილებელია.

## რიყე

ამდენად, ვუბრუნდები ქალბატონი თუმანიშვილის სტატიას და წინადადებას რიყეზე შეიქმნას საზოგადოებრივი პარკის. ეს მეც ერთადერთ რეალისტურ და მდგრად გადაწყვეტილებად მიმაჩნია. ასეთი პარკი მნიშვნელოვნად გააჯანსაღებს არამარტო ლოკალურ ურბანულ გარემოს და სტრუქტურას, არამედ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს, იმ ზოგად-საქალაქო პრობლემის გადაწყვეტაში, რასაც მწვანე და საზოგადოებრივი სივრცეებისა მწვავე დეფიციტი წარმოადგენს თბილისისათვის.

თბილისის სიმწვანის ილუზია იქმნება ქუჩისპირა და პერიფერიული გამწვანების ხარჯზე, რასაც რეალური წვლილი ჯანსაღი გარემოს შექმნაში ვერ შეაქვს და მხოლოდ ვიზუალური ეფექტია. სტატიაში მოყვანილი სტატისტიკაც (მწვანე სივრცე ერთ მოსახლეზე დაახ. 3 მ2) ამას ადასტურებს და ის ფაქტიც, რომ ეს მწირი სივრცეებიც კი ძალზედ ფრაგმენტირებულია. ქალაქის შიგნით თითქმის არ არსებობს მწვანე არეალი, სადაც არა მარტო ვიზიტის, სეირნობის საშუალებაც არსებობს. ასეთ ადგილს თბილისში, მხოლოდ ვაკის პარკი და კუს ტბის ფერდობი წარმოადგენს. როგორ შაგრენის ტყავივით ილევა ეს ტერიტორია და როგორ ხდება მისი კომერციალიზაცია, თვალსაჩინოა. პოტენციურად ასეთივეა მთაწმინდის პარკი, მარამ მის გარშემო ატეხილი ბიზნეს-დავა საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ რამოდენიმე „ძიძა" კომპრომისს სწორედ „ბავშვის" (პარკის) ხარჯზე მიაღწევს. არადა, ვინც კი დასავლურ ქალაქებში ყოფილა და ამ ქალაქების ბირთვში არსებულ მწვანე არეალებში უსეირნია, დამეთანხმება, რომ ეს ჯანსაღ ქალაქში მაცხოვრებლის უდიდესი პრივილეგიაა. ამდენად, ის შიდა საქალაქო ტერიტორიები, რადაც მწვანე განაშენიანების განვითარების შანსი არსებობს, აუცილებლად უნდა დაეთმოს ამ ფუნქციას. რიყე ამისათვის ადეკვატური ტერიტორიაა.

მას შემდეგ, რაც ისტორიული რიყე განადგურდა, სულ იდგა დღის წესრიგში მისი განვითარების გზების ძიება. ჩატარდა რამოდენიმე კონკურსი, მიმდინარეობს მსჯელობა. ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. რა თქმა უნდა, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან და „თბილისობის" (მალე მართლა დაგვჭირდება: თბილისი აღარ გვექნება და მხოლოდ „ვითბილისებთ") ეგიდით შექმნილი (ვითომ) დროებითი რურალური „საზკვების" ობიექტების ადგილი კაპიტალურ-„კაპიტალისტურმა" რესტორნებმა დაიკავეს. „ჰომო-სოვიეტიკუსების" ხელში ამ პროცესის გაგრძელებას არაფერი ემუქრება. ჩვენ გვემუქრება საფრთხე, რომ რიყისაგან არაფერი დაგვრჩება „რესტორნარის" გარდა (ბაღნარის ნაცვლად). ამდენად, რიყეზე საზოგადოებრივი პარკის შექმნა არა მარტო სტრატეგიული, არამედ პრევენტიული თვალსაზრისითაც გამართლებული უნდა იყოს.

ირიბად მხარდამჭერი ამ იდეისა, შეიძლება ის ფაქტიც იყოს, რომ: თბილისში 1983 წელს ჩატარდა საერთაშორისო სტუდენტური სემინარი, რომლის თემაც რიყის განითარების გზების ძიება იყო. მე წილად მხვდა პატივი, რამოდენიმე ქართველ და უცხოელ სტუდენტთან ერთად, მემუშავა ჯგუფში, რომელსაც პროტუგალიელი არქტიტექტორი ტავარეში ხელმძღვენელობდა და რომელმაც რიყის განვითარების რეალისტურ და სიცოცხლისუნარიან გზად, სწორედ საქალაქო პარკის განვითარება წარმოადგინა.



თბილისის ბაზრობა

იური ლობოდინის ფოტო

## ქალაქის ცენტრი

რიყის პრობლემამ შეიძლება ლოგიკურად მიგვიყვანოს თბილისის ცენტრის განვითარების პრობლემამდე. საერთოდ, აქვს კი პრობლემა თბილისის ცენტრს? საკითხი, ალბათ, სხვაგვარად უნდა დაისვას: თბილისს აქვს ცენტრის პრობლემა.

ეს პრობლემა წამსვე ამოტივტივდება, როგორც კი შევეცდებით, თბილისის ცენტრის იდენტიფიცირება მოვახდინოთ. დამეთანხმებიან კოლეგები, რომ მისი გეოგრაფიული, ფიზიკური და მორფოლოგიური განსაზღვრა სიძნელეს წარმოადგენს. პირველი, რაც ასოციაციურ-ემოციურად მოდის წინა პლანზე - რუსთაველის გამზირია. თუმცა, ერთი გამზირი არ შეიძლება მილიონნახევრიანი ქალაქის ცენტრის ფუნქციას იტევდეს, და ეს ასეც არის. როგორც კი, თბილისის ცენტრის დეფინიციის პროცესში რუსთაველის გამზირს გავცდებით, ძალიან ძნელი ხდება თბილისი, ცენტრის მიჯნების დადგენა. არის მისი ნაწილი მელიქიშვილი-კოსტავა-ჭავაჭავაძის ღერძი? არის მისი ნაწილი აღმაშენებელ-ბაზარ-ბაზრობის ღერძი? იქნებ ძველი თბილისიც? იქნებ კოსტავა-გამსახურდია-ფშაველა-დელისი? იქნებ პრესტიჟული საცხოვრებელი უბნები ვერა-ვაკე? ამ კითხვებს, რა თქმა უნდა, დადებითი პასუხიც აქვს და უარყოფითიც.

რაც ცალსახად იკვეთება ამ კითხვებიდან არის ის, რომ: (ა) თბილისის ცენტრის, მით უფრო მისი ბირთვის იდენტიფიცირება, რთულია; (ბ) როდესაც თბილისის ცენტრზე ვიწყებთ საუბარს, რეალურად, ქუჩებზე (ღერძების) ვიწყებთ ფიქრს და არა ტერიტორიაზე; და (გ) სავარაუდო ტერიტორია იმენად დიდია (როგორც კი რუსთაველით არ შემოვიფარგლებით), რომ ეს არეალი არ შეიძლება "ცენტრი" იყოს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ თბილისს არ გააჩნია კონსოლიდირებული საერთო-საქალაქო ცენტრი.

ამ ჰიპოთეზის წარმოდგენისთანავე უნდა გაეცეს პასუხი მეორე ჰიპოტეზას, რომელიც უწყის, რომ: თბილისი არის ე.წ. „ხაზოვანი" ქალაქი და მას, შესატყვისად „ხაზოვანი ცენტრი" გააჩნია. ამ თეზისის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ (ა) თბილისი 50-იანი წლების შემდეგ ნამდვილად აღარ არის ხაზოვანი ქალაქი და კარგად განვითარებული „ვარსკვლავისებური" ფორმა აქვს და (ბ) ტერმინი „ხაზოვანი ცენტრი" სულაც არ ნიშნავს „ქუჩის-გასწვრივ-ცენტრს", რასთანაც საქმე თბილისის შემთხვევაში გვაქვს, არამედ *კონსოლიდირებულ არეალს*, რომელსაც თუმცა არ გააჩნია ფოკალური (შემკრები) წერტილი, გააჩნია შემკრები ღერძი. მხოლოდ განვითარების ღერძებმა არ შეიძლება ხაზოვანი ცენტრი ჩაანაცვლოს. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ თბილისი, განვითარების ნებისმიერი ღერძიდან 50 მეტრშიც კი (მაგ. პერპენდიკულარული ქუჩა) ცენტრალური ფუნქციების არსებობაზე საუბარი აღარ გვიწევს. არადა, „ხაზოვანი ცენტრის" მითი დიდი ხანია დამკვიდრებული პროფესიულ წრეებში.

მაშ, რასთან გვაქვს საქმე, თუკი არც „ხაზოვანი ცენტრი" გვქონია. იქნებ, თბილისი პოლიცენტრული (მრავალ ცენტრიანი) მეტროპოლისია? ასეთი ვარაუდის საფუძველი არსებობს. თბილისის ზომა-წონის ქალაქი არ შეიძლება მონო-ცენტრული იყოს. მარგამ, თავად პოლიცენტრულ ქალაქებსაც უნდა გააჩნდეთ საერთო-საქალაქო დედა-ცენტრი.

მაშ, თბილისი „უცენტრო" ქალაქია?

## „უცენტრო" ქალაქი?

იმისათვის, რომ ეს საკითხი განვიხილოთ, უნდა დავუბრუნდეთ კლასიკურ ცნებას, რაც საერთო-საქალაქო ცენტრს განმარტავს, როგორც: კონსოლიდირებულ ტერიტორიას საზოდაგოებრივი და საქმიანი ფუნქციები მაღალი კონცენტრაციით.

ასეთი ტერიტორიები თბილისში ფრაგმენტულია. ეს ფრაგმენტები ურთიერთკავშირში ქუჩების მეშვეობით არიან და არა ურბანული სტრუქტურით, ამდენად ამ ფრაგმენტების ერთიანი საერთო-საქალაქო ცენტრად აღქმა არც ხდება და არც ხერხდება. მაგალითად, ძნელი სათქმელია: არის აღმაშენებლის გამზირი ქვე-ცენტრი, თუ საერთო-საქალაქო ცენტრის ნაწილი. იგივე შეეხება ჭავჭავაძის გამზირსა, თუ დელისის მეტროს მიმდებარე ტერიტორიას.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თბილისს გააჩნია ფრაგმენტირებული და გაბნეული საერთო-საქალაქო ცენტრი. იგი მრავალგან არის და, ამდენად, არ არის.

თუკი ეს მოსაზრება რომელიმე ჩემი თანაქალაქელის თავმოყვარეობაზე იმოქმედებს, შევთავაზებ ერთად დავიაროთ ქალაქი და აღმოვაჩინოთ რაიმე საბაბი სიამაყისა. რა თქმა უნდა, წარსულის გარდა.

სანამ იმას განვიხილავდეთ, თბილისის „უცენტრობა" პრობლემას წარმოადგენს, თუ უბრალოდ, შემდგარი ფაქტია, ცოტა უკან დავბრუნდეთ.

თუ ემოციურად შევხედავთ, უმეტესი დედაქალაქელისა და „დედაქალაქის სტუმრისათვის" თბილისის ცენტრი რუსთაველის გამზირია. ეს ასე არ არის. ეს უფრო მითია, ვიდრე ფაქტი. რუსთაველი შეიძლება ქალაქისათვის ემოციურ-ფსიქოლოგიური „გულია", მაგრამ არმც და არამც საერთო-საქალაქო ცენტრი ურბანული თვალსაზრისით. რუსთაველი ფიზიკურად ვერ დაიტევდა მეგა-ქალაქის (გაიხსენეთ, რომ თბილისის ცენტრი ეროვნული ცენტრიც უნდა იყოს საქართველოს ცენტრალიზებული სტრუქტურიდან გამომდინარე) და ვერც იტევს ცენტრს. ამასთან გავიხსენოთ, რომ „ქუჩა" არ შეიძლება, რაგინდარა გეომეტრიის, „ცენტრი" იყოს. ამას ადსტურებს ფაქტი, რომ, როგორც კი რუსთაველს ავცდებ-ჩავცდებით კლასიკურ საცხოვრებელ ზონაში ამოვყოფთ თავს. ის რასაც, რუთაველის ღერძი და (ფრაგმენტულად) მისი მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს, „ადმინსტრაციული ცენტრის" ხასიათს თუ ატარებს. ადმინისტრაციული ცენტრი, დიახაც, შეიძლება იყოს საერთო-საქალაქო ცენტრის შემადგენილი ნაწილი, მაგრამ არ შეიძლება ანაცვლებდეს მას.

## რუსთაველზე

რუსთაველის მიდამოების „ცენტრობა" წარსულს ჩაბარდა. სავარაუდოდ, გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან, როდესაც ქალაქი ჰიპერტროფირებული ზრდის ფაზაში იყო. ადეკვატური საქალაქო ცენტრის დატევა რუსთაველის ჩამოყალიბებულ სტრუქტურაში შეუძლებელი იქნებოდა და შეუძლებელიც გახდა. ამ პერიოდამდე კი რუსთაველის არეალი, ალბათ, მართლაც წარმოდგენდა საერთო-საქალაქო ცენტრს. ამას ადასტურებს ის ნოსტალგიური დამოკიდებულება, რაც ჩვენ ქალაქის „დაკარგული" ცენტრისადმი გვაკავშირებს („...მთელი ქალაქი რუსთაველზე ირკიბებოდა, ვის არ შეხვდებოდი. . ."). ეს იყო შედეგი გარემოებისა, რომ „მთელი ქალაქი" ბევრად უფრო მცირე იყო და საზოგადოებრივი ცხოვრებაც დიდი ალტერნატიულობით არ გამოირჩეოდა და ასეირნებ-ჩასეირნება ლიმიტირებულ ალტერნატივათაგან (დაბადების დღეზე სიარულთან ერთად) ერთერთი მთავარი იყო. ამის სანაცვლოდ, ჩემმა მეგობრებმა, ამ რამოდენიმე წლის წინ, რუსთაველზე, ტესტირების მიზნით, აისერ-ჩაისეირნეს და მოგვახსენეს, რომ მხოლოდ ერთადერთი ნაცნობი შეხვდათ - ეროვნებით ირლანდიელი.

შექმნილი ვითარებიდან ჩანს, რომ თბილისის „მეორე გენგეგმაში", რომელიც 1954 წელს დამტკიცდა, თბილისის საქალაქო ცენტრის განვითარება არაადეკვატურად შეფასდა, ხოლო იგივე გენგეგმით გათვალისწინებული ჰიპერზრდა გახდა მიზეზი, რომ გაზრდილ ცენტრალურ ფუნქციებს რუსთაველი არეალმა ვერ გაუძლო და იგი „გაიბნა". ეს დღეს ცხადია.

არც თბლისის „მესამე გენგეგმას" (დამტკიცდა 1970; დღესაც ძალაშია!) უპასუხია ამ პრობლემისათვის ადეკვატურად. რა თქმა უნდა, იგი ვერ მოერგებოდა 80-იანი წლების ბოლოს დაწყებულ საოციალურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციებს, მაგრამ ის თითქმის 20 წელი, რომლის განმავლობაშიც იგი სრულ მოქმედებაში იყო, საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ თბილისს „დაკარგული" საერთო-საქალქო ცენტრი მოეპოვებინა. ეს არ მომხდარა.

იყო მცდელობები, ისევ რუსთაველის არეალში „ჩაეკვეხებინათ" ახალი ფუნქციები. ასეთი ჩაკვეხების ოდიოზური მაგალითებია საქართველოს კომუნისტრური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული შენობა (აწ კანცელარია) და „ყურებთან" არსებული სივრცე (აწ რესპუბლიკის მოედანი). საინტერესოა, რომ თითქოს წინასწარმეტყველებდა რა „მესამე რომი" საკუთარ აღსასრულს და მოქმედებდა რა თავდაცვის ინსტიქტით, მან (შესაბამისად ავტორებმა) ორივე ობიექტს აშკარად მილიტარული ხასიათი მიანიჭა. არც კანცელარია, თავისი ამბრაზურისმაგვარი ფანჯრებითა და ქონგუროვანი კოშკით, და არც მხოლოდ-საალლუმო-დანიშნულების ფალშ-მოედანი გახლავთ კეთილგანწყობილი მოქალაქეებისა და გარემოს (არსებულის და აღარარსებულის) მიმართ.

არსებობდა (არსებობს) მითი, რომ რუსთაველი შეიძლება ფეხმავალთა ქუჩა გახდეს. ამ იდეაში ორი რამ არის გაუგებარი: (ა) რატომ უნდა იაროს ხალხმა, რომელიც ტროტუარზედაც ხალვათად გრძნობს თავს, სავალ ნაწილზე ან (ბ) როგორ უნდა გაჩნდეს იმდენი ქვეითი, რომ ტროტუარმა ველარ დაიტიოს. ახალ ფუნქციების დაბინავების შესაძლებლობა, რაც „ახალი ფეხმავალების" მოზიდვის საფუძველი გახდებოდა, რუსთაველს აღარ გააჩნია. რა თქმა უნდა, თუკი ისევ რამეს არ „ჩავაკვეხებთ".

## თბილისის ბურჟუაზიული ცენტრი

არადა, ის ამოცანა რომელიც, როგორც აღინიშნა, 50-იანი წლების ბოლოს დადგა თბლისში, ერთხელ წამატებით გადაწყდა.

ეს იყო პერიოდი (19 საუკუნე), როდესაც თბილისში ერთდროულად სამგვარი (!) ფუნდამენტური ტრანსფორმაცია მიმდინარეობდა: (ა) ხდებოდა ფეოდალური ურთიერთობების რღვევა და ყალიბდებოდა კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობა; (ბ) ხორციელდებოდა ახალი (რუსულ-ცარისტული) ადმინისტრაციის დამკვიდრება; და (გ) შენდებოდა აღა-მაჰმად-ხანის მიერ დაქცეული თბილისი.

სამივე ამოცანა წარმატებულად გადაწყდა:

„გაიხსნა" ახალი სივრცე „ბურჟუაზიული" ქალაქისათვის (ადმინისტრაცია – რუსთაველის ღერძი; ბურჟუაზია – სოლოლაკი, აღმაშენებელის არეალი; წარმოება – დიდუბე; მუშათა დასახლება - ნაძალადევი);

ახალმა ადმინისტრაციამ პრაგმატულად გაუწია ანგარიში კარგად ჩამოყალიბებულ მრავალსაუკუნოვან სოციალურ-კულტურულ გარემოს და საკუთარი საქალაქო-ადმინისტრაციული ცენტრის განვითარება ისტორიულ ცენტრს გაარიდა და ამისათვის „ახალი სივრცე" გახსნა. ერთი წუთით წამოვიდგინოთ რა სოციალური კატაკლიზმები მოჰყვებოდა ახალ ადმინისტრაციის განზარახვას, შუასაუკუნოვან საქალაქო სტრუქტურაში დამკვიდრებულიყო, ან რა დაგვრჩებოდა თბილისის შუასაუკუნოვანი სტრუქტურისაგან; და მოხდა, ძველი თბილისის სტრუქტურის საფუძველზე, ქალაქის განახლება, რაც (თითქმის ორმა საუკუნემ დაადასტრურა) ბრწყინვალედ მოხერხდა.

ზემოთხსენებულ წარმატებათა მიზეზი ორ ფაქტორში უნდა ვეძიოთ: (ა) საზოგადოების კარგად ჩამოყალიბებული და განვითარებული სოციალური-კულტურულ სტრუქტურასა და თვით-რეგულირების უნარში, და (ბ) ხელისუფლების პრაგმატულობასა და ეფექტურობაში.

თბილისის აღმშენებლობა მე-19-ე საუკუნეში შეიძლება შევადაროთ მე-2-ე მსოფლიო ომის შემდგომ „გერმანულ სასწაულს". ორივე შემთხვევაში სასწაულებრივ სწრაფად და თვისობრივად ახლებურად მოხერხდა ომის მიერ მიყენებული ფიზიკური ზიანის ლიკვიდირება. ორივე მაგალითი ცხადყოფს, რომ აღმშენებლობისათვის პირველადი საზოგადოების სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურაა და არა ფინანსები ან ფიზიკური სტრუქტურა. ვერც აღა-მაჰმად-ხანს და ვერც მეორე მსოფლიო ომს ვერ დაუნგრევია შესატყვის საზოგადოებათა სოციალურ-კულტურული კონსტიტუცია და თვითრეგულირების ინმუნიტეტი, რაც საკმარისი აღმოჩნდა სწრაფი ფიზიკური რეაბილიტაციისათვის. რაც შეეხება (მეფის რუსეთის) ადმინისტრაციას, რამდენადაც იგი პრუსიულ რაციონალიზმზე იყო დამყარებული, და რამდენადაც მოსალოდნელი წინაღობის ძალა საზოგადოების მხრიდან მაღალი იყო, ლოგიკურად გაკეთდა არჩევანი პრაგმატული მიდგომის სასარგებლოდ, და შედეგად ახალი ურბანული ღვინო ახალ ურბანულ ტიკებში ჩაისხა.

ის რაც მოხერხდა თბილისში, ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში, ვერ მოხერხდა „განვითარებული სოციალიზმის" ხანაში. სოციალისტურმა თბილისმა 60-იანი წლების შემდგომ ვერ შეძლო, ეშვა „ახალი ცენტრი". არადა, ამოცანა ბევრად მარტივი იყო, რადგან თვისობრივი ცვლილებები ქალაქში მხოლოდ რაოდენობრივი ცვლილებებიდან (ბევრად მეტი მოსახლე) და ავტომობილიზაციის ფაქტორიდან გამომდინარეობდა. ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციებს ადგილი არ ჰქონიათ. და სწორედ იმ ორი ფაქტორის არარსებობამ (მწყობრი სოციალურ-კულტურული სტრუქტურა და პრაგმატული ადმინისტრაცია), რაც ინდუსტრიალიზაციის ეპოქის თბილისის წარმატების საფუძველი იყო, სოციალისტური თბილისის კრახი გამოიწვია.

## E-ინდუსტრიალიზაცია

მე-20-ე საუკუნის მიწურულის თბილისის წინაშე მდგარი პრობლემები ძალიან მოგვაგონებს მე-19-ე საუკუნის გარიჟრაჟზე თბლისის წინაშე მდგარ პრობლემებს: (ა) ხდება სოციალისტური ურთიერთობების რღვევა და (ვვარაუდობთ, რომ) ყალიბდება ლიბერალური საზოგადოებრივი წყობა; (ბ) ხორციელდება ახალი (სავარაუდოდ, ეროვნული) ადმინისტრაციის დამკვიდერება; და (გ) თბილისი დაქცეულია: ისტორიული ნაწილი ფიზიკურად, სოციალისტური ნაწილი - მორალურად.

ამ თვალსაწიერიდან დავუბრუნდეთ თბილისის ცენტრის თემას. შევეცადე, დამესაბუთებინა, რომ თბილისს არ გააჩნია კონსოლიდირებული საერთო-საქალაქო ცენტრი და იგი ეპიზოდურად (ფრაგმენტულად) მჟღავნდება ქალაქის ვრცელ ტერიტორიაზე. ეს ფაქტია. მაგრამ არის თუ არა ეს პრობლემა? პრობლემაა, როგორც ზოგადი ურბანული თვალსაზრისით, ისე თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფომაციის თვალსაზრისით.

ზოგადი ურბანული თვალსაზრისით, კონსოლიდირებული საერთო-საქალაქო ცენტრის არსებობა ქმნის უპირატესობას, რომ შესატყვისი საზოგადოებრივი და ეკონომიკური ფუნქციების ერთად არის თავმოყრილი, რაც ამცირებს დისტანციებს, ამცირებს გადაადგილების დანახარჯებს, ზრდის მომსახურების კომფორტს, უძრავი ქონების მაღალი ღირებული გარემო იძლევა საფუძველს, შეიქმნას მაღალი ქალაქთმშენებლობითი ღირებულების გარემო, ასევე, გამოთავისუფლდეს სხვა ტერიტორიები ცენტრალური ფუნქციებისაგან, რაც შედეგად უკეთეს პირობებს ქმნის სხვა ფუნქციების განსათავსებლად და სხვა. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს დაზღვეული უნდა იყოს გადაჭარბებული კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციისაგან. კონსოლიდირებული ცენტრის არარსებობა სწორედ საპირისპირო შედეგს იძლევა; დისტანციები იზრდება, მაღალია გადაადგილების დანახარჯები, მომსახურების კომფორტი მცირდება, უძრავი ქონების ღირებულება არ იძლევა მაღალი ურბანული ღირებულების გარემოს შექმნის საფუძველს, ცენტრის ფუნქციებით იტვირთება დიდი არეალი და არ იძლევა სხვა ფუნქციების ადეკვატური განვითარების საშუალებას.

თბილისის სოციალ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის ჭრილში, თბილისს რომც გააჩნდეს განვითარებული საერთო-საქალაქო ცენტრი, „ახალი ცენტრის" აუცილებლობა მაინც დადგებოდა. ახალი ეპოქა ახალ საერთო-საქალაქო ცენტრში უნდა იარეკლოს. თბილისი, ხომ „ახალი ინდუსტრალიზაციის" ეპოქაში შევიდა.

საიტერესოა, რომ საქართველოს ორი დრამატული ტრანსფორმაციის პერიოდი (რუსეთის მიერ ანექსია და საბჭოთა იმპერიის დაშლა) ემთხვევა ზოგადსაკაცობრიო სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის ეპოქებს: მე-19-ე საუკუნის დასაწყისში ეს იყო ინდუსტრიალიზაციის ეპოქა, ხოლო 20-საუკუნის ბოლოს ეს იყო ე.წ. საინფორმაციო (ელექტრონული) საზოგადოების ჩასახვის ეპოქა, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ქალაქგანვითარებისათვის ეს რთული პერიოდებია. თბილისისათვის ეს სირთულე ორმაგია, რამდენადაც სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს ტრანსფორმაცია ემთხვეოდა და ემთხვევა ეროვნული სახელმწიფოს ტრანსფორმაციას.

მაშ თბილისი „მეორე ინდუსტრიალიზაციის" ეპოქაშია. რადგანაც, „პირველი ინდუსტრალიაზაცია" მექნიზმებთან და მანქანებთან იყო ასოცირებული და რადგან საინფომაციო საზოგადოებაში მოდურია ყველაფრისათვის „ელექტრონულის" მიკერება (e-mail, e-business, e-commerce, e-citizen, etc.), მოდით, ახალ ეპოქას *e-ინდუსტრიალიზაცია* (ელექტრონული ინდუსტრიალიზაცია) ვუწოდოთ.

## ახალი სივრცე თბლისის ცენტრის განვითარებისათვის

პირველი, რაც თვალსაჩინო გახდა 80-იანი წლების ბოლოს, იყო ფართის დეფიციტი კომერციისა და მომსახურებისათვის. რეაქცია ადეკვატური იყო. დაიწყო პირველი საცხოვრებელი სართულების ტრანსფორმაცია კომერციულ სივრცედ. ღმერთმა უწყის, რამდენი ათასი კვადრატული მეტრის გარდაქმნა მოხერხდა საკმაოდ მოკლე ვადაში. ეს პროცესი გრძელდება და იგი თვით-მართვადია (არავინ მართავს). თუმცა, რადგან ახალი ღვინო ბევრად მეტია ვიდრე ძველი ტიკები, საჭირო გახდა, ჭარბი მოთხოვნისათვის ახალი სივრცის გამოძებნა. და გამოიძებნა ბაზრობები. „ბაზრობიზაციის" საწყის ეტაპზე იყო განცდა, რომ ეს დროებითი მოვლენა იქნებოდა. ახლა განცდაა, რომ ეს მარადიული ღვთის რისხვაა.

ეს პატარა ისტორიული ექკურსი იმის წარმოსაჩენად გახდა საჭირო, რათა დაგვენახა: რეგულირება (ხელისუფლების ამოცანა) პროცესების უკან მიჩანჩალებს. „ჩანჩალა" რეგულირება არა იმდენად პროცესების მართვისათვის ხორციელდება, არამედ იმ მიზნით, რომ ხელისუფლება პროცესებში იყოს ჩართული (ფული აკეთოს).

მეცნიერულად და ემპირიულად დადასტურებული ფაქტია, რომ საბაზრო ეკონომიკას ძალუძს პროცესების მართვა, მაგრამ ასეთ განვითარებას საზოგადოება მიჰყავს ოპტიმუმამდე. საზოგადოების ამოცანა (ხელისუფლების მეშვეობით) არის საბაზრო პროცესების რეგულირება ოპტიმალური განვითარების უზრუნველსაყოფად. ამდენად, არც უნდა ვიოცნებოთ, რომ სპონტანური და ქაოტური განვითარების შედეგად, თბილისში ჩამოყალიბდება ახალი საზოგადობრივ-საქმიანი ცენტრი (ან სხვა რამ ღირებული). ის, რაც ამ გზით შეიძლება მივიღოთ, არის ფრაგმენტულად გადაჭარბებული კონცენტრაცია და ცენტრალური ფუნქციების კიდევ უფრო მეტი დისპერსია (გაბნევა).

არადა, *e*-ინდუსტრიალიზაციის ეპოქის თბლისის ცენტრს „ახალი სივრცე" სჭირდება. ასეთი სივრცე ქალაქის წიაღში უნდა მოიძებნოს. ასეთი სივრცე არსებობს. სამაგისტრო ნაშრომში, „ახალი სივრცე თბილისის ცენტრის განვითარებისათვის" მე შევეცადე დამესაბუთებინა, რომ ასეთი ტერიტორია დიდუბეში განთავსებული ინდუსტრიული ზონაა. თავს არ მივცემდი უფლებას, ასე თამამად განმეცხადებინა ამ ჰიპოთეზის შესახებ, რომ არა, რამოდენიმე კოლეგის თანხვედრი პოზიცია და რომ არა ბუნებრივი ტენდენცია, რომელიც თბილისის ცენტრალური ფუნქციების განვრცობას დიდუბისაკენ ექაჩება.

თუმცა, ეს არ არის არსებითი. არსებითი ამ ეტაპზე არის პრობლების აღიარება. იმის გაცნობიერება, რომ თბილისი „უცენტრო" ქალაქია და ეს ნაკლოვანებაა. თბილისმა უნდა იპოვოს თავისი თანამედროვე, საერთო-საქალაქო, საქმიანი ცენტრი (ე.წ. CBD - Central Business District). ბოლოს და ბოლოს, ეს არა მხოლოდ ფუნქციური და სტრუქტრული თვალსაზრისით, ქალაქის ემოციური და ფსიქოლოგიური აღქმისათვის არის საჭირო. ჩვენი დღევანდელი CBD (დიდუბის ბაზარ-ბაზრობები) არც ფუნქციურ-სტრუქტურული თვალსზრისით და არც ემოციურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, გვიტოვებს შანს, ან მოგვწონდეს, ან მით უფრო, თვითიდენტიფიცირება მოვახდინოთ მასთან. ეს ტერიტორია სიმბოლოა *e*-ფეოდალიზმის ხანაში ჩარჩენილი *e*-ინდუსტრიალიზაციის პროცესის უკან მოჩანჩალე ქალაქისა (ჩვენი).

იმედი მაქვს, წამოდგენილ მოსაზრებებს საკმაო მაპროვოცირებელი ძალა აქვს ჩვენი ქალაქის განვითარების საკითხებზე დისკუსიის წასახალისებლად, და არა მარტო პროფესიონალებისათვის.

*თბილისი. 03.08.02*

არქივი

# ქალაქი

**ფრაგმენტი ანდრეი ბიტოვის წიგნიდან "ქართული ალბომი" 1999 წელს ითარგმნა ქართულად და გაზეთ "ქომაგში" (N7) დაიბეჭდა. ამ წერილში, რომელსაც "ქალაქი" ჰქვია, ზუსტადაა შეფასებული იმ პერიოდის თბილისში წამოწყებული, მდაბიური მსოფლმხედველობით ნასაზრდოები "აღმშენებლობები". ავტორი შეშფოთებას გამოთქვამდა კულტურაზე ამგვარი ძალადობის მოსალოდნელი შედეგების გამო. დრომ დაადასტურა, რომ რუსი მწერლის შეშფოთება, საუბედუროდ, უსაფუძვლო არ ყოფილა. დღეს გთავაზობთ ამ წერილს და სპეციალურად "24 საათის" დამატება "დედაქალაქისთვის" ამ დღეებში ჩაწერილ საუბარს ცნობილ მწერალ ანდრეი ბიტოვთან.**



ანდრეი ბიტოვი

აი - ქალაქი! იგი დიდია და პატარა. ალბათ, სწორედ ესაა მისი მშვენება. ერთი მხრივ, ყველაფერი აქვს, რაც ქალაქ-სპრუტს უნდა ჰქონდეს: მილიონი მცხოვრები, მეტროპოლიტენი, გამალებული მოძრაობა, ინდუსტრიული გარეუბანი; ჰავაც - როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ ამ აღთქმულ მიწაზე, - დიდი ვერაფერი, ერთგვარი ჰაეროვანი ავთვისებიანობით სავსე; მეორე მხრივ: ეს არაფერი არ არის. შეუხვევთ და...

და ამ კუთხის იქით ქალაქი ხეს, ბუდეს, სკას, ვენახს, "ეტაჟერკას", სუროთი დაფარულ კედელს ემსგავსება. სართულებით, ფლიგელებით, დაშენებებით და შუშაბანდებით გაზრდილ სახლს ჰგავს, სადაც ყველა სახლი - თავისებური ქალაქია. მისი თითოეული ტოტი დაუსრულებელია, ცოცხალი შტოსავით, რომელსაც კვირტები აქვს, რომელიც - იზრდება, დაბეჯითებით ვერასოდეს იტყვით, რომ ამ სახლს კიდევ არ მიემატება პატარა აივანი, ან პატარა კიბე, ან სხვენი - სხვენის გვერდით; იქნებ გუშინ ვერ შენიშნეთ, ან იქნებ ხვალ მიაშენონ. და თუ ეზოდან მეგობარს შესძახეთ და იმანაც გიპასუხათ, "მოვდივარ!" ჩამოსვლამდე კიდევ სამჯერ მაინც მოჰკრავთ თვალს, როგორ გამოჩნდება და მიიმალება, ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, ხან კიბეზე, ხან კიდევ რომელიღაც აივანზე. ბოლოს ჩამოაღწევს, თქვენს წინაშე დგას, ხელს გართმევთ და ალბათ ფიქრობს, რომ არაფერიც არ გინდათ, ისე შემოუარეთ. აი, თუ ორი ლიტრი ღვინო გინათებთ ღამით გზას, მაშინ ნახავთ, როგორ დაიკარგებით ამ ტოტებზე, მიხვდებით - ამ პატარა კიბეზე კი არ უნდა ასულიყავით, არამედ იმაზე, ვაზივით რომ შემოხვევია სახლს გარშემო და სხვა ფანჯარასთან მიდის. ახ, პარდონ, ქალბატონო, თქვენთან არ მოვსულვარ. პარდონ, პარდონ, უბრალოდ მესიზმრებით: ეს კიბეები, გზას რომ მირევს, არ წყდება, - უბრალოდ, თქვენთან მოვყავარ.

აი, თითქოს ასფალტი ამოხეთქა სახლს ქვემოდან, ქვები მისწი-მოსწია და მაღალი, ვიწრო, რკინის მოაჯირის იქით, ხელისგულისოდენა მოედანზე ამოიზარდა ბაღი... ღონიერი, ტორტმანა ტანით ზემოთ წავიდა; ლავგარდანს მისწვდა, ჩაეჭიდა, აქეთ-იქით გაიშალა; კედელს მოედო, ფანჯრებს მოედო, პატარა აივანს მოედო; ულვაშებით აივნის მოაჯირის მიხვეულ-მოხვეული ხაზი გაიმეორა; გარს შემოევლო აივანს, ყვავილის მოსარწყავად გამოსულ ქალს, მის ხელში დახრილი ჩაიდნის ცხვირს შემოევლო; თავისი კლაკნილებით და ხვეულებით დრო დაიჭირა, თითქოს ბადეში - ისიც გაიხლართა, ჩარჩა; მეცხრამეტე საუკუნე, იმდროინდელი სახლები, ადამიანები ამ სახლებში, ნახევრად ჩაბნელებული ოთახები, და ის, ვინც წყნარად დაეხეტება სიგრილეში და ჩრდილიდან არ გამოდის... და უკვე ვაზი კი აღარ იზრდება სახლის კედელზე, ვაზი კი აღარ ეჭიდება ამ განწირულ კედლებს, არამედ კედლები დაკიდულა მის მძლავრ გადაშენებაზე და ისღა აკავებს, რომ ოდესღაც გაამაგრეს, მათი ხსოვნით, ვინც ოდესღაც აქ ცხოვრობდა და მყიფე ნაჭუჭში ინახავდა ხატს იმ სიყვარულისა, სამშობლო რომ ჰქვია.

წყალი ყვავილიდან გადმოიღვარა, პაწაწინა ჩანჩქერად, წვრილ ნაკადად, ქუჩა გადაჭრა - კუთხის იქიდან სამი უდარდელი ბატონი გამობრძანდა: ერთი მაღალი, ვიწროთავიანი, ულვაშიანი, კეპიანი; მეორე - პუშკინს ჰგავს, დაბამბული ქურთუკი აცვია; მესამე - პიჯაკიანი... - სულაც არ გაკვირვებიათ, რომ მათნაირი არა ვარ, აუმღვრევლად ჩამიარეს; მათი შეუწყობელი, ოდნავ მხიარული სიმღერა კიდევ დიდხანს ეშვებოდა მიხვეულ-მოხვეულ დაღმართებზე და როცა თითქოს ის-ის იყო, მიჩუმდა, უცებ ქუჩის ახალი მოსახვევიდან ისევ მომწვდა ხმა.

ხომ არ დამეძახა, გამეჩერებინა? რადგან კიდევ ნახევარი კილომეტრი თუ გაიარეს, უეცრად მოასფალტებულ, ლამპიონებით დღესავით გაჩახჩახებულ ქუჩაზე აღმოჩნდებიან, შუქი თვალს მოსჭრით, ტროლეიბუსი არ დაეჯახოთ, რა იცი, რა ხდება...

ან იქნებ, დროულად ჩაუხვიონ, დუქანი თვითონ დაეგოთ ფეხქვეშ ცბიერი საფეხურებით, სუნთქვასავით ჩაისრუტოს და ისევ ამოისუნთქოს. საიდან გამოვიდნენ ჩემს შესახვედრად, საიდან გამოძვრნენ სინათლეზე, თითქოს გუშინდლიდან, თითქოს თავიანთი წუთისოფელი ძილში გაეტარებინოთ? რა თქმა უნდა, აღარ მივლენ დიდი პოეტის სახელობის ქუჩასთან, დიდხანს აღარ ივაჭრებენ და სიამით აღარ აარჩევენ იმას, რასაც ორი ნაბიჯის იქით მიართმევს შემთხვევა.

ყოველთვის მოასწრებთ შეხვევას ამგვარი შთაბეჭდილებისკენ, რომელსაც შეიძლებოდა, დაეთრგუნეთ კიდეც თავისი დამაჯერებლობით ან თანმიმდევრობით. საეჭვოა, ამ ქალაქის გარდა სადმე სხვაგან მოუძებნოთ ყავლგასულ ან გაცვეთილ ფსიქიკას ასეთი მყუდრო გზები. აქ არ გაგიჟდებით, აქაურობა თქვენს სიგიჟესაც დაიტევს. ამ ქალაქში დღემდე შემოუნახავს ადგილი ქალაქელ გიჟს - იგი ყველას უყვარს და ანებივრებენ.

ეს უზარმაზარი ქალაქი უსასრულოდ აგიხდებათ. აგიხდებათ, როგორც ნატვრა, როგორც სიზმარი - ყოველი მოსახვევის იქით. მუდამ პატარა, მყუდრო სივრცეში აღმოჩნდებით, რათა მოიხედოთ და დაინახოთ შორეთი და მთა. და ეს გამუდმებული გასვლა ახალ, და იმავე დროს უწინდელ სივრცეში დაგამშვიდებთ, განუგეშებთ, გულზე მოგეფონებათ.

ქალაქი მართლაც ბუდესავით დაეკიდება ფართო მდინარის მარცხენა, ციცაბო ნაპირზე: მორები დაპატარა აივნები ბუდის წნელებივით იქნება გამოჩენილი კლდეზე. მერე მდორედ და სამუდამოდ აცოცდება ზემოთ მარჯვენა, დამრეც ნაპირზე, ვაზივით შემოევლება ახლო-მახლო ფერდობებს: ფოთლები ხან გამხსვილდება, გამუქდება, გაუხეშდება, ხან გაყვითლდება, გაწითლდება, ზოგი ხასხასით გამწვანდება და მთელი ეს ხალიჩა იქნება - ქალაქი. ზემოდან კი წარმოგიდგებათ, როგორც "ეტაჟერკა", როგორც ერთი გაზრდილი ასანთის კოლოფი: თაროები, პაწია ტერასები, პაწია კიბეები, შუშაბანდები თითქოს სახლს სახლთან აერთებენ, - ყველაფერი ეს ამაგრებს საერთო ხეს, რომელიც ერთ ეზოში დგას და მეორეს გადახურვია თავზე; საერთო ვაზს, რომელიც ერთი სახლის აივნიდან მეორე სახლის აივანზე გადადის... ყველაფერი გაიტოტა, აიხლართა, ერთმანეთს შეეზარდა - ყველაფერი ცოცხალია.

ამ ქალაქში დაეხეტებით, უთავბოლოდ, თითქოს ტყეში იყოთ. ერთფეროვნება და გამუდმებული ცვლილება, კანონის გულჩათხრობილობა - ხე. მშვიდი ერთფეროვნება, შეუმჩნეველი მრავალფეროვნება - ცოცხალი რიტმი - ქალაქი თანდათანობით ჰყვება თქვენს სუნთქვას, მაჯისცემას, სისხლის შრიალს. მაგრამ გინდ კიდევ რამის ნატვრა მოახერხოთ ცხოვრებაში (მოჭარბებული სიყვარულისგან შეიძლება კიდევ მეტი სიყვარული ინატრო), ეს ბოდვაც შეიძლება აგიხდეთ ამ ქალაქში, აქვე, მოსახვევს იქით...

გადავუხვიეთ ამ ქუჩიდან, რომელზეც თითქოს ველარ მოვხვდით... როგორ აგიხსნათ?.. ჩემს ამხანაგს უნდოდა, ერთი მხატვრის ფერწერა ეჩვენებინა, ვიდექი და ვათვალიერებდი რკინის მოაჯირშემოვლებულ სახლს, პატარა, რაღაც ოროვანდებით გაბურდულ ბაღს, ბალახში ჩაფლულ, გაუქმებული შადრევნის ამომშრალ, უსწორმასწორო ფინჯანს... ასე ვიდექი და ვიტკეპნებოდი, სანამ ჩემი მეგობარი შიგნით ვიზიტს ათანხმებდა. როგორც იქნა, გამოვიდა - შეწუხებული: მხატვრის ქვრივი ავად დახვდა და ჩვენი მიღება ვერ შეძლო. ასეთი მარცხი ფრთებს მასხამს ხოლმე - გადავუხვიეთ ქუჩიდან, რომელზეც ვერ მოვხვდით და კიდევ უფრო საკვირველ, არარსებულ ქუჩაზე აღმოვჩნდით. იგი ჩვენს ფეხქვეშ ადიოდა მარცხნივ და მარჯვნივ, თითქოს აიქნიეს, თითქოს მართლაც ხელის ჟესტით გახაზესო. ქვაფენილი, ქვებს შორის ამოსული ბალახი; პატარა სახლი - შუაში, მეორე სართულზე, პატარა კიბით; კაცი, გვირგვინების შეკვრა რომ მოჰქონდა... ზედმეტად მომეჩვენა მხოლოდ დაფა წედ წარწერილი ქუჩის სახელწოდებით. აი, ისეთი, თანამედროვე, ჩამოსხმული დაფა განმარტებითი ტექსტით. ასოები კი ქართული იყო, მაგრამ თარიღები - ჩემი. "აი, ერთი ეს დაფაა ზედმეტი, - აღტაცებით ვუთხარი ჩემს ამხანაგს, - ჩამოხსნი და, თითქოს დროს არც გაუვლია". და მაშინვე გამოვიდა მოლუშული, გაუპარსავი კაცი: ფანჯარაში გამოჩნდა მსუქანი ცოლი, სახეზე რომ ეტყობოდა, ახლახანს უჩხუბიათ; კაცმა დაფა შეათვალიერა, ქანჩით ჩამოგლიჯა, იღლიაში ამოიჩარა და შინ შებრუნდა. ცოლი რაღაცას მისძახოდა. ჩემი ამხანაგი იცინოდა: "ხომ ხედავ..." - "არა?! რა ხდება?!" - "ამ ქალს მობეზრდა, რომ ყველა მის ფანჯარაში იხედება".





ასეთი ქალაქია... ასეთი გაიზარდა, ასეთი იყო დღემდე. ვითომ კომუნალური პირობები რიგზეა? საკმარისია თბილი ტუალეტები და ცხელი წყალი? უსაფრთხოა, ვთქვათ, ხანძარსაწინააღმდეგო თვალსაზრისით? არა, არა, რას ბრძანებთ. მთლიანად დასანგრევია; მერე კი... აქედან სხვა გასასვლელი არ არის.

**თუ გინდათ, ახლაც დაინახოთ ქალაქი - ისეთი, როგორიც მუდამ იყო, ამას მხოლოდ სამი წერტილიდან მოახერხებთ...**

**კარგი იქნება, თუ დაბინავდებით ცენტრალურ, მრავალსართულიან სასტუმროში, რომელიც ყველა მხრიდან თვალში გეჩრებათ - სამაგიეროდ, მისივე მაღალი სართულიდან ვეღარ დაინახავთ: ქალაქი სასტუმროს გარშემო გაიშალა, თხასავით მდელოზე - ბაწრის სიგრძეზე. სასტუმროდან რომ გამოხვალთ და მოიხედავთ, სადაც არ უნდა იყოთ, დაინახავთ ამ პალოს.**

**ზემოდანაც კარგია ქალაქის თვალიერება, უნდა ახვიდეთ მთაზე, სადაც აღმართულია დიურალის ტევტონთა დედა ხმლით. დაინახავთ, თუ როგორ იღვიძებს თქვენს ქვემოთ ეს საუცხოო, თამბაქოს მოცისფრო ბოლში გახვეული ქალაქი. აქედან, ამ სიმაღლიდან, მაღლივი სასტუმროც კი ისეთი დიდი აღარ მოგეჩვენებათ. მოზღვავებული გრძნობისგან თავს უკან გადააგდებთ და დაინახავთ ალუმინის ქალის მოქლონილ ნესტოებს, თავზე რომ გადმოგდგომიათ; ზეცას გადახაზავს TY-104, მისი ძმა, სიმაღლით მისი სწორი.**

**კარგი იქნებოდა კიდევ ერთი წერტილის შემოწმება, თუმცა მე ვერ მოვასწარი. უნდა გადახვიდეთ მარცხენა, მაღალ ნაპირზე, ახვიდეთ კლდეზე, მდინარის თავზე დაკიდებულ მონასტერთან, დადგეთ მის ქვეშ ამ ცოტა ხნის წინ აღმართულ ცხენთან, რომელზეც, ხელი აღუმართავს ისევ ხმლიან, ძველისძველ დამფუძნებელს ამ ქალაქისა, და უნდა გადაიხედოთ ქვემოთ, იმ ადგილას, სადაც როგორც იქნა აიღეს ავთვისებიანი ქოხმახები, სადაც გაშენდება სკვერი და პიონერთა აუზი. ეს იქნება ხედი ქალაქისა, სადაც ჩაეტევა ყველაფერი, ცხენის გარდა - ასეთი არსად მინახავს.** დავეხეტებოდი იქ, ქვემოთ, მონგრეულ საქათმეში, მიყრილ-მოყრილი აგურების, ძონძებისა და კონსერვის ქილების გროვებში, ფეხსაცმლის წვერით განზე ვაგდებდი სხვა, დატკეპნილ ფეხსაცმელს, დავეხეტებოდი, როგორც არქეოლოგები იტყოდნენ, თანამედროვე კულტურულ ფენაზე და ვისმენდი ნაამბობს: სულ ცოტა ხნის წინ როგორ ცხოვრობდნენ გვერდიგვერდ აქ, ამ ადგილობრივ, პატარა ბაბილონში ენები, ხელობები და ხალხები. როგორი უჩვეულო და შეუდარებელი ენის მორევია აქ - ფილოლოგიური ყვავილი, კილოების გორგალი, განუმეორებელი, აღუდგენელი. დიალექტი მანამ ცოცხლობს, სანამ ამ დიალექტზე ლაპარაკობენ. დიალექტზე მანამ ლაპარაკობენ, სანამ არიან ის ადამიანები, ვინც ერთმანეთს ასე ელაპარაკებიან. სანამ ერთად არიან. ახლა ეს ენა აღარ არსებობს, იგი სხვადასხვა ადგილას დაასახლეს პირობების გაუმჯობესებისას. უცნაური იყო ამის წარმოდგენა: ბულდოზერით აღებული ფენა ადამიანთა ენისა, ჩამოფხეკილი ფენა ენისა. ცხენამდე არ ავსულვარ, სამაგიეროდ, კარგად ვხედავ მას: ვბორძიკობდი გროვაზე, სადაც ქალაქი იქნება და ბაღი იყვავილებს, უკან ვიხედებოდი და ვხედავდი ჩემს თავზე აღმართულ, გამარჯვებულ ჩლიქს. ეს ჯაგლაგი უნიკალურია არქიტექტურული პატივმოყვარეობით: ქალაქის თავზე საუკუნეობით გაბატონებული სამკაულის გვერდით რომ დაედგათ, საჭირო გახდა "გაესწორებინათ" (აეფეთქებინათ) კლდე, რომელზეც მონასტერი იდგა, რადგან დაკიდებულ ხაზზე ცხენის ადგილი არ იყო. ოღონდ ის, ვინც მოქანდაკის შესაშურად, სწორედ ეს ადგილი ამოარჩია, კლდის სწორედ ამ ხაზს ხედავდა და აქედან ამოზარდა თავისი ნაგებობა, ისე, როგორც კულტურულ რტოს ამყნობენ ველურ ხეზე. ისიც შეეთვისა. და აი, მონასტრისა და კლდის საბოლოო ხაზს ვეღარასოდეს ნახავთ: იქ ცხენი დგას, თან საგანგებოდ სწორედ მას ეცემა მზერის სხივი, ისე, რომ ყოველთვის ეცდება ტაძარს აეფაროს თავისი მძიმე გავით.

**ქალაქის ამ მთლიან ლოდში, ამ ცოცხალ სხეულში სამი პალო ისეა ჩარჭობილი, როგორც ძველ მონათმფლობელურ ქვის სატეხში იცოდნენ. ბზარები ღამღამობით მატულობს. მალე, სთულ მალე, ქალაქი სამ ნაწილად დაიშლება, გასკდება და გაიოლდება ამ ნაწილების სწრაფად დანაწევრება პატარ-პატარა სოლებად.**

ყოველივე ეს კეთილგონივრულია და მიზანშეწონილი, თუმცა ხანდახან, ჯაგლაგისა არ იყოს, არცთუ ეკონომიური. მაგრამ რაღაც უგნურად გწიწკნის სულს: დააცალეთ სიცოცხლე! ხომ ცოცხალია... - იცოცხლოს. მალე, სულ მალე თავისით მოკვდება.

ამ ქალაქში, ამ ადამიანებში აი, რა არის: ქალაქი გადარჩენას არ ცდილობს, ცოცხლობს, ადამიანები თითქოს შეუპოვრობას არ იჩენენ. გადარჩენა შეიძლება მხოლოდ ახალი სახით, ძველი სახე - თქვენი სულია, სხვა არ გაგაჩნიათ. ერთგულება სასიკვდილოდ გწირავთ, ღალატი სიცოცხლეს გპირდებათ. და რაკი ადამიანებს სხვაგვარად სიცოცხლე არ შეუძლიათ - გაქრებიან, ვერ გაძლებენ შეცვლილ მნიშვნელობებში, რადგან არ ინდომებენ ამ ცვლილებას. შეიძლება მოგეჩვენოთ: სიზარმაცით, სისუსტით. მაგრამ რაოდენი სიძლიერეა: გადაშენდე ისეთი, როგორიც დაიბადე! ყოყოჩობენ იმ მეზობლების წინაშე, ტრაგიკულად რომ გაფანტულან მსოფლიოში, და ყველგან ცოცხლობენ; თავს იწონებენ, რომ ემიგრაცია არა ჰყავთ, რომ სხვაგან ვერსად იცხოვრებენ. სხვაგან ვერსად ვერ ცხოვრობენ, მაგრამ აქაც სულ უფრო და უფრო კლებულობს მათი რიცხვი. ვინაიდან ის, რაც ცვლილებაზე უარს ამბობს, იღუპება. სისხლი გაცისფრდება, და არ შედედდება, წვეთ-წვეთობით არ გამოვა მსუბუქი, თითქმის შემთხვევითი ნაკაწრებიდან...

ვინ მეტყვის, რა იქნა ის "ეტაჟერკები"? როგორ ახსნას დავუჯერებ? ბლოკადის შემდეგაც შემოგვრჩა სახლში ბამბუკის "ეტაჟერკა", ალბათ იმიტომ, რომ ყველამ იცოდა - წუთით აალდება და მაშინვე ჩაიფერფლება, სითბო კი ასანთზე მეტი არ ექნება... თუ ბლოკადაც კი გამოიარა, მერე სადღა გაქრა მისი უხორცო, შიშველი ჩონჩხი, სამუდამოდ რომ დამიტოვა თავისი ჭრაჭუნი და რყევა, მტვერს რომ გადავწმენდდი ხოლმე?.. ერთ დღეს ვის მობეზრდა ამ მტვრის გაწმენდა, ვინ ველარ აიტანა, რომ ზედ ვერაფერს დააწყობდი? მაინც რას აწყობდნენ "ეტაჟერკებზე", იმ, "ეტაჟერკების" დროში? და თუ ათწლეულობით არავის უკვირდა, რომ აუცილებელი იყო მტვრის გადაწმენდა, რომელ დილას გაგვაღიზიანა ამ საქმემ? რომელ წამს მოგვივიდა აზრად, რომ თუ მთელი სიცოცხლე არ ვწმენდდით და წმენდაში დახარჯულ დროს ჩვრების რაოდენობაზე გავამრავლებდით, სერვანტი გამოვიდოდა? სად გვეჩქარებოდა, წყევლა-კრულვით რომ გავრბოდით და ჯიბეებით გამოვედებოდით მის უაზრო თაროებს? როდის აწიკწიკდნენ ნერვიულად ჩვენი მაღვიძარები, როდის შეცვალეს თითქმის უძრავი ქანქარას გამოზომილი სვლა, ისრებს რომ არ აჩქარებდა? როდის შევცვალე ვიზიტები წერილებით, წერილები - ღია ბარათებით, ღია ბარათები - სატელეფონო ზარით, ტელეფონი კი გამოვრთე? და ახლა რატომ მახსენდება გულაჩუყებით ის სულელი "ეტაჟერკა", როცა ჩემთვისაც კი ცხადია, რომ სინამდვილეში ეს საოცრად მოუხერხებელი, უაზრო, უვარგისი ნივთია, რომელმაც დაკარგა კი არა, არც ჰქონია დანიშნულება?.. რა ცრემლებსა ღვრი სანაგვეზე?! ყურებს ნუ ჩამოყრი, არა ღირს.

ასე მეტყვიან...

გადარჩება - ცოცხალი, სუსტი - გადაშენდება. რა უცნაურობაა - განწირულის სიყვარული? თითქოს, თუ რამე კარგია, განწირულია; ყველაფერი, რაც განწირულია - კარგია. ეგრე არ არის. არ ღირს. არაფერი საჭირო არ არის.

არადა - გენანება.

აქ ცხოვრება შეიძლება, აქ სხვები ცხოვრობენ. აქ ბოროტიც კი შეძლებს ცხოვრებას, პირქუშად, არავის არაფერს ავნებს. აქ - დაოკდებიან ხოლმე.

... თითქოს ერთხელ უკვე იცხოვრეთ...

*თარგმნა ოლეგ გოლიაძემ*

არტ-კლუბი

# თბილისის შენარჩუნებას ფანატიკური სიყვარული სჭირდება



ანდრეი ბიტოვი

## "ქართული ალბომი"

- საინტერესო სიტყვა ახსენეთ - "ისტორია". უცნაურია, მაგრამ ჩვენს საუკუნეში, ჩვენში, ცხადია XX-ს ვგულისხმობ და არა სხვა რომელიმეს, "ისტორია" დროითი კატეგორია კი არ არის, არამედ უკავშირდება კონკრეტულ ქმედებებს, საქციელს და ა.შ., ანუ ყოველივე იმას, რასაც შემოქმედებასთან კავშირი ნაკლებად აქვს. ლიტერატურის ისტორიაც მოიცავს უფრო ინფორმაციას, მასალას, ანალიზს, შეფასებებს იმ აკრძალვების, ნებართვების, ცენზების, ცენზურის შესახებ, ვიდრე გულისხმობს საკუთრივ ლიტერატურულ ტექსტს, მის მხატვრულ ღირებულებას და ა.შ. სწორედ ამგვარი ისტორია უდევს საფუძვლად ჩემს "ქართულ ალბომს". ვფიქრობ, სულ სხვა სახისა და ფორმის იქნებოდა ეს ნაწარმოები, რომ არა ბიტოვის მიმართ გამოყენებული შემოქმედებითი "რეპრესია" რუსეთში. თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, რომ სწორედ ჩემს საქართველოში "გადასახლებას" ჰქონდა ის საოცარი ხიბლი, რაღაც მაგნიტური მიზიდულობა ხალხისა და ქალაქის მიმართ, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ჩემი მწერლობის თავისებურებანი; მეორე მხრივ, სხვაგან ნაკლებად მოვახერხებდი "გადარჩენას", ყოველ შემთხვევაში იმ ასაკში, იმ პირობებში და ცხოვრების მაშინდელ ეტაპზე.

თავდაპირველად დაიწერა სამი ნოველა, უფრო სწორად, პორტრეტი, რომლის პროტოტიპებიც იყვნენ ჩემი მეგობრები, და სამივე მათგანს თავისებურად აერთიანებდა კინოხელოვნება - რეზო გაბრიაძე, ერლომ ახვლედიანი და ოთარ იოსელიანი. მოგვიანებით დავუმატე კიდევ ჩანახატი, რაც თავისებურ ფერწერულ ფონს ქმნიდა.

რეზოს ნოველას დავარქვი "Осень в заводе", რაც საოცარ გაკვირვებასა და დაბნეულობას იწვევდა ნაცნობ-მეგობრებში. არადა, სახელწოდება ორაზროვანი მნიშვნელობისაა. ყველა კითხულობდა: "А, где завод?" და არავინ იცოდა, რომ "За одой", ანუ ოდის მიღმა, სადაც კეთდება ჭაჭა, თვრებიან გოჭები, კლავენ ღორებს... ანუ ეს პორტრეტი უმთავრესად ქართული სუფრის, ღვინის, თრობის ჰიმნია. რაც შეეხება ერლომის "ლიტერატურულ ვარიანტს", სამწუხაროდ არ მახსოვს. "ქალაქი" კი ოთარ იოსელიანია და ერთგვარად მისი "იყო შაშვი მგალობელია".

რუსეთში ამ ფრაგმენტების გამოქვეყნება, თუ არ ვცდები, 1974 წელს ვცადე, ჟურნალში "ხალხთა მეგობრობა". სამივე პორტრეტი ერთიანი სახელწოდებით გავაერთიანე - "სამი ქართველი". დამიწუნეს. პირდაპირ მითხრეს: "რა შუაშია სამი ქართველი? და საერთოდ, რას ნიშნავს სამი ქართველი, შეგიძლიათ აგვიხსნათ? რატომ სამი ქართველი და არა სამი სომეხი, ან სამი ებრაელი?" რა უნდა მეთქვა? ჩემი აზრით, არც სამი სომეხი და არც სამი ებრაელი არ ჟღერდა, სამი ქართველი მიზანში გარტყმა იყო. და საერთოდაც, სამი ქართველი გარკვეული სიმბოლიკაა. ახსნას ვერ დავუწყებდი. საბოლოოდ, რუსული ვარიანტი "Портреты на фоне"-ს სახელწოდებით გავიდა.

მერე და მერე ნოველების რაოდენობა გაიზარდა, შეიცვალა მათი გაერთიანების პრინციპიც. ყოველივე ერთ-ერთ ყველაზე რთულ და წინააღმდეგობრივ პერიოდს უკავშირდებოდა. გარდა იმისა, რომ რუსეთში აკრძალეს ჩემი პროზის გამოქვეყნება, მქონდა საკუთარი შემოქმედებითი კრიზისიც. ველარ ვწერდი, თუ აღარ მინდოდა წერა, მე თვითონაც არ ვიცოდი. აი ასეთი საყოველთაო ჩიხის პერიოდში, რეზო გაბრიაძის ძალისხმევით, წავედი თბილისში. როგორც იტყვიან, თავს ვუშველე. მოგეხსენებათ, თბილისსა და საქართველოს არაერთი რუსი ხელოვანი შეეკედლა, თავი შეაფარა; საოცარია ისიც, რომ ამ ქვეყანამაც თავისი თბილი კალთის ქვეშ გაათბო არაერთი რუსი გენიოსი. ვფიქრობ, მხოლოდ პუშკინის დასახელებაც საკმარისია, რომელსაც ერთადერთი იუბილე (პოეტის სიცოცხლეში) თბილისში მოუწყვეს. სხვათა შორის, მე და რეზო დიდხანს ვამუშავებდით ამ თემას - რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე. მზად გვქონდა ტექსტიც, სადაც საქართველო მოიაზრებოდა, როგორც ტიპიური საზღვარგარეთი... ბევრი რუსი ასეც იქცეოდა ამ ქვეყანაში, პუშკინის ჩათვლით... მოგვიანებით, ხალხთა მეგობრობის პერიოდში, საქართველოს თავი შეაფარეს და ამით საკუთარი ხელოვნება გადაარჩინეს პასტერნაკმა, ზაბოლოცკიმ... ისინი იქ გადარჩნენ, ამასთანავე, მუშაობდნენ, ქმნიდნენ და მეგობრობდნენ(!). ეს მართლაც საოცარი ჰარმონიაა... მეც გავაგრძელე მათი ტრადიცია და ვეზიარე ამ საოცრებას.

ცოტა გადავუხვიე, არა? თბილისში ჩამოსულს ძალიან მაწუხებდა ყოველივე, რაც ჩვენს გარშემო ხდებოდა. და ამის გამო დავიწყე ლიტერატურულ ჩანაფიქრებზე მუშაობა, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდა რუსული და ქართული შთაბეჭდილებები სწორედ ისე, როგორც ფოტოალბომში. საქართველოში კი იმხანად, ვფიქრობ, სრულიად სხვაგვარი ცხოვრება მიედინებოდა, განსხვავებით ყველა სხვა დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკისგან. ქართველებს სხვა ცენზურა ჰქონდათ, სხვა ურთიერთობები, სხვაგვარი მეგობრობა... ალბათ, სწორედ ამის გამო, იმ პერიოდში მხოლოდ საქართველოში ვიბეჭდებოდი. არ დამავიწყდება მაშინდელი "ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტორი: ჩემი მოთხრობა "Вкус", რომელიც რუსეთმა აკრძალა, სწორედ მას მივუტანე - საკმაოდ რთული ნაწარმოები, რთული პროზა. მან მხოლოდ ერთი წინადადება მითხრა: "Я буду не я, если это не напечатаю!". და დამიბეჭდა კიდეც.

საქართველოში, იცით, სრულიად გახსნილი ურთიერთობებია – გულღია - იმდენად, რომ იხრჩობი ამ უჩვეულო ემოციებით. რა გითხრათ?.. ეს აღარ მაქვს... მტკივნეულია, რაღაცნაირად ხელმოცარული ვარ ამის გარეშე.

## თბილისი

**- ეს არის სრულიად განუმეორებელი, არაჩვეულებრივი ხიბლის ქალაქი. თავისი კოლორიტით, რაც მოიცავს, ვთქვათ, ხის ნაგებობებს, და ყოველივე ამის ნგრევა, ერთი შეხედვით, ბუნებრივი მოვლენაა. შედარებისთვის პეტერბურგს მოვიშველიებ. ეს ქალაქი პეტრემ მიზნობრივად, ფუნდამენტური მოსაზრებით, და ასეთივე ფუნდამენტური არქიტექტურით ჩაიფიქრა... სწორედ ამიტომ მას ვერაფერი ვერ მოუხერხა საბჭოთა ხელისუფლებამაც კი. აი, მოსკოვი გააავერანეს, ანუ შეურყიეს პირველადი სახის კონსტრუქცია. ამ თვალსაზრისით ჩვენი დედაქალაქი ენათესავება თბილისს. ჩემთვის, როგორც სტუმრისთვის, თვალშისაცემი გახდა, რომ თბილისშიც ის პირველადი, ხელთუქმნელი სილამაზე, ოდესმე განადგურდებოდა, ხელოვნური გზით შეიცვლიდა იერ-სახეს. აი,ის უძვირფასესი, აღმართიანი პატარ-პატარა ქუჩები დღეს თუ არსებობს, ისევ და ისევ რაღაც საზღვარგარეთული ფონდების, საელჩოების ხარჯზეა შემორჩენილი მხოლოდ. როგორ გითხრათ, ქალაქს ესაჭიროება პატრონი, მფლობელი, ოღონდ ისეთი, როგორიც, ვთქვათ, ჩვენი ლუჟკოვია. დღესდღეობით, მოსკოვის ისტორიულ ადგილებში ახალი ხის დარგვაც კი იკრძალება, თუ ამ ნერგმა საერთო ხედი და კონსტრუქცია დაარღვია. რამე ნაგებობის წამოჭიმვაზე აღარაფერს ვამბობ..**

**1994 წელს, პრაღაში, პენ-კლუბების კონგრესი ტარდებოდა და ერთ-ერთ მიღებაზე შევესწარი პრაღის მერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის საუბარს რეისტიტუციის შესახებ. ბოლოს და ბოლოს, მსჯელობა შეეხო საკითხს, თუ ვის უნდა დაუბრუნონ ან გადასცენ ეს ისტორიული ძეგლები... და თუკი მანამდე ორივე მათგანს სხვადასხვა აზრი ჰქონდა ამ პროცესის ჩატარების მეთოდებზე და მიმართულებებზე, მფლობელების შერჩევაში ორივე ერთსულოვანი აღმოჩნდა - არისტოკრატიას და მორჩა! იმდენად დავინტერესდი, რომ ვკითხე - რატომ ამოირჩიეთ ეს კლასი-მეთქი? ორივემ ერთხმად მიპასუხა:**

**"Любят! и умеют любить!".**

**თბილისის შენარჩუნებას სიყვარული უნდა, თანაც ფანატიკური. ცხადია, ასე თუ გაგრძელდა, იმ სილამაზისგან წვეთიც აღარ დარჩება. ალბათ, თბილისშიც არიან მდიდარი ადამიანები... საქართველოში ყოველთვის იყო შეძლებული ხალხი. მე მხოლოდ თბილისელებს არ ვგულისხმობ... სწორედ ამ ფულიანი ადამიანების, წარმატებული ბიზნესმენების ხარჯზე უნდა მოხერხდეს ამ საოცარი სილამაზის შენარჩუნება. თქვენ შეიძლება შეეჩვიეთ ნარიყალას, აბანოთუბანს, ხის აივნებს, პატარა ქუჩებს, შეიძლება, მათ სურნელს ვეღარ გრძნობთ. უცხო თვალისთვის თბილისი სრულიად გამორჩეული სილამაზეა, ერთგვარი არქაული არომატით გაჯერებული... ამის გაუჩინარებასთან ერთად, ვფიქრობ, გაქრება ის ეპოქა, ის კულტურა, ის ისტორია, რამაც წარმოშვა ეს ქალაქი... არ ვიცი, ალბათ საინტერესოა, როგორი იყო თუნდაც დიუმას მიერ ნანახი თბილისი, XXI საუკუნის ბოლოს მით უფრო საინტერესო იქნება პუშკინისა და ჩაიკოვსკის მიერ აღქმული საქართველო... ვფიქრობ, ძველი თბილისი ქალაქ-მუზეუმად უნდა გამოცხადდეს და ახალი ქართველები თუ არა, საზღვარგარეთის კულტურული მემკვიდრეობის ფონდები მაინც დაგეხმარებიან.**

**იცით, ვსაუბრობთ ახლა და მგონია, რომ სხვა ქალაქზე გელაპარაკებით. მე ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ ამეტირება, ის თუ არ დამხვდა, რასაც ვეთაყვანებოდი. თუმცა, მაინც ბედნიერი ვარ, რომ ამ საოცარ, ჯერ კიდევ ალაგ-ალაგ სიძველის ხიბლით აღსავსე თბილისს მოვესწარი.**

## ის, რაც აღარ დაბრუნდება...

- საბჭოთა კავშირის პერიოდი ძალზე უცნაური ისტორიაა, არსებულ ისტორიებს შორის. დღეს, XX საუკუნის ე.წ. "ხალხთა მეგობრობის" პერიოდი კიდევ უფრო უცნაურად მეჩვენება. წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა, საერთოდ ძალიან მაინტერესებს, ვის მოაფიქრდა ამ აბსურდის შექმნა, - საბჭოთა კავშირის ისტორია, ანუ საერთო ისტორია ეგიდით "ხალხთა მეგობრობა". და ეს მატიანე იქმნებოდა იმ ქვეყნებზე, ერებზე, რომელთაც საკუთარი, რადიკალურად განსხვავებული კულტურული მემკვიდრეობა ჰქონდათ. მაშინ, საერთო საბჭოური წნეხის მიუხედავად, თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის თვითმყოფადობა გაცილებით მკვეთრად იკვეთებოდა, ვიდრე დღეს. არსებობდა დაკანონებული, თავისებური ერთობლივი პროექტები, ვთქვათ რუსი ქალების, არყის, საერთო ჯარის, ბაზრობის ფენომენზე. მაგრამ ამის მიღმა მაინც იკვეთებოდა საკმაოდ თბილი, გულახდილი, გულწრფელი სულიერება... დღეს, სწორედ საერთო, ერთგვაროვან პრიზმაში აღიქმება პოსტსაბჭოთა ქვეყნების იერ-სახე. ყველა გაქცეულია, ხელგაშვერილი ელოდება გრანტს, ხელფასს და გადარჩენის სიმძლავრის ფონზე სულიერება უჩინარდება. დღეს ხომ გოტლენდის კუნძულზე მთელი საბჭოთა კავშირია თავმოყრილი! აი, რა არის საერთო ისტორია!

დეფოლტამდე რამდენიმე ხნით ადრე ვფიქრობდი საკმაოდ ძვირადღირებულ პროექტზე, სახელწოდებით "სიკეთის იმპერია". იდეა *ნორმალური* იყო - ადამიანები ყველგან ახერხებენ ცხოვრებას. ყველგან(!), მიწურშიც, სარდაფშიც, საკანშიც და პირობების მიუხედავად, მაინც ცხოვრობენ, თავისი სითბოთი, სიკეთით ალღობენ ბოროტებისგან დათესილ სიცივესა და ყინულს. დაახლოებით ამგვარად იკვეთებოდა ამ ნაწარმოების ლაიტთემა, რომლის ფონიც ისევ და ისევ "ხალხთა მეგობრობა" იყო. ხალხთა მეგობრობა, როგორც ლოზუნგი, იდეოლოგია. არადა, რეალურად ეს ადამიანები უბრალოდ ცხოვრობდნენ და ერთმანეთთან სითბო აკავშირებდათ. ესაა და ეს! მერე მოხდა კიდევ ერთი უცნაური მოვლენა. ვიღაცამ ან რამდენიმე ვიღაცამ, ეს საერთო ქვაბი გააუჩინარა, თუმცა საერთო ნგრევაში ის ვეღარ გათვალა, რომ საკუთარი ღვაწლიც წყალში გადაყარა.. დღეს ბევრს მსჯელობენ საბჭოთა ხელისუფლების, იმპერიის ნოსტალგიაზე, ისევ ის "ვიღაცები"... სინამდვილეში მათ ენატრებათ სწორედ საკუთარი ღვაწლი იმპერიის შექმნაში, ანუ მისტირიან საკუთარ "ქმნილებას", რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, დღევანდელ ფონს თუ გავითვალისწინებთ, ბევრად ადამიანურია.

ჩვენ - ადამიანები, ვინც ცხოვრების უმეტესი ნაწილი განვლო, ჩემი თაობა, ვერაფერს ვუხერხებთ იმას, რაც წლებმა დალექა ჩვენს სულში. ისინი - მცდელობების მიუხედავად, ვერაფერს ახერხებენ და ვერც მოახერხებენ... ჩვენ ეს ვიცით, მათ - არა... სასაცილოა არა?!

- ერთი ამბავი მახსენდება... იმ პერიოდში, როდესაც იქმნებოდა "სამი ქართველის" ისტორია, დავინტერესდი სომხური მოტივებითაც. მაშინ დიდ სულიერ, შემოქმედებით, თეატრალურ დახმარებას მიწევდა უკვე საკმაოდ მოხუცი, საოცარი ერუდიციისა და ნიჭის ადამიანი მიხეილ სლონიმსკი, ზოშჩენკოსა და კავერინის მეგობარი. ჩემი ხელნაწერებიც მას მივუტანე შეფასებისთვის. ერთი იყო რეზო გაბრიაძის პორტრეტი, მეორე - ფრამენტი სომხურ თემაზე. წაკითხვის შემდეგ, აკანკალებული ხელით დამიძახა და მითხრა: "Умный мальчик!" გამიკვირდა. მან კი დასძინა: "В один карман положил армяна, а в другий грузина, да? Ну ты не пропадешь". აი, ასეთი ისტორიებიც იყო. ხიბლი კი ის გახლდათ, რომ ყველას ყველაფერი ესმოდა.

## რუსული ლიტერატურა ბიტოვის თვალით

ხელოვნებაში უცნაური მოვლენება ხდება. ის, რაც ხდებოდა XX საუკუნემდე, გასაოცარია თავისი სტილით, მასშტაბით, გენიალურობით. იცით, როგორი შეგრძნება მაქვს გასული საუკუნეების მიმართ? თითქოს იმ ღვთაებრივი ხელოვნების შემდეგ ყველა და ყველაფერი ვაკუუმმა მოიცვა. იყო ბახი, მოცარტი! გნებავთ, მაღალი რენესანსი, ადამიანებმა მოიფიქრეს კილომეტრიანი და ტონიანი რომანები, ტოლსტოის, დიკენსის, ბალზაკის შემოქმედების სახით... და მორჩა, დამთავრდა ყველაფერი. ჩემი დამოკიდებულება მწერლობის მიმართ, ვიდრე თავად დავიწყებდი ლიტერატურასთან ურთიერთობას, 1917 წლამდე შექმნილი ფასეულობებით შემოიფარგლებოდა. მხოლოდ მოგვიანებით გახდა შესაძლებელი, დამენახა, დამელაგებინა XX საუკუნის რუსული ლიტერატურა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ასწლეული ბევრი ფასეულობით არის მდიდარი და მრავალი არაჩვეულებრივი პოეტისა და მწერლის შემოქმედება გახდა მსოფლიო ლიტერატურის მონაპოვარი, ჩემთვის ეს საუკუნე ხუთიოდე სახელით შემოიფარგლება. ცხადია, მე მშვენივრად ვიცი დანარჩენების ღვაწლი რუსული ლიტერატურის ისტორიაში, მაგრამ ჩემ მიერ ამორჩეული მწერლობა სრულიად განცალკევებულ ფენომენად მესახება. აქედან გამომდინარე, მე გამოვყოფდი იმათ, ვისი შემოქმედებაც საბჭოთა ხელისუფლების, უფრო სწორად, იმპერიის გარეშე ვერ დაიბადებოდა. მეორე მხრივ, მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც თავისთავად აგრძელებს ე.წ. "ვერცხლის საუკუნის" მწვერვალთა რიგს. ვგულისხმობ იმ სახელებს, ვინც სრულიად ახალი სამეტყველო ენა დაამკვიდრეს რუსულ ლიტერატურაში და ამავე დროს მხატვრული ღირებულებით საკმაოდ მძლავრად გამოეხმაურნენ გასული საუკუნის გამოძახილს. ეს არ არის არც XX საუკუნის ემიგრაცია, არც საბჭოთა მწერლობა, ეს არის კიდევ ერთი გზა, რომელიც დამკვიდრდა რუსეთში - ნაბოკოვი, მანდელშტამი, ზაბოლოცკი, პლატონოვი და ზოშჩენკო. რაც შეეხება ახმატოვას, ბულგაკოვს... მათთვის მწერლობა უკვე არსებული პრიზმიდან იბადებოდა. სხვათა შორის, მათ უწოდებდნენ ხოლმე "попутчик"-ებს. მიკვირდა, თუმცა მოგვიანებით მივხვდი, რომ ამ სახელწოდებაში მათი ხელოვნების უმთავრესი თავისებურება იყო კოდირებული. საბჭოეთში დარჩენილები, ისინი გასული საუკუნის ნაღვაწის სტილისტიკას, თვისობრიობას ამკვიდრებდნენ ახალი ასწლეულის ხედვიდან გამომდინარე. იმ ხუთეულმა კი რაღაც უცნაური ალღოთი იგრძნო ის რიტმი, ენა, დინამიკა, რაც მხოლოდ XX საუკუნის რუსულ ლიტერატურას კიდევ ერთ, ახალ სიმაღლეზე აიყვანდა თავისი განუმეორებლობით, მხოლოდ მისთვის, რუსეთისთვის დამახასიათებელი მოტივით. პარალელურად არსებობდა რუსული ლიტერატურული ემიგრაციაც, კიდევ ერთი პლასტი ჩვენი მწერლობისა... არანაკლებ ღირსეული, ვიდრე საბჭოეთში დარჩენილი მწერლები... მაგრამ ნოვაციად ჩემთვის მაინც აღნიშნული ხუთეული რჩება, თუმცა, ისიც კარგად ვიცი, რამდენად დიდი სახელი არსებობს მათ გარდა XX საუკუნის ლიტერატურაში.

რაც შეეხება ჩემს თაობას, ალბათ, უნდა გამოვრჩიო ბროდსკი, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა რუსეთის უკანასკნელი დიდი პოეტის ტიტული, ცხადია ნობელის პრემიას არ ვგულისხმობ... მაგრამ ამ თაობაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ... XX საუკუნის ლიტერატურასთან დაკავშირებით მაინც "მამების" პლეადაზე მირჩევნია საუბარი.

რაც შეეხება დღევანდელობას, რა გითხრათ, არც კი ვიცი. თუმცა, ამის შესახებ არც არავინ იცის ზუსტად სად, რას და რომელ ქალაქში წერს პატარა ბიჭუნა... ამ ახალი ქმნილების აჟღერება მხოლოდ დროით სივრცეს შეუძლია... სხვა დანარჩენი მოსაზრება ვარაუდი და ფანტაზიაა.

"მარტოობის ასი წელიწადი" უდავოდ გენიალური რომანია. მაგრამ თუ ძალიან ჩავუღრმავდებით, შეიძლება ითქვას, რომ "დონ-კიხოტი" უკანასკნელი რომანია მსოფლიო მწერლობაში. ვფიქრობ, საკმაოდ სადავო თემაა რომანის არსებობის თუ არარსებობის საკითხი. რაც შეეხება რუსულ რომანს, რომელიც ჩემთვის საკმაოდ ახლო მწერლობაა, ვგონებ, ობიექტური ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ის არც არასდროს არ არსებობდა. თავად განსაჯეთ - "ევგენი ონეგინი" - რომანი ლექსებში, "ჩვენი დროის რაინდი" - რომანი ნოველებით, "მკვდარი სულები" - ნოველების ციკლი, "ომი და მშვიდობა" საერთოდ ღმერთმა უწყის, რა არის, იმიტომ, რომ ასეთი რომანები უბრალოდ არ არსებობს, უფრო სწორად, არ შეიძლება, რომ არსებობდეს... რომანებს მეტ-ნაკლებად წერდა დოსტოევსკი, მაგრამ ბაზისად მისთვის დასავლეთევროპული რომანი აღმოჩნდა; პუშკინის "Капитанская дочка" ვფიქრობ, გამართული, ევროპული ტრადიციის რომანია - თავისი სიუჟეტით, გმირებით, პრობლემებით და ა.შ. "ობლომოვი"? - "ობლომოვს" ვერც თავს გაუგებ და ვერც ბოლოს...

მე ვფიქრობ, რუსული ლიტერატურის ისტორიული განვითარება რომ არ შეეწყვიტათ, ის უდავოდ გახდებოდა ცივილური ხელოვნება. ისე კი დიადი და გენიალური იყო, მაგრამ აშკარად არაცივილური. ჩვენ ხომ ცივილიზაცია არანაირი რაკურსით არ მოგვეპოვება... რა ვიცი, შოთა რუსთაველის მერე არა მგონია, ცივილიზებულ ლიტერატურაზე იყოს საუბარი, თუმცა დიადი, გენიალური მწერლობა მაინც იქნებოდა. მართალია, ცალკეული ნაწარმოების სახით, მაგრამ მაინც... თუ თავს ძალას დავატანთ, ჭეშმარიტი რომანების რიცხვი მსოფლიო მასშტაბით სულ ათიოდე ქმნილებას მოიცავს... და ვფიქრობ, ეს სრულიად საკმარისია, თუნდაც მთელი მსოფლიოსთვის...

## მარადიული ტრიადა: მწერალი - ხელისუფლება - მკითხველი

დავიწყოთ მწერლისგან, რომლისთვისაც აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიაქციოს, ნაკლებად იყოს მისი მხედველობის არეალში. მაშინ ხელოვანიც და მისი შემოქმედებაც ვითარდება იმ კანონების შესაბამისად, რასაც კარნახობს დრო, სიტყვა, ენა და საკუთარი ამბიციები (ცხადია, ვგულისხმობ მაღალი რანგისა და ხარისხის ამბიციას). პირადად ჩემთვის მთავრობასთან იდეალური ურთიერთობაა, როცა ის არ მამჩნევს და არც მე მივილტვი მისკენ. სხვა მხრივ, ნებისმიერი სახით მასთან თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, ვინც რაღაცა კავშირის წევრები არიან...

სხვა საქმეა ის, რომ ხელისუფლება, ანუ ძალაუფლება კარგი არასდროს ყოფილა და არც იქნება. სამწუხაროდ, ამგვარად არის მოწყობილი კაცობრიობის ისტორია. იქ კარგი ადამიანები ნაკლებად იყრიან თავს. ცხადია, იყო გამონაკლისი შემთხვევებიც, ადამიანები, ვისაც საკუთარი აზრი ჰქონდათ მოვლა-პატრონობაზე, ზრუნვაზე, ჯანმრთელი ყურადღების ფენომენზე და რომელთაც პირადი ინტერესები უფრო მცირედი დოზით ჰქონდათ, ვიდრე საკუთარი ნაღვაწის მიმართ ამბიციები... ასეა თუ ისე, ჩვენს ხელისუფალთა შორისაც იყვნენ წვეთების სახით ასეთი ადამიანები... მაგრამ იცით რა, მეორე მხრივ, სწორედ მზრუნველი და მოსიყვარულე ადამიანები ხდებოდნენ ხოლმე საყოველთაო, მსოფლიო მასშტაბის ტირანები... რა გითხრათ? ძალიან რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა... რა ვიცი, შესაძლოა, თქვენ მიერ წარმოსახულ ტრიადაში, ხელისუფლების მაგივრად სჯობს, საზოგადოება მოვიხსენიოთ... თუმცა ამ საზოგადოებასაც არ ადგება ჩამოყალიბების, მაღალ საფეხურებზე ასვლის საშველი... არა, არა, ძალიან რთულია ამ თემაზე საუბარი...

ვფიქრობ, მწერალს კიდევ სინდისიც უნდა ჰქონდეს. მასთან ერთად უნდა ჩამოყალიბდეს , შემოქმედად... სინდისი კი საოცრად ინდივიდუალური და ინტიმური ნოტაა ადამიანის სულისა. საერთოდ არ მესმის დღეს ლოზუნგად ქცეული ფრაზა: "მწერალი ცუდად ცხოვრობს". უბედურება ისაა, რომ მწერლების უმრავლესობისთვის კარგად ცხოვრება სწორედ ხელისუფლების მოვალეობის "ფენომენთან" იგივდება. სხვა მხრივ, ცუდად ცხოვრობს ყველა და საკითხი გლობალურად კი არ იხილება, არამედ ლოკალურად, სადაც პრივილეგია, პრეროგატივა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ესა თუ ის ადამიანი მწერალია. რა ვიცი, მწერლის საუკეთესო ცხოვრებად მაგიდა, კალამი, ფურცელი და მუზა მესახება... ამ იდილიაში კი ხელისუფლებას არანაირი ადგილი არ აქვს.

სხვათა შორის, ხშირად მეკითხებიან, "თქვენი აზრით, რა არის მწერლის როლი, დანიშნულება?" ... ჩემთვის ეს აბსურდული კითხვაა, მოგონილი სისულელე. მწერალმა უნდა დაწეროს ტექსტი და სწორედ ეს ტექსტი გახდება შემდგომში მისი როლიც, ფუნქციაც, ხელობაც და დანიშნულებაც კულტურულ პროცესში. უცნაურია, მაგრამ ამ აზრის გამოთქმის შემდეგ, შეურაცხყოფილებად, როგორც წესი, ისევ მწერლები გრძნობენ ხოლმე თავს...

დღეს საკმაოდ ბევრს კამათობენ რუსული მწერლობის წარმომადგენლები, რა უფრო აუცილებელია ეროვნული ლიტერატურისთვის, ცენზურა თუ ლიტერატურის ამაღლებული როლი საერთო პროცესის გათვალისწინებითო. პირადად მე ლიტერატურის როლს უფრო შევამცირებდი, ვიდრე ცენზურისას. დღესდღეობით ჩემი ყველა წიგნი სა-

არტ-კლუბი

კუთარი ხარჯით ქვეყნდება, ძალიან მცირე ტირაჟით, მაგრამ სამაგიეროდ, გამოცემის ხარისხი, დონე, გაფორმება და ა.შ., ისეთია, როგორიც მე მინდა. საკუთარი სურვილის ამგვარ ხორცშესხმას კი ისეთი ხელოვანისთვის, როგორიც მე ვარ და ჩემი მეგობრები არიან, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

რასაკვირველია, პრობლემები არის და უმთავრესი მათ შორის საკუთრივ წერის პროცესს უკავშირდება, ანუ არსებობს ჩანაფიქრი, იდეა, მონახაზი, მაგრამ მისი ხორცშესხმა ვერ ხერხდება, არ გიშვებს, ახლოსაც კი არ გიკარებს არც ფურცელი და არც კალამი. აი, პრობლემა! თანაც ისეთი, რომელსაც ღმერთისა და სასწაულის გარდა ვერაფერი უშველის. საშველი კი როდის მოგევლინება, წყალობის სახით, არავინ იცის... პირადად ჩემთვის, ამაზე დიდი ტკივილი, წამება, გნებავთ ტრაგედია, არ არსებობს. სხვა ყველაფერი კი რაღაც პროფკავშირული მსჯელობებია... მოიგონეს ეს მწერალთა კავშირი, ვინც შეიძლებოდა თუ არ შეიძლებოდა, შეყარეს ამ კოლექტივში, 500-დან 10 წერდა, 400 კი უფასოდ დადიოდა პოლიკლინიკაში, შემოქმედებით სახლებში (თანაც საკმაოდ კარგ კურორტებზე), იღებდნენ სუბსიდიებს, ჰქონდათ დეფიციტური წიგნების დახლი...

პენ-კლუბში დღესაც მოდიან მწერლები, ზოგიერთი საკმაოდ ცნობილი და კარგიც კი, გვეკითხებიან: "რას მომცემს თქვენთან გაწევრიანება? რა პრივილეგიები გვექნება?" რა ვიცი, მე მგონი, ყველაფერი გაირკვა, არა!

ხელისუფლება კი მოაზროვნეთა კატეგორიის ადამიანებისგან არ კომპლექტდება. ეს არის ან ჯოგური ინსტიქტის არსებები, ჯოგური იერარქიებით, რომელთაც მხოლოდ რეფლექსიები ასულდგმულებთ. საკმარისია, რომელიმე მათგანმა მცირედი ადამიანური საქციელი ჩაიდინოს და გაკვირვებისგან თვალები გვიფართოვდება. კარიაკოვის წიგნის გამოქვეყნების შემდეგ, ვიფიქრე, 10 წლით მაინც გაამწესებს ელცინი ციხეში-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანს, ძლიერი ინსტიქტის ადამიანი აღმოჩნდა... ამას წინათ, დიდი აჟიოტაჟი ატყდა რუსული ენის მოდერნიზაციასთან დაკავშირებით, რომელსაც სათავეში ჩვენი პირველი ლედი ჩაუდგა. მწერლებთან შეხვედრაზე იგი საკუთარი პროექტით წარსდგა, რომლის არსს ეს წინადადებაც კი განსაზღვრავს: "Слово "парашют" будем писать через "у"... წარმოგიდგენიათ, რა სიღრმისეული კვლევები იქნებოდა ამ სამოდერნიზაციო კოდექსში? აზრიც კი მკითხა ამ საკითხთან დაკავშირებით. მეც არ დავაყოვნე: "через "у" парашют расколется". სხვათა შორის, რუსებს ერთი ცრუ რწმენა გვაქვს: "Не надо трогать евреев, и язык. Вот тогда он сидит, а если уж трогать, тогда и слетит". არადა, რაც თავი მახსოვს, ჩვენი უკიდეგანო სახელმწიფოს ყველა მეთაურს მოძალებულად ჰქონდა "ნიჭი და უნარი", რუსული ენის განახლების მისია რომ ეკისრათ. თუმცა, მათ შორის ისევ ჩვენმა უკანასკნელმა იყოჩაღა. გაურკვეველი მიზეზების გამო, პუტინმა ტაბუ დაადო ამ პროექტს. ესეც სიძლიერის ინსტიქტია, თუმცა, მაინც ინსტიქტი და არა სულიერება. ამდენად, როგორ შეიძლება ამ კასტასთან ურთიერთობა, არც ვიცი, არც მინდა და არც არასდროს მიფიქრია.


აბანოთუბანი

ზურა ჯაოშვილის ფოტო

მწერალთან დაკავშირებით სრულიად მარტივი ფილოსოფია მაქვს. მოხვიდე და დაიწყო წერა მსაოფლიოში, რომელსაც შექსპირი, დანტე, რუსთაველი ჰყავს, თავისებური თავხედობაა, არა? გამართლება, ამ მხრივ, მხოლოდ ერთი თავისებურებით შეიძლება: იქნებ, დავწერო ის, რაც ჩემამდე არავის დაუწერია, დავინახო ის, რასაც მხოლოდ მე ვხედავ... ეს არის აუწერელი სამყაროს მდგომარეობა... ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავებით, ჩვენ უხილავი სამყაროს აღმოჩენა გვევალება, ახალი სივრცის პოვნა, ახალი ადამიანის დაბადებაა ჩვენი მისია... ამას კი, წერის გარდა, ვერაფერი უშველის - ვერც ფული, ვერც მწერალთა კავშირის პრივილეგიები, ვერც ნეტარი ცხოვრება. სწორედ ამაშია ხელოვნების იდუმალება და, მისგან იბადება ჭეშმარიტი რეალობაც. ვფიქრობ, თუ მაინცდამაინც ხელოვანის ფუნქციაზე გვექნება საუბარი, მისი უპირველესი მისიაა, ჰარმონიული, თანახმოვანი გახადოს, სამყარო, რომელიც შეშლილია, პირქუში, სასტიკი და ულმობელი. სხვა მხრივ, ვერაფერში ვერ ვხედავ მწერლის დანიშნულებას. ამ საქმეში კი არავის და არაფერს არა აქვს მცირედი, მილიმეტრული ადგილიც კი.

რუსეთში, როგორც იქნა, დაიწყო სრულყოფილი, პროფესიული ლიტერატურული პროცესი. იწერება უამრავი დეტექტივი, ფანტასტიკური ჟანრის პროზა, მელოდრამატული სტილის რომანები... ეს ცუდი არ არის, პირიქით, სწორედ ამგვარ ლიტერატურას მოჰყავს დინამიკაში სამწერლო ხელოვნება... უფრო მეტიც, მათი შემწეობით თავისთავად, კანონზომიერად ადის კვარცხლბეკზე მაღალი რანგის პროზა. შეუძლებელია, ჭეშმარიტი მწერლობა ისეთივე პოპულარული, ყოვლისმომცველი იყოს, რადგან ამ თვისებებით ის ხელოვნების უმაღლესი კრიტერიუმების გასაღებს კარგავს. მაღალ მწერლობას მკითხველიც მცირე რაოდენობით ჰყავდა. საბჭოთა პერიოდში ხომ ხელოვნურად ქმნიდნენ ამგვარ ატმოსფეროს. მოგეხსენებათ, რა ტყუილების ორომტრიალში გავატარეთ ჩვენი ცხოვრება და ამ საყოველთაო სიცრუეში, ლიტერატურის ხარჯზე იწყებდნენ, მხატვრულობის გარდა, ცხოვრების მართალი ფურცლების მოძიებას. რაღაც საოცარი მოთხოვნილება იყო იმ ქმნილებების მიმართ, სადაც სხივის სახით გამოსჭვივოდა სიმართლის ანარეკლი. ამასთან დაკავშირებით ერთი ანეკდოტი მახსენდება: "ქიშმიში გაქვთ? - არა! ქიშმიშიანი ფუნთუშა? - დიახ! - ჰოდა, ამომიჩიჩქნეთ ნახევარი კილო!" ესაა და ეს.

ჭეშმარიტი მკითხველი, ანუ მაღალი რანგის ლიტერატურის იდენტური თანაგანმცდელი ისევე ცოტაა, როგორც თავად ამგვარი მწერლობა. უმთავრესი რამ ამ ალიანსში სიყვარულია. თუ გიყვარს წიგნი, სიტყვა, ე.ი. გიყვარს ლიტერატურა. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ჩემს წიგნებს მთელი მოსკოვი არ კითხულობს, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ ის მცირედი მკითხველი ნამდვილი, გულწრფელი, უტყუარი თანამონაწილეა ჩემი თხრობის და ამავე დროს მისი შემფასებელიც. ბევრი მწერლისთვის კი ათიათასობით წიგნის ტირაჟირება ხდება საკუთარი ღირსების დემონსტრირების საშუალება. რაოდენობა, და არა ხარისხი... მთავარია გაიყიდოს, აზრს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

### მომავლის პროექტი სიმბოლური ფინალით

სამომავლო გეგმები, ცხადია, მაქვს, მათგან გამოვყოფ ერთს, რომლის გამომზეურებას და ხორცშესხმას კიდევ რვა წელი სჭირდება. 2010 წელს ტოლსტოის გარდაცვალების ასი წლისთავია. სწორედ ამ თარიღს მინდა დავუკავშირო ჩემი პროექტი, მანამდე თუ ვიცოცხლე, ცხადია. ეს იქნება თავისებური მიძღვნა მწერლის უკანასკნელი ნაწარმოების მიმართ. გარდა ამისა, შესაძლოა, გავაკეთო ძეგლიც. ადრე მე და რეზო გატაცებული ვიყავით პატარა ქანდაკებების შექმნით, ვაკეთებდით თავისებურ ანტისკულპტურებს. როგორც ჩანს, ამგვარად გამოვხატეთ ჩვენი ანტიპათია საბჭოთა მონუმენტალიზმის მიმართ... ასე შეიქმნა რეზო გაბრიაძის "ჩიჟიკ-პიჟიკი" პეტერბურგში, ჩემი კურდღელი მიხაილოვსკოეში. ეს ის კურდღელია, რომელმაც გზა გადაურბინა პუშკინს და ამით გამოხატა საუკუნიდან საუკუნეში, ათასწლეულიდან ათასწლეულში გადასვლის სიმბოლიკა. ასეთივე სახით ვაპირებ ტოლსტოის უკანასკნელი ნაწარმოების სკულპტურულ ინტერპრეტაციას, რომელიც ამავე დროს ჩეჩნეთის ომსაც მიეძღვნება. სხვათა შორის, "ჰაჯი-მურატის" მიმართ მას განსაკუთრებული, ნერვული სიყვარული ჰქონდა. დიდი ხნის მანძილზე იცვლებოდა ეს ნაწარმოები, ვიდრე საბოლოო სახეს მიიღებდა. როგორც ჩანს, მოხუცმა იეშმაკა და ნუგბარი ბოლოსთვის შემოინახა. ჩეჩნეთზე და "ჰაჯი მურატზე" გამახსენდა. მახსოვს, ომი ახალი დაწყებული იყო და პრესაში პერიოდულად ბლიც-ინტერვიუებს აქვეყნებდნენ გამოჩენილ ადამიანებთან. როგორც ჩანს, მეც აღმოვჩნდი მათთვის საკმარისად გამოჩენილი და მკითხეს: "რომელი ნაწარმოების წაკითხვას ურჩევდით ჩვენს პრეზიდენტს?" მეც ვუპასუხე: "ჰაჯი მურატი" მაინც წაიკითხოს-მეთქი.

*მოამზადა თამარ ქერეჭაშვილმა*

SOS!

# თავისუფლების მოედანს ახალი საფრთხე ემუქრება

მარინე ყენია

იმ სავალალო შედეგებზე, რომელიც ჰქონდა თბილისის ისტორიული ცენტრისათვის "თბილისის ომად" წოდებულ მოვლენებს და ომის შემდგომ რეკონსტრუქციას, ბევრი დაწერილა. ისიც არაერთხელ აღნიშნულა, რომ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში თავისუფლების მოედანი აღმოჩნდა, რადგან მან დაკარგა რამდენიმე მნიშვნელოვანი შენობა, უპირველეს ყოვლისა, ყოფილი სასტუმროები "კავკაზი" და "ინტერნაციონალი", რომლებიც მოედნის ისტორიულად ჩამოყალიბებული ანსამბლის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. რამ გამოიწვია ამ ნაგებობების საგანგებო ნგრევა, როცა ყველა პირობა არსებობდა მათი თავდაპირველი სახით აღდგენისათვის (მდიდარი საარქივო მასალა, ანაზომები, საინჟინრო გამოკვლევის დასკვნა შენობების კონსტრუქციული მდგრადობის დადასტურებით), რატომ შეიცვალა ისტორიულ-არქიტექტურული თვალსაზრისით ღირებული ნაგებობები მხატვრულად მდარე, მოედნის ისტორიული გარემოსთვის უცხო ახალი შენობებით - ეს სხვა საკითხია, რომელსაც ჩვენ დღეს არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დღესდღეობით თავისუფლების მოედანი, როგორც ისტორიული ანსამბლი, საგრძნობლად ხელყოფილია და ახლა კიდევ ერთი, გაუმართლებელი, დამღუპველი, ადამიანთა არაკეთილსინდისიერებით წარმოშობილი საფრთხის წინაშე დგას - დანგრევა ემუქრება თავისუფლების მოედანზე, პუშკინის ქ. № 1/3 მდებარე შენობას.

ეს ნაგებობა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლია, 1870-იანი წლების ბოლოს აგებული ცნობილი თბილისელი არქიტექტორის, ალბერტ ზალცმანის (1833-1897) პროექტით. მისი განადგურება დაუშვებელია, რადგან ამით ჩვენს ქალაქში გაქრებაკიდევ ერთი ნაგებობა ამ თვალსაჩინო არქიტექტორისა, რომელმაც აქტიური როლი ითამაშა XIX საუკუნის თბილისის აღმშენენბლობასა და მისი გამორჩეული სახის შექმნაში.


ზალცმანის სახლი

ბესო გულაშვილის ფოტო

ალბერტ ზალცმანი თბილისში დამკვიდრებულ გერმანელთა შთამომავალია, პეტერბურგის სამხაეტვრო აკადემიაში განსწავლული იმ დროს ცნობილი არქიტექტორის, პროფესორ ა. შტაკენშნეიდერის კლასში. აკადემიის პირველი ხარისხის მედლითა და საკლასო მხატვრის წოდებით დამთავრების შემდეგ, იგი თბილისს დაუბრუნდა, რომელსაც მთელი თავისი შემოქმედება დაუკავშირა.

ა. ზალცმანმა მეტად მდიდარი შემოქმედებითი გზა განვლო და პირნათლად ემსახურა მშობლიურ ქალაქს. მისი შემოქმედება, განსაკუთრებით მისი პროექტებით აგებული საცხოვრებელი სახლები, მკაფიო მაგალითია კლასიკური არქიტექტურიდან ნასესხები ფორმების "თბილისურ ყაიდაზე" გადამუშავებისა, მათთვის სპეციფიურად "თბილისური" იერის მინიჭებისა. "35 წლის მანძილზე მისი პროექტით ბევრი სახაზინო, საზოგადოებრივი და კერძო სახლი აშენდა. ბევრი მათგანი დღესაც დგას ...", წერდა აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე 1963 წელს (ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, ტ. II, თბ., 1963, გვ. 168) და ამ ნაგებობებში თბილისის კათოლიკურ ეკლესიას (ივ. ჯავახიშვილის ქუჩაზე), ტაბიძის ქ. № 22-სა, ყოფილ ქალთა გიმნაზიას (ლ. გუდიაშვილის ქ. №10) და სხვა მრავალ ნაგებობასთან ერთად, ყოფილ სასტუმრო "ორიანტსაც" (შემდეგში "მხატვრის სახლი") გულისხმობდა, რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს! აღარაფერს ვამბობთ ამ შენობის გამორჩეულ ღირებულებაზე. იგიც ომის შემდგომი რეკონსტრუქციის მსხვერპლი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების მოედნის შენობებისა არ იყოს - ამ შემთხვევაშიც ყველა პირობა არსებობდა მისი თავდაპირველი სახით აღდგენისათვის. ახლა კი თანამედროვეთა უგუნურებას კიდევ ერთი, ა. ზალცმანის სახელთან დაკავშირებული, შესანიშნავი ნაგებობა უნდა შეეწიროს და გადაიხაზოს კიდევ ერთი ფურცელი ჩვენი ქალაქის ისტორიისა. საინტერესოა, რომ Lonely Planet-ის მიერ 2000 წ. გამოცემულ ტურისტულ გზამკვლევში "საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი", ავტორებმა თბილისის ღირსშესანიშნაობათა საილუსტრაციოდ ამ ნაგებობის ფოტოც გამოიყენეს (Neil Wilson, Beth Potter, David Rowson & Keti Japaridze, Georgia, Armenia & Azerbaijan, 2000, ფერადი ტაბულა, გვ. 129).

პუშკინის ქ. №1/3-ის დანგრევა საბოლოოდ გაანადგურებს და წერტილს დაუსვამს თავისუფლების მოედნის ისტორიულობას. როგორც ზემოთაც ითქვა, ომის შემდგომმა რეკონსტრუქციამ ისედაც დაამახინჯა და ხელყო მოედნის მთლიანობა, ისტორიული გარემო. ა. ზალცმანის ნაგებობის გაქრობა საბოლოოდ დაარღვევს ბალანსს ძველსა და ახალს შორის, და, არსებითად, შეუძლებელს გახდის მდგომარეობის გამოსწორებას - თავისუფლების მოედანი, როგორც ისტორიული ანსამბლი, მხოლოდღა წარსულის კუთვნილება გახდება!

პუშკინის ქ. №1/3-ის დანგრევა საბოლოოდ დააკანონებს თბილისის ისტორიული წარსულისადმი ხელისუფლების ნიჰილისტურ, ცინიკურ დამოკიდებულებას, კორუფციის ზეობას ჩვენს კულტურულ ფასეულობებზე და სამუდამოდ დაუკარგავს მომავალ თაობებს შანსს, მათ მაინც მოუარონ და გამოიყენონ კუთვნილი კულტურული მემკვიდრეობა და, რაც არა უკანასკნელია, გამორჩეული ღირებულების მატერიალური ქონება.

*25 ივლისი, 2002 წ.*

## ქალაქური პროზა

### აკა მორჩილაძე

# ძირს სიმინდის რესპუბლიკა!

*რომანის გაგრძელება. დასაწყისი იხ. "ქომაგი" NN9-10, 2002, „24 საათი“ N0, 13, 27,41,55*

"ხომ იცით, როგორც არის ბატონო მიშა. თქვენ ინგლისში ვერ წახვალთ, ჩვენ მამათქვენის სახლ-კარს ვერ დავძრავთ იქიდან. თანაც, არ შეიძლება საბჭოთა მოქალაქეს, სავალუტო ანგარიში ჰქონდეს შემსალაროში. თქვენი ხელმოწერის შემდეგ, მამათქვენის ქონებას, რაც დამერწმუნეთ, დიდი არაფერია, მიიღებს ჩვენი სახელმწიფო, თქვენ კი მიიღებთ "ჟიგულ" ნოლექვსს და ცამეტი ათას მანეთს წიგნაკზე". მიხომ თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ჭაღარამ არ აცალა, "ამისთვისაც ბევრი ვიბრძოლე, იმიტომ, რომ მართლა კარგი კაცი ხართ და მეც თბილისელი კაცი ვარ. ამიტომ, სულ არ მაინტერესებს, აზარტული თამაშებით ცხოვრობთ, თუ გეოლოგიური პარტიის უფროსობით. ორივეგან ფულია, ღმერთმა მოგახმაროთ. ვიცი, რა გაწვალებული ბავშვობა გქონდათ..."

"კალმისტარი მომეცი", თქვა უცებ მიხომ და სწრაფად მოაწერა ხელი ქაღალდებს. "ახლა წავიდე?"

"იმ კვირაში დაგირეკავთ. ბაზაზე მობრძანდებით და მანქანას გამოიყვანთ, ოღონდ ეგ ეგებ გაყიდოთ მანამდე. ორი მანქანა..." მხრები აიჩეჩა ჭაღარამ, "ძაან ყვირის".

"არ მინდა, კაცო, თქვენი მანქანა და ფული".

მანქანიდან ფეხი გადადგა მიხომ, "მყავს და ფულიც... არ მინდა".

"ჩვენი არ არის, მამათქვენისაა", გაუღიმა კაცმა.

"არ მინდა, მამაჩემი ერთხელ რომ მენახა ცხოვრებაში, ეგება ასე არ ვყოფილიყავი..." გადავიდა მიხო და ჭაღარა კაცის ხმა მოსწვდა, "მაშინ ეს მაინც გამომართვით ბატონო მიშა, ეს უფრო საინტერესო იქნება თქვენთვის... ოღონდ, აი, აქ მომიწერეთ ხელი". კაცს საფოსტო თოკით შეკრული ოთხკუთხა ფუთა ეჭირა, ზედ კი რაღაც ქვითარი დაედო, მეორე ხელით კი კალამს უწვდიდა.

"ეს რაღა არი?"

"ეს მამათქვენის წერილებია, ორმოცდახუთი წლიდან შარშანდლამდე. რეგულარულად აგზავნიდა, მაგრამ, როგორც საბჭოთა ხელისუფლების აშკარა მტერს, თქვენთან კონტაქტს არ ამყარებინებდნენ. არ სცოდნია, თუ დაგიჭირეს. თქვენი სახელიც არ იცის. არჩილა და პატარაო. საოცარი წერილებია... ამაზეც ბევრი ვიწვალე..."

რით არ იყო აუწერელი დღე? ამ დღეს გაიგო, რომ მოუკვდა მამა, ძმა და სულ მალე მოუკვდება ცოლი. ხელი მოუწერა და შეკვრა წამოიღო. მანქანაში იჯდა და კითხულობდა. ვარშავიდან, დურბანიდან, ბუენოს აირესიდან და უფრო ხშირად ლონდონიდან გამოგზავნილ წერილებს.

როცა მოთავდა მთელი ეს თბილისური ამბავი და როცა შინ დაბრუნდნენ, მიხომ უთხრა მარიკას: "აღარავინ დამრჩა დედამიწის ზურგზე ამ ბავშვის მეტი, აღარავინ". "მე თქვენთან ვიქნები", თქვა მარიკამ. "არა, სისულელეა", მე სულ მარტო ვიყავი. სულ ვიღაც მყავდა, მაგრამ შორს. დედა მომიკლეს, მამა არ მინახავს. ძმა მყავდა და არ ვიცოდი, სად იყო. არ მენახვებოდა. ცოლი მყავდა და მიხაროდა. მომიკვდა. ახლა კოტიკოც წავიდა და წავიდა. შენი აქ ყოფნა სისულელეა. პატარა გოგო ხარ. უნდა გათხოვდე. არ გეწყინოს, დღეს რომ გეუბნები, მაგრამ სხვა დროს ვერ გეტყვი. როცა იქნება, უნდა გათხოვდე. დედაშენთან წადი. დღესვე წადი, უკეთესი იქნება... ოღონდ ეს ბავშვი, ეს ბავშვი არ დამიკარგო. ამ ბავშვის გარეშე მოვკვდები... მე ვიფიქრე, როცა შენ გათხოვდები, ეგებ ნინი მე... იცოდე, რო რაც ჩემია, ყველაფერი შენი და ამ ბავშვისაა..." "რას ამბობთ? რას ამბობთ?" ტიროდა მარიკა. "სხვა დროს ვერ ვიტყვი, შვილო, მე ერთი მოხერხებული და მდიდარი კაცი ვარ. კარტს ვთამაშობ. მე რაღა მინდა? აღარაფერი. ამ ღამისთევებში და აქეთ-იქით ქროლვაში კოტიკო გამომეპარა. გამომეპარა. მე ციხეში გავიზარდე და ნაბიჯი არ გადამიდგამს, მამაჩემისთვის რომ არ მეკითხა და დედაჩემისთვის. ერთი საერთოდ არ მინახავს და მეორე ატირებული მახსოვს. კოტიკო... ჩემ დროს არ იყო ეს მორფები და რაღაცები, ღვინო რომ გავსინჯე, კოტიკო სამი წლის იყო. სადაც ვიყავი, იქ არ იყო ღვინო. მე მეგონა, შენ უყვარდი, მე მეგონა, შვილი ყავდა უკვე. ამდენი საწამლავი. მე რა ხალხში მაქვს იცი საქმე? მე მორფი და კოდეინი კი არა... შენ გგონია, მარტო ჯანო რო მოვა და ისინი, ეგ არის? მე არ მიფიქრია. მე არც მიკითხავს, მამაშენი ვინ არის, დედაშენი ვინ არის. იმიტომ, რომ ბიჭია და უყვარს. ჩემი გალკას დედა არც მინახავს... მე ვიფიქრე, რომ სადაც ოჯახი იწყება, იქ ბევრი სხვა რამე მთავრდება. მე თუ ვიცოცხლებ, შვილო, ამის მერე, ერთი რამისთვის ვიცოცხლებ, ეგ პატარა გოგო, ეგ ერთი მტკაველი ჩემი სიცოცხლე უნდა გავზარდო. მე ხვალიდან უქნარა კაცი ვარ, სასაფლაოებზე უნდა ვიარო და ნინიკა გავზარდო. შენ როგორც მოერევი თავს, ისე მოიქეცი. რაც ნინიკას ეხება, იცოდე, არავინ არაფერზე შეაწუხო. ყველაფერი მე მეხება, ყველაფერზე ჩემთან. ოღონდ, ნუ გაჩერდები ამ სახლში. ამ სახლში სულების მეტი არაფერია. სულებისთვის ვიყიდე, სულებისთვის დავიბრუნე და სულებმა წაიღეს."

"სადა ხარ, მიშა, შემოგევლე, ტო, იცი, როგორ გვჭირდებოდი?" ზამთრის საშინელ ქუჩაზე იდგნენ. "ავატყოფობსო და ველარ მოგიკითხეთ", ხველებ-ხველებით ეუბნებოდა მხრებში მოხრილი, ლურჯ პალტოწამოსხმული კაცი, "ბიჭო, განაწილდა და დაიწყო ყველაფერი. ჩვენ ვიკრიბებით, ვლაპარაკობთ, ახლა ახალი პარლამენტის ამბავია, თუ ჩვენ და ჩვენები არ გავედით, რათ გვინდა? ერთი მუჭა დავრჩით, ძმაო, ყველა იქა ვართ, ტოტო, მურაზა, ყველა. ველარ მოგიკითხეთ, ტო. ახლა დალაგდება ყველაფერი. ედიკა ჩამოდის, ხო იცი?"

მიხო უსმენდა.

"ახლა ამათ ფშშშ... ქუჩებიდან უნდა დაითესონ ეს ყაჩაღები და სამეგრელოშიც უნდა მოათავონ ეგ ისა. დედა ეტირებათ, ტო, დედა ეტირებათ. აი, ნახე როგორ პამასლუ წავა და ჩვენ ხო ვერ დავიმალებით, ძმაო, თბილისი ჩვენა ვართ, ეგრე არ არი?"

"ერთ კვირაში მოსკოვში მივდივარ", თქვა მიხომ და სიგარეტს მოუკიდა.

"მკურნალობის ამბავია?" შეცბა ისა, "მიშა, იცოდე, თუ რამეა, მაყუთი, რაღაცა, უკან არ დაიხიო, აქა ვართ".

"არა, რა მკურნალობა", გაეცინა მიხოს, "რაღა დროს ჩემი მკურნალობაა? აწი სირცხვილია მკურნალობა. მოსკოვში მივდივარ. ბავშვი უნდა გავუშვა ინგლისში სასწავლებლად".

"ვახ, რა ჭკვიანურია, ტო, რა ჭკვიანურია... მალადეც, ძმაო, საღოლ. შენ ყოველთვის ტოჩნი იცი, ტოჩნი მორტყმა იცი. გახსოვს მაშინ... კი მარა, რამხელაა ახლა?"

"ცამეტის, მეთოთხმეტეში".

"კი მარა, პატარა არ არი?"

"არა, სკოლაშიც რო იქ..."

"აჰ, აჰ, აჰ... გასაგებია, ვა, რა კაია, ბიჭო... შენა, თუ რამეა, უკან არ დაიხიო, ხო იცი..."

"ჯერ კი არ მიმყავს, ჯერ მოსკოვში უნდა ჩავიდე, გავიგო, რა, როგორ, შემოდგომისთვის"...

"მალადეც, მალადეც... აბა, აქ ბავშვის გაჩერება... მარტო არ გაუჭირდება? დედამისი..."

"მეც წავყვები თავიდან..." თქვა უცებ მიხომ, "დედამისს თავისი ოჯახი აქ და ამის გარდა ორი ყავს მისახედი. სად ვუყურო?"

"ვა... შენ... ხოოო. შენა, ცხონებული მამაშენის იქ რამე ხო არ არი დარჩენილი?"

"არა, თუ ძმა ხარ. მამაჩემის რაღა იქნება. ხან იქ იყო, ხან აქ"

მორჩა, დამთავრდა. მივდივართ. აი, მომწვანო ფურცელი ჩემს პასპორტში. აი, ნინიკას ფოტო ჩემს პასპორტში. მამა, მივდივართ და არასდროს, არასდროს, არასდროს აღარ დავბრუნდებით აქ. სანამ მე ცოცხალი ვარ, მერე გოგომ იცის. მთელი სიცოცხლე ვფიქრობდი და მოვიდა დრო. გამოვიდა. აი, ბილეთები. აი, ორკვირიანი ვიზა. აი, ეს მწვანე. ვიცი, რაც უნდა ვქნა, ყველაფერი გავიგე. გალკა, კუკლუშკა, მაპატიე შენ. ოცდასამი წელიწადია მარტო ვარ და გაიზარდა ეს ბავშვი. წავა, მოშორდება ნეხვს, ადამიანი გახდება. მერე თვითონ იცის. აი, დავლიე. სამი დღეა ვსვამ. არასდროს არ ვყოფილვარ საზღვარგარეთ. არასდროს. არა, ერთხელ ვიყავი ფეხბურთზე, საბერძნეთში და მივხვდი, უნდა წამოვიდეთ. უნდა მოვიდე მანდ. ისე, როგორც შენ. შენ უნდა წამოგყვე. იცი, რამდენჯერ მიფიქრია მაგაზე? ტინდაში ერთი ფრანგი იჯდა. აი, ესე ვუყურებდი და ვფიქრობდი, ნეტავ სად არის მამაჩემი? რა იქნებოდა, რომ ადგილი გაეცვალა ამ ფრანგისთვის? ნინი კი ლაპარაკობს კარგად, იქაც გაერკვევა. ენები ვასწავლეთ. სწორად მოვიქეცით. ახლა არ მითხრა შენც ჩემი რძალივით, როცა სვამთ, მკვლელს ან მოკლულს გავხართ, ოღონდ ვერ გავიგე რომელსო. აი, ესეც ფული. არ არის ბევრი. თავიდან მეყოფა და მითხარი, კაზინო თუ არის მაგ ქალაქში? მოსკოვში ვიყავი. იმდენი კი შემიძლია, რომ ხელფასი დავინიშნო კაზინოდან. პატარა ხელფასი. მთავარია, ეს ფული გავიტანოთ. კონსული კარგი კაცი იყო. ვუთხარი და დაიჯერა. მამის საფლავის მოსაძებნად. ბავშვი ობოლია. ასე შევაქე. ყოჩაღ. ორი კვირა მეყოფა მეთქი... მამა, გაგიმარჯოს. შენ და არჩილას გაგიმარჯოთ. მე მგონია, რომ შენ გგავდა არჩილა.

## მიმოწერა

ჰაი მილ,

მივიღე შენი ნამუშევარი. ღვთის გულისათვის, ფოსტით აღარაფერი გამომიგზავნო. ეს ორმოცი გვერდი, ნიმუში, როგორც შენ წაგიწერია, დამაბნეველია ჩემთვის. შენ ამოგიღია მთელი სექსი. როგორც ვხვდები, სექსი საერთოდ აღარ იქნება. ასევე აღარ იქნება ჯონათან სმოლის საოცარი თავგადასავალი და რაც მთავარია, ქრება ორი საიდუმლო, ორი სხვადასხვა წიგნიდან. ეგებ შევხვდეთ, მოიწერე, ან დამირეკე წაკითხვისთანავე. შევხვდეთ, სალაპარაკოა.

საუკეთესო სურვილებით

ჯეიმს მაკავენი

ჯიმი,

საუკეთესო სურვილები შენთვის შეინახე. ფოსტით გამოგზავნა დროის მოგების გამო გადავწყვიტე. ამ წიგნს არ სჭირდება სექსი. ამ წიგნს სჭირდება ერთი საიდუმლო, რომლის შესახებაც არაფერია ნათქვამი ბოლო გვერდებამდე. Georgians ცოტათი იტალიელებს ჰგვანებიან. ყველაზე უფრო დამენანა მათი საჭმელების აღწერა. უმრავლესი ბრიტანელებისა არ იყოს, სექსი არც მათ ეხერხებათ. სექსი აქ არ იქნება. შეხვედრისას წვრილად აგიხსნი. დაგირეკავ. დღეს გამოგიგზავნე კიდევ ერთი ნაწილი. უნდა იცოდე, რომ საინტერესოა ხუთი უვარგისი წიგნიდან ერთი საკითხავი წიგნის შედგენა. ხომ არ გამოჩენილა პიტერ ჯეფერსი? როდის მოვილაპარაკებთ თანხაზე?

მ.

ჰაი მილ,

თუ ხედავ, ამინდი როგორ იცვლება. ლონდონში ვინც ცხოვრობს, ყველა ამჩნევს, როგორ იცვლება ამინდი. ეგებ ეს წიგნიც ასეთი უნდა იყოს. შენი დინამიკა სწორია, შენი მაკრატელი მართალია, მაგრამ სექსთან და კრიმინალთან ერთად შენ გამიქრე ლონდონი. როგორც ჩემმა ცოლმა თქვა, For Georgians აქ არ არის ლონდონი, რაც მათ დააინტერესებთ, და FOR BRATTISH აქ არ არის Georgians. ანუ, ისინი არ ჩანან ისე, რომ იქ იყოს ან ეთნოგრაფია, ან ხასიათი, ან ეთნიკური სული. შენ ტოვებ ყველაზე ცივ ადგილებს და განცდებს კი განზე ყრი. ახლა ნუ გადაირევი იმის გამო, რომ მე ჩემს ცოლს ვკითხე რაღაც. უბრალოდ, მე მგონია, რომ შენ ძალიან მკაცრად ჭრი. სადაც ჭრელია იქ ყველაფერს აქრობ, სადაც შავი და თეთრი, იქაც კი ამოსუნთქვის საშუალებას არ გვიტოვებ. კიდევ ერთიც, გვინდა საერთოდ "ისინი ჩამოვიდნენ"? როგორღაც, სუსტია და უცხო. თანაც, დიდად არ ეხამება მთელს ამ ისტორიას. სხვათა შორის, რას ვუშვებთ "ილინგში ჩაკარგულს"? ამ ორ კონვერტში ის არ არის. მე მგონია, რომ ყველაზე კარგი ეგ არის. დამირეკე, დროა შევხვდეთ.

საუკეთესო სურვილებით

ჯეიმს მაკავენი.

ჯეიმს მაკავენი,

რა blady ვინმე ხარ. საუკეთესო სურვილები რომ გქონოდა, წერილებს ასე კი არ დაამთავრებდი. უბრალოდ დაწერდი, შენი ჟ. და მორჩა, შენი ცოლის აზრი, მიუხედავად იმისა, რომ შენი ცოლია და თან უცხო კულტურას წარმოადგენს, რომლის გასაგებადაც ნამდვილად ვერ დავხარჯავ დროს, საინტერესოდ ფიქრობს. თუმცა, მე მგონია, რომ რახან ჩვენ კინოპრინციპით მივუდექით ამ რომანებს, მთავარია cut, ანუ როგორ დავჭრით. მერე შეიძლება ვიფიქროთ რაღაცების დამატებაზე. რაც შეეხება იმას, რომ ამათი ხასიათები დაჩეხილი და ეპიზოდურია, მინდა გითხრა, რომ, ჩემი აზრით, Georgians არიან სევდიანები და უბედურები, შემცდარნი და მოხერხებულნი. სხვა ამ ხუთ წიგნში არაფერი არ არის. ამიტომ, მთავარია ამბები, რომლებიც ამ წიგნების გმირებს ერთმანეთთან აკავშირებს. მოხუცის ისტორია გვინდა. ძალიან უბრალო და ცუდად დაწერილი ისტორიაა, მაგრამ ეს ამბავი ამ ოთხი წიგნის გმირების წარსულად გამოდგება. ამჰერსტი მეც მენანება. ეგებ ორი დიდი ნაწყვეტი მოხერხდეს და ჩაჯდეს. შევხვდეთ ხუთშაბათს, ჩიზიკ მეინ როუდზე. იქ პაბია "რობინ ჰუდი და ლითლ ჯონი". იქვე შევხვდეთ. მოგიტან კიდევ ერთ ნაწილს. ვნახოთ, ვნახოთ.

შენ არც ისე ცუდი ვინმე ხარ ჯეიმს მაკავენი. ოღონდ რაღაცების გეშინია.

მ.

ჰაი მილ,

ეგ იქით იყოს. ერთი მითხარი, როგორ დაიწყება და როგორ დამთავრდება ეს წიგნი? შენი წერილით, რაღაც ისე მომეჩვენა, რომ საერთოდ არ დაიწყება და საერთოდ არ დამთავრდება. მე არ მინდა ასეთი წიგნი. ეგებ ვიღაცას კარგადაც გამოსდიოდეს, მაგრამ ჩვენ ამით არაფერი გამოგვივა.

საუკეთესო სურვილებით,

ჯეიმს მაკავენი.

არა.

მ.

ჰაი, მილ,

რა "არა"?

საუკეთესო სურვილებით,

ჯეიმს მაკავენი.

ჰაი,

არა, შენ არა ხარ მართალი. არც საუკეთესო სურვილებთან დაკავშირებით და არც იმასთან, რომ არ დამთავრდება. დამთავრდება, მგონი პრინც ფლორიზელის რაღაც სისულელით. ეს სისულელე უკვე გამოჩნდა. წაიკითხე არჩ მაკდონელის "ინგლისი, მათი ინგლისი", ან წაიკითხე ანდრე მორუას "პოლკოვნიკი ბაიბლი და მისი მეგობრები". დაფიქრდი, ჯიმიიი...

მ.

ჰაი მილ,

შენ თვითონ წაიკითხე. შენ ხომ ხარ ინგლისელი. კიდევ ჯერემი პლაქსმანი წაიკითხე.

საუკეთესო სურვილებით,

ჯეიმს მაკავენი.

ეგლა მაკლია, მოგზაური ჟურნალისტების წიგნები ვიკითხო და თან მეორედ. ისიც მეყოფა, რომ ვიღაც გრაფომანის ხელნაწერებში ჩავიხრჩვე. ცოლმა თუ იცის შენი ფასვორდი? იმეილი თუ აქვს? ერთი იდეა გამიჩნდა. გინდა არ გინდა, მაინც გიწევს რაღაცების ქექვა. შენი ცოლის იმეილი უნდა იყოს Lovelygeorgianmaid mail.com, ან რაიმე ამგვარი. ტომას მურის სიტყვებია. შენ თუ იცი, რომ, როცა დოქტორი ჯონსონი საფრანგეთში ჩავიდა, იმგვარად მოეწონა იქაურობა, რომ სასტიკად ინანა, ფრანგული რატომ არ ვიციო და ინგლისელებსაც კი ლათინურად ელაპარაკებოდა. ახლა მითხარი, რა ენაზე ველაპარაკო შენს ცოლს? მართლა საჭიროა ჩვენი გასაუბრება. ალბათ მიხვდი, რისი თქმაც მინდა.

ყველაზე მეტად კი საჭიროა პიტერ ჯეფერსის ნახვა.

საზიზღარი სახელი და გვარია, სრულად ამართლებს მისი ხელნაწერების შინაარსს.

მგონი, ეს უკვე ვთქვი.

რას ფიქრობ?

მ.

ჰაი მილ,

უნდა შევხვდეთ. ამ წუთას გირეკავდი. სად ხარ? ხვალ ხუთშაბათია. გამახსენე სად არის ეგ პაბი. იგივე შეტყობინება ტელეფონზე დაგიტოვე. აუცილებლად დამირეკე 9.00 pm-დე.

შენი ჯიმი

## ჯონათან სმოლი

ახალგაზრდა კაცი "ვაითლის" წინ იდგა და ბუზებს ყლაპავდა. თუმცა, ლონდონში და თანაც შემოდგომის ბოლო თვის ბოლო დღეებში ბუზი არავის ახსოვს და არც ბუზებს ახსოვთ ეს ქალაქი, მაგრამ მის ეროვნულ ენაზე სწორედ ასე გამოითქმოდა ის, რითაც ხსენებული მამრი ერთობოდა. იქნებ ფიქრობდა კიდეც ამ ბუზთა ყლაპვისას, ამ პარასკევ საღამოს გეზი საით დავიჭიროო. იქნებ ისიც უნდოდა, რომ მეტრომდე მისულიყო და მერე სადმე სოჰოსკენ გაებერა, სადაც ღამის სამ საათზეც კი უჭამია იაფად ჩინელების ერთ დუქანში. ანდა, აქვე შევიდოდა პორტუგალიელების კაფეში, რამეს გადაჰკრავდა და მეტროსკენაც მერე დაიძვრებოდა. საერთოდ, მეტროზე ნაწყენი იყო. ლონდონში ამდენი წელიწადი ისე გაელია, რომ მეტროს გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმოედგინა და ისიც ვერ წარმოედგინა, რომ სენტრალ ლაინზე, მარბელ არჩის სადგურზე ამსიგრძე ჩასასვლელი დაუხვდებოდა. კარგა გვარიანად მთვრალი ჩადიოდა ამ ვიწრო, დაუსრულებელ კიბეზე მიწისქვეშეთიდან ამომავალ ესკალატორებს შორის და ფიქრობდა, რომ სიკვდილის შემდეგ ზუსტად ასეთი კიბე ექნებოდა ჩასავლელი. არა, მაღლა კი ეწერა, ბოდიში და ფეხით უნდა ჩაჩანჩალდეთ ბარე ორას საფეხურზეო, მაგრამ ასე თუ ემსგავსებოდა ეს კიბე ქვესკნელში ჩასასვლელს, რას წარმოიდგენდა. აღარასოდეს ჩავალ მაგ სადგურიდანო, მაშინ ასე გადაწყვიტა და სიმართლე ითქვას, მარბლ არჩი რაში უნდა დავიწყებოდა. თვითონ ის მარბლ არჩიც ეჯავრებოდა, ახლა კი სადგურიც ზედ მიაყოლა.

მაშ, ახალგაზრდა კაცი "ვაითლის" წინ იდგა ჩამოღამებულ ჟამს, "ოულდ ჰოლბორნის" გასახვევ თამბაქოს აბოლებდა ტუჩების ერთგვარი მანჭვით და ჩუმი ფურთხებით, ბუზებს ყლაპავდა და ეგებ იმასაც ფიქრობდა, კარგი იქნება, ხვალ ათ ფუნტად პირველი დივიზიონის გუნდების რომელიმე თამაშზე რომ მოვხვდეო. ათად, არა, მაგრამ თოთხმეტად მოხვდებოდა. "ქუი პარკი" შინ უნდა გარჯილიყო და დილიდანვე თუ დაფაცურდებოდა, ბილეთსაც დაუკვეთავდა. ვინმეზე აკიდების თავი არ ჰქონდა. "ივნინგ სტანდარტს" თუ იყიდდა და იქ საკლუბო ტელეფონიც ეწერებოდა, თუ, რა თქმა უნდა, სოლდაუთი არ იქნებოდა. მაგრამ "ქუინზს პარკი" ბოლო თვეს განუწყვეტლივ აგებდა და მის თამაშს არავინ მიასკდებოდა, ერთგულთა გარდა. ესენი კი ჰა, რამდენი ათასი მოგროვდებოდნენ? ათი, ოცი? მეტი? თუმცა, თვითონაც ისე აგებდა, როგორც ეს გუნდი. ბოლოხანებში, რა თქმა უნდა. სულ აგებდა და აგებდა, ყოველი მხრიდან ვილაცები ჩხვლეტდნენ.

და სწორედ ამის დასტური იყო, რომ უდარდელად აყუდებულს უკნიდან ვიღაც დაეჯახა, ლამის წააქცია და ახალგაზრდა კაცს რომ არ ევაჟკაცა და ფეხის წინ წადგმა არ მოესწრო, ეგებ ცხვირითაც დასკდომოდა ქვაფენილს. ახალგაზრდა კაცმა კი წაიფორხილა, მაგრამ იმავ წამს გასწორდა წელში და თვალით დამჯახებლის ძებნა დაიწყო. გამვლელი ერთი იყო: ვინმე ტანთხელი, კოჭებამდე თეთრ ხალათსა და ჩალმაში გამოწყობილი მაღალი კაცი წინ უდარდელად მიაბიჯებდა.

- ეი, ალო! - გასძახა ახალგაზრდამ - ეი, სიარული ისწავლე, შე წყეულო...

იმას კი არც მოუხედია.

ახალგაზრდა კაცი ძუნძულით აედევნა მიმავალს, ზედ ქუჩის კუთხესთან წამოეწია, ხელი მხარში ჩაავლო და სცადა ეს უხეში და თავხედი კაცი შეეჩერებინა. კაცი მართლაც შედგა და მთელი ტანით შემობრუნდა მდევრისკენ.

გრძელი შავი წვერი, შეჭმუხნული, სქელი წარბები, ჩალმიდან შუბლზე ჩამოშლილი თმა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ერთი სახლის ისტორია

# საგინაშვილების საგა


გრიბოედოვისა და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთა



რუსთაველის გამზირი №18

ბესო გულაშვილის ფოტოები

ნინო საგინაშვილი

გრიბოედოვისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში დგას XIX საუკუნის მიწურულს აშენებული სახლი (გრიბოედოვის ქ. №17/4), ამჟამად სახეშეცვლილი, ოდესღაც "გამაგრებული", მაგრამ მაინც ბევრ ადგილას "გაბზარული". სახლი გენერალ-მაიორ ივანე საგინაშვილს აუშენებია და ამიტომ ამ გვარის ისტორიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

საგინაშვილების გვარის ეტიმოლოგიაზე ივანე ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ გვარი უნდა მომდინარეობდეს პროკოფი კესარიელის (VI ს. ჩვ.წ.ა.) მოწოდებული ცნობიდან, სადაც აღნიშნულია, რომ ჯიქებს ზემოთ საგინები ("საგინაი") ცხოვრობდნენო (ივ. ჯავახიშვილი - ქართველი ერის ისტორია ტ. I თხ. 1960, გვ. 427).

წერილობითი წყაროების და საარქივო ჩანაწერების მონაცემებით დადგენილია, რომ ქართლის "მოწინავე სადროშოს თავადაზნაურთა შორის საგინაშვილები ყველაზე ძლიერნი ყოფილან" (ი. ახუაშვილი, გაზ. "სიმართლე" - 5 მარტი 1991 წ.). XVI საუკუნის დასასრულიდან ეს გვარი უკვე ხშირად ფიგურირებს ისტორიულ წყაროებში. 1626 წელს მეფე სიმონ II-თვის ერთგული სამსახურისათვის საამ საგინაშვილს მისგან წყალობად მიუღია მამულები ახლანდელი თეთრიწყაროს რაიონში, ხოლო როსტომ მეფეს 1638 წელს ბეჟან საგინაშვილისთვის წყალობის წიგნი უბოძებია, სადაც ვრცლად არის აღწერილი მის მიერ მეფისადმი გაწეული ერთგული სამსახური.

ამ გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელია გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი (1808-1887), დიდი მემამულე და ქველმოქმედი. მას დიდი ეროვნული სამსახური გაუწევია სოფელ კოდისა და მის ახლომდებარე სოფლების მოსახლეობისათვის, როდესაც სოფლის თავში წმინდა ნინოს სახელზე აუშენებია ეკლესია. გაზ. "ივერია" წერს: "კოდაში ახლა შენდება პატარა, მშვენიერი საყდარი თლილის ქვისა... ამ ეკლესიას აშენებს იქაური მებატონე ღენერალ-მაიორი ალექსანდრე საგინოვი თავის საკუთარი ფულითა. ამ საყდართანავე გენერალ-მაიორი საგინოვი აპირებს სოფლის სასწავლებლისათვის შენობის დადგმასაც" ("ივერია" 1877 წ. 28,8 სექტემბერი). თვითონ ალექსანდრე ეკლესიის გვერდითაა დაკრძალული. ხანგრძლივი სამხედრო სამსახურისთვის ალექსანდრეს მიღებული აქვს რუსეთის მრავალი სამხედრო ჯილდო.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრეს დედა იყო მელიტონ ბარათაშვილის ღვიძლი და და ამრიგად, მამიდად ეკუთვნოდა ნიკოლოზ ბარათაშვილს. მამიდაშვილს ძალიან მჭიდრო და თბილი ურთიერთობა აკავშირებდა დიდ პოეტთან. ცნობილია, რომ ალექსანდრეს ერთადერთი და - ქეთევანი, გათხოვილი იყო მიხეილ ყაზბეგზე. ნიკოლოზ ბარათაშვილი ხშირად ატარებდა ზაფხულს თავის მამიდაშვილთან და რამდენიმე ლექსიც კი დაუწერია ყაზბეგში. ქეთევანი ადრე გარდაიცვალა, ხოლო მიხეილს მეორე ქორწინებიდან შეეძინა ვაჟი - მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი.

ალექსანდრე საგინაშვილმა შეირთო ბარბარე ორბელიანი, რომლის მამა - სამარაგდონი - გრიგოლ ორბელიანის მამის ძმა გახლდათ. გრიგოლი სიცოცხლის ბოლომდე ახლოს მეგობრობდა თავის სიძეს, რასაც მოწმობს მდიდარი ეპისტოლარული მასალა. გრიგოლ ორბელიანის წერილები ჩვენს ოჯახში ინახებოდა, ამჟამად ლიტერატურის მუზეუმშია დაცული.

ბარბარე საგინაშვილისა გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, მას შვილი არ დარჩენია და ალექსანდრემ იშვილა თავისი ძმისშვილი, ივანე, რომლის მამა - ბესარიონი, აგრეთვე სამხედრო პირი, იმ დროისათვის გარდაცვლილი იყო.

ალექსანდრე საგინაშვილმა მეორედ იქორწინა დიდი ილიას და - ელისაბედ (ლიზა) ჭავჭავაძეზე. ამ დროისთვის ის სახლობდა საკუთარ სახლში ნიკოლოზის ქუჩაზე (ამჟამად ჯავახიშვილის). სწორედ ამ სახლში, ალექსანდრეს მოწვევით ათ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა თავის მეუღლესთან ერთად ილია ჭავჭავაძე, აქვე ჰქონდა მოწყობილი "ივერიის" რედაქცია და სტამბაც. სახლი სიკვდილის წინ ალექსანდრემ თავის მეუღლეს უანდერძა. თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილი იყო, არ არის გასაკვირი, რომ სწორედ აქ იყო დაცული ბარათაშვილის ერთ-ერთი საინტერესო ავტობიოგრაფიული კრებული.

მოგვიანებით, სწორედ ილიამ და მისმა დამ დაუთმეს გარკვეული ფართობი ახალგაზრდა ექიმს - მიხეილ გედევანიშვილს, რომელმაც იქ პირველი ქართული პოლიკლინიკა მოაწყო, რომელშიც დიდხანს ფუნქციონირებდა. აქვე ცხოვრობდა ის თავის ოჯახთან ერთად ხუთი წლის განმავლობაში, როგორც ილიას ახლო მეგობარი.

შემდგომში, ელისაბედ საგინაშვილის თხოვნით, სახლი მისი სიკვდილის შემდეგ გადაეცა საქართველოს მწერალთა კავშირს. ამჟამად აქ გახსნილია ილიას მემორიალური მუზეუმი.

ივანე ბესარიონის ძე საგინაშვილი (1825-1909) გენერალ-მაიორი, 1897-1903 წლებში იყო თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი. მისი მეუღლე, ეკატერინე ვაჩნაძე, მეოთხე შვილის მშობიარობის დროს გარდაიცვალა. მისი ობლების აღზრდა იკისრა მისმა დეიდამ, იმ დროისათვის დაქვრივებულმა რუსუდან (ცაკალო) ანდრონიკაშვილმა-ჩოლოყაშვილისამ, რომელიც სიძესთან გადავიდა საცხოვრებლად. სწორედ მდიდარი ცაკალო ჩოლოყაშვილის დახმარებით ააშენა ივანე ბესარიონის ძემ საცხოვრებელი სახლი გრიბოეზდოვის და ალ. ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში (ამჟამად გრიბოედოვის №17/4). ეს საკმაოდ დიდი სახლი იყო - სამსართულიანი, ფართო რიკულებიანი აივნებით, დიდი ეზოთი, სადაც საჯინიბო და ბევრი სხვა სათავსო იყო მოწყობილი.

ივანე ბესარიონის ძე საგინაშვილის ერთადერთი ვაჟიშვილი ნიკოლოზი (1876-1915), კამერ-იუნკერი, ისიც თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი იყო. მან ააშენა სახლი ორბელიანთ უბანში (ამ სახლს ახლაც იგივე მისამართი აქვს: ორბელიანის ქ. №12) და მთელი ოჯახი იქ გადასულა საცხოვრებლად. გადმოცემით ვიცი, რომ ეს იყო ევროპულად მოწყობილი სახლი, დიდი ოთახებით, სარკიანი ჭერით, ნატიფი გემოვნებით შერჩეული ავეჯით. საინტერესოა, რომ მტკვარი იმდენად ახლოს ჩაუდიოდა სახლს, რომ მის უკანა მხარეს მდებარე დიდი აივანი პირდაპირ მდინარეს გადაჰყურებდა. ამ სახლში იზრდებოდნენ ნიკოლოზის შვილები: ალექსანდრე (სანდრო) და ივანე საგინაშვილები.

ნიკოლოზის მეუღლე გახლდათ ნინა ალექსანდრეს ასული საგინაშვილი, რომლის მამა, გენერალი ალექსანდრე ივანეს ძე - საგინაშვილების მეორე შტოს წარმომადგენელი იყო. ცოლად ჰყავდა ელისაბედ იოსების ასული მამაცაშვილი - პოეტ მიხეილ ლერმონტოვის ახლო მეგობრის, კონსტანტინე მამაცაშვილის შთამომავალი. ელისაბედს ექვსი და ჰყავდა, რომელთაგან აღსანიშნავია: ანა - ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის მეუღლე; ბარბარე ლვინიაშვილისა, რომლის ქალიშვილი ნინო - აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის მეუღლე იყო; ელენე ციციშვილისა, რომელსაც ხუთი შვილი ჰყავდა: იოსები - ქართველი კინოვარსკვლავის თამარ ციციშვილის მამა, ვახტანგი - საქართველოში კონიაკის მრეწველობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ალექსანდრე და ქალიშვილები - ოლღა და მარგარიტა. მარგარიტას შთამომავალია ცნობილი ქირურგი გიორგი (გიგლა) იოსელიანი, და კარდიოლოგი, პროფესორი დავით იოსელიანი, ხოლო ოლღას შთამომავალნი კი - კინომცოდნე გოგი გვახარია, პროფესორი ვახტანგ გვახარია, პროფესორი ინგა კოზლოვსკაია.

ცნობილია, რომ სახლი ანდრეევის ქუჩაზე ილია ჭავჭავაძემ ბარბარე ლვინიაშვილისაგან იყიდა. ამჟამად იქ ილიას სახლ-მუზეუმია.

თვით ნინა ალექსანდრეს ასულ საგინაშვილის უფროსი და - ბარბარე გათხოვილი იყო ალექსანდრე სუმბათაშვილზე და მათ საკუთრებას წარმოადგენდა სახლი, რომელიც ახლანდელი დავით აღმაშენებლის და კრილოვის ქუჩის კუთხეში მდებარეობს. აქ ამჟამად სტომატოლოგიური კლინიკაა განთავსებული. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე იყო ალექსანდრე სუმბათოვ-იუჟინის ბიძაშვილი. როდესაც ეს დიდი ხელოვანი თბილისს სტუმრობდა, ის ამ სახლში ჩერდებოდა თავის ნათესავებთან და ყოველთვის სიყვარულით იგონებდა აქ გატარებულ დღეებს.

ნინა ალექსანდრეს ასულის მომდევნო და - დარია - პოლკოვნიკ ივანე მუსხელიშვილის მეუღლე, თავის ოჯახთან და ორ უშვილო დასთან ერთად ცხოვრობდა ახლანდელი დავით აღმაშენებლის გამზირის №111-ში. ეს სახლი წარმოადგენს ერთ-ერთს რამდენიმე სახლისაგან შემდგარ კომპლექსში, რომლებსაც "ადამოვების სახლებს" ეძახდნენ (Адамовские дома). სწორედ აქ დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ჩვენმა სასიქადულო მეცნიერმა ნიკო მუსხელიშვილმა.

ივანე ბესარიონის ძე საგინაშვილის უფროსი ქალიშვილი - ელენე მიხეილ ერისთავის მეუღლე გახლდათ. მიხეილ ერისთავი - დიდებული ოჯახის წარმომადგენელი (მისი მამა - რევაზი მეფე ერეკლე II-ის ქალიშვილის ანასტასია ბატონიშვილის შვილიშვილი იყო), ღრმად განსწავლული პიროვნება: მან დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში ხეხილისა და მარცვლეულის ახალი ჯიშების შემოტანას და გავრცელებას. ის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა თავის მამულში, სოფ. კარალეთში, სადაც სანიმუშო მეურნეობა ჰქონდა. კარალეთში ხშირად იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, რომელთა მოთავე იყო ელენე, თვითონ კარგი მუსიკოსი. თბილისიდან ჩამოდიოდნენ იმ დროისათვის ცნობილი მწერლები, პოეტები, მომღერლები. ნათესავების გადმოცემით, გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსი "გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები" ეძღვნება ოჯახის ერთ-ერთ ქალიშვილს - ეკატერინეს.

1924 წელს მიხეილი და მისი ვაჟი - სტუდენტი რევაზი, სოფლის წითელმა რაზმელებმა დახვრიტეს. ოჯახის ეს სისხლიანი ისტორია მოთხრობილია მ. ერისთავის შვილიშვილის რევაზ მაყაშვილის წერილში (გაზ. "ახალი საქართველო" 24/+IX-2/X-1998 წ.).

მომდევნო ქალიშვილი - ბარბარე - გათხოვილი იყო რუსეთის არმიის პოლკოვნიკ გიორგი მაყაშვილზე. აღსანიშნავია, რომ მისი და - მარიამ მაყაშვილი გახლდათ საქართველოს რესპუბლიკის მთავარსარდლის, გიორგი კვინიტაძის მეუღლე.

ბარბარეს და გიორგის სამი შვილი ჰყავდათ: ალექსანდრე - ერთ-ერთი პირველი ქართველი ავიატორი, ვლადიმერი - იურისტი, ცნობილი იურისტის, აკადემიკოს თინათინ წერეთლის მეუღლე. ქალბატონი თინათინი და მისი მეუღლე სისხლის სამართლის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებლები არიან. ელენე მაყაშვილი იყო პირველი ექიმი ქალი - ბაქტერიოლოგი, რომელმაც მუშაობა დაიწყო ბაქტერიოფაგზე.

ცნობილია, რომ ბარბარე საგინაშვილი-მაყაშვილისამ შეიკედლა ქართლიდან გამოძევების შემდეგ უსახსროდ დარჩენილი დის, ელენე ერისთავის ოჯახი. ისინი ერთად ცხოვრობდნენ წყნეთის ქუჩის №13-ში (ახლანდელი მელიქიშვილის ქ. №9). ამ სახლის ზედა სართული ახლაც უკავიათ ამ ორი დიდებული ოჯახის შთამომავლებს.

ივანე ბესარიონის ძე საგინაშვილის მესამე ქალიშვილი ნინო გათხოვილი იყო ნიკოლოზ ასლანის ძე მდივანზე, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტი. ნიკოლოზ მდივანს ეკუთვნოდა (მას აუშენებია) თბილისში, რუსთაველის გამზირდზე მდებარე სახლი №18 (რომლის პირველ სართულზე ამჟამად გაიხსნა გაერთიანებული ქართული ბანკის მთაწმინდის ფილიალი), აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ოჯახს ამ სამსართულიან ულამაზეს სახლში მხოლოდ ორი ოთახი დაუტოვა საერთო სათავსოებით. მიუხედავად ამისა, ეს ბინა გადაიქცა თავისებურ "სალონად", სადაც იკრიბებოდნენ მუსიკოსები, მსახიობები, ძველი ქართველი ინტელიგენტები. ეს ოჯახიც ვერ გადაურჩა რეპრესიებს: უფროსი ქალიშვილის, მარიამის მეუღლე - გრიგოლ ჭანიშვილი დააპატიმრეს და დახვრიტეს. უმცროსი ქალიშვილი, სათნო და ულამაზესი გარეგნობის ირინე, გახლდათ მეუღლე ცნობილი კომპოზიტორის იონა ტუსკიასი. ი. ტუსკია რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა, როგორც კომპოზიტორი. მას შეუქმნია მუსიკა ს. ახმეტელის თითქმის ყველა სპექტაკლისათვის, ხოლო მისი კონსერვატორიის რექტორობის საკმაოდ ვრცელი პერიოდი "ოქროს ხანადაა" აღიარებული თბილისის კონსერვატორიის ცხოვრებაში. რუსთაველის თეატრში მუშაობდა მისი მეუღლე, ირინე მდივანიც (ის ვიოლინოზე უკრავდა თეატრის ორკესტრში). მათ ძალიან თბილი მეგობრობა აკავშირებდა თეატრის მსახიობებთან. მათ შორის იყვნენ: ნინო ლაფაჩი, თამარ ჭავჭავაძე, შურა თოიძე, თამარ თარხნიშვილი, თამარ ბაქრაძე, ნინო ალექსი-მესხიშვილი (აკაკი ხორავას მეუღლე) და სხვები. ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ აკაკი ხორავა, ემ. აფხაიძე. თითქმის ყოველ საღამოს იკრიბებოდა აქ საინტერესო საზოგადოება: ა. საგინაშვილი, ე. ანდრონიკაშვილი, მ. აბხაზი, ნ. ციციშვილი. სპექტაკლის შემდეგ მათ მსახიობებიც უერთდებოდნენ. ბატონ იონას ძალიან ახლო და თბილი დამოკიდებულება ჰქონდა თავის სტუდენტებთან. ამიტომ ძველი თაობის მუსიკოსებთან ერთად აქ ხშირად ნახავდით ელისო ვირსალაძეს, როდამ ჯანდიერს, კონსტანტინე ვარდელს, მის მოწაფეებს: გია ყანჩელს, ვ. აზარაშვილს, დ. ჩხეიძეს, ლ. შავერზაშვილს და სხვებს. გვიანობამდე გრძელდებოდა საინტერესო საუბრები.

სხვათა შორის, ამავე სახლში ცხოვრობდა ალექსანდრე ახვლედიანი - "საშა პარტნოი" - თბილისში ცნობილი მკერავი, რომელიც მაშინდელი ქართული ქალთა საზოგადოებას "ელიტას" ემსახურებოდა.

სახლის პირველ სართულზე მდებარეობდა თბილისში უნიკალური მაღაზია "ბორჯომის წყლები", თბილისელების თავშეყრის საყვარელი ადგილი, სადაც ნამდვილად "ნამდვილი" ჩაციებული ბორჯომით გაგიმასპინძლდებოდნენ. ნუთუ რამეთი გამართლებულია მისი უსახური თურქული "ბისტროთი" შეცვლა!

გასაბჭოების შემდეგ ორბელიანის ქუჩაზე მდებარე დიდებული სახლის დაკარგვის შემდეგ, ნიკოლოზ საგინაშვილის ოჯახი საცხოვრებლად ისევ გრიბოედოვის №17-ში გადმოვიდა, სადაც დიდი ბრძოლის შემდეგ ერთ ათმეტრიან ოთახში შეასახლეს სამი სული: ნინა ალექსანდრეს ასული და მისი ორი ვაჟი: ალექსანდრე და ივანე (თვით ნიკოლოზი ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო). შემდგომში, ერთი ბედნიერი შემთხვევის წყალობით, შესაძლებელი გახდა კიდევ ერთი ოთახის მიერთება. ივანე მალე გარდაიცვალა და ამ ბინაში დარჩა უკვე დაოჯახებული ალექსანდრე. მამაჩემი, ალექსანდრე (სანდრო) საგინაშვილი - იურისტი - საკმაოდ ცნობილი ადვოკატი გახლდათ. ის თბილისის უნივერსიტეტში მაშინ სწავლობდა, როდესაც იქ იურიდიულ ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდა გამოჩენილი მეცნიერი - ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. მამას უახლოესი მეგობრები იყვნენ: შალვა ალექსი-მესხიშვილი, გიორგი თარხნიშვილი, ალექსანდრე ხოჭოლავა, ბიძინა ბარათაშვილი, ბენო ხომერიკი - ქართული ადვოკატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები. ჩვენ სახლში ხშირად ნახავდით მამას მამიდაშვილს - ცნობილ იურისტ ვლადიმერ მაყაშვილს და მის მეუღლეს აკადემიკოს თინათინ წერეთელს, მეცნიერებათა დოქტორს - დავით ფურცელაძეს. ახლოს მეგობრობდა მამა აგრეთვე ძალიან საინტერესო და კოლორიტულ პიროვნება - გიორგი გაბელაშვილთან, კბილის ექიმ და კინომსახიობთან. ამიტომ იურისპრუდენციის საკითხებზე სერიოზული და საინტერესო საუბრები ხშირად ხალასი იუმორით იყო შეზავებული.

ჩვენ ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ მამას დეიდაშვილები: მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ მუსხელიშვილი, მისი ძმა - ალექსანდრე, და - მარგარიტა, არჩილ მაყაშვილი, გადასახლებიდან დაბრუნებული ძმები სუმბათაშვილები.

ახლო ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდა ალექსანდრეს კინომსახიობ თამარ ციციშვილთან და მის მეუღლე - დიმიტრი გედევანიშვილთან, რომელთანაც ერთად სწავლობდა იმ დროს ცნობილ ლევანდოვსკის გიმნაზიაში.

ალექსანდრე საგინაშვილი გარდაიცვალა 1976 წელს. ახლა ამავე ბინაში მისი შთამომავლობა ცხოვრობს: ქალიშვილი ნინო თავისი ოჯახით: მას ორი შვილი ჰყავს - ალექსანდრე (სანდრო) და ირინე ცისკარიძეები. ოჯახში ოთხი შვილიშვილი იზრდება: ნიკოლოზ და ივანე ცისკარიძეები, კობა და ნინო გიგინეიშვილები. სახლი კი სრულიად შეცვლილია: მშვენიერი რიკულებიანი, ფართო აივნები გადაკეთდა ამოშენებულ ოთახებად და უსახურ დერეფნებად, ეზო დაპატარავდა, სახლმა დაკარგა თავისი პირვანდელი სახე.

თბილისის მიწისძვრის შედეგად უკვე არსებულ ბზარებს უამრავი ახალი შეემატა.


გენერალი ივანე საგინაშვილი (ზის), რძალი ნინო, ვაჟი ნიკოლოზი, ქალიშვილი ელენე ერისთავისა

კონტექსტი

# თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის და განვითარების პერსპექტივები

მარინა თუმანიშვილი

**Perdes majoria,
minora nisi servaveris
დაკარგავ ბევრს,
თუ არ შეინარჩუნებ მცირედს**

SOS - ეს წარწერა ძველი სახლების ფოტოების ქვეშ უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. არადა, მართლაც, ეს ძახილი ყველაზე უფრო მიესადაგება დღევანდელ ვითარებას. როგორც ყველასათვის ცნობილია, ეს აბრივიატურა ნიშნავს - "იხსენით ჩვენი სულები". ძველი სახლების სულები შველას ითხოვენ.

ცნობილ ქართველ მოქანდაკეს ვალერიან მიზანდარს აქვს შესანიშნავი მოთხრობა, სადაც ნაამბობია, რომ ქუჩის პირისპირ განლაგებული ორი ძველი სახლი დანგრევის წინა ღამით ერთმანეთს უზიარებენ თავის ჭირ-ვარამს, იხსენებენ ადრინდელ ბედნიერ დროს. ერთი მათგანი უამბობს მეორეს, თუ რა ტკივილი განიცადა მან, როდესაც წინა დღით მის კედლიდან ძირკვავდნენ კავს, რომელზედაც მუდამ ეკიდა მისი ძველი მეპატრონის თოფი... ჩვენც რომ მოვუსმინოთ თბილისის სახლების ღამის ჩურჩულს, ბევრი რამ ჩვენთვისაც ნათელი გახდება.

ეს პატარა ლირიკულ-დრამატული შესავალი. ახლა, განვიხილოთ, თუ რა ვითარებაა ამჟამად თბილისში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და რეაბილიტაციის საქმეში.

თუ გადავხედავთ თბილისის ისტორიულ უბნებში მიმდინარე სამუშაოებს, დავინახავთ, რომ ძირითადად აქ ახალი სახლების მშენებლობა მიმდინარეობს. აღდგენითი, სარესტავრაციო სამუშაოები უფრო გამონაკლისს წარმოადგენს, ვიდრე წესს. არადა, სადღეისოდ, მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ, ლოგიკური იქნებოდა წარგვედგინა ფართომასშტაბიანი აღდგენითი სამუშაოების სურათის ხილვა. ამ ვითარებაზე პასუხი უბრალოა - არ არის ამგვარი სამუშაოების ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება.

ამორტიზებული და ავარიული სახლების დიდი რაოდენობა მიწისძვრამდეც თბილისის რეალობა იყო. ძველი ქალაქისათვის საცხოვრებელი ფონდის დაძველება ბუნებრივი პროცესია და მსოფლიოს მრავალი ქალაქის ყოველდღიური საზრუნავი.

და მაინც, რა არის საგანგაშო დღევანდელ ვითარებაში და რა პრობლემების წინაშე დგას თბილისის ისტორიული ნაწილი ამჟამად?

თუ გავაკეთებთ ზოგად, პირობით დიფერენციაციას, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქში არსებობს კერძო დაკვეთა და საზოგადოებრივი დაკვეთა. თუ მივყვებით ამ ლოგიკას, ბუნებრივია, გამოდის, რომ კერძო დაკვეთას აფინანსებს კერძო ინვესტორი, ხოლო საზოგადოებრივი დაკვეთის შესრულება უნდა განხორციელდეს მთელი საზოგადოების მიერ გაღებული თანხით.

"შევინარჩუნოთ ძველი თბილისი, მისი იერსახე და ისტორიული გარემო, აღვადგინოთ ძველი ფასადები და ა.შ." - ეს მოთხოვნები შედის საზოგადოებრივი დაკვეთის ფარგლებში. კერძო დაკვეთა კი, ძირითადად, ითვალისწინებს ცარიელ ადგილს, სადაც უნდა მოხდეს ინვესტორისათვის ყოველმხრივ მომგებიანი პროექტის რეალიზაცია. ეს ორივე სახის დაკვეთა შეიძლება ჰარმონიულად ხორციელდებოდეს ქალაქში, თუ მათ განხორციელების თანაბარი, ერთნაირი შესაძლებლობები გააჩნიათ.

ამჟამად თბილისში ამგვარი ვითარება გამოიკვეთა: არის კერძო დაკვეთები და მათი განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური უზრუნველყოფა, არ არის საზოგადოებრივი დაკვეთა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი დაკვეთა გამოიხატება მოწოდებებში და ფაქტების აღიარებაში, მაგრამ არ არის გამაგრებული ფინანსური წყაროებით. ამგვარად, ის განწირულია განუხორციელებლობისთვის.

ეს არის რეალობა და ამის არ აღიარება არ შეიძლება. ამგვარად ხდება ინდივიდების ინტერესების პრევალირება საზოგადოებრივ ინტერესებზე. უფრო მეტიც, ალტერნატივის უქონლობის გამო კერძო ინვესტიციები გახდა ერთადერთი საშუალება მოსახლეობისათვის თავისი საცხოვრებელი პრობლემების "გადაწყვეტისა" და ისტორიული განაშენიანების ექსპანსიაში გამოიხატა. ამ უბნებს "ინვესტორომანია" და "გიგანტომანია" დაემუქრა.

სამწუხაროდ, ამგვარმა საინვესტიციო პოლიტიკამ, რომელიც თავისთავად ყველა ქვეყნის ალმშენებლობის მძლავრი ინსტრუმენტია, ჩვენში მიილო დამახინჯებული ხასიათი. აღინიშნება ღირსშესანიშნავი ნაგებობების, ძეგლების და ძეგლის ნიშნის მქონე სახლების, თვით მეპატრონის მიერ, დამატებით დაზიანების და ნაწილობრივ დანგრევის მცდელობებიც. ეს კეთდება მათ მიერ, რათა აიძულონ შესაბამისი ორგანიზაციები, ნებართვა დართონ მათ სახლის დემონტაჟზე, როგორც შენობაზე, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას, ანუ რომლის აღდგენაც შეუძლებელია მისი ფიზიკური დაზიანების ხარისხის გამო. მოსახლეობისაგან, რომელიც ცხოვრობს ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე სახლში, არის მოთხოვნები, გადაიხედოს მათი სახლის ფასეულობა როგორც "არც ისე ღირსშესანიშნავი" ობიექტისა, რათა შემდგომში მისი დანგრევის შესაძლებლობა მიეცეთ.

ამგვარად მიმდინარეობს ფასეულობათა "იძულებითი" დევალვაციის პროცესი. ანუ, ღირსშესანიშნავ სახლში ცხოვრება მისი მფლობელისათვის არა სიამაყის მომგვრელი ხდება, არამედ ერთადერთ დაბრკოლებად ესახება მას ინვესტორთან სასურველი შეთანხმების მისაღწევად. აღნიშნული ფაქტები, შესაძლოა, ერთეულ ხასიათს ატარებს, მაგრამ მათი გაანალიზება აუცილებელია.

ფაქტი ისაა, რომ კერძო ინვესტორის ინტერესებში არ შედის სახლის აღდგენა-რესტავრაცია. ეს ქველმოქმედების სფეროს განეკუთვნება. ამგვარი მაგალითები კი თბილისში ჯერ არ აღინიშნება.

ამგვარად, ისევ პირობითად რომ ვთქვათ, საზოგადოება ორად იყოფა. ერთ მხარეზეა პრობლემებით დახუნძლული მოსახლეობა - დაზიანებული სახლების მფლობელები და მათი პრობლემების "გადამწყვეტი" ინვესტორები, ხოლო მეორე მხარეს - საზოგადოება, რომელიც ისტორიული გარემოს შენარჩუნებას ცდილობს და გამოსავლის ძიებაში იმყოფება. ეს ნაპრალი, სამწუხაროდ, დღითიდღე იზრდება.

ეს ტენდენცია დღეს არ აღმოცენებულა. ამა წლის 25 აპრილს მომხდარმა მიწისძვრამ ზემოაღნიშნული პროცესების კატალიზატორის როლი შეასრულა.

ჯერ კიდევ 2000 წელს ავტორის მიერ ერთ-ერთ ძველ უბანში, რომელიც ავარიული სახლების დიდი რაოდენობით ხასიათდებოდა, ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოავლინა დიდი განსხვავება მოსახლეობის თეორიულ მოსაზრებებსა და მათ სავარაუდო პრაქტიკულ ქმედებებს შორის. ასე მაგალითად, თუ თეორიულად, მსჯელობის დონეზე, უბნის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მოსახლეობა მიიჩნევდა საინტერესო განაშენიანებას, ისტორიულ გარემოს, და კრიტიკულად აფასებდა უბანში აღმართულ ახალ მაღლივ სახლებს, პრაქტიკულად გამოკითხულთა უმრავლესობას - 67%-ს ჰქონდა სურვილი, ამგვარ სახლში ეცხოვრა. ამასთან ერთად, გამოკითხულთა 61% ფიქრობდა იმ დაინტერესებული პირების პოვნას, რომლებიც მათ სახლის ადგილზე ააშენებდა ახალ სახლს და მათაც დააკმაყოფილებდა შესაბამისი ფართით. უიმედობა და უალტერნატივობა მოსახლეობას არაოპტიმისტური განწყობილებისკენ უბიძგებს. გამოკითხულთა მხოლოდ 19% თვლიდა, რომ მათ ძველ უბანს განვითარების პერსპექტივა გააჩნია. აღნიშნული ტენდენცია მიწისძვრის შემდეგ უფრო გამძაფრდა და მოიცვა ქალაქის მთელი ისტორიული ნაწილი. ანუ სურვილი, გააუმჯობესონ თავისი საცხოვრებელი პირობები, დომინირებს ყველა დანარჩენ მოსაზრებასა თუ შეხედულებაზე.

ამ ვითარების დასაბალანსებლად და ალტერნატიული სახელმწიფო ინვესტიციების ფინანსურად უზრუნველსაყოფად, ავტორის აზრით, საჭიროა, თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისშექმნა. აღნიშნული ფონდის საქმიანობის დაფინანსება არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ შემოწირულობებს და სხვა საქველმოქმედო მოქმედებებიდან მიღებულ ფინანსურ წყაროებს, რადგანაც, სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, შეუძლებელია მიახლოებით მაინც პროგნოზირება იმ ფინანსური რესურსების შევსება-განახლებისა და მდგრადობის პროცესისა, რომლის შევსების წყაროდ მხოლოდ შემოწირულობები და სხვა საქველმოქმედო მოქმედებანი გვევლინება. არამედ, ამ ფონდს უნდა ჰქონდეს მყარი საკანონმდებლო ბაზა. ამგვარი ფონდის შევსება შეიძლება ხორციელდებოდეს ქალაქში მიმდინარე მშენებლობებიდან, ვიზებიდან, ისტორიულ ნაწილში განლაგებული ვაჭრობის ობიექტებიდან პროცენტების გადარიცხვით, ფონდის მიერ დაფინანსებული განვითარებადი პროექტების რეალიზაციით მიღებული მოგებით და ა.შ.

რაც შეეხება შემოწირულობებს და ქველმოქმედებას - ეს ფორმები მუდამ არსებობდა და იარსებებს, როგორც ადამიანის ბუნების ყველაზე საუკეთესო გამოვლენა, მაგრამ აქ ლაპარაკია საკანონმდებლო ბაზით გამყარებულ ფინანსურ სისტემაზე, რომელმაც უნდა იარსებოს წლების მანძილზე და თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების მყარი გარანტიის საფუძველი გახდეს.

ამ ფონდის შევსება შესაძლოა ხდებოდეს ტურისტული ბიზნესით მოპოვებული შემოსავლებითაც. რაც შეეხება ტურისტულ ბიზნესს, როგორც ცნობილია, ის მრავალი ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით თბილისის ისტორიულ ნაწილს უზარმაზარი პოტენცია გააჩნია, რომლის რეალიზაციის ხელშეწყობის შემთხვევაში მას არამარტო სულიერი, არამედ უდიდესი მატერიალური საზრდოს მოცემა შეუძლია.

შესაძლოა, ზოგიერთი ქვეყნისთვის ამგვარი ფონდის შექმნა არც იყოს საჭირო. მაგალითად, ამერიკისთვის ან გინდაც აზერბაიჯანისთვის, სადაც 2000 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ სახელმწიფომ, ერთიანი სუბსიდიის სახით, გამოყო დიდი თანხა, რომლის მეშვეობით სადღეისოდ, როგორც ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგები გვამცნობენ, ისტორიულ ნაწილში მდებარე დაზიანებულ ნაგებობათა 90% უკვე აღდგენილია და გამაგრებული.

ალბათ, ყველა ქვეყანამ, თავისი რეალობიდან გამომდინარე, უნდა აწარმოოს თავისი ურბანული პოლიტიკა. თბილისს ნაბიჯ-ნაბიჯ სწორი და მიზანმიმართული ქმედებების წარმართვა უცილებლად მოუტანს თავის ნაყოფს. მხოლოდ ეს ქმედებები საკანონმდებლო ბაზით უნდა იყოს გამყარებული. რაც შეეხება საქართველოს კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომლის თანახმად ძეგლის მესაკუთრეს თვითონ ევალება მისი მოვლა-პატრონობა და, აქედან გამომდინარე, აღდგენითი და გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება, მასზე დღეს აქცენტის გაკეთება არა მართებულია. ეს კანონი ჯერჯერობით ვერ შეასრულებს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის როლს. საჭიროა, არსებული სოციალურ-ეკონომიკური რეალიების ზუსტად განსაზღვრა და, აქედან გამომდინარე, სადღეისო გადაწყვეტილებების მიღება.

ასევე ყურადღების მისაქცევია ის გარემოება, რომ თუ ჩვენ მეზობელ ბაქოს, სახელმწიფოს მიერ ერთდროული სრული თანხის გამოყოფის შემთხვევაში, სამუშაოს შესასრულებლად დასჭირდა ორი წელი, თან მთელი ქვეყნის სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების სრული მობილიზაციით, მაშინ თბილისში ეს ვადა, ჩვენი ვითარებიდან გამომდინარე, რასაკვირველია უფრო დიდი იქნება. ეს დრო ჩვენ შეიძლება დავხარჯოთ ფინანსური დახმარების მუდმივ ლოდინში, ან აქტიურ ქმედებებში შიდა რეზერვების ამოქმედების მიმართულებით.

ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის შექმნა და შემოქმედება, შესაძლოა, ის რეალური გზაა, რომლის მეშვეობითაც სურვილს, "შევინარჩუნოთ ძველი თბილისი", განხორციელების რეალური საშუალება ეძლევა.

საინტერესოა, როგორია საერთაშორისო გამოცდილება წამოჭრილ საკითხებთან მიმართებაში. როგორ და რა მეთოდებით ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვა სხვა ქვეყნებში?

ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციისათვის თანხების მოპოვება ხდება სხვადასხვა გზით, მათ შორის, შესაბამისი საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების მეშვეობით: ეს არის გადარიცხვები ტურისტული შემოსავლებიდან და სასასტუმრო ბიზნესიდან, ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად გამოშვებული ბილეთებიდან და ვიზებიდან. აგრეთვე ეს არის თანხები მოპოვებული ფილმების ბიზნესიდან, თუ მათი გადაღება იწარმოება ღირსშესანიშნავი ადგილების - კულტურული მემკვიდრეობის ფონზე და ა.შ.

არსებობს გამოცდილება, რომელშიც სამშენებლო ფირმებთან დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სავალდებულო სამუშაოების ჩატარება ირგვლივ მდებარე შენობების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათი წილობრივი ჩართვა უბნის კეთილმოწყობაში.

ცნობილია, ასევე, ქ. ლისაბონის რეაბილიტაციის პრაქტიკა. აქ ძველი უბნების რეაბილიტაცია დაიწყო მოსახლეობის მოძრაობიდან საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით და შემდგომშიც წარიმართა მათი აქტიური მონაწილეობით. ამ მოძრაობამ დიდი მხარდაჭერა ჰპოვა ქალაქის და ქვეყნის ხელმძღვანელი პირების მხრიდან. ქალაქის ურბანული რეაბილიტაცია ქ. ლისაბონის ურბანული მართვის ინოვაციურ და სტრატეგიულ ღერძად იქნა მიჩნეული. ამგვარი პოლიტიკის საფუძველზე მიღებულ იქნა შესაბამისი საკანონმდებლო აქტები. ძირითადი ამოცანა იყო საბინაო პირობების გაუმჯობესება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების გზით.

ახალი მიდგომა გამოიხატა აგრეთვე ინტეგრირებული პროექტების შემუშავების სახით, რაც ითვალისწინებდა სამუშაოს არეალის გაფართოებას ინფრასტრუქტურაზე, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურის სფეროებზე, ისე, რომ საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესებული ყოფილიყო სხვადასხვა საქმიანობის გამოცოცხლებით, მასში მრავალი მონაწილის ჩართვითა და დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნებით. ამგვარი საშუალებებით იყო განხორციელებული ქ. ლისაბონის კულტურული მემკვიდრეობის დიდი ნაწილის რეაბილიტაცია.

ამ მეთოდებზე და მათ ეფექტურობაზე ლაპარაკი იყო საქართველოს ICOMOS-ის მიერ ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაზე ისტორიული მემკვიდრეობის კონსერვაციის საკითხების შესახებ, რომელიც წარიმართა ამა წლის ივლისის თვეში, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპეციალისტებისა და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით.

ეს არის საერთაშორისო გამოცდილება და როგორია ჩვენი გამოცდილება, რომელიც ჩვენი ისტორიის წიაღში მოიძიება? როგორ იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები ანალოგიურ სიტუაციაში?

საქართველოს მეფემ ალექსანდრე დიდმა, თემურ ლენგის შემოსევის შედეგად განადგურებული ციხეებისა და ეკლესია-მონასტრების აღსადგენად, 1425 წ. შემოიღო აუცილებელი გადასახადი. ყოველ კომლს ევალებოდა 40 თეთრის გაღება, რომლის მეშვეობით მოხერხდა განადგურებული ქვეყნის აღდგენა. საინტერესოა ასევე, რომ 1440 წ., როცა ეს აღმშენებლობითი საქმიანობა დამთავრებული იყო, ალექსანდრე მეფემ თავისი განკარგულებით გააუქმა ეს გადასახადი. "...ყოველნივე სრულიად ახლად აღვაშენენ და შევამკვენ.", და რაკი მიზანი უკვე მიღწეული იყო და საგანგებო გადასახადი აღარ იყო საჭირო, "ჩვენსავე ჟამსა შიგან ამოგვიკუეთია...", – განუცხადებია ალექსანდრე მეფეს. (მალის ამოკვეთის სიგელი ალექსანდრე მეფისა, 1440 წ.)

სარეაბილიტაციო სტრატეგიის განსაზღვრისას უნდა იყოს დასახული პრიორიტეტები და დამუშავებული პროექტები, რომელიც მოიზიდავს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინვესტიციებს. ეს პროექტები უნდა იყოს გამიზნული როგორც მსხვილი კაპიტალდაბანდებისათვის, ასევე მცირე სახსრებით განსახორციელებლად. შესაძლოა დონორი ორგანიზაციებისათვის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შემუშავება, რომელთა ფარგლებში მოიაზრება საცხოვრებელი ფონდის რეაბილიტაციის განხორციელებაც. ეს პროექტები სასურველია, ითვალისწინებდნენ მოსახლეობის ჩართვას სარეაბილიტაციო პროგრამებში.

თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების სასურველი პერსპექტივების თეორიული მოდელი ასეთი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: დაბალანსებული კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების მეშვეობით ერთიანი ურბანული პოლიტიკის კონტექსტში შემუშავებული პროექტების განხორციელება.

და ისევ ლირიკულ-დრამატული წიაღსვლის ფარგლებში აღსანიშნავია, რომ ზოგადად, მიუხედავად იმისა, თუ განვითარების რა დონეზე იმყოფება ქვეყანა - არის ეს ევროპის დედაქალაქი, თუ, როგორც მიღებულია მათი ხსენება - მესამე სამყაროს ქვეყანა, მოსახლეობა ყველგან განსაკუთრებით უფრთხილდება და აფასებს თავის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, იქნება ეს ლანდშაფტის დაცვა, გარემოს თავისებურების შენარჩუნება თუ რაიმე ისტორიული სიმბოლოს სათუთად შენახვა.

მაგალითად, ინდონეზიის შემადგენლობაში შემავალი ბალიელთა ტომისათვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა გამოიხატება მათი ლანდშაფტის თავისებურების შენახვაში. აქ პირველივე მაღლივი სასტუმროს მშენებლობის შემდეგ გამოიცა კანონი, რომლის მიხედვითაც ახალი შენობის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს ყველაზე მაღალ ქოქოსის პალმას.

რაც შეეხება ევროპას - ინგლისში სათუთად უვლიან სამეფო ბაღში უხსოვარი დროიდან მობინადრე ექვს ყვავს, რომელთა ჯანმრთელობაზე, ლამისაა, ამყარებენ ინგლისელები თავისი ქვეყნის წინსვლასა და კეთილდღეობას.

დაბოლოს, თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის დაარსებისათვის საჭიროა საზოგადოების, და მათ შორის სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების, ერთობლივი ნება, რათა შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საფუძვლად დაედება ამ ფონდის ფუნქციონირებას და მოგვცემს თბილისის ძველი უბნების აღდგენა-გამაგრების და განვითარების განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფის რეალურ საშუალებას. მთელი საზოგადოების ძალისხმევაა საჭირო, რათა "გავამაგროთ ის ტოტი, რომელზედაც ჩვენ ყველანი ვსხედვართ".

პერსონაჟები რომანისათვის



**საიდან მოდის მხედრული ცხოვრების რომანტიკა? საიდან მოდის ბავშვური აღტაცება ამ უჩვეულო ცხოვრებით ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერ ქვეყანაში – მუშკეტერებით დაწყებული და ჰუსარებით დამთავრებული? იქნებ ამის მიზეზი ჩვენი ქვეყნის ისტორიაა, ქვეყნისა, რომლის ბედიც გამუდმებით მეომრებზე ეკიდა? იქნებ, მეომრის სახე ჩვენთვის იმ კეთილშობილი რაინდის სახესთანაა გაიგივებული, რომელიც მუდამ შემწედ და ქომაგად გვეგულება, გვეიმედება? ამგვარი დამოკიდებულება ისეთი მძაფრია, ისეთი მტკიცე, რომ დღესაც ცოცხლობს ქვეყანაში, სადაც ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ გაენადგურებინათ, ფიზიკურად მოესპოთ სამხედრო არისტოკრატია, სამუდამოდ აღეგავათ პირისაგან მიწისა; ან იქნებ, სწორედ ამგვარმა დევნამ გაამძაფრა ჩვენში სამხედროებით აღტაცება; იქნებ, სწორედ ამიტომაც ვერ დავხედავთ გულგრილად 1892 წელს გადაღებულ ფოტოს, რომელზეც აღბეჭდილნი არიან კავალერიის გენერალი დათა აფხაზი, ქვეითთა გენერალი გიორგი აფხაზი და არტილერიის გენერალი, 1923 წლის მაისში ბოლშევიკების მიერ დახვრეტილი კოტე აფხაზი.**

... იგი ამბობდა:
- აი, ყველაზე მკვეთრად რა უნდა ჩავუნერგოთ პატარას: ლოგინში რომ წვები, თუ წუთით მაინც შეგიპყრობს ფიქრი, - სადღაც ვილაცას სცივა, სადღაც ვილაცას ენატრება ლოგინი, სადღაც ავადმყოფი ფრინველი კანკალებს ბუჩქის ძირას, ანდა ცხოველი წკმუტუნით ილოკავს ჭრილობას, - უკვე ნამდვილი ადამიანი ხარ.

რევაზ ინანიშვილი



დადგა სექტემბერიც, - სკოლაში წასვლის დრო!

არდადეგებზე ნამყოფ, დასვენებულ, გარუჯულ-გაკაჟებულ პატარა ადამიანებს სწავლა-განათლების დასაწყისი სხვადასხვანაირ განწყობას უქმნის: ზოგს ერთი სული აქვს, მერხს როდის მიუჯდება, მონატრებულ ამხანაგებს როდის შეხვდება და ახალთახალ, ჯერ კიდევ სტამბისსუნიან სახელმძღვანელოებს როდის გადაფურცლავს, ზოგიერთებს კი (ასეთებიც არიან), - ისევ თავისუფლად ნავარდი ურჩევნიათ, სკოლის და წიგნების გაგონებაც არ სურთ. რას იზამ, კაცია და გუნებაო, ნათქვამია.

ცხოვრება თავისას ითხოვს: სექტემბერია და, რაც არ უნდა გვეზარებოდეს, სწავლას უნდა შევუდგეთ. ისე, ჩვენში დარჩეს, სიზარმაცე რა მოსატანია, როცა სკოლაში გატარებული ყველა დღე უამრავი ახალი შთაბეჭდილებითაა სავსე, ხალისით, საინტერესო თავგადასავლებითაა გაჯერებული.

უფროსები ხშირად იტყვიან ხოლმე: "ეჰ, ნეტავი იმ დროს, სკოლაში რომ დავდიოდი, დარდი არაფრის მქონდა და ჩიტივით თავისუფალი ვიყავიო!"

ღირს ამ საკითხზე დაფიქრება! სწორედ ახლა გვიდგას ეს სანატრელი ხანა და, სანამ არ გაფრენილა, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყოველი დღე, საათი, წუთი...



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

## მიპატიჟება სასწავლებელში

რაფიელ ერისთავი

წამოდექით, ყმაწვილებო,
ტანთ ჩაიცვით საჩქაროზე,
აბა, თავი მოიყარეთ
სწავლისათვის თავის დროზე!..

რა ხანია, მამლაყინწამ
იყივლა და გაათენა,
მერცხალმაც კი იჭიკჭიკა,
არ დააცხრო ტკბილი ენა!..

აგერ, ტყემაც გაიღვიძა,
შრიალებს და რაცლას ხარობს,
კოდალა ხეს უკაკუნებს
და მწყერჩიტა ცაში გალობს!

მინდორი და ველი ჰყვავის,
ნამი ბზინავს ათასფერად,
მზემაც თვალი გააჭყიტა,
ამოვიდა მათ სამზერად...

ჭინჭველები ველს მოედვნენ,
თითქოს რაღაც ჯოგიაო,
მოლაღურიც გაიძახის
მაღლა: "ბიჭო-გოგიაო!.."

ჭია-ღუა სარჩოს ჰზიდავს,
რომ გაივსოს თავის ბინა,
და ფუტკარიც მიზუზუნებს
ყვავილისკენ თაფლისთვინა!..

კაცი, მხეცი და ჩიტები –
ყველა საქმეს ჰკიდებს ხელსა,
მეთევზეა – ბადესა ჰშლის,
და მუშაკი იქნევს ცელსა...

წამოდექით, ყმაწვილებო,
თქვენც ახსენეთ ღვთის სახელი, –
ზარმაცები ღმერთს არ უყვარს,
წიგნს მოჰკიდეთ, აბა, ხელი!..

## ყველაზე სწრაფი ცხოველი

მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ცხოველია ლეოპარდი, რომელსაც შეუძლია, სირბილის დროს 100 კმ/სთ სიჩქარე განავითაროს. საოცარი ისაა, რომ იგი 0-დან 70 კმ/სთ სიჩქარეს გაცილებით სწრაფად კრეფს, ვიდრე ავტომობილი.

## დათვი ჩანთით

კოალა ისე გავს დათვის ბელს, რომ ხშირად მას ჩანთიან დათვსაც ეძახიან.

ავსტრალიელი აბორიგენების ენაზე "კოალა" ნიშნავს "არ დალიო". და მართლაც, კოალა არასოდეს არ სვამს წყალს. მას ევკალიპტების ფოთოლთა სინოტივეც აკმაყოფილებს.

კოალას, ბუნებაში, ფაქტობრივად, არა ჰყავს მტერი - მისი ხორცი არც ერთ მტაცებელს არ იზიდავს. ეს კი იმის ბრალია, რომ მისი ძირითადი საკვების, ევკალიპტის ზეთი სახიფათო შხამია, რომლითაც გაჯღერებულია კოალას ორგანიზმი.

## შავი ეშმაკი

ჩანთიანი, ანუ ტასმანიური ეშმაკი ჩვენს დროში მხოლოდ კუნძულ ტასმანიაზე გვხვდება. ეს შავი ეშმაკი ღამღამობით ნადირობს პატარ-პატარა ცხოველებზე, ფრინველებზე და შხამიან გველებზეც კი. იგი მართლა ეშმაკივით, მოულოდნელად და ვერაგულად ესხმის თავს მსხვერპლს.

უცნაური ის არის, რომ მოთვინიერებული შავი ეშმაკი ძალზე დამჯერე ცხოველი ხდება. იგი ძალიან სუფთაა, - გამუდმებით ილოკავს ბეწვს, ხოლო სახეს პეშვად შეკრული წინა თათებით იბანს.

ძალიან უყვარს ბანაობა და მზის გულზე წოლა.

## წრუწუნა ბობოქრობს

ირლანდიაში, ერთ-ერთი რადიოგადაცემის დროს, დიქტორი მოულოდნელად გაჩუმდა. გაოცებულ რადიომსმენელებს ჯერ რაღაც ხმაური შემოესმათ, შემდეგ ჩურჩული, ბოლოს კი სასოწარკვეთილი დიქტორის განწირული ყვირილი.

მალე ნათელი გახდა, რომ დიქტორი შეაშინა მიკროფონთან გამომძვრალმა წრუწუნამ.

## ყველაზე დიდტანიანი ფრინველი

ყველაზე დიდტანიანი მფრინავი არსება, რომელსაც დედამიწის ზურგზე ოდესმე უცხოვრია, იყო 65 მილიონი წლის წინანდელი რეპტილია Quetsaecoatlus northropi. მისი ფრთების გაშლილობა არაფრით არ ჩამოუვარდებოდა დღევანდელი ორადგილიანი თვითმფრინავების ფრთების ზომებს.



ანასტასია ლოგინენკოს ნახატი

## მართლაც დაუჯერებელია

უნგრეთის სოფელ ტისალეკში ვინმე გაბორნე ეკრემ დაკლა ქათამი, რომელსაც მუცელში აღმოაჩნდა... ცოცხალი წიწილა. წიწილა 18-19 დღისა იყო და მალე მოკვდა.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ასეთი შემთხვევა არ ახსოვს ბიოლოგიის ისტორიას. სპეციალისტები გულდასმით სწავლობენ იმ მიზეზს, რომელმაც ასეთი უცნაური შემთხვევა გამოიწვია.

## ფრინველი - ლირა

ავსტრალიის ფლორის ნამდვილი მშვენებაა ფრინველი - ლირისკუდა. ბეღურასებრთა კლასში იგი ყველაზე დიდტანიანი ფრინველია: მისი ტანის სიგრძე კუდის ჩათვლით 130 სანტიმეტრს აღწევს.

სასიყვარულო ცეკვების პერიოდში დედალ ლირისკუდას ფარშევანგივით ეშლება კუდი და იგი ძალიან ემგვანება მუსიკალურ ინსტრუმენტს - ლირას.

მოკლედ, ბუმბულის სილამაზით ლირისკუდა სამოთხის ფრინველს არ ჩამოუვარდება.

## უფრთო და უკუდო ფრინველი

ახალ ზელანდიაში ცხოვრობს უცნაური ფრინველი, სახელად - კივი. მას არც ფრთები აქვს და არც კუდი. კივის კიდევ ერთი უცნაურობაც სჭირს: მისი კვერცხის წონა 500 გრამს აღწევს, რაც ფრინველის წონის 1/5-ს შეადგენს. სიცხადისათვის ასეთ შედარებას მოვიყვანთ: სირაქლემა ყველაზე დიდ კვერცხებს დებს ფრინველებს შორის, მაგრამ მისი კვერცხის წონა 90-ჯერ ნაკლებია თავად ფრინველის წონასთან შედარებით.

## ხე ჩრდილის გარეშე

ავსტრალია ევკალიპტების ქვეყანაა. აქ გვხვდება 500-მდე ჯიშის ევკალიპტი, რომელთა ზომა სხვადასხვანაირია: ბუჩქნარიდან დაწყებული - 100-მეტრიანი ხეებით დამთავრებული.

უცნაური ის არის, რომ ისეთი ხეების ქვეშ, ავსტრალიის უდაბნოში რომ იზრდებიან, მზისგან თავს ვერ შეაფარებთ, რადგან ხის სხეული ჩრდილს არ იძლევა. ეს იმიტომ ხდება, რომ ევკალიპტის ფოთლები მზის მიმართ ცერად დგანან, რათა ნაკლებად გაცხელდნენ და ნაკლები სითხე დაკარგონ.

## ყველაზე მაგარი

ბუნებაში არაფერია ალმასზე მაგარი. მეტი რა უნდა ვთქვათ: ალმასს შეუძლია მინის გაჭრა!

ამიტომაა, რომ უამრავ საჭრელ და საბურღ ხელსაწყოებში გამოყენებულია ხელოვნურად მიღებული ალმასი.


მესამე სერია
გაგრძელება იქნება



**რუსთაველისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი, ყველა ქართველისათვის ცნობილი და საყვარელი პოეტი მურმან ლებანიძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საბავშვო ჟურნალებს და მშვენიერ ლექსებსაც წერდა პატარა მკითხველებისათვის.**

**ბატონი მურმანი 14 ნოემბერს 80 წლის უნდა გამხდარიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაგმა ავადმყოფობამ ამის საშუალება არ მისცა. 22 აგვისტოს დამწუხრებულმა საქართველომ დიდი პოეტი დიდუბის პანთეონის წმინდა მიწას მიაბარა. მისი უკვდავი პოეზია კი განაგრძობს ტრიუმფალურ სვლას...**

# კუზიანი კვიცი

## (ფრაგმენტები პოემიდან)

პ. ერშოვი

თარგმნა **მურმან ლებანიძემ**



ცხრა მთას იქით,
ცხრა ზღვას იქით,
ცაში როდი დაჰქროდა,
კავს და გუთანს დაჰკვროდა, -
სოფლად გლეხი სახლობდა.
სამი შვილი ჰყავდა მოხუცს:
უფროსს ჭკუა უჭრიდა,
შუათანაც ვარგოდა,
არც მას არა უჭირდა.
უმცროსი ძმა ამათი,
ითქვას ბარემ მართალი,
მაგრად მოიშტერებდა,
იყო კაი აბდალი.
ძმები ყანას თესავდნენ,
ხორბალს მკიდნენ, ლეწავდნენ,
ახლოს ჰქონდათ ქალაქი,
გზებს ღიღინით კეცავდნენ,
ხორბალს ყიდდნენ ქალაქში,
ფულს ითვლიდნენ ბიჭები,
ბრუნდებოდნენ სოფელში
გატენილი ქისებით...
მაგრამ დრო რომ გავიდა,
ფათერაკი ეწვიათ, -
ჩვენს გლეხკაცებს ყანაში
ქურდი შემოეჩვიათ.
მსგავსი ჯერ არ სმენოდათ,
მსგავსი ჯერ არ შეეტყოთ;
იფიქრეს და იმსჯელეს,
ქურდი როგორ შეეპყროთ.
გადაწყვიტეს: რიგრიგად
ღლისით გამოეძინათ,
ღამით ჩასაფრებოდნენ,
ქურდი გამოეჭირათ.

. . .

მესამე დღეც შეღამდა,
უმცროსი ძმის ჯერია,
მაგრამ ყურს არ იბერტყავს,
ეფიცხება კერიას.
ძმები ეჩხუბებიან:
"გათენდება აწიო,
ადექ, ბიჭო, შე ლენჩო,
საგუშაგოდ გასწიო!"

. . .

ცაში ვარსკვლავებია,
მთვარეც, - კარგა ხანია.
ყანას ფხიზლად გასცქერის
ვანკა-ბიჭი-ვანია.
ბუჩქში ზის და ვარსკვლავებს
თვლის და
ერთურთს ადარებს,
ილუკმება გემოზე,
პურის ყუას ამთავრებს.
უცბად, შუაღამისას
ცხენმა დაიჭიხვინა.
ტოტებშუა გახედა
და ფაშატი იხილა.
საოცრება რამ იყო:
ოქროს ძუა-ფაფარი
კოჭებამდე სწვდებოდა,
ენთო, როგორც ლამპარი.
თეთრმა ცხენმა თეთრი შუქი
არემარეს მოჰფინა.
"დახე მაგას, ჩვენი ქურდი
რა ფრინველი ყოფილა!" -
გაიფიქრა ვანიამ,
მოიფშვნიტა თითები:
"მე ხუმრობა არ მიყვარს!
ქედზე წაგაფრინდები!
ოჰ, შე მართლა კალიავ!
ოჰ, შე სისხლის მწოველო!" -
ესა თქვა და ზურგიდან
გადაწყვიტა მოევლო.
ფრთხილად მიუახლოვდა,
უცბად ეცა უკუღმართს,
კუდში ხელი სტაცა და
შეასკუპდა უკუღმა.
გადირია ფაშატი,
გაცოფდა და გაკვირდა,
ახტა-დახტა, გაცეცხლდა,
ისარივით გაფრინდა.
ლურჯ მინდვრებში წრეს უვლის,
ხევებს გადაახტება,
ტყეებს გადაევლება,
კლდიდან ცაში მაღლდება.
მაგრამ ყველა ფანდი და
ყველა ხერხი ფუჭია, -
ცხენის კუდი ვანკა-ბიჭს
მაგრად ჩაუბღუჯია.
ბოლოს, როცა ჭენებით
დაიღალა ძალიან,
მოტყდა თეთრი ფაშატი,
უთხრა: "ჩემო ვანია,
რაკი ვერ გადმოგაგდე,
ვერ წაგიველ ხელიდან,
ჩემი ბატონ-პატრონი
შენ ხარ ამიერიდან.
სადმე დამაბინავე,
სამ დღეს სადმე მაცხოვრე,
კარგად მასვი, მაჭამე,
თანაც დაიმახსოვრე:
ცისკარი რომ ინათებს,
უთენია, დილიდან
სასეირნოდ გამიშვი
ველ-მინდორში შინიდან.
მესამე დღეს, იცოდე,
სამი კვიცი შენია!
ორ კვიცს ისეთს გაგიჩენ, -
კაციშვილს არ სმენია!
ხოლო კვიცი მესამე, -
შენ ეგ ნუ გეფიქრება, -
ჯუჯა, ორკუზიანი,
ყურპარტყუნა იქნება.
მშვენიერი ის ორი
კვიცი თუნდაც გაყიდე,
შენ მესამე არ დათმო,
გყავდეს, სადაც წახვიდე!
ხვატში ნიავს მოგბერავს,
ცივ ზამთარში - გაგათბობს,
მშიერს - პურით გაგაძღებს,
არ გიმტყუნებს არასდროს.
ქვესკნელში თუ მიწაზე
მეგობარი იქნება.
მე კვლავ ველად გამიშვი,
ჩემი ნუ გეფიქრება!"
"კარგი, აგრე იყოსო!
უკვე მყავხარ ნაცადი!" -
თქვა ვანკამ და ფაცხაში
შეიყვანა ფაშატი.
კარს ჭილოფი დაჰკიდა, -
არ გამთქვასო ხვიხვინით, -
და, როგორც კი ინათა,
შინ გასწია ღიღინით.

. . .

მეფე შეცბუნებული
ვანკა-ბიჭთან დაბრუნდა,
ეუბნება: "შენს ქაჯებს
ჩვენთან ყოფნა არ უნდათ!
ჩვენ ვერ დავიმორჩილეთ,
ძმაო, შენი რაშები.
სხვა რა გზაა, წამოხვალ,
სასახლეში დარჩები!
ოქრომკედით მოქარგულ
ჯუბა-ხალათს ჩაგაცმევ!
ივლი ნაზირ-ვეზირად,
კარგს გასმევ და კარგს გაჭმევ!
გნიშნავ თავლის უფროსად,
კაცად გნიშნავ, განა ყმად! -
მეჯინიბეთუფროსად, -
ხარ თუ არა თანახმა?!"
ჩაეცინა ვანკა-ბიჭს,
დაეხვია ფიქრები.
"ყველაფერში ყელამდე
კმაყოფილი ვიქნები!
ოქრომკედით მოქარგულ
ჯუბა-ხალათს ჩამაცმევ!
ვივლი ნაზირ-ვეზირად,
კარგს მასმევ და კარგს მაჭმევ!
მნიშნავ თავლის უფროსად, -
კაცად მნიშნავ, განა ყმად -
მეჯინიბეთუფროსად, -
თან მთხოვ, ვიყო თანახმა!..
აგრე იყოს, მეფეო,
ვრჩები, გემსახურები -
ჩემს ხელმწიფეს ვახლავარ
ჩემი ბედაურებით!
ოღონდ, თუკი არ გინდა,
გაგიფრინდე ხელიდან,
ძილი უნდა მაცადო,
ვერც გინებას ვერ ვიტან!.."
ესა თქვა და, შესძახა
თავის რაშებს: "მომყევით!"
წინ წაუძღვა სიმღერით,
ცეკვით, მირხევ-მორხევით.
შეთამაშდნენ რაშებიც,
გაიხარეს ძალიან,
ხელმწიფის სასახლისკენ
მიჰყვნენ ვანკა-ვანიას.
კუზმა-კვიცმაც ჩაბუქნა
კეკლუცად და საყვარლად,
ახტა-დახტა, ირწევა,
როკავს გულგასახარად.
ხოლო ამასობაში
ძმებმა ვერცხლი გაიყვეს,
ჩაიკერეს ქამრებში,
გზა ჯერ დუქნის გაიგნეს.
რა თქმა უნდა,
წასვლის წინ
თითო ჭიქა ასწიეს,
თითოს თითო სხვა მოჰყვა,
და სოფლისკენ გასწიეს.
სოფლად ძმებმა ქორწილი
ერთ დღეს გადაიხადეს
და ცხოვრებას შეუდგნენ
და ჭამა-სმას, - გიყვარდეს!
ვანკა-ვანას ოინებს
მოჰყვებოდნენ
წვრილ-წვრილად,
უმცროს ძმას იხსენებდნენ,
იგონებდნენ
ხშირ-ხშირად.

. . .

მაგრამ უმჯობესია,
ჩვენ მთავარი განვაგრძოთ,
ძმები განზე დავტოვოთ
და ზღაპარი განვავრცოთ;
მოვყვეთ, ვანკა ხელმწიფის
კარზე როგორ დასახლდა,
მეჯინიბეთუხუცესს
რა ამბები გადახდა;
ფასკუნჯის ფრთა ფარეშმა
ვანკას როგორ მოჰპარა,
ვანკამ თვითონ ფასკუნჯი
მეფეს როგორ მოჰგვარა;
მოვყვეთ,
როგორ მოსტაცა
მთვარეს ტურფა ასული,
უცხო ბეჭდის საძებრად
როგორ იყო წასული;
ცაში როგორ იელჩა,
ლაჟვარდებში შეტოპა
და მზეს ვეშაპისათვის
გამოსთხოვა შენდობა;
ოცდაათი ხომალდი
როგორ გადაარჩინა,
ქვაბში არ ჩაიხარშა,
ხელმწიფეზე გვაცინა;
გლეხის ბიჭი უბრალო
როგორ იქცა ჩაუქად,
სახე როგორ იცვალა
პირმშვენიერ ჭაბუკად...





ანასტასია ლოგვინენკოს ნახატი

# ვანო და ნიკო

## (ფრაგმენტები წიგნიდან)

ერლომ ახვლედიანი

**ერთხელ ერლომ ახვლედიანი, თურმე, ქუჩაში მიდიოდა მეგობართან ერთად. გზაში სამმანეთიანი უპოვნია. მეგობრებს ერთხანს უბჭიათ, რაში გამოვიყენოთო ნაპოვნი ფული. ჯერ თქვეს, ღვინო დავლიოთო, მერე ლატარიის ბილეთი ვიყიდოთო, მერე კიდევ რაღაც და რაღაც. ბოლოს ერლომს ფული ქვაფენილზე დაუგდია, ჩვენ გაგვიხარდა, რომ ვიპოვნეთ, ახლა სხვამაც გაიხაროსო. როცა ერლომ ახვლედიანის "არაკებს" ვკითხულობ, ასე მგონია, რომ ეს "არაკები" მან ცხოვრების დიდ გზაზე სიარულისას იპოვნა და ახლა ჩვენ გვთავაზობს, რომ ჩვენც განვიცადოთ აღმოჩენის ის სიხარული, რაც თვით მან განიცადა ოდესღაც.**

*რეზო ყარალაშვილი*



მას შემდეგ, რაც ბაბუაჩემი აღარ არის, არავინ მიყვება ტკბილ ქართულ ზღაპრებს. ამიტომ მე, უკვე რამდენი წელია, ძილისწინა ოცნებითა და წარმოდგენებით ვინაზღაურებ ამ დანაკლისს. გავა დრო და დღისაგან გამოყოლილ ფიქრებში ჩამეძინება.

* * *

ერთხელ, გვიან დავბრუნდი შინ. ჩავწექი ჩემს საწოლში. ვერ იქნა და ვერ დავიძინე. იმდენად ძლიერი იყო სურვილი დაძინებისა, როცა ჩავთვლიმე, იმწამსვე გამომაღვიძა სიხარულმა, რომ ჩავთვლიმე. რა ხერხს არ მივმართე, რა ღონე არ ვიხმარე. ათჯერ დავითვალე ათასამდე. თვალიც დავხუჭე, ვითომ მძინავს-მეთქი, მაგრამ ვის ვატყუებდი, საკუთარ თავს?

შემეშინდა, ვაითუ არასოდეს აღარ დამეძინოს-მეთქი.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ძილზე ხელი ჩავიქნიე და თავი მივეც ოცნებას. მაგრამ ოცნებაც არანაკლებ ჯიუტი აღმოჩნდა - არ იქნა და არ მეოცნებებოდა.

მაშინ კი სასოწარკვეთაში ჩავვარდი. მან ხელგაშლილად მიმიღო. ვიჯექ სასოწარკვეთაში, როგორც მგლისათვის გახთრილ ბნელ ორმოში და ველოდებოდი მგელს. მგელი, სამწუხაროდ, სასოწარკვეთაში არ ჩავარდნილა და მე, ღამის სიჩუმეში მოწყენილს, კვლავ არ მეოცნებებოდა და კვლავ არ მეძინებოდა.

უცებ, ქუჩიდან გვიანი მგზავრის ნაბიჯის ხმა მომესმა ფილაქანზე. ჩაიარა ჩემი ფანჯრის წინ და სადღაც შორს მიილია.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ გონებაში გრძელდებოდა ნაბიჯების ხმის რიტმი: მინდოდა დიდხანს მსმენოდა ეს ხმა, რათა სიჩუმიდან სულ უმნიშვნელო ხმაური გამომეტანა, და როგორმე ამეწყო ჩემი ოცნება.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

შემდეგ შორიდან მატარებლის გაბმული კივილი გაისმა. წარმოვიდგინე მატარებელი. წარმოვიდგინე მისი ანთებული ფანჯრები ღამეში და თუნდაც ერთი მგზავრი, მდგარი ფანჯარასთან.

აქ კი ნელ-ნელა ამოძრავ-და ჩემი ფანტაზია. ნელ-ნელა დაიძრა იგი, ახმაურდა და აღარ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი უცებ წარმოდგენების უზარმაზარი ტალღის წინაშე.

"უამრავი ადამიანია ქვეყნად! - წამოვიძახე გულში, თითქოს რაღაც ახალი აღმოვაჩინე. რას აკეთებენ ახლა ისინი? ვინ იცის, რამდენს არ ეძინება ჩემსავით ახლა".

შემდეგ უფრო მხიარული აზრი მომივიდა: "რამდენი ამ წუთას იცინის, კვდება სიცილით", და მეც ხმამაღლა გავიცინე.

მაგრამ მე ისევ ბავშვი არ ვიყავი, რომ ჩემი წარმოდგენები მხოლოდ სიხარულის ხმებზე ამეწყო: "უამრავი ადამიანია ქვეყნად და, ვინ იცის, რამდენს ჭმუნვა და დარდი შეჰპარვია ახლა გულში". წამით შევჩერდი მათთან თანაგრძნობით თავდახრილი და შემდეგ კვლავ მივუშვი ჩემი ფერადი ეტლი. "უამრავი ადამიანია ქვეყნად"... და მე ამ ქროლვაში უხვად ვფლანგავდი ჩემს ვარაუდებს: "ერთი იცინის, მეორე ტირის, მესამე მეოთხეს ესაუბრება, მეხუთე დგას, მეექვსე წევს, მეშვიდე ნახევრად წამოწოლილია, მერვე თავის ბაღში ყვავილებს რწყავს, მეცხრე ვარსკვლავებს ითვლის..."

მიმაქროლებდა იმ ღამით ჩემი წარმოდგენების ეტლი და თვალწინ ახალი და ახალი სურათები ჩნდებოდა.

"სადღაც ახლა საღამოა. მზე ჩადის ნელა. ვიღაცა გასცქერის, თუ როგორ აქსოვს ჩამავალი მზე ცისკიდურს სევდასა და სიხარულს.

სადღაც კი ამოდის იგივე მზე და ახალი იმედით ანთებს აღმოსავლეთს..."

სულ ამიფორიაქდა გონება. ჩემს არსებაში რაღაც ძლიერმა განცდამ ჩაიბუდა. ჩემს წინაშე ამოძრავდა უცნაური და თვალუწვდენელი სურათი ცხოვრებისა, სადაც ადამიანებს უყვართ და სძულთ ერთმანეთი, ებრძვიან და უმეგობრდებიან ერთმანეთს - მაღალ მთებში, თვალუწვდენელ ველებზე, მდინარის მყუდროდ ჩაბურულ ნაპირებთან, უზარმაზარ მბორგავ ქალაქებში.

და ეს ხომ მხოლოდ ერთი წამია - ასეთი მდიდარი, ასეთი უსასრულო! ეს ერთი წამია შეზავებული და შეფერილი ცრემლითა და ალერსით, დარდითა და სიხარულით, ვნებებითა და გულგრილობით, შეხვედრებითა და განშორებებით.

ერთი წამია!

დავიღალე, თუ მივნებდი ჩემი წარმოდგენების ხილვას, თვალი დავხუჭე. დავხუჭე თვალი, რათა კიდევ უფრო თვალნათლივ დამენახა ყოველივე, რაც იყო ირგვლივ. მინდოდა მკლავები შემომეხვია, მინდოდა რამე ამელო იმ სივრცეებიდან და ხელს ვიშვერდი წინ თოთო ბავშვივით.

...და როგორც მოვიდა, ისევ უცებ გაქრა ყველაფერი. მაგრამ იმდენად ძლიერი იყო სურვილი, გამომეტანა რამე იმ წარმოდგენებიდან, რომ, როცა თვალები გავახილე, დავინახე უცნაური სამყარო, როგორც საჩუქარი ჩემი იმღამინდელი ოცნებისა. ყველაფერი იყო ამ პატარა სამყაროში: იყო მთები, ველებიც იყო, მდინარეებიც, ცაც იყო და მიწაც, მზეც და მთვარეც, ვარსკვლავებიც.

იყო ვანო და ნიკოც იყო.

* * *

მას შემდეგ, რაც ბაბუაჩემი მოკვდა, არავინ აღარ მიყვება უჩვეულო ამბებს. ამიტომ ძილის წინ ოცნებებითა და წარმოდგენებით ვირთობ თავს. დრო მოვა და დღისაგან გამოყოლილ ფიქრებში ჩამეძინება. ჯერჯერობით კი ყოველღამე უცნაური სამყარო მიდგას თვალწინ, სადაც ვანო და ნიკო ხვდებიან და შორდებიან ერთმანეთს, ებრძვიან და უმეგობრდებიან ერთმანეთს. სადაც ტირიან და იცინიან ისინი.

### ვანო და ნიკო და ვალი

ერთხელ ვანო ნიკოზე ოცი წლით უფროსი იყო...

ნიკოს ვანოს ვალი ჰქონდა, მაგრამ ნიკო ვანოს სულ ატყუებდა: დღეს ეუბნებოდა, ხვალ მოდიო, ხვალ ეუბნებოდა, ხვალ მოდიო, და ყოველდღე ეუბნებოდა, ხვალ მოდიო.

ვანოს სწყინდა, ნიკო რომ ატყუებდა და ფიქრობდა: "თუ შეუძლია გადამიხადოს - გადამიხადოს, თუ არ შეუძლია

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მე-5 გვერდიდან

გადამიხადოს, რატომ მატყუებს?! პირდაპირ მითხრას და გათავდება".

მაგრამ ნიკო პირდაპირ არ ეუბნებოდა და თუ ეუბნებოდა, ეუბნებოდა, ხვალ მოდიო.

"თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, ავდგები და წყენით შევხედავ. მაშინ ხომ მიხვდება, რომ მწყინს, რომ მატყუებს".

მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.

- გამარჯობა! - მიესალმა ნიკო.

- გაგიმარჯოს! - უპასუხა ვანომ.

- რისთვის მოსულხარ? - ჰკითხა ნიკომ.

- შენ ჩემი ვალი გმართებს, - უპასუხა ვანომ.

- ხვალ მოდი, - თქვა ნიკომ.

ვანო წამოდგა, წყენით ვერ შეხედა ნიკოს და წამოვიდა.

"ხვალაც მივალ, - ფიქრობდა ვანო, - ხვალაც მივალ და, თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, ავდგები და ვეტყვი, რომ მატყუებს. მაშინ ხომ მიხვდება, რომ ვხვდები, რომ მატყუებს?"




მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.

- გამარჯობა! - მიესალმა ნიკო.

- გაგიმარჯოს! - უპასუხა ვანომ.

- რისთვის მოსულხარ? - ჰკითხა ნიკომ.

- შენ ჩემი ვალი გმართებს, - უპასუხა ვანომ.

- ხვალ მოდი, - თქვა ნიკომ.

ვანო წამოდგა და ვერ უთხრა ნიკოს:

"ნიკო, მე ვხვდები, რომ მატყუებ", - და წამოვიდა.

"ოცი წლით უფროსია ჩემზე ნიკო, - ფიქრობდა ვანო, - მე რომ ნიკოზე ოცი წლით უფროსი ვიყო, აუცილებლად გადავუხდიდი ვალს. თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, ვეტყვი, რომ უპიროა და არ ეკადრება. ნეტა, ნიკო არ იყოს ჩემზე ოცი წლით უფროსი".

მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.

- გამარჯობა! - მიესალმა ნიკო.

- გაგიმარჯოს! - უპასუხა ვანომ.

- რისთვის მოსულხარ? - ჰკითხა ნიკომ.

- შენი ჩემი ვალი გმართებს, - უპასუხა ვანომ.

- ხვალ მოდი, - თქვა ნიკომ.

ვანო წამოდგა და ვერ უთხრა ნიკოს:

"ნიკო! შენ უპირო ხარ, არ გეკადრება... ოცი წლითა ხარ ჩემზე უფროსი", - და წამოვიდა.

"უჰ, თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, - ფიქრობდა ვანო, - ავდგები და კარგად გამოვლანძღავ, ვეტყვი - შე ასეთო და ისეთო... უჰ, რად არა ვარ ნიკოზე ოცი წლით უფროსი!"

მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.

- გამარჯობა! - მიესალმა ნიკო.

- გაგიმარჯოს! - უპასუხა ვანომ.

- რამ მოგიყვანა? - ჰკითხა ნიკომ.

- შენ ჩემი ვალი გმართებს, - უპასუხა ვანომ.

- ხვალ მოდი, - თქვა ნიკომ.

ვანო წამოდგა და ვერ უთხრა ნიკოს:

"ხვალ მოვიდე?.. ნეტა, შენზე ოცი წლით უფროსი ვიყო, შე ასეთო და ისეთო... უჰ!" - და წამოვიდა.

"მეტი აღარ შემიძლია, - ფიქრობდა ვანო, - მეტი აღარ შემიძლია, ხვალაც მივალ. ხვალაც მივალ და, თუ ხვალაც მითხრა, ხვალ მოდიო, ქვა მექნება ჯიბეში ხვალ და, თუ მითხრა, ხვალ მოდიო, ვეტყვი, ამ ქვას თავში დაგარტყამ-მეთქი და თუ გაიქცა, გამოვეკიდები... მაგრამ ვეცდები, არ დავეწიო, ვეცდები, არ მოვარტყა..."

მეორე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.

- გამარჯობა! - მიესალმა ნიკო.

ვანომ არაფერი უპასუხა.

- რამ მოგიყვანა?

- ვალი!

- ხვალ...

ვანო წამოდგა და ვერ უთხრა ნიკოს:

"ხვალაო?!. გაიქეცი! ქვა მოვიდა თავში! გაიქეცი!.. ვეცდები არ დაგეწიო... ვეცდები არ მოგარტყა... გაიქეცი! ჩქარა!"

ნიკო არ გაიქცა. ვანო არ გამოეკიდა და არ დაეწია, არც ესროლა და არც ააცილა. ვერც გასძახა ნიკოს:

- "ხვალ არ მოვალ, მოვალ ზეგ და, თუ ჩემი ვალი არ დამიბრუნე, დაგეწევი. ტყუილად კი არა ვარ შენზე ოცი წლით უმცროსი?!" და წამოვიდა.

მეორე დღეს ვანო არ მივიდა ნიკოსთან და მთელი დღე დიდ ქვას არჩევდა მისთვის.

მესამე დღეს ვანო მივიდა ნიკოსთან.

- გამარჯობა! - მიესალმა ნიკო.

- გაგიმარჯოს! - უპასუხა ვანომ.

- რისთვის მოსულხარ? - ჰკითხა ნიკომ.

- შენ ჩემი ვალი გმართებს, - უპასუხა ვანომ.

- ხვალ...

- რაო?!

- ხვალ...

- რაო?!

- ხვალ ნუ მოხვალ... დღეს მოგცემ შენ ვალს.

- ნიკო, მაპატიე, რომ შეგაწუხე... შენ ხომ ჩემზე ოცი წლით უფროსი ხარ...

ნიკომ ვანოს ვალი დაუბრუნა.



### ვანო და ნიკო და ნიკო და ვანო

ადრე ნიკო ვანო იყო, ხოლო ვანო - ნიკო. მერე ნიკო ვანო გახდა, ხოლო ვანო - ნიკო. ბოლოს ორივე გავანოვდა.

ეს ასე მოხდა:

ნიკო ცუდი ადამიანი იყო და სულ ავს უკეთებდა სხვას. ხოლო ვანო კარგი ადამიანი იყო და სულ კარგს უკეთებდა სხვას. მაგრამ რადგან ადამიანს ერთი და იგივე ბეზრდება ხოლმე, ნიკოს მობეზრდა ნიკოობა, ხოლო ვანოს - ვანოობა.

ნიკომ უთხრა ვანოს:

- მოდი გავვანოვდები!

ვანოს გაუხარდა და უპასუხა:

- მე კი გავნიკოვდები, კარგი?

- კი ბატონო!

და იმ დღის შემდეგ ნიკო გავანოვდა, ხოლო ვანო განიკოვდა.



მზესავით დღე იყო, როდესაც განიკოვებული ვანო ქუჩაში გამოვიდა. ხან აქეთ ეცა და ხან იქით. კაცს დაინახავდა და დასცინოდა. ქალს დაინახავდა და შეურაცხყოფდა. ბავშვს დაინახავდა და თავში წამართყამდა. ძაღლს დაინახავდა და ჯოხს მოუქნევდა. ბეღურას დაინახავდა და ქვას ესროდა. ქოთნებს ხომ სულ ამტვრევდა. ხეს ცულს ურტყამდა. აბა, რა უნდა დავარტყაო, ამბობდა. მოკლედ, ვანო სულ განიკოვდა.

მზესავით დღე იყო და გავანოვებული ნიკოც გამოვიდა ქუჩაში. ნაცნობებს კარგ სალამს აძლევდა. ზოგჯერ უცნობებსაც ესალმებოდა. ბავშვებს ეფერებოდა. ბეღურებს საკენკს უყრიდა. აბა, რა უნდა დავუყაროო, ამბობდა. ხანდახან ხეებსაც რგავდა.

მოკლედ, სულ შეიცვალა ნიკო, სულ გავანოვდა.

გავიდა ხანი.

ღრუბელივით დღე დადგა და გავანოვებული ნიკო იჯდა და უხაროდა, რომ გავანოვდა. არ ახსოვდა, რომ ოდესღაც ნიკო იყო. ყველას უყვარდა და ყველა უყვარდა. აბა, მეტი რა უნდოდა!

ღრუბელივით დღე დადგა და განიკოვებული ვანოც იჯდა და აგონდებოდა, რომ ოდესღაც ვანო იყო. აგონდებოდა, როგორ იცინოდა კაცი. როგორ იღიმებოდა ქალი. როგორ იზრდებოდა ბავშვი. როგორ ფრენდა ბეღურა. როგორი იყო ძაღლის ალერსი. რა ლამაზი იყო ქოთნები. როგორ ხარობდა ხე.

მერე გაახსენდა, რომ განიკოვდა და დაინახა, თუ როგორ წუხდა კაცი, როგორ სწყინდა ქალს, როგორ კვდებოდა ბეღურა. როგორ იმტვრეოდა ქოთნები. როგორ კვნესოდა ხე...

თქვა:

- ეჰ, - და მივიდა გავანოვებულ ნიკოსთან და უთხრა: - გავანოვებულო, აღარ მინდა ნიკოობა, დამიბრუნე ვანოობა.

- არა, - უპასუხა გავანოვებულმა ნიკომ.

- დამიბრუნე, გთხოვ, ჩემი ვინაობა.

- არა.

- დამიბრუნე, თორემ მე ახლა განიკოვებული ვარ და გცემ, გესმის?

მაშინ გავანოვებულმა ნიკომ უთხრა:

- ნუ წამართმევ ვანოობას, გთხოვ... ისეთი კარგია ვანოობა, ისე მინდა ვანოობა, რომ... ნუ წამართმევ!




განიკოვებული ვანო მოიღუშა და უპასუხა:

- მეც აღარ მინდა ნიკოობა...

გავანოვებული ნიკო ჩაფიქრდა, ხოლო მერე თქვა:

- განიკოვებულო! რა ვქნათ, იცი? შენც გავანოვდი და მაშინ ორივენი გავანოვებული ვიქნებით. განა არ შეიძლება, ორი ვანო იყოს?

განიკოვებული ვანო ბევრს ეცადა და, ბოლოს, როგორც იქნა გავანოვდა ისევ, მიუხედავად იმისა, რომ წვიმასავით დღე იყო.

ასე განიკოვდა ვანო და გავანოვდა ნიკო; ბოლოს ორივენი გავანოვდნენ.

გია გელაშვილის ნახატები

















# მოტოციკლეტი

(ისტორიის მოყვარულთათვის)

მსოფლიოში პირველი თვითმავალი ორბორბლიანი ეკიპაჟი თითქმის ერთდროულად შექმნეს ფრანგმა ლ. პერომ და ამერიკელმა ს. პოუპერმა 1869 წელს. ესენი იყვნენ ხის ველოსიპედები მსუბუქი ორთქლის მანქანებით.

ახალი გამოგონების შეძენის სურვილი, ეტყობა, ბევრს გაუჩნდა, რადგან ცნობილია, რომ ინჟინერ ლ. კოუპლენდის ნახაზების მიხედვით ფირმა "ნორტორპმა" 80-იან წლებში 200 ცალი ორ და სამბორბლიანი ორთქლისძრავიანი ველოსიპედი დაამზადა შეკვეთების საფუძველზე.

1885 წელს გერმანელმა ინჟინერმა გოტლიბ დაიმლერმაააწყო შიგაწვის კომპაქტური ძრავა და გამოცდის მიზნით სწორედ ამ ხის ველოსიპედზე დაამონტაჟა იგი.

ასეთი ეკიპაჟების მცირე სერიული წარმოება განახორციელეს გერმანიაში ძმებმა - ჰაინრიხ და ვილგელმ ხილდებრანდებმა ალოის ვოლფმიულერთან ერთად. სწორედ მათ გამოიყენეს პირველად ორბორბლიან ეკიპაჟებზე პნევმატური საბურავები და ორცილინდრიანი ძრავა.

ახალ მანქანას სახელიც თავად დაარქვეს: "მოტოციკლეტი" - ლათინურად: motor - "მოძრაობაში მომყვანი" და ბერძნულად - ciklos - "ბორბალი" (ანუ - "მოტორიზებული ველოსიპედი").

მსოფლიო აღიარება მოტოციკლეტმა მოიპოვა 1895 წლიდან, როცა ფრანგმა გამომგონებლებმა ალბერ დე დიონმა და ჟორჟ ბუტონმა შექმნეს ძალიან მსუბუქი, ერთცილინდრიანი, ოთხტაქტიანი შიგაწვის ძრავა, რომელიც სპეციალურად კონსტრუირებულ სამბორბლიან ეკიპაჟზე წინა ბორბალს ზემოთ დაამონტაჟეს.

1898 წელს ფირმა "ლაურინ-კლემენტის" (დღევანდელი "შკოდა", ჩეხეთი) მოტოციკლეტებზე შიგაწვის ძრავები ისევ ძველებურად, დაიმლერის თვითმავალივით სავარძლის ქვეშ დააყენეს და ამის შემდეგ არც ერთ კონსტრუქტორს, ვინც ახალ მოდელს ქმნიდა, ეს წესი აღარ შეუცვლია.

მოტოციკლეტების წარმოებაში პიონერებად შემდეგი ქარხნები ითვლებიან: "ნორტონი" (ინგლისი), "პეჟო" (საფრანგეთი), ნსუ (გერმანია), "ლეიტნერი" (რუსეთი), "ხარლეი-დევიდსონი" (აშშ), "იამახა" (იაპონია).

უკვე 1925 წლისათვის მსოფლიოში ას ქარხანაზე მეტი უშვებდა მოტოციკლეტებს. მათი კონსტრუქციები იმდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რომ საჭირო გახდა კლასიფიკაციის შემოღება. კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო ძრავის მუშა მოცულობა და, ძირითადად, გამოყვეს სამი ჯგუფი: "მსუბუქი" - 300-მდე კუბური სანტიმეტრის მოცულობით, "საშუალო" - 350-დან 650 კუბურ სანტიმეტრამდე მოცულობის და "მძიმე" - 750 კუბურ სანტიმეტრზე მეტი მოცულობისა.

1970 წლიდან მოტოციკლეტების კლასიფიკაცია კიდევ რამდენიმე ჯგუფით გაამდიდრეს, მათ შორის აღსანიშნავია: "უნივერსალური", "ორმაგი დანიშნულების მოტოციკლეტი", "მოპედი" და "მოფა".

"უნივერსალური" მოტოციკლეტი, ანუ, როგორც მას ეძახიან, - "მუშა ცხენი", - ესაა გასაშუალოებული შესაძლებლობების მქონე მანქანა, საკმაოდ გამძლე და მოხერხებული ყოველდღიური გამოყენებისათვის როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

"ორმაგი დანიშნულების მოტოციკლეტი", ანუ "ენდურო" - გამოიყენება როგორც ასფალტიან გზებზე მოძრაობისათვის, ასევე უგზო ადგილებშიც. ამ მოტოციკლეტებს უფრო საიმედო და გამძლე ძრავები უყენიათ, საკმაოდ მაღლა აქვთ აწეული მაყუჩები, დეკორატიული მორთულობა კი თითქმის არ გააჩნიათ. ეს მოდელი რაღაც საშუალოა "უნივერსალსა" და მოტოკროსისათვის განკუთვნილ სპორტულ მოტოციკლეტებს შორის.

გამოდის აგრეთვე მინი-მოტოციკლეტები – "მინი-ბაიკი", რომელიც 60 კილოგრამამდე იწონის და ავტომობილის საბარგულში თავისუფლად ეტევა. მისი ბენზინის ბაკი 4-5 ლიტრ საწვავს იტევს და სიჩქარე 70 კმ/სთ-ს არ აღემატება.

კიდევ უფრო პატარაა მოპედი, ანუ "მოკიკი" – მისი სიჩქარეა 40 კმ/სთ. რაც შეეხება "მოფა"-ს, იგი მოპედის კიდევ უფრო გამარტივებულ სახეობას წარმოადგენს, რომელსაც არც სიჩქარეების გადამრთველი კოლოფი გააჩნია და არც ამორტიზატორი აქვს უკანა ბორბალზე.

ქარხნები, უმეტესად, მინი-მოტოციკლეტებს, მოპედებს და "მოფებს" უშვებენ დიდი რაოდენობით, რომლებზეც გაზრდილი მოთხოვნილებაა ახალგაზრდა მოტომოყვარულთა მხრიდან, თუმცა, მოტოციკლეტზე არც მოხუცები და ქალები ამბობენ უარს.

# ცხოვრება ქართველთა













ქართველთა წინაპრები იყვნენ ქართლოსი, ეგროსი და ჰეროსი.















გაგრძელება იქნება

# ყოჩაღი ერკემალი

(ზღაპარი მათთვის, ვინც "ერკემლის" მაგივრად "სერკემალს" ამბობს)

მიხო მოსულიშვილი



მოდი, ჩემო კუდრაჭავ და, აი, ის დიდი წიგნი მომაწოდე... ჰო, ეგ, ოქროსფერი ასოებით.

ეს არის "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი". აქ "სერკემალი" კი არა, "ერკემალი" წერია და ნათქვამია, რომ ერკემალი არის მამალი ცხვარი, იგივე ვერძი, დახუჭუჭებული ბეწვით და ორი კოხტად დაგრეხილი, წვეტიანი რქით...

მე სერკემალზე არაფერი ვიცი, მაგრამ აი, ერკემალზე კი ერთ ზღაპარს მოგიყვები, თუ გინდა...

ერთი ერკემალი იყო, ხუჭუჭა ბეწვი ჰქონდა და ორი კოხტად დაგრეხილი, წვეტიანი რქა.

სად ცხოვრობდა და, ფარეხში, სხვა ცხვრებთან ერთად.

ის ფარეხი მთაში იყო. იქვე მეცხვარის ქოხი იდგა.

გათენდებოდა თუ არა, გამოვიდოდა მეცხვარე ქოხიდან, თავზე ფაფახს დაიხურავდა, დაიჭერდა კომბალს ხელში, ფარეხის კარს გახსნიდა და ფარას საძოვარზე გარეკავდა. ერთი დიდი ძაღლი ჰყავდა, ქართული ნაგაზი, სახელად "ბომბორა", იმასაც გაიყოლიებდა ხოლმე.

იმ მთაში ისეთი კარგი ბალახი იყო, სულ მწვანედ ბიბინებდა და ერკემალსაც მეტი რა უნდოდა, ძოვდა და ძოვდა. სულ ძოვა-ძოვით იარებოდა, თავს არ აწევდა მაღლა და ხშირად ჩამორჩებოდა ხოლმე ფარას. დაედევნებოდა უკან თავისი მეგობარი, ბომბორა, და ისევ ფარასთან მიიყვანდა.

- მოხვედი, ჩემო ერკემალო, შენ კი გენაცვალე მაგ დაგრეხილ რქებში! - ეტყოდა მეცხვარე.

ერთხელაც, სწორედ ასე ჩამორჩა ფარას.

ნაგაზმაც ველარ იპოვა, მაგრამ არ შეეშინდა, ყოჩაღი ერკემალი იყო. იარა, იარა და გადაეყარა მგელი.

- შენ ვინა ხარ? - ჰკითხა ერკემალმა.

- საწყალი მგელი! - მიუგო ვერაგმა მგელმა.

- კეთილი ხარ?

- ძალიან კეთილი! თუ გინდა, დავმეგობრდეთ!

- აბა, როგორ უნდა დავმეგობრდეთ, ჩემი მეგობარი ხომ ბომბორაა?!

- ბომბორა რა მეგობარია, მე ხომ იმაზე უფრო ღონიერი ვარ!

- შენ ჩემ მეგობარზე ცუდად ნუ ლაპარაკობ!

- ბოდიში, მეტად აღარ ვიტყვი.

- რაკი ბოდიში მოიხადე, დავმეგობრდეთ.

- უჰ, რა გემრიელი იქნება! - გაუხარდა ვერაგ მგელს, რადგან შეჭმა უნდოდა ერკემლისა.

- რა იქნება გემრიელი? - გაუკვირდა ერკემალს.

- ჩვენი მეგობრობა!

- გემრიელი მეგობრობა ვის გაუგონია? - უფრო მეტად გაუკვირდა ერკემალს.

- გემრიელი მეგობრობა ის არის, რომ ამ ხევის პირას უნდა დავდგეთ, თვალები დავხუჭოთ და თავები ერთმანეთს მივადოთ! - უთხრა ვერაგმა მგელმა.

- კარგი, - მიუგო ერკემალმა.

მივიდნენ იმ ხევის პირას.

ამასობაში დაეძებს ბომბორა ერკემალს, დაეძებს და ვერ უპოვია. დადის და დადის, ხან ზემოთ გაიხედავს, ხანაც ქვემოთ. მივიდა იმ ხევთან, დაინახა თავითავზე მიდებული მგელი და ერკემალი.

- ეჰე-ჰეი, ერკემალო, მგელს უფრთხილდი, არ გადაგჩეხოს! - დაუძახა ბომბორამ.



- არ დაუჯერო, - უთხრა მგელმა, - დახუჭე თვალები და დავმეგობრდეთ!

- კარგი! - მიუგო ერკემალმა.

დახუჭეს ორივემ თვალები.

მაგრამ ცალი თვალით გამოიხედა ერკემალმა, დაარტყა ყბადაღებულ, ვერაგ მგელს თავისი კოხტად დაგრეხილი რქები და ხევში ჩააკოტრიალა. ქვემოთ კი ბომბორა დაუხვდა მგელს და სამაგალითოდ მიბეგვა.

თავისი ბუნაგისკენ წალასლასდა ვერაგი მგელი და იმ დღიდან გემრიელ მეგობრობაზე აღარაფერი უფიქრია.

გამარჯვებულმა მეგობრებმა კი ფარისკენ გასწიეს, თან ასე მიიმღეროდნენ:

- ყოჩაღი ერკემალი ვარ,
მე რას დამაკლებს მგელიო?!
- შენი ბომბორა მოგიკვდეს,
თუ არ ვადინო მტვერიო!
- ერთად ვართ, ერთად ვიქნებით,
რომ ავატიროთ მტერიო.

დამთავრდა ზღაპარი...

ჰოდა, აბა, ახლა მიპასუხე : მამალ ცხვარს, დახუჭუჭებული ბეწვით და ორი კოხტად დაგრეხილი, წვეტიანი რქით, რა ჰქვია სახელად?



## ახალი ლექსი



# ბიჭი - ალექსანდრეა!

ბესიკ ხარანაული

პარკში, ნაძალადევში,
სახლის ახლო, განა შორს, -
ხეზე ჩიტის ბუდეა,
ხის ქვეშ ბიჭი თამაშობს.

ციდან მზე იყურება,
დილა არის, ადრეა.
ჩიტს რა ჰქვია, არ ვიცი,
ბიჭი - ალექსანდრეა!



მზია შარაშიძის ნახატები

# კალატოზი – ფუტკარი

ნ. პავლიშიკოვი



პ.ღამბაშიძის თარგმანი



**მას ანრი ფაბრს ეძახდნენ. სამხრეთ საფრანგეთში დაიბადა, იცხოვრა და გარდაიცვალა. ახალგაზრდა ფაბრს მხოლოდ მეზობლები იცნობდნენ. მოხუცი ფაბრი მთელ მსოფლიოში იყო ცნობილი.**

**ფაბრმა 92 წელი იცოცხლა. თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე მწერების ცხოვრებას ეცნობოდა. როგორც კი თავისუფალ დღეს იშოვიდა, გაეშურებოდა მინდორ-ველში, მაყვლითა და თავცეცხლათი დაფარულ ჯაგნარებისაკენ. ბუნება გამოცანებს აძლევდა მას გამოსაცნობად, ისიც ცდილობდა გამოეცნო. ზოგჯერ ათი, ოცი, ორმოცი წელიც ეძებდა ფაბრი გამოცანის პასუხს. სიბერემ ვერ მოტეხა, იგი განაგრძობდა დაკვირვებასა და ცდებს მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში. პატარა, სრულებით დანაოჭებული მოხუცი იყო, როდესაც მწერების საჭერი ბადითა და ლუპით ხელში დაეხეტებოდა ხევებში, ქვიშიანი გორაკების ფერდობებზე, სადაც უხვად იყო მზე, ქვიშა და მწერები.**

**მთელი თავისი სიცოცხლე ანრი ფაბრმა კრაზანებისა და ფუტკრების, პეპლებისა და ხოჭოების ცხოვრების შესწავლას შესწირა. საამო არ იყო სოფლის მასწავლებლის ცხოვრება. თითქმის მთელი სიცოცხლე ლუკმაპურისათვის ბრძოლაში გაატარა. მთელი ერთი ზამთარი იშიმშილა, რომ ერთი წიგნი ეყიდა, წიგნი მწერების ცხოვრების შესახებ. მრავალი წელი შიმშილში გაატარა, რომ ცოტა ფული შეეგროვებინა და ერთი პატარა ნაგლეჯი მიწა ეყიდა. უკვე მოხუცი იყო, როდესაც ეს მიწა შეიძინა. საუცხოო რამ იყო მისი მამული: ხელისგულისოდენა მივარდნილი ხრიოკი. იქ ჭინჭარი და ძირხვენა, ნაცარქათამა და თავცეცხლა იზრდებოდა. ქვის ხროვებზე მაყვლის ეკლიანი ტოტები იყო მოდებული.**

**ეკალი, ქვის ლოდები, ქვიშა, კირქვა, ორმოები, ბალახბულახი, - ეს იყო ფაბრის ავლადიდება, რომელზედაც ის მთელი სიცოცხლე ოცნებობდა.**

**აქ იყო უამრავი კრაზანა, ბუზი, გარეული ფუტკარი, კუტკალიები, ჭრიჭინები, ხოჭოები, ერთი სიტყვით, ცოცხალი მწერების მშვენიერი კოლექცია, ფაბრს კი მხოლოდ ეს ესაჭიროებოდა.**

**თავის მიწას ფაბრმა "ჩემი ლაბორატორია" უწოდა. ამ ლაბორატორიაში ის აკვირდებოდა კრაზანების ცხოვრებას, ისმენდა კუტკალიებისა და ჭრიჭინების სიმღერას. მას უყვარდა მწერები, გატაცებით უყვარდა თავისი მეცნიერება - ენტომოლოგია, მეცნიერება მწერების შესახებ. სულ მცირე აღმოჩენა ყოველგვარ სიმდიდრეს, დიდებას ერჩია. მან ბევრი რამ აღმოაჩინა ახალი. მწერების ცხოვრება შეისწავლა ისე, როგორც არავის შეესწავლა მანამდის. ფაბრის სიკვდილის შემდეგ ოც წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მეცნიერებმა ბევრი რამ ახალი აღმოაჩინეს, მაგრამ ფაბრის წიგნები ყოველი მათგანის მაგიდას ამშვენებს.**

**თავის ნაშრომს ფაბრმა "ენტომოლოგიური მოგონებანი" უწოდა. ეს ხუთი მსხვილტანიანი წიგნია. ამ "მოგონებებში" ფაბრი მოგვითხრობს თავისი დაკვირვების, ცდებისა და აღმოჩენათა შესახებ. ეს შესანიშნავი წიგნები არ არის დაწერილი ბავშვებისათვის. ჩვენ იქიდან რამდენიმე თავი ავიღეთ და ვაწვდით ბავშვებს. შესაძლებელია, ვინმე მკითხველთაგანი გაიტაცოს ფაბრის მშვენიერმა ცდებმა, შეუდგეს ბუნების საიდუმლოებისა და ახალი გამოცანების გამოცნობას. საერთოდ ასეც ხდება: რაც უფრო მეტი ვიცით, იმდენად მეტის ცოდნა მოგვწყურდება.**

- დიდი ხანია, რაც ამ ფუტკარს პირველად შევხვდი. იმ დროს სულ ახალგაზრდა ვიყავი, მხოლოდ თვრამეტი წლისა. ის იყო ვიწყებდი მასწავლებლობას. პირველდაწყებით სკოლაში ვაძლევდი გაკვეთილებს, და ყველაზე საინტერესო სამეცადინო იყო გაშლილ მინდორში გეომეტრიის გაკვეთილები.

- გეომეტრია მინდორში? და მერე მერხები? დაფა, ცარცი სადღა იყო? აბა როგორ, პაპა? - გააწყვეტინა ფაბრს შვილიშვილმა ლუსიმ, - როგორღა ასწავლიდი გეომეტრიას?

- ჩვენ არ გვესაჭიროებოდა არც მერხები, არც ცარცი, არც დაფა! არც ერთი არ გვჭირდება. როგორც კი დადგებოდა მაისი, გავდიოდით სამეცადინოდ მინდორში. თან წავიღებდით მიწის საზომ ჯაჭვს, სარცებსა და სხვა ხელსაწყოებს. მინდორში ვზომავდით სხვადასხვა სამკუთხედებს, ათასგვარ მრავალკუთხედს. ეს მეტად საინტერესო იყო, გეომეტრიასაც ბევრად უკეთ ითვისებდნენ. გასაგებიც არის: ეს პრაქტიკა იყო.

პირველ დღესვე, როდესაც მოწაფეები გავიყვანე მინდორში, შევამჩნიე, რომ ისინი არცთუ ისე ბეჯითად სწავლობდნენ. საკმარისი იყო, რომელიმე მათგანი გამეგზავნა სადმე იქვე ახლოს, რომ მას მუშაობა დაეწყებოდა, დაიწყებდა ხეტიალს მინდორზე და რაღაცის ძებნას. აქა-იქ დაიღუნებოდა, აიღებდა ხელში რამეს, სრესდა, სამუშაო კი მას ელოდებოდა.

- რას აკეთებთ? - დავეკითხე ერთ მოწაფეთაგანს.

- აი, რას! - მაჩვენა ერთი მუჭა მიწა. მეორე ხელში კაჭაჭი ეჭირა.

- უნდა გამოგიტყდე, მოწაფეებს არც ისე ეშინოდათ ჩემი. მე მათთვის უფროსი ამხანაგი უფრო ვიყავი, ვიდრე სასტიკი დამრიგებელი.

მუჭა მიწა აღმოჩნდა რაღაც ფუტკრის უჯრედი. კაჭაჭით უჯრედიდან ამოვწუწნე თაფლის წვეთი.

რა გემრიელი ყოფილა!

მეც მივყევი მოწაფეებთან ერთად მინდორში ხეტიალსა და ძებნას.

ახლა კი მივხვდი, რად შეუყვარებოდათ მოწაფეებს გეომეტრია მინდორში: მინდორში გეომეტრია "ტკბილი" მეცნიერება აღმოჩნდა.

ამ უჯრედს აკეთებდა ფუტკარი-კალატოზი. ის შავ ხავერდში იყო გახვეული. ბრწყინვალე მუქი იისფერი ფრთები ელვარებდნენ მზეზე. როდესაც თაფლს ვართმევდით, ის გვკბენდა. ამისათვის კიდევ უფრო შევიყვარეთ ეს ფუტკარი. მის შესახებ მაშინ არა ვიცოდი რა იმის გარდა, რაც ჩემმა მოწაფეებმა მასწავლეს: რომ ამ ფუტკრის თაფლის ამოწუწნა კაჭაჭით შეიძლებოდა. მეტის ცოდნა მომინდა. სად მესწავლა? ისეთ მიყრუებულ ადგილას ვცხოვრობდი, რომ ვერვის ვკითხავდი ამის შესახებ. ვის ეცოდინებოდა მინდორში მცხოვრები ფუტკრების შესახებ? წიგნებს! მივაშურე მაღაზიას, იქ სწორედ აღმოჩნდა საჭირო წიგნი, საუცხოო, სახელად "სახსროვანი ცხოველების ისტორია".

* * *

ასე დაიწყო ჩემი ნაცნობობა კალატოზ-ფუტკართან. ამ ფუტკრის მეოხებით გავიცანი მშვენიერი წიგნები მწერების შესახებ. აი, რატომ მიყვარს მისი გახსენება, გახსენება იმ დღეებისა, როდესაც კაჭაჭით ვწუწნიდი გემრიელ თაფლს.

შეულესავი კედელი მზის მხარეზე, - აი სად აშენებს თავის ბუდეს ფუტკარი-კალატოზი; არც უბრალო სწორ ქვას იწუნებს, პირიქით, სიამოვნებით იკეთებს მუშტისოდენა ქვაზე ბუდეს, - მისი ბუდე ხომ დიდი არ არის. საშენი მასალაც ყოველთვის მოეპოვება. თიხიან-კირიანი მიწა, ცოტა ქვიშა. ოღონდ მიწა მშრალი უნდა იყოს. ნესტიან მიწას ჩვენი კალატოზი არ ხმარობს, ზედაც არ დახედავს. მას მშრალი ფხვნილი ესაჭიროება.

მშრალ მიწას ფუტკარი ასველებს თავისი ნერწყვით. მშრალი მიწა მალე იშრობს ნერწყვს. გამოდის მაგარი რაღაც, ცემენტის მაგვარი რამ.

ამ ცემენტით აშენებს კალატოზი უჯრედებს.

ფუტკარი წვრილ კენჭებს იყენებს. ამით ცემენტს ზოგავს. გარედან კენჭები აჩნია უჯრედს, მაგრამ შიგნიდან კენჭების წვეტიანი თავები მიწით არის გალესილი. იქ ხომ ფუტკრის ნაზი მატლი, თხელკანიანი მატლი იცხოვრებს, ასე რომ, უჯრედის შიგნითა კედლები გატკეცილი უნდა იქნეს.

ააშენებს თუ არა უჯრედს, ფუტკარი გაავსებს მას საჭმლის მარაგით მომავალი მატლისათვის. ეს მარაგი შედგება თაფლისა და ყვავილების მტვრიანასაგან. თაფლს პაწია ჩინჩახით ეზიდება, მტვრიანას კიდევ - მუცლით.

როდესაც მოფრინდება უჯრედთან, ჩაყოფს შიგ თავს და ჩაარწყევს წვეთ თაფლს. შემდეგ მობრუნდება უჯრედისკენ, ჩაიწმენდს მტვრიანას მუცლიდან და ჩაყრის შიგ. ამის შემდეგ ისევ ყოფს თავს უჯრედში და დაიწყებს თაფლისა და მტვრიანას ზელას. გამოდის თაფლიანი ცომი.

გაგრძელება მე-12 გვერდზე



ანრი ფაბრი



მე–11 გვერდიდან

როდესაც უჯრედი გაივსება საჭმლით, ფუტკარი ჩადებს შიგ ერთ კვერცხს და გადაულესავს უჯრედს თავს იმავე მიწის ცემენტით.

როგორც კი ერთ უჯრედს დაასრულებს, ჩვენი კალატოზი გვერდზე მიუშენებს მეორე უჯრედს. მთელი ბუდე შედგება თხუთმეტიოდე უჯრედისაგან. როდესაც ყველას ააშენებს, ფუტკარი ახურავს მათ ცემენტის ერთ საერთო სახურავს. ასეთი ბუდე ნახევარი ფორთოხლის ოდენაა და უბრალო გამხმარი ტალახის გუნდას წააგავს.

მიწისაგან თხუთმეტი უჯრედის გაკეთება, მათი თაფლითა და ქარტლით გავსება, საერთო სახურავით დახურვა დიდი რამე არ უნდა იყოს. მაგრამ, იცი, რამდენი უნდა იფრინოს ფუტკარმა ამ მუშაობის დამთავრებამდის?

ერთ დღეს აღვიჭურვე მოთმინებით და გავზომე მანძილი ბუდიდან იმ ადგილამდის, სადაც ფუტკარი იღებდა მიწას ასაშენებლად. დიდხანს ვიჯექი ბუდესთან და ვაკვირდებოდი ფუტკარს, რამდენჯერაც მოფრინდებოდა მისი პაწია გუნდით, იმდენ ხაზს ჩამოვუსვამდი უბის წიგნში.

ამ ხაზებით გამოვითვალე შემდეგ და რა გამომივიდა? თვალებს არ ვუჯერებდი. ბევრჯერ შევამოწმე ნაანგარიშევი. ყველაფერი სწორი იყო. ერთი უჯრედის ასაშენებლად ფუტკარს დასჭირვებია თითქმის თხუთმეტი კილომეტრის გაფრენა!

სულ ხომ თხუთმეტი უჯრედია ბუდეში. ახლა საერთო სახურავისათვის მასალის მიზიდვაა საჭირო. ეს სახურავი სქელია. მას იმდენი მასალა დასჭირდება, რამდენიც ყველა უჯრედს. თაფლის მოსატანად მოგზაურობა?

მე ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ სანამ თავის ბუდეს ააშენებდეს, ფუტკარ-კალატოზმა უნდა გაიფრინოს არა ნაკლებ ოთხასი კილომეტრისა. აქედან ორასი კილომეტრის გაფრენის დროს მძიმედ არის დატვირთული.

რა მოუვა ფუტკარს ასეთი მძიმე მუშაობის შემდეგ? ისეთი განაწამები და ილაჯგაწყვეტილია, რომ სიკვდილის მეტი აღარა დარჩენია რა და კიდევაც კვდება.

უჯრედში იჩეკება მატლი, ის იკვებება თაფლის მარაგით, დღითიდღე იზრდება და მალე იქცევა ჭუპრად. ჭუპრიდან იჩეკება ფუტკარი. ამაში ბევრი არაფერია საყურადღებო, ასე რომ, აქ არ შევჩერდები. როგორც კი იბადება ახალგაზრდა ფუტკარი, აი აქ იწყება ბევრი რამ საინტერესო.

სად გამოიჩეკა ფუტკარი? უჯრედში. უჯრედი კი ცემენტის სახურავით იყო დახურული. ასეთი სახურავის ზევით კი საერთო სქელი სახურავია მთელ ბუდეზე. მიწის ცემენტი დიდი ხანია გახმა, გამაგრდა. როგორღა უნდა გამოვიდეს იქიდან ფუტკარი?

ფუტკარი ღრღნის უჯრედის სახურავს. ღრღნის აგრეთვე ბუდის საერთო სახურავს. სულ უბრალო რამ არის?

ჰო, მაგრამ... ყური დამიგდე, რა ცდებს ახდენდნენ ფუტკარზე.

რეომიურის - ეს იყო მწერების ცხოვრების სახელგანთქმული გამომკვლევი - ერთ-ერთმა მეგობარმა მოახდინა ასეთი ცდა: კალატოზის ბუდეს გადააფარა შუშის ძაბრი, ამ ძაბრის ყელი ძლიერ ფართო იყო, ყელს მან თხელი ჩითი გადააკრა.

უჯრედებიდან გამოიჩეკა სამი ფუტკარი. გამოღრღნეს ბუდის სახურავი და აღმოჩნდნენ ძაბრის ქვეშ. თავისუფლებისაკენ გზას ულობავდათ თხელი ჩითი. ფუტკრებს გაეხრათ სქელი ცემენტი, ასე რომ, სიფრიფანა ქსოვილის გახრა რად უნდა გაძნელებოდათ? მაგრამ ფუტკრებმა არც კი სცადეს ეს ექნათ. რამდენიმე დღე ფართხალობდნენ ძაბრის ქვეშ, თავისუფლება სურდათ. დაიხოცნენ.

მე არ მომწონს ეს ცდა. კალატოზი შეჩვეულია მაგარის ხვრას: მშრალი მიწის, ცემენტისა, აქ კი თხელი ნაზი ქსოვილი იყო. მე სხვაგვარად მოვიქეცი.

ავიღე კალატოზის ბუდე და სიფრთხილით მოვხსენი საერთო სახურავი. მოვხსენი უჯრედებს სახურავები. უჯრედებში ელაგნენ კალატოზის ჭუპრები.

ავიღე ლერწმის ნაჭერი, დავჭერი ისე, რომ ყოველ ნაჭერს დარჩენოდა თითო ტიხრი შიგნით. თქვენ გეცოდინებათ, რომ ლერწმის ღერო შიგნით ტიხრებად იყოფა, მუხლებად.

გამოვიდა უჯრედის მაგვარი რამ, მხოლოდ უსახურავოდ. ლერწმის თითოეულ ნაჭერში ჩავდე თითო ჭუპრი და დავაცვი საცობები. ზოგი საცობი მიწის იყო, ზოგი მცენარის რბილი გულის, ზოგი უბრალო სქელი ქაღალდისა.

ყველა ჩემი გაკეთებული უჯრედი ჩავაწყე კოლოფში, სახურავებით ზევით - ნამდვილი უჯრედებიც ხომ ასე ალაგია ფუტკრის ბუდეში. კოლოფს გადავახურე შუშის ხუფი და გაზაფხულამდის შევინახე. ეს იყო თებერვალში, კალატოზი-ფუტკრები კი მაისში იჩეკებიან.

მოვიდა მაისიც. ფუტკრები გამოიჩეკნენ, გამოხრეს ჩემი მიწის საცობები, გაუკეთეს მრგვალი წესიერი ხვრელები, გახრეს მცენარის გულისაგან გაკეთებული საცობებიც, აქაც სავსებით წესიერი ხვრელები გააკეთეს, გახრეს ქაღალდის საცობებიც.

ბუნების წიაღში კალატოზ-ფუტკარი არ შეხვედრია მცენარის გულის ან ქაღალდის საცობს. ფუტკრები მაინც მოერიენ ამ უცნობ მასალას. ამის შემდეგ საჩქაროდ გავექანე მინდორში. იქ ვიპოვე კალატოზის რამდენიმე ბუდე, რომლებიდანაც ჯერ არ იყვნენ გამოფრენილი ფუტკრები. მიმახვედრა იმან, რომ ბუდის სახურავზე ღრუები არ იყო. ავიღე ორი ბუდე. ერთს ქაღალდი გადავაწებე თავზე. ამ ბუდეში ფუტკრებს ჯერ ცემენტის სახურავი უნდა გაეხრათ, მერე ქაღალდისა.

მეორე ბუდეს ქაღალდის ხუფი დავახურე. აქ ნორჩ ფუტკრებს უნდა გაეხრათ ცემენტის სახურავი, მაშინ ისინი მოხვდებოდნენ ქაღალდის ხუფის ქვეშ. ამის შემდეგ მათ მოუხდებოდათ ხუფის გახვრა.

როგორ მოველოდი იმ დღეს, როდესაც ფუტკრები უნდა გამოჩეკილიყვნენ!რით გათავდებოდა ცდა?

აი... პირველ ბუდეში ფუტკრებმა გახრეს ბუდეზე დაწებებული ქაღალდიც და გაფრინდნენ. ქაღალდის ხუფის ქვეშ კი სულ სხვაგვარი ამბავი დატრიალდა. ფუტკრებმა გახრეს სახურავი, მაგრამ ქაღალდის ხუფი კი ვერა. შიმშილით დაიხოცნენ ამ ხუფის ქვეშ. ხომ ისე ადვილი იყო გარეთ გამოსვლა - თხელი ქაღალდის ხუფის გახვრა.

- რად არა ჰქნეს ეს, პაპა? ისინი ხომ ხრავენ ქაღალდს?

- ხრავენ, რატომაც არ უნდა ხრავდნენ? ქაღალდი ხომ ბევრად უფრო თხელი და რბილია, ვიდრე ცემენტის სახურავი, და მაინც...

ფაბრი ცოტა ხანს გაჩუმებული იყო.

- იცი, რად დაიღუპნენ ფუტკრები ხუფის ქვეშ? ისინი დაღუპა ჰაერმა, თავისუფლებამ. ფუტკარმა გამოხრა სახურავი და ხუფის ქვეშ მოხვდა. თავისუფლება იგრძნო. გაცოცდა და წააწყდა ქაღალდს, მაგრამ იმის გახვრა ველარ მოახერხა.

- ვითომ რატომაო?

- თავის სიცოცხლეში ფუტკარი მხოლოდ ერთხელ ხრავს ხვრელს სახურავში, მხოლოდ ერთხელ. მან უკვე გამოხრა ღრუ ბუდის მიწის სახურავში. შემდეგ მუშაობა შეწყდა. ხუფის ხვრელი უკვე ახალი, მეორე იქნებოდა. როდესაც მე დავაწებე ქაღალდი ბუდის სახურავს, ფუტკარმა გახრა. მე რომ რამდენიმე ფენა ქაღალდი დამეწებებინა, ის მაინც გახრავდა. ას, ათას ფენასაც გახრავდა. მოკვდებოდა მოქანცულობით, მაგრამ მუშაობას არ შეწყვეტდა, რადგანაც ხვრელი ერთი იქნებოდა, მუშაობა არ შეწყდებოდა. აქ კი გამოხრა და თავისუფლება იგრძნო. ხვრა მეტი აღარ აქვს წესად, მუშაობა გათავებულია. ახლა კი დაბრკოლება დახვდა, საჭიროა კიდევ გახვრა. ფუტკარი რომ მსჯელობდეს, ის გახრავდა, მაგრამ ის არ მსჯელობს და იძულებულია, მოკვდეს.

ბევრი ცდა მომიხდენია ფუტკრებზე. აი, მაგალითი:

ფუტკარი მიფრინავს მიწისთვის ან თაფლისთვის. ხშირად ნახევარი კილომეტრის მანძილზე გაფრინდება, უფრო შორსაც. თავის ბუდეს კარგად პოულობს, არასოდეს არ დაებნევა გზა, სწორედ ბუდესთან მიფრინდება.

როგორ ცნობს თავის ბუდეს?

ავიღე და ადგილი გამოვუცვალე ფუტკრის ბუდეს. ეს ძნელი არ იყო, ბუდე ხომ პატარა ქვაზეა გაკეთებული, ავიღე ქვა და გადავდე მეორე ადგილზე. ქვა იქვე, სულ ახლოს დავდე, ოდნავ გვერდზე.

ვხედავ, კალატოზი მოფრინდა, დაეკიდა ჰაერში სწორედ იმ ადგილის თავზე, სადაც ერთი წუთის წინ იდო ბუდიანი ქვა. ბუდე აღარ იყო. ფუტკარი ნელა დაფრინავდა იმ ადგილის თავზე. მერე დაჯდა სწორედ იქ, სადაც ქვა იდო. დიდხანს იცოცა. ეძება, ბუდე გამქრალიყო.

გაფრინდა. მალე ისევ დაბრუნდა. ხელახლა ეძება ბუდე, რამდენჯერმე მოფრინდა და გაფრინდა უკან. ბევრჯერ გადაევლო იმ ადგილს, სადაც მისი ბუდიანი ქვა დავდე. მას უნდა დაენახა ქვა, მაგრამ ბუდე ახალ ადგილზე იდო, ფუტკარი კი მას დაჟინებით ძველ ადგილზე ეძებდა.

ვერ მიაგნო ბუდეს, გაფრინდა და აღარ დაბრუნებულა.

საინტერესოა, არა? თუ დაიწყო ფუტკარმა შენება, აშენებს. დაიწყო თაფლის ზიდვა - ზიდავს. რაც უნდა უყო, არ შეიცვლის მუშაობას. მას ახსოვს ადგილი, სადაც მოთავსებულია მისი ბუდე, თვით ბუდეს კი ვერ სცნობს. ერთი მხრივ, თითქოს ჭკვიანია, მასთან ერთად, სულელიც.

- როგორიღაა, პაპა, ის?

- არც ასეთი, არც ისეთი. არავითარი ჭკუა არა აქვს. არ შეიძლება იყოს არც ჭკვიანი, არც სულელი. თავისი დაბადების პირველი დღიდან იცის ამის თუ იმის კეთება. მეტი არც იცის რამე, არც შეიძლება, რამე ისწავლოს, რომ გამოუცვალო პირობები, რომელშიაც ის მიჩვეულია მუშაობას, ყურადღებასაც არ მიაქცევს, კვლავინდებურად იმუშავებს და იცხოვრებს, თუნდა, ნურც ექნება ამას არავითარი აზრი. ეს ჭკუა როდია. ეს არის ის, რასაც ჩვენ ინსტინქტს ვუწოდებთ.



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები

# შემთხვევა შუადღისას

## (დეტექტივი)



ენიდ ბლუტონი

ჯეკი დაბადების დღეზე ფოტოაპარატის მფლობელი გახდა, რითაც ძალიან კმაყოფილი იყო. თუმცა, აპარატი არ იყო ახალი, ახალი კი არა, ძალზე ძველი იყო. მას მამიკო წააწყდა საკომისიო მაღაზიაში და იაფად იყიდა.

"ახალი ფოტოაპარატი ძალზე ძვირია, და საერთოდ, ვფიქრობ, რომ სჯობია ძველზე დახელოვნდე. აი, აქ არის პატარა წიგნი, რომელიც მოგითხრობს, როგორ უნდა მოიქცე სურათის გადაღებისას." - საჩუქარს დარიგებაც მოაყოლა მამიკომ.

ჯეკი კი აღტაცებული იყო! აჰაა - ახლა ის გადაიღებს საკუთარ სურათებს და რამდენ შესანიშნავ რამეს დააფიქსირებს ფირზე.

"რის გადაღებას აპირებ?" - ჰკითხა ელენმა. - "მე გადამიღებ? ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ჩემს პორტრეტს შექმნი."

"ოჰ, არა, ჩემო დაიკო, მე არ ვაპირებ დავიხარჯო ისეთ უბრალო რამეზე, როგორიც ადამიანის პორტრეტია. ამის გაკეთება ხომ ყველას ძალუძს!"

"მაშ რის გადაღებას აპირებ, ჩიტების? ცხოველების?" - არ ეშვებოდა ელენი.

"არა, ისინი არ გამიჩერდებიან ერთ ადგილზე. მე ვაპირებ მანქანების, მატარებლების და აეროპლანების გადაღებას. ვფიქრობ, დასაწყისისათვის შევადგინო მანქანების ალბომი. უნდა გადავიღო ყველა მარკის მანქანა, წარმოიდგინე, რა სასიამოვნო იქნება მათთვის თვალყურის დევნება."

"ეს ყველაფერი ძალზე კარგია, მაგრამ ერთი მითხარი, ჩვენი მანქანისათვის თუ აპირებ სურათის გადაღებას? თუ გადაწყვეტ, მაშინ მე საჭესთან მოვკალათდები, ვითომ, სადაცაა უნდა დავძრა."

ასე გადაიღო ჯეკმა თავისი პირველი სურათი - მამიკოს მანქანა, რომლის საჭესთანაც მოკალათებულიყო ელენი.

ჯეკი ამაყობდა ფოტოაპარატით და მხოლოდ ძილის დროს იხსნიდა კისრიდან. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ბიჭუნა არ აპირებდა იმის გადაღებას, რასაც ადამიანები ჩვეულებისამებრ იღებენ ხოლმე. არა, მისი ჰობი მანქანებით, მატარებლებითა და აეროპლანებით იფარგლებოდა.

შემდეგ კვირაში ჯეკს - როგორც ფოტოკორესპონდენტს - არც ერთი წუთი არ დაუკარგავს, მან გადაუღო მშვენიერ როლს როისს, აგრეთვე პატარა, საყვარელ მანქანას, რომლის უკანა საჯდომზე იჯდა კბილებდაკრეჭილი ძაღლი. იგი, როგორც ჩანდა, მანქანის სამეთვალყურეოდ დაეტოვებინათ. აპარატით მოახლოებულ ბიჭუნას ისე ბოროტად დაუღრინა, რომ მოულოდნელობისაგან ჯეკი შეხტა, მაგრამ მალე მოვიდა გონს და ხუმრობაც კი გაუბედა ასე მყეფარს: "არ გინდა სურათი გადაგიღო? რატომ? ერთი წუთით, კარგია! - მე გადავიღე! და თუ შენ პირდაღებული და ენაგადმოგდებული გამოხვედი, მე არ დამაბრალო."

როცა ჯეკმა დაამთავრა მთელი ფირი, მამამ გამჟღავნება ასწავლა. მალე მას ჰქონდა ექვსი შესანიშნავი მანქანის ფოტო, რითაც უზომოდ გახარებული და ამაყი იყო.

"მართლაც, კარგად გამკლავებიხარ პირველ ფირს!" - უთხრა გაოცებულმა მამამ.

"დიახ, ყურადღებით გავეცანი ხმარების წესს და შემდეგ ისე მოვიქეცი, როგორც იქ არის მითითებული."

"ბარაქალა შენს ბიჭობას, ადამიანების უმრავლესობა, როგორც წესი, დაეხარბება ახალ

გაგრძელება მე–13 გვერდზე

მე-12 გვერდიდან

ნივთს ისე, რომ არც შეეცდება შეისწავლოს და მერე კი უკვირთ, რატომ იღებენ სავალალო შედეგს. ნამდვილად დაიმსახურე შენი აპარატი, ჯეკ!"

ჯეკმა თავისი საქმიანობა განაგრძო. სურათს უღებდა ყველა იმ მანქანას, რომელიც მის ქუჩაზე ჩაივლიდა. შემდეგ კი სიამოვნებით აკრავდა დაბეჭდილ სურათებს ალბომში.

"მე ვიღებ ყველა მარკის მანქანას - ამერიკულს, ფრანგულს... ერთი იტალიური ვერ გამოვიჭირე, მას განსაკუთრებული ადგილი ელოდება ჩემს ალბომში. მართლაც, ხომ თვალისმომჭრელია დიდი იტალიური მანქანა, არა?"

ჯეკის მამიკომ არ იცოდა ამდენი რამე მანქანების შესახებ, ამიტომაც ჩაეცინა: "არ ვიცოდი, თუ ასე სერიოზულად იყავი გატაცებული მანქანებით, თორემ უკეთ მოვემზადებოდი შენთან სასაუბროდ. ახლა არც კი ვიცი, რა გიპასუხო."

ბიჭუნას გატაცება მართლაც ძლიერი იყო. როგორც კი ახალ მოდელს შენიშნავდა, მაშინვე მზად იყო, ამოეღო ბუდიდან აპარატი და გაეჩხაკუნებინა. საინტერესო იყო მათი გადაღება, უფრო მიმზიდველი - გამჟღავნება და ბოლოს მიღებული სურათით დატკბობა.

ერთხელ, შუადღისას, იგი გზის პირას იჯდა და ჩამვლელ მანქანას ელოდა. ძალიან ცხელოდა. ბუნება ისე დათენთილიყო, რომ ნიავიც კი არ იძროდა. ჯეკმა მზეს თავი შეაფარა და ღობის ძირას საჩრდილობელში მოკალათდა. მალე თვალები მილულა და ჩაეძინა.

ბიჭუნა მანქანის ძრავის ხმაურმა გააღვიძა. დამძიმებული ქუთუთოები ასწია, კარგად დაამთქნარა და თავი გამოყო მწვანე საფარიდან... ჯეკი გველნაკბენივით წამოხტა...

იტალიური მანქანა, მშვენიერი, გრძელი ტენტით, ყვითელი ფერით, გარშემო ვერცხლის სალტეებით მორთული. იფ, რა მანქანაა! აი, სწორედ ის მოდელი, რომელსაც ალბომში ადგილი ელოდა.

მან სწრაფად გახსნა ბუდე და მოიმარჯვა აპარატი. მაგრამ უეცრად მანქანის კარი გაიღო, კაცი გადმოვიდა, მივიდა მოპირდაპირე კედელთან და რაღაც შეხვეული მოისროლა მეორე მხარეს. ამის შემდეგ უცნობი დაბრუნდა მანქანასთან. "ისინი ერთ წამში დაიძვრებიან! მე უნდა მოვასწრო გადაღება, თორემ ვეღარასოდეს ვნახავ ასეთ იტალიურ მანქანას!"

ბიჭი გაშმაგებით ჩაეჭიდა აპარატს, თვალი მოჭუტა და გაიხედა იმ პატარა სარკეში, რომელიც უჩვენებდა ობიექტის მდებარეობას. მანქანა ზუსტად შუაში აღმოჩნდა. კაცმა ძრავა აახმაურა და სწორედ ამ დროს გაისმა ჯეკის აპარატის "ჩხკ!"

მანქანა დაიძრა. არავის მოუკრავს თვალი ჯეკისთვის, არც მისი აპარატის ჩხაკუნი გაუგონია ვინმეს.

ჯეკმა შინ წასვლა დააპირა. ერთი სული ჰქონდა, როდის გაამჟღავნებდა ფირს და ნახავდა იტალიური მანქანის სურათს. ამ დროს გზაზე გამოჩნდა შავი მანქანა, რომელსაც თავზე ჰქონდა წარწერა: "პოლიცია."

"პოლიციის მანქანა," - ჩაილაპარაკა ჯეკმა. ნეტავი გაჩერდებოდეს. სწორედ ერთი კადრია დარჩენილი ფირზე. მართალია, სხვებიც მაქვს ამ მოდელის სურათები, მაგრამ ასეთი წარწერით - არა."

თითქოს მანქანამ ყურად იღო ჯეკის სურვილი და მის გვერდით გაჩერდა. ბიჭუნამ სწრაფად მოიმარჯვა აპარატი, მაგრამ სანამ ღილაკს თითს დააჭერდა, ფანჯრიდან პოლიციელმა გამოყო თავი და დაუძახა:

"ეი, შვილო! რაიმე მანქანა ხომ არ დაგინახავს?"

"მხოლოდ ერთი, ისიც ნახევარი საათის წინ, ღობესთან მეძინა."

პოლიციელს სასოწარკვეთით აღმოხდა: "ეჰ, შენ ალბათ ვერაფრით დაგვეხმარები. მანქანა მაინც დაინახე?"

"როგორ არა, იტალიური იყო, ის ჩემთან სულ ახლოს შეჩერდა. აკი ძრავის ხმაურმა გამომაღვიძა."

"ოჰ, ხო, ხო, კარგია, მაშინ მითხარი, ვინ იყო მანქანაში, რამდენი, და როგორ გამოიყურებოდნენ."

"არა, მე არ შემიძლია ამის თქმა. არ ვიცი. მე მხოლოდ ის დავინახე, რომ ვიღაც კაცი გადმოვიდა მანქანიდან და რაღაც გადააგდო კედლის მიღმა. შემდეგ დაბრუნდა და წავიდა."

"როგორ გამოიყურებოდა ის კაცი?"

"არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი, სერ" - მხრები აიჩეჩა ჯეკმა.

"ერთი ამას დამიხედეთ!" - აღმოხდა პოლიციელს და მიუბრუნდა მანქანაში მჯდომს. "აქ ბიჭია, რომელსაც შანსი ჰქონდა დაენახა ყველა და ყველაფერი, მან კი მხოლოდ ის იცის, თუ როგორი იყო მანქანა!"

ჯეკს არ ესიამოვნა კაცის ამრეზილი ტონი: "სერ, თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ მე ჭკუანაკლული ვარ? უნდა იცოდეთ, მე ვაგროვებ ფოტოებს ჩემი მანქანების ფოტოალბომისათვის. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ არ დავინტერესებულვარ იქ მყოფი ადამიანებით."

ამ სიტყვების შემდეგ ყველაფერი ბუნებრივზე სწრაფად განვითარდა... სამ პოლიციელს ღმუილი აღმოხდათ! ერთ-ერთმა შეაგდო ჯეკი მანქანაში და აპარატი ხელიდან გამოგლიჯა...

"მას სწორედ ის გადაუღია, რაც აგრერიგად გვჭირდება. სასწრაფოდ გაამჟღავნეთ ფირი! ჯონ, ნახე ერთი, რა გადააგდეს კედლის მიღმა!"

"მაგრამ ეს ჩემი ფირია! ყოველთვის თვითონ ვამჟღავნებ ფირებს... ვერ გამიგია, ასე რამ აგაღელვათ!"

"კარგი, იმსახურებ საქმის კურსში ჩაყენების უფლებას, ბიჭიკო. შენ სწორედ ის ადამიანი ხარ, ვინც შენდაუნებურად დაგვასაჩუქრე სურათით, რომელზეც, ალბათ, დააფიქსირე ბანდის ორი წევრი. მათ გაიტაცეს საიდუმლო ქაღალდები. მართალია, პოლიციამ იცის, ვინ არიან ისინი, მაგრამ სამხილი არ გვქონია ხელთ. დარწმუნებული ვართ, რომ ისინი მართავდნენ დიდ იტალიურ მანქანას."

ახლა ჯეკის ჯერი დადგა, რომ გაოცებისაგან პირი დაეღო! ე.ი. მისმა საყვარელმა აპარატმა სურათი გადაუღო არა მარტო ნანატრ ავტომანქანას, არამედ მასში მოკალათებულ ორ ქურდს - თანაც ყველაზე დიდი მასშტაბის ქურდებს. ბიჭს ის კაციც გაახსენდა, რომელიც მანქანასთან იდგა, როცა თითი დააჭირა ღილაკს. ისიც აუცილებლად იქნება სურათზე!

პოლიციის მანქანა მიადგა დიდ სამძებრო განყოფილებას. ფირი ამოიღეს ჯეკის აპარატიდან და სასწრაფოდ გაამჟღავნეს.

პოლიციელმა სინათლეზე გახედა ფირს: "შეხედეთ! აი, მანქანა და ნეტა, ვინ არის მის გვერდით? ეს ხომ ლენი რიჩარდსონია, არა? ასეც ვფიქრობდი! აი, კაცი საჭესთან, დააკვირდით - მე მითქვამს, ეს პეტ ლუსიენია!"

"კარგი ფოტოა?" - იკითხა ჯეკმა, რომელიც ცდილობდა, ცალი თვალით მაინც შეეხედა სურათისათვის.

"გადასარევი! უკეთესს ვერც ვინატრებდით! როგორ გაგვიმართლა დღეს - მანქანაც და ქურდებიც ერთ სურათზე - უდავო დამადასტურებელი საბუთი მათ დასაჭერად. შვილო, შენ ბევრად უფრო დიდი საქმე გააკეთე ამ სურათის გადაღებით, ვიდრე გეგონა და გსურდა."

რა საამაყოა ჯეკისათვის! მით უფრო, რომ მეორე დღეს ყველა გაზეთმა დაბეჭდა იტალიური მანქანის ფოტო.

ჯეკი სიხარულისაგან სულ ერთსა და იმავეს ჰყვებოდა. მსმენელები ვეღარ აჩერებდნენ აჭიკჭიკებულ ბავშვს.

"ჩემო საყვარელო, ძველო აპარატო, როგორ გადაიღე ასეთი მნიშვნელოვანი სურათი! რას ჩავაკრავ ჩემს ალბომში - საუკეთესოს და ამაღელვებელს!"

ყველა გაზეთმა, რომელმაც კი დაბეჭდა მისი ფოტო, ჯეკს ჰონორარი გამოუგზავნა და, მისდა გასაოცრად, იმდენი ფული დაუგროვდა, რამდენიც მთელი ცხოვრების მანძილზე არ ენახა.

"ათი პაუნდი! მე ვიცი, როგორ მოვიხმარ მათ!"

მეც ვიცი. თქვენ ვერ ხვდებით? ის წავა და იყიდის საუკეთესო აპარატს მატარებლების ალბომის შესადგენად. და თუ ოდესმე შეხვდებით ჯეკს, სთხოვეთ, გაჩვენოთ მანქანების ალბომი, ის ძალზე საინტერესოა. განსაკუთრებით, ბოლო ორი სურათი: დიდი, ბრჭყვიალა იტალიური მანქანა და შავიც - თავზე წარწერით:

"პოლიცია"












მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები

# War Craft 3

## Reign of Chaos








Warcraft III –ზე საუბარს იმით დავიწყებ, თუ რა განსხვავებაა WarCraft III –ის ახალ ვერსიასა და WarCraft II –ს შორის. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ WarCraft III –ში უკვე 4 ნაციაა, განსხვავებით WarCraft II –გან, სადაც სულ 2 ნაციაა. ესენია:

1. ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ჯარი, აგრეთვე მაღალი დონის ტექნიკა და მაგია.

2. ორკები, - გობლინები და გნომები, რომლებიც ძალზე აგრესიული ჯარით გამოირჩევიან, აქვთ შთამბეჭდავი მაგია, ტექნიკა და სხარტი იმპროვიზაციის უნარი.

3. მკვდრები (ახალი რასა), ანუ ბოროტი სულები და ეშმაკები, რომლებიც ადამიანთა სულებს იპარავენ და თავის სასარგებლოდ იყენებენ. მათ ჰყავთ ძალზე ძლიერი არმია. მაგია არც ისე ძლიერი აქვთ, მაგრამ ტექნიკაში არ ჩამორჩებიან სხვა რასებს.

4. ღამის ელფები (კიდევ ერთი ახალი რასა), რომელთაც გააჩნიათ უსაზღვრო მაგია. ისინი ბუნების შვილები არიან და, აქედან გამომდინარე, მათ ხის ტექნიკა და სახლები აქვთ. ელფების ძლიერ ჯარში ტროლებთან ერთად იბრძვიან ცხოველებიც.

ახალ ვერსიაში კიდევ ერთი განსხვავება გვაჩვენა ამ თამაშის შემქმნელმა კომპანია Blizzard –მა: აქ ყველა ნაციას თავისი გმირი ჰყავს. გმირს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჯარის მართვაში, იგი არმიის ლიდერია და მასთან ერთად არმია ორჯერ უფრო ეფექტურად და აგრესიულად იბრძვის. გმირს ყოველი ომის მოგების შემდეგ ემატება გამოცდილება - Level_ი (გამოცდილებაში იგულისხმება დარტყმის ძალა, ახალი მაგიური შელოცვები და შემდგომ მათი განვითარება-დახვეწა). გმირის დაღუპვის შემთხვევაში თქვენ უნდა მიმართოთ სპეციალურ სახლს – ღმერთების სახლს, საიდანაც შესაძლებელია გმირის დაბრუნება იმავე გამოცდილებით. გმირს გააჩნია განვითარების 10 ეტაპი. თითოეულ ნაციას, როგორც წესი, სამ-სამი გმირი ჰყავს და ეს სამი გმირი ერთმანეთისაგან მაგიური ცოდნით განსხვავდებიან (ზოგს სიცოცხლის მომატება შეუძლია, ზოგს მითითებული ტერიტორიის მიწასთან გასწორება და კიდევ მრავალი რამ...).

ახალ ვერსიაში არის კიდევ ერთი ნიუანსი: რაც უფრო მეტ ხალხს გამოუშვებ, (ჯარისკაცი იქნება ეს თუ ჯადოქარი, სულერთია), მით უფრო ნაკლები რესურსი მოაქვთ მუშებს. არის სამი ეტაპი:

1. “No Upkeet” – როდესაც ხალხის რაოდენობა 30-ს არ აღემატება და ამ შემთხვევაში მუშებს რესურსის 10 ერთეული მოაქვთ.

2. “Low Upkeet” – როდესაც ხალხის რაოდენობა 30-ზე მეტია, 60-ზე ნაკლები და მუშებს რესურსის 7 ერთეული მოაქვთ.

3. “High Upkeet” – როდესაც ხალხის რაოდენობა 60-დან 90-მდე იზრდება და მუშებს მხოლოდ 4 ერთეული რესურსი მოაქვთ.

WarCraft-ის ახალ ვერსიაში გაჩნდა კიდევ ერთი ფაქტორი, ეს არის დღე-ღამე, რაც თამაშს რეალობის ეფექტს ანიჭებს. ამას გარდა შესაძლებელია ზუსტი დროის გაგებაც. ღამით ბრძოლა, ძირითადად, ელფების პრიორიტეტია, რადგანაც ისინი ამ დროს კარგად ხედავენ და საკმაოდ ზუსტად ისვრიან ისარს. აი, სხვა რასის წარმომადგენლებმა კი ღამე 10 ნასროლიდან შეიძლება 6 –ჯერაც კი ვერ გაარტყან მიზანში. მე პირადად, თამაშის დახურვის შემდეგ, გადავწყვიტე ბედი ინტერნეტშიც მეცადა და გასაოცარი შედეგი მივიღე: ბევრმა იცის, თუ რა ძნელია თამაში ინტერნეტში და როდესაც რუსულ სერვერს ვეწვიე სათამაშოდ, არავითარი შეფერხება ან დისკომფორტი არ მიგრძნია. ასე მეგონა, რომ ჩემი მოწინააღმდეგეები აქვე, ჩემს გვერდით ისხდნენ კომპიუტერებთან და ლოკალურ ქსელში ვეთამაშებოდით ერთმანეთს. ეს ყველაფერი იმაზე მიგვითითებს, რომ WarCraft III არ მოითხოვს ინტერნეტთან შეერთების მაღალ სიჩქარეს და ჩვეულებრივი მოდემითაც უპრობლემოდ შეიძლება თამაში. როგორც ძველად, თამაშში არის ორი რესურსი: ოქრო და ხე. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მთელი ყურადღება გადატანილია ბრძოლაზე და არა სხვადასხვა სახის მშენებლობებზე. ამით Warcraft ინარჩუნებს თავის სახეს, რომელიც მას ბოლო წლებში ჩამოუყალიბდა.

*დათო დავარაშვილი (Lucky =Eagles=)*

# Comanche 4

## Sikorski RAH - 66




დაახლოებით ნახევარი წელია, რაც გამოვიდა ცნობილი ავია-სიმულიატორის “კომანჩის” მე-4 ნაწილი. ამ თამაშმა ჯერ კიდევ გამოსვლამდე მიიქცია ყურადღება თავისი ზეთანამედროვე ტექნოლოგიებით კომპიუტერულ ანიმაციაში. მასში მთლიანად არის გამოყენებული თანამედროვე 3D ვიდეოაქსელერატორის GeForce3-ის შესაძლებლობები. მარტივად რომ ვთქვათ, როდესაც თამაშის დროს გადავუფრენთ ოკეანეს, ვამჩნევთ აქაფებულ ტალღებს და ჩვენი ვერტმფრენის მიერ დატოვებულ კვალს წყალზე. თამაშში გამოყენებულია ძალიან რთული გრაფიკა და ანიმაცია, რაც საკმაოდ მძლავრ პროცესორს და ვიდეოაქსელერატორს მოითხოვს. ტესტირებისათვის გამოყენებულია Intel Celeron 1200 პროცესორი 320MB ოპერატიული მეხსიერება და Geforce3 Ti200 ვიდეოაქსელერატორი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასობრივი ბრძოლების დროს მაინც შეიმჩნევა გარკვეული შეფერხება. თამაში იწყება სასწავლო მისიების შესრულებით და ახალი მისიები იხსნება მხოლოდ მათი შესრულების შემდეგ. მისიები საკმაოდ მრავალფეროვანია და რთული: ჯუნგლებში მოწინააღმდეგის აღმოჩენა და განადგურება, დასახლებული პუნქტების დაცვა, მტრის ქიმიური ქარხნის აღმოჩენა-განადგურება, საზღვაო კრეისერის განადგურება, ქალაქის პირობებში ბრძოლის წარმოება... მოწინააღმდეგეს, ძირითადად, საკმაოდ თანამედროვე რუსული საზღვაო-საჰაერო-სახმელეთო შეიარაღება გააჩნია. აი, არასრული ჩამონათვალი: Ka50, Ka52, Mi24 – შვეულმფრენები, Su25, Su27, Mig29 – თვითმფრინავები, T55.T72,T80 – ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, საზენიტო დანადგარები, "მიწა-ჰაერის" ტიპის სარაკეტო დანადგარები, საზღვაო კრეისერები, ნაღმოსნები, ესმინცები და ასე შემდეგ. არის მისიები, სადაც ზემოთ ჩამოთვლილი საბრძოლო ტექნიკა უკლებლივ გამოიყენება და თამაშის დროს ერთ ადგილზე გაჩერება წამითაც კი დაუშვებელია. არც ჩვენი “კომანჩი” არის შეიარაღებას მოკლებული, მისიების მიხედვით მასზე ყენდება 40-მდე "ჰაერი-მიწის" ტიპის რაკეტა (Hydra-70), 16-მდე თვითდამიზნებადი მრავალმიზნობრივი რაკეტა (Hellfire), 20-მდე "ჰაერი-ჰაერის" ტიპის რაკეტა (Stinger) და 1500-მდე საბორტო ქვემეხის ჭურვი (XM-301). სასიამოვნოა ისიც, რომ გათვალისწინებულია ქსელში თამაშის მოყვარულთა ინტერესებიც: 32 მოთამაშეს შეუძლია შეებრძოლოს ერთმანეთს Nova Logic-ის სათამაშო სერვერზე Novaworld-ზე.

## კომპიუტერული სპორტი – სპორტის ახალი სახეობა

# COUNTER - STRIKE




წინა ნომერში ვწერდით, რომ ჩატარდა თბილისის ღია პირველობა Counter-Strike –ში. ამჯერად გაგაცნობთ, თუ რას წარმოადგენს თამაში, რომელსაც ყოველდღიურად მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქსელში დაახლოებით 5 მილიონი ადამიანი თამაშობს. Counter-Strike წარმოადგენს ყველასთვის ცნობილი თამაშის Half-Life –ის მოდიფიკაციას. აქ არ არის რაღაც მისიების თანმიმდევრობა და სახეზეა მხოლოდ შეჯიბრების ნაირსახეობა. ამ თამაშში შესაძლებელია 32-მდე მოთამაშის ერთდროულად მონაწილეობა, მაგრამ შეჯიბრებების დროს თამაშობენ 2-2 ზე, 4-4 ზე ან 5-5 ზე. გუნდები თამაშის დაწყებამდე იყოფიან ტერორისტებად და სპეცრაზმელებად. მოცემულ დროში (როგორც წესი, ეს 3 წუთის ტოლია) მათ უნდა შეასრულონ დავალება, კერძოდ: ტერორისტებმა განსაზღვრულ ადგილზე უნდა დადონ ნაღმი და ააფეთქონ, ხოლო სპეცრაზმმა კი ამაში ხელი უნდა შეუშალოს. თამაშის დროს მათი მოქმედებები ამგვარი თანმიმდევრობით გამოიყურება: ორივე გუნდი ჩნდება თავის საწყის პოზიციაზე, მოცემული ფულით ყიდულობენ საჭირო შეიარაღებას, იკავებენ გარკვეულ პოზიციებს, როდესაც ნაღმი დადებულია, სპეცრაზმი ცდილობს განაღმოს იგი. პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ ირთვება მორიგი ეტაპი, სადაც მისიის მიზანი უცვლელი რჩება და იცვლება მხოლოდ ადგილმდებარეობა. ამ თამაშში იარაღის დიდი არჩევანია: 5-6 სახის პისტოლეტი (Desert Eagles, Glock, Dual Beretta, USP ...), დაახლოებით ამდენივე სახის მსუბუქი ავტომატები (MP5, H&K, UZI...), ავტომატები (AK47, M4A... ), დესანტის ავტომატური სნაიპერული შაშხანები (Sig552, Steyer aug...), ხელის ტყვიამრფქვევი და მძიმე სნაიპერული შაშხანა (AWP), ამის გარდა, შეგხვდებათ დამატებითი შეიარაღებაც: 2 სახის ჯავშანჟილეტი, 3 სახის ხელყუმბარა, ღამით ხედვის მოწყობილობა და გამნაღველის მოწყობილობა. ამ ყველაფრის შეძენა შეიძლება იმის მიხედვით, თუ რა თანხა მოუგროვდა ამა თუ იმ მოთამაშეს. ფული გროვდება ძირითადად მოგებული რაუნდების და მოკლული მოწინააღმდეგეების საშუალებით. თავიდან ორივე გუნდის თითოეულ წევრს მხოლოდ 800-800 $$ აქვთ, რაც პირველი რაუნდის დასაწყისში ავტომატური იარაღის შეძენის საშუალებას არ იძლევა და მეტოქეები იძულებულნი არიან, პისტოლეტებით და ხელყუმბარებით გაიდნენ ფონს. ფულის დაგროვებაც არ შეიძლება უსასრულოდ – ზემო ზღვარი 16.000$-ია და 3 ზედიზედ წაგებული რაუნდის შემთხვევაში მოთამაშე ფაქტიურად ისევ პისტოლეტის ანაბარა რჩება. პირველი 12 რაუნდის შემდეგ მოწინააღმდეგეები ადგილებს ცვლიან (ანუ ტერორისტები სპეცრაზმელები ხდებიან და პირიქით) და იგივე ეტაპს თამაშობენ თავიდან. 4 ნათამაშევი 12-რაუნდიანი ეტაპის შემდეგ ხდება ქულების დაჯამება და ის გუნდი, რომელიც მეტ ქულას მოაგროვებს, ცხადდება ამ შეხვედრაში გამარჯვებულად. სტრატეგია ამ თამაშში ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტია და მისი შემუშავება ხდება თამაშის დაწყებამდე. გუნდის კაპიტანმა უნდა განიხილოს ცალკეული ეტაპის რუკა და აირჩიოს ამ ეტაპზე თავისი გუნდის თამაშის სტილი (ანუ სტრატეგია). თუ ის აირჩევს თავდაცვით სტილს, მაშინ თავის თითოეულ თანაგუნდელს ისე უნდა შეურჩიოს ადგილი რუკაზე, რომ მოწინააღმდეგემ თავდაცვის ხაზი ვერ გამოარღვიოს. თუ კაპიტანი აირჩევს თავდასხმის გეგმას, მაშინ მან უნდა განსაზღვროს მარშრუტი, რომლითაც მისი თანაგუნდელები იმოძრავებენ და მიაღწევენ მიზანს. ინტერნეტში მოიპოვება სხვადასხვა ტაქტიკისა და სტრატეგიის აღწერები, რომლებიც დაწერილია ცნობილი მოთამაშეებისა და გუნდების მიერ. მასალები Counter-Strike-is თემაზე ინტერნეტში ისეთი რაოდენობითაა, რომ, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა ენციკლოპედიის მრავალტომეულის გამოცემა.





## რეიტინგი, ანონსი, ინფორმაცია:

### გასული თვის საუკეთესო თამაშები:

1 **Warcraft III: Reign Of Chaos** Vivendi Universal
2 **Neverwinter Nights** Infogrames
3 **The Sims: Vacation Expansion** Electronic Arts
4 **The Sims** Electronic Arts
5 **Grand Theft Auto 3** Take 2 Interactive
6 **Backyard Baseball 2003** Infogrames
7 **Zoo Tycoon** Microsoft
8 **Medal Of Honor: Allied Assault** Electronic Arts
9 **The Sims: Hot Date Expansion** Electronic Arts
10 **The Sims: Livin Large Expansion** Electronic Arts

### გასულ თვეში გამოსული თამაშები:

Strike Fighters: Project 1 Platinum
Dark Fall Platinum
Legion
Runaway
Dino Crisis 2
Big Scale Racing
Medieval: Total War
Ghost Recon: Desert Siege
Thing
Prince of Qin
Operatin Tiger Hunt
Mafia: The City of Lost Heaven
Icewind Dale 2
Celtic Kings: Rages of War
O.R.B.
Industry Giant II

### მომავალი თვის ანონსი:

| | | |
|---|---|---|
| 02.09.2002 | Hyper Rails | Pantera Entertainment |
| 04.09.2002 | 1914 – The Great War | JoWood Productions |
| 05.09.2002 | Warrior Kings | Ubi Soft |
| 06.09.2002 | Cratered | Furious Entertainment |
| 09.09.2002 | Warlords BattleCry II | Ubi Soft |
| 09.09.2002 | Real War: Rogue States | Simon & Schuster |
| 10.09.2002 | Beach Life | Eidos Interactive |
| 10.09.2002 | Battlefield: 1942 | Electronic Arts |
| 10.09.2002 | The I of the Dragon | Акелла |
| 13.09.2002 | Neocron | CDV Software |
| 13.09.2002 | Позывной: Охотник | Медиа 2000 |
| 14.09.2002 | Largo Winch: Empire Under Threat | Ubi Soft |
| 15.09.2002 | Breed | CDV Software |
| 15.09.2002 | Cult | 3D People |
| 15.09.2002 | X-Isle: Dinosaur Island | Ubi Soft |
| 15.09.2002 | Fuel | DreamCatcher Int. |
| 15.09.2002 | Another War | Cenega |
| 15.09.2002 | Project Nomads | CDV Software |
| 15.09.2002 | Port Royal | Ascaron |
| 17.09.2002 | Earth & Beyond Online | Electronic Arts |
| 17.09.2002 | S.W.A.T.: Urban Justice | Sierra Entertainment |
| 17.09.2002 | NHL 2003 | Electronic Arts |
| 17.09.2002 | Airline Tycoon Evolution | Monte Cristo |
| 19.09.2002 | Mobile Forces | Majesco |
| 19.09.2002 | Гроссмейстер | |
| 20.09.2002 | New World Order | Project 3 Interactive |
| 20.09.2002 | X2 - the Khaak Threat | Egosoft |
| 20.09.2002 | World War II: Panzer Claws | Zuxxez Ent. |
| 20.09.2002 | Fahrenheit | Quantic Dream |
| 20.09.2002 | Combat Mission 2: Barbarossa to Berlin | CDV Software |
| 22.09.2002 | Karma: Immortality | Dragonfly |
| 23.09.2002 | The Sims Unleashed | Electronic Arts |
| 24.09.2002 | Chaser | Fishtank Interactive |
| 24.09.2002 | Master of Orion III | Infogrames |
| 24.09.2002 | Stronghold: Crusader | GOD Games |
| 24.09.2002 | Unreal Tournament 2003 | Infogrames |
| 24.09.2002 | Dirt Track Racing 2 | Infogrames |
| 24.09.2002 | TimeSplitters 2 | Eidos Interactive |
| 26.09.2002 | Zidane Football Generation 2002 | Cryo Interactive |
| 27.09.2002 | Arx Fatalis | Fishtank Interactive |
| 27.09.2002 | Beam Breakers | Fishtank Interactive |
| 27.09.2002 | TOCA Race Driver | Codemasters |
| 27.09.2002 | Shadow of Memories | Konami |
| 27.09.2002 | Sudden Strike 2 | CDV Software |
| 27.09.2002 | Dragon's Lair 3D | Ubi Soft |
| 28.09.2002 | Offroad Arena | |
| 29.09.2002 | Xpand Rally | Techland |
| 30.09.2002 | Conflict: Desert Storm | SCi |
| 30.09.2002 | Divine Divinity | CDV Software |
| 30.09.2002 | Sherlock Holmes and Curse of the Mummy | FrogWares |
| 30.09.2002 | Midnight GT | (Полуночный драйв) |

*გვერდი მოამზადა ზურაბ ბოკერიამ*
*(Boker=Eagles=CP)*

## კროსვორდი





**შვეულად:** 1. კურდღლის შვილი; 2. სქელი, გემრიელი სასმელი; 3. რაც არა ჩანს და მხოლოდ ისმის; "კ". ბოსტნეული, რომლისგანაც ფერიამ ეტლი გააკეთა; 5. საცხოვრებელი ჩიტებისათვის; 6. ეკლებიანი პატარა ცხოველი; 7. შვებულება სკოლაში; 9. რა წაიღო გამოქვაბულიდან ალი-ბაბამ?; 10. საძოვარი შინაური ცხოველებისათვის; 12. ავსტრალიელი მოხტუნავე ცხოველი; 13. ტექსტი, რომელსაც ღვთის წინაშე ვკითხულობთ; 15. ზღაპრული ცეცხლოვანი ცხოველი; 17. ხე, რომელსაც მუმლი ვერას აკლებს; 19. სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 22. გარეული ფრინველი; 23. კამეჩის შვილი; 24. სათამაშოიანი კვერცხი; 29. გაუშლელი ყვავილი ან ფოთოლი; 30. დადებითი პასუხი; 31. სართულიდან სართულზე ასასვლელი; 32. ცხვრების კრებული; 34. ღორების საყვარელი ნაყოფი; 36. პიფის მეგობარი ბიჭუნა; 37. ზღაპრული გოლიათი; 39. ტყის ქალი.

**თარაზულად:** 4. მინის ჭურჭელი თევზებისათვის; 6. შეყვარებული ჩხიკვი; 8. რა გაცვალა ღორმა რკოში?; 11. მაუგლის გამზრდელი; 14. ვის მიართვა წრუწუნამ კაკალი?; 16. კუზიანი ცხოველი; 18. ჯინის მბრძანებელი; 20. გაზაფხულის ყვავილი; 21. ქართული ხალხური ზღაპარი; 25. შინაური ცხოველი; 26. ყველაზე გონიერი არსება დედამიწაზე; 27. მფრინავი თაგვი; 28. ქართული ხალხური ზღაპარი ციცქნა ბიჭის შესახებ; 30. "თოვლის დედოფლის" გმირი; 33. მდინარე საქართველოში; 35. ალადინის მეგობარი მაიმუნი; 36. საბავშვო კომპიუტერის სახელი; 37. პლანეტა მზის სისტემაში; 38. ცალხაზიანიცაა და უჯრედიანიც ...; 40. ქართული ხალხური ზღაპარი მწყემსზე; 41. მდინარეზე გადასასვლელი საშუალება; 42. ყველაზე დიდი მდინარე საქართველოში; 43. პირველი ქალი.

## წინა კროსვორდის პასუხები





**შვეულად:** 1. ბურთი; 2. სიზმარა; 3. იმედი; 4. ობი; 5. გერდა; 9. გუბე; 11. საქმე; 12. ქურდი; 13. თავლა; 14. ფორთოხალი; 15. დო; 16. საკენკი; 17. ლუკმა; 20. ისარი; 21. ვიოლინო; 22. ანბანი; 26. ტყე; 27. ემუ.

**თარაზულად:** 2. სპილო; 6. გუფი; 7. ბადე; 8. თამადა; 10. ლულა; 11. საქათმე; 15. დრო; 16. საქართველო; 18. კრემი; 19. კოლო; 20. იავნანა; 23. კიო; 24. ბარონი; 25. ჭა; 26. ტვინი; 28. ნემსი; 29. ვერიკო.



სიმეტრიის პრინციპით დაასრულეთ ნახატი და გააფერადეთ

სოსო გუმბერიძის ნახატები